

თინათინ ჭეღია

რეპეტიტორი

(პროზა და ნაწილები)



თინათინ ჭედია

რეპეტიტორი

(პროზა და ნაწილები)



გამომცემლობა „მნიგნობარი“
თბილისი 2024

რედაქტორი

ყდის დიზაინი და ფოტოგრაფია

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დამკაბადონებელი

ზაალ ბოტკოველი

ეკა ლიფონავა

მაია კვანტალიანი

თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-508-87-5

წინათქმა

ქართულ ლიტერატურაში ახალი პროფესიონალი მწერალი შემოვიდა.

საშუალო ტანის, მომხიზვლელი ქალია, საოცრად მეტყველი, ოდნავ ნალვლიანი შავი თვალებით და სულიდან ამოსული ჩურჩულნარევი ხმით.

ლაპარაკის დროს უმეტესად თავდახრილია, თვალებში არ გიყურებს. შენს სათქმელს რომ დაამთავრებ, ცოტა ხანს გაყურდება, თითქოს სიტყვებს ეძებს, მერე მოკლე ფრაზებით გაგებინებს თავის მოსაზრებას, მაგრამ ისე კი, რომ ანდამატივით მიგიზიდოს და გაიძულოს გულში ჩახედო, თანამოაზრედ იქცე.

მისი სახელია თინათინ ჭედია.

უძველეს კოლხთა შთამომავალს კოლხური კდემა და მედეას სიბრძნე გამოჰყოლია.

დაიმახსოვრე ეს სახელი, მკითხველო.

ყური დაუგდე მის ნათქვამს და რამდენადაც შეძლებ-გაისიგრძეგანე.

მწერლობაში ახალშემობრძანებულს მე, უპირველესად, მისი მოქალაქეობრივი, სამშობლოობის პოზიციით ვაკვირდები.

როგორია თინათინის ეროვნული მრწამსი: „არა ძმაო, ასე გაგრძელება არ შეიძლება, დაილუპება ქვეყანა, სირცხვილია... აქამდე მოვედით და ახლა უნდა გადავშენდეთ? არა ვარ მე რასისტი. ჩემი გენის გადაშენების მეშინია და გეუბნები, პირადობაში რომ

აღარ გვინერია ეროვნება. საქართველოა ჰო, სწორედაც უნდა მენეროს მეც და იმ სხვასაც. რომ ცხოვრობს ის სხვაგვარი გენის აქ, იმას არ ნიშნავს, რომ უკვე აქაურია, მილიარდი წელი რომ გავიდე მამინც ვერ გაქართველდება. გამრავლდებიან ჩემს მიწაზე და პრეტენზიები გაუჩნდებათ, რახან ქართველებზე მეტი გავხდით უნდა ნაგართვათო და მიაქვთ კიდევ. რა, არ ნაილეს? სხვა ჯიშის ხალხის გაქართველება არაა საჭირო, ყველამ თავისი იდენტობა უნდა შეინარჩუნოს. დროა უცხოტომელებმა თავისი ადგილი იცოდნენ. გლობალისტები ღუპავენ ქვეყანას. მალე უცხოელებზე მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებაზეც იზრუნებენ. საქართველოს მიწის თითქმის ოთხმოც პროცენტს უცხოელები დაეპატრონენ“...

როგორია თინათინ ქედი, როგორც მთხრობელი, როგორ შეუძლია მას ცხოვრების ორომტრიალიდან შთამბეჭდავი პერსონაჟის გამორჩევა და მისი მხატვრული ხორცშესხმა ისე, რომ სამუდამოდ დაგამახსოვრდეს: “იმ ქალბატონსაც დავავინწყდი რომელთანაც სამწელიწადზე მეტია ვმეგობრობ თუ ვსაყვარლობ. ახალი, ცივი, უცნაური სამყაროდან მომეველინა. კვირაში ორჯერ, ხუთშაბათს და კვირას ერთდღიანად დროს მოდის და მიდის. არ მელაპარაკება. ბევრ ყავას სვამს და მეც მჭყიპავს. გარინდული ქალია. ორ კვირაზე მეტი იქნება, არ გამოჩენილა. ალბათ მოვბეზრდი, ან აღარ ვჭირდები, არც არასოდეს დაურეკავს, არც მე მისთვის. თავიდანვე დამიშალა. სამი საათი რჩება. მერე ჩაიცვამს და მიდის. სამჯერ ვცადე ორლანის ჰანგებით დამეტკბო მისი სმენა, მაგრამ არ მოისურვა, ყურებზე ხელი აიფარა და მიბრძანა; გამორთე, თავი პანაშვიდზე მგონიაო. ლოგინად ჩავარდნილ ქმართან გარბის, უფლის ალბათ. ქმრის უმწეობას განიცდის. ცივია, როგორც ყინულის ქვა, უფრო სწორად, როგორც ვარდისფერი, უზარმაზარი, უფესვო და უფოთლო პარაზიტი ყვავილი რაფლეზიაა, რომელიც ჩემი ენერგიით იკვებება, რომ ვკითხო გიყვარვარ თუ არა მეთქი, ვიცი, რასაც მიპასუხებს, ჩვენს ასაკში რაღა დროს ეგეთებია, თავს ხომ კარგად გვრძნობთ, ესეც

საკმარისიაო. აბა რატომ ამბობენ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო? ვკითხავ, გამიღიმებს და წავა.“

როგორ პასუხობს თიკო ჭედია როგორც მწერალი-ფილოსოფოსი თანამედროვის წინაშე არსებულ გამოწვევებს, როგორია სრულიად ახლებური (და არა უკვე განვლილი და მოძველებული) ფსიქოანალიზის მისეული ინტერპრეტაცია, როგორ ეძებს საშველს ომებით და ეკონომიკური სიდუხჭირით დაბნეული, თითქმის გონარეული მოქალაქეებისთვის?

„ბედი გვაშორებს და გვაკარგვინებს ახლობლებს და მწუხარების ნისლში გვხვევს. სევდას სძალუძს მარტროობისკენ მიდრეკილი ბედის წინაშე თავი დაგვახრევენოს და გაგვაშემოს. მუდმივ მოქმედებისას კიდევ სწორი გზების პოვნაა ძნელი, როცა გვგონია, კაეშანი განვდევენეთ, ის თურმე მაინც თან გვდევენს, მიმაღულია, მაგრამ მზადყოფნაშია თავდასასხმელად და ჩვენივე ცხოვრებაა თვალწინ სხვადასხვა გზებისა და ხიდეების გამდები... აბა, მიდი და აირჩიე, რომელია საუკეთესო და ყველაზე სწორი! ძნელია, ვაი და შეცდე, განვალდე, მაგრამ არაუშავს, მთავარია მოქმედებდე, ცხოვრობდე.“

ამ წიგნში შესულია თიკო ჭედიას ბოლო სამი-ოთხი წლის ლიტერატურული მოსავალი: ნოველები, მოთხრობები და წერილები.

ნოველებსა და მოთხრობებში ავტორი საკმაოდ მაღალი ოსტატობით აღწერს ჩვენი საზოგადოების საშუალო ფენის მოქალაქეთა ცხოვრებას. პერსონაჟთა უმეტესობა მიზეზთა გამო განაწყენებული, ცოტა არ იყოს ნერვული და ზოგჯერ აშკარად ნევრასთენიით შეპყრობილი ადამიანები არიან. მწერალი ისე დამაჯერებლად წერს რომ გჯერა, დამნაშავე ამ ადამიანთა მერყევ წონასწორობაში ჩვენი მღელვარე თანამედროვეობაა.

რაც შეეხება წერილებს, ავტორი თანამედროვე ლიტერატურული პროცესის გულისხმიერი დამკვირვებელი და თანამონაწილეა. მისი მსჯელობა შორს არის ტენდენციურობისა და პანეგირიკისაგან. განსასჯელ ობიექტზე საუბრობს ავტორისადმი ღრმა პატი-

ვისცემით და კოლეგიალურობის გრძნობით. შემფასებელზე მეტად მწერლის თანამოაზრე და თანამლობელია. ყველა წერილი მხატვრული ნაწარმოების სიამოვნებით იკითხება, თითქოსდა განსახილველ ტექსტზე ახალ, თვითმყოფად ნაწარმოებს წერს.

თინათინ ქედიასთვის ლიტერატურა საღლაბუცო არენა კი არ არის (როგორც ამას ახალო წარსულში ერთი „კრიტიკოსი“ აკეთებდა), იგი მისთვის ბრძოლის, სამშობლოს სამსახურის, საზოგადოების გაკეთილშობილების ასპარეზია.

აი, ასეთი ლიტერატურის დანიშნულებისადმი სწორი მიმართების, ჯანსაღი ეროვნული პოზიციის უტყუარი მხატვრული ალღოს მქონე მწერალი სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ნოველები

სულ ორჯერ შევხვდი ერთ ქალბატონს. სტუმრად მისულებს არ დაგვენახა, სასტუმრო ოთახის კარს მიღმა სამზარეულოში ფუსფუსებდა, მერე კარს მოკრძალებით შემოაღებდა და მეუღლეს დაბალი ხმით, ლამის ჩურჩულით ეძახდა. ისიც ჩვენთან საუბარს დროებით სწყვეტდა, ბოდიშის მოხდით ოთახიდან გადიოდა, ბრუნდებოდა სხვადასხვაგვარი კერძებითა და ნუგბარით ხელდამშვენებული. ის თბილი ქალბატონი ჩვენს სამეზობლად ირჯებოდა.

სახალხო მწერლისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ბატონი რევაზ მიშველაძის აზრების, ფიქრების გამზიარებელი, ნამდვილი მეგობარი და თანამეცხედრეა ქალბატონი სვეტა, იგივე ნათელა გოგორიშვილი.

ბოლოს რომ ვესტუმრე ოჯახს, ქალბატონი ნათელა შემეგება, როგორც ახლობელს ან სულაც დიდი ხნის უნახავ სისხლით ნათესავს, მაგრამ რატომღაც, წამოსვლისას, მასთან დამშვიდობება ვერ მოვახერხე, არ ვიცი რა დამემართა, უზრდელი არ ვარ, მაგრამ ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ ბატონი რეზოს საუბარმა იმედიანი მაგიის ნისლში გამხვია. სახლიდან გამოვედი და დიდმა მწერალმა ეზოს ჭიშკრამდე მოგვდია მე და ნიკო ბალაშვილს, გაგვაცილა. ქუჩაში მიმავალს გული მომეწურა, სულით ხორცამდე მშვენიერ ქალბატონს რომ არ გამოვემშვიდობე. ახლა კი, უნებური უზრდელი საქციელის გამოსწორებას ვცდილობ და ყველა ამქვეყნიური სიკეთე მემეტება ქალბატონი ნათელასთვის. უღრმესი პატივისცემითა და კეთილი სურვილებით ვუძღვნი ნოველას - შემთხვევა ქვეგრიალში“.

შემთხვევა ქვეპრილაში

დილით, კარგად გათენებულზე, უბანში გამოვიდა ორმოც-დაათ წელს გადაცილებული გრძელფეხება აშხვართული, შავგრემანი, შავთვალა, შავ-ნაწნავიანი, ახალგაზრდობისას ოთხმოციანი წლების ბოლოს, სტუდენტ გოგონათა შორის სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, კარგი ბიჭის მიერ მოტაცებული და ოთხი წარმოსადეგი ვაჟკაცის დედა, უკვე ცნობილ სამხედრო პირად ქცეული კარგი კაცის ცოლი, ფილოსოფოსი ცაგო. ამაყად მიმავალი გან-გან და უმეტესად წინ მაცქერალი უბნელებსა და არაბ რესტორატორებს ვერანდაზე მდგომებსა თუ დამსხდრებს, ჩილიმს რომ თვალმილულულნი ტუჩებით ხარბად ექაჩებოდნენ, ქართული სილამაზის მქონე ქალის დანახვისას ფეხზე წამოდგომით სალმის ნიშნად თავებს აკანტურებდნენ, უკვე იმდენი მოგროვილიყო საქართველოს დედაქალაქში და კერძოდ ამ უბანში, რომ რესტორნები ისევ და ისევ თავისიანებისთვის გაეხსნათ, ვინაიდან ცაგოს მრავალი თბილისელის მსგავსად, მაგათ არცერთ ბარსა და რესტორანში, არამც თუ არ უსადილ-უვახშმია, ჭიქა წყალიც არ შეუსვამს, მიუხედავად იმისა, რომ არაბები და ზოგი ინდოელიც ისე, უბრალოდ, საპატივსაცემოდ, ცაგოს შვილებითურთ ეპატიჟებოდნენ მსუბუქი თუ მძიმე უცხოური კერძების დასაგემოვნებლად. მარტოდ მომავალს სუფრასთან მიპატიჟებას ვერ უბედავდნენ, გულის სიღრმეში ლამაზი ქალის მეუღლისა და ვაჟებისა ეშინოდათ, შვილების გვერდით მდგომი ამაყი ცაგო, ყოველთვის თავს მოწინებით ხრიდა და ინგლისურად უარობდა, შვილებიც თავაზიანად ეთანხმებოდნენ დედას და გზას განაგრძობდნენ, გალიმებული და ნაზად განაწყენებული უცხოელი რესტორატორები მაშინვე მიმოიფანტებოდნენ.

ცაგო ნაკითხი, მოაზროვნე ადამიანი გახლდათ, უმაღლესი განათლების დასრულების შემდგომ ცოტა ხნით იფილოსოფოსა და ვერავის ვერაფერი გააგებინა, გაფსიქოლოგდა, საბოლოოდ კი ხელოვნებათმცოდნედ ჩამოყალიბდა. განსაკუთრე-

ბით კინო და თეატრი უყვარდა, ბოლო ჟამს თბილისის თეატრებში ახლად დადგმული სპექტაკლების შესახებ მშვენიერი რეცენზიების წერას მიჰყო ხელი, ქართულ კინოზე ვერაფერს წერდა, ვინაიდან ამ ეტაპზე კინო თითქმის დასამარებელიყო. თეატრებში კი ცოტა ხალხი დადიოდა, ვინაიდან უხვირო 2023 წელი იდგა, არა მხოლოდ საქართველოსთვის, მსოფლიოსთვისაც მძიმე ეკონომიკური მოცემულობითა და დამანგრეველი ომების, სისხლმდენი პერიოდი.

შუათანა ვაჟის ოჯახში მიეჩქარებოდა ცაგოს, თავის სეხნია, სამი წლის მოტიკტიკე გოგონას ჩასახუტებლად, ეჩვენებოდა, რომ ამ ქვეყნად მასზე ძლიერ აღარავინ უყვარდა. პატარა ცაგო იყო მიზეზი და საიდუმლო ბებოს უბერებლობისა, მზე გოგოს გულისთვის არაფერი ენანებოდა ბებოს, უკვე მას უძღვნიდა დარჩენილი სიცოცხლის წოველ წამს, ის ამ პაწაწკინტელას გამო გაასმაგებულად, სიამოვნებით უვლიდა თავს, რომ პატარა ცაგოს ბებოსთვის აღფრთოვანებულს ეთქვა, რა ლამაზი ხარ, მიყვარხარო. ახლა მაღალფეხება ტანკენარ ცაგოს ყველაზე მეტად ტიკტიკა შვილიშვილის მიმართ გარდარეული და დაფეთებული გრძნობა ჰქონდა და ეს იყო ძალზედ საამო, საინტერესოც, თითქოს თავიდან დაიბადა! ისე კი, ბევრჯერ დაიბადა თავიდან, როცა მართლა ძლიერ შეუყვარდა მრავალმგამოვლილი და სიკვდილს გადარჩენილი ქმარი, რომელიც ეუბნებოდა, ყოველთვის შენს მიმართ არსებულ სიყვარულს გამოვყავარ ყველანაირი ჭირ-ვარამიდანო. მაშინაც თავიდან დაიბადა, როცა ოთხი ვაჟი გაუჩნდა და მაშინაც, ნაბოლარა ბიჭის ნათლია საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე რომ გახდა. ის ჩვილ შვილებს ტკბილი ქართული იავენანას მაგივრად შავლეგოს უმღეროდა, ცოტა რომ წამოიზარდნენ, ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრებს“ უკითხავდა, რომ ისინიც უშიშარ, ძლიერ, კეთილ ბიჭუნებად ჩამოყალიბებულიყვნენ. მართლა ყოველმხრივ კარგები გაიზარდნენ, სამშობლოს გულმხურვალე მოყვარულები, შეუპოვრები, მებრძოლენი. ოთხივემ თავისსავე ქვეყანაში

ცხოვრების გზა გაიკვალა, საზღვრებს გარეთ კი ტურისტებად ან უბრალოდ დასასვენებლად, არაუმეტეს ორი კვირით გადიოდნენ, ხშირად თავიანთ მშვენიერ მშობლებთან ერთადაც. მოკლედ, ახლანდელ დროში გარშემო მყოფებისგან განსხვავებით, შესაშურად და უიშვიათესად ბედნიერი იყო ცაგო, რასაც თავადაც თვალნათლივ გრძნობდა და უფალსაც ჰმადლობდა. ახლა, ამ წუთს, ქმარი ენატრებოდა, რომელიც მივლინებით იყო წასული ამერიკის შეერთებულ შტატებში და გულის-ფანცქალით ელოდა. თავჩაქინდრული მიდიოდა მომხიბვლელი ქართველი ქალი, რომელსაც გზად შემხვედრი ახალგარდები ყურადღებით შესცქეროდნენ და თვალს აყოლებდნენ. ადამიანური სილამაზე ხომ ყველა ასაკში მიმზიდველია, ვერ მოითმენ არ აღფრთოვანდე, გაიფიქრებ აუჰ, ახლა რა კარგია და ახალგაზრდობაში მზეთუნახავი იქნებოდაო და ადამიანს სულიც თუ მშვენიერი აქვს, ღრმა მოხუციც მიგიზიდავს დახვეწილობით, კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, გულისხმიერებით, მის გვერდით ყოფნა სევდასა და ნალევლს დროებით მაინც რომ შეგიჩერებს, მოგელამუნება, ასეა ეს, ის გინდა ქალი იყოს და გინდაც კაცი.

კიევის ქუჩის ასახვევს გასცდა ცაგო და უკნიდან ხმა შემოესმა: - ნოდარიჩ, გაჩერდი გოგოო!

ხმა ეცნო ცაგოს, შეჩერდა, თანაკლასელი და დღეს უკვე ცნობილი მსახიობი ჭორფლა, იგივე ალექო იყო, დოინჯშემორტყმული მისკენ შეტრიალდა და მხარზე დაწვენილი ნაწნავი თავის აქნევით ზურგისკენ მოისროლა, უღიმოდა მისკენ ქოშინით მომავალ ჭორფლას.

-რამდენი ხანია მოგდევ გძელფეხებავ, მინდოდა მოგპარვოდი და მოგხვეოდი, შე ლამაზო, შენა! - ხელები გაშალა მსახიობმა და ბავშვობის მეგობარს მოეხვია, ლოყა ლოყაზე კი ველარ მიადო, ქალი მასზე ბევრად მაღალი გამხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ დაბალძირიანი თეთრი ბოტასები ეცვა, ალექოს კი მაღალი.

-შე ჭორფლა შენა! - ხელი მხარზე დაჰკრა ცაგომ.

-კარგი რა, სახელი არ მაქვს მე?

-შენ ახლაც ჭორფლიანი ხარ ბიჭო და მაგიტომ მოგმართავ მაგრე. შენ რად მეძახი „ნოდარიჩს“, „ნოდაროვნა“ მაინც მიწოდე, კაცს ვგავარ ახლა მე?!

-ჩვენი რუსულის მასწავლებლის მოსაგონრად, მაგან არ შეგარქვა ეგრე? ცოცხალია, ხომ იცი!

-კი იქნება 90-ს მიტანებული ხო? - იკითხა ცაგომ.

-96 წლისაა გორშკოვა!

-დედაჩემი ყოველთვის ნუხდა, რუსული, რომ არ ვიცოდი და იცი, რატომ არ ვსაწვლობდი? ნინა გორშკოვასგან აგრესიას ვგრძნობდი, ერთხელ დედაჩემს უთხრა, პრინციპში რად უნდა შენს გოგოს სწავლა, ისედაც ლამაზია და სკოლის დამთავრების-თანავე გათხოვდებაო და ამის გამო ორი დღე ტიროდა დედაჩემი, ეს რა მითხრა ამ რუსმაო!

ალეკოს გაელიმა და თქვა: - ვფიქრობ, მაგ ქალს შენი შურდა, გახსოვს, მეათე კლასში დავით გარეჯაში რომ ვიყავით ექსკურსიაზე კლასი და ეგეც რომ წავიყვანეთ?

-ჰო, როგორ არ მახსოვს!

-გორშკოვამ გვკითხა, როგორ ფიქრობთ ბიჭებო, ვინაა თქვენს კლასში ყველაზე ლამაზი გოგონაო? ჩვენ შენზე ვუთხარით და ის დაიჭყანა,- უკვე ცხენს ჰგავს და მერე რალა იქნებაო!

ცაგომ ხელი ჩაიქნია და ალეკოს დაუცაცხანა: - ტემპს მოუმატე, შვილიშვილთან მიმეჩქარება!

-რალა მოვუმატო ქალო, სირბილით მოგდევე!

ცაგომ ხელი ჩასჭიდა ალეკოს, არიქა, ჩქარა, ქვეგრიალა-შიო! ეგ რალაო, გაიკვირვა კაფანდარა ჭორფლიანმა წითურმა კაცმა. ქალმა კი დასძინა: - კაცი ქართულ სცენაზე დგახარ და მეტროს ქართულად რომ ქვეგრიალა ჰქვია, არ უნდა იცოდეო?! დედის სულს გეფიცები, პირველად გავიგე და დავიმახსოვრებო.

მირბოდნენ, შევიდნენ კოტე მარჯანიშვილის სახელობის ეგრეთ წოდებულ ქვეგრიალაში, ყველა რომ მეტროს ეძახის. წყილი ხალხის ყურადღებას იქცევდა, გაღიმებულები თვალს

აყოლებდნენ და, სადგურისკენ ჩამავალ კიბეზე რომ დადგნენ, ალექო გაიპრანჭა: - დახე, როგორ მიყურებენ, იმიტომ, რომ ცნობადი სახე ვარ!

-და, მე არ მიმზერენ?

-ჩემი დამსახურებაა! - გაიბლინდა ალექო. ქალს ჩაელიმა და ჩაილულულა, კაი, ბატონო, ეგრე იყოსო და ამაყად მიმოიხედა. ექსკალატორს გასცდნენ, მატარებელიც მოსულიყო, ვაგონებიდან გამოსული ხალხი მოანყდა მაღლა ამავალი მოძრავი კიბისკენ მიმავალ გზას. მოზარდები მოვიდნენ ალექოსთან და მასთან ერთად ფოტოების გადაიღება მოითხოვეს. სელფი არ მინდაო, თქვა ალექომ, ეშმაკურად გაიხედა ცაგოსკენ და წარმოსთქვა: - ეგე, ჩემი აგენტი და პროდიუსერი გადაგვიღებს ფოტოებსო. ბავშვებს ჭორფლას ნათქვამი მართალი ეგონათ და ცაგოს მოწინებით მიანოდეს მობილური ტელეფონი. ქალმა ცნობილ მსახიობს მიტმასნილ ახალგაზრდებს რამდენიმე ფოტო გადაუღო, ამასობაში მატარებელიც წავიდა. ცაგო შეწუხდა და ალექოს მკლავზე უჯიკა, თან ყურში ჩასძახა: - აუ, გაგვასწროო!

-მეორე არ მოვა გოგო?! - ტაბლოს შეხედა მსახიობმა და შუბლზე ხელი იტკიცა: - რა ხდება ტო, ოცდაათ წუთში მოვა, რა ამბავია!

-ჰო, დიდი ინტერვალია, მაგრამ ვინაა ბიჭო შენი აგენტი! - წარბი ანია ცაგომ.

ალექოს ხარხარი აუტყდა: - რაო, გაგიტყდა? - სათვალე ცხვირის ქიმზე ჩამოიცვა და გვირაბისკენ გაიხედა: - რალაცა მოდის, რალაცა, მაგრამ არა მატარებელი!

-უჰ, კაი ერთი, ნულარ რატრატებ! - გაუბრაზდა ცაგო.

მსახიობმა ცაგოს ზურგი შეაქცია, ტელეფონი ჩართო და ახლო ხელი დააყენა: - დაიცა, გადავიღო, არ ვხუმრობ, რალაცა მოდის!

ცაგოს შეეშინდა, ვინაიდან, მეტროს ჩვეული ხმაური შეწყდა, ყველას მზერა და ტელეფონ-მომარჯვებული მარჯვენა გვირაბისკენ იყო მიმართული. სპილო მოდისო აღნიშნეს, მაგრამ ცაგომ არ დაიჯერა. ბაქანზე მდგომ ხალხს მეტროს თანამშრომლები და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებიც შემოუერთ-

დნენ, თანაც ყველამ ზარი გაუშვა ახლობელთან, ატყდა იდუმალი ჩურჩულებიც. ცაგო დაიბნა, სურდა იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ალექოს მიტოვება არ იკადრა. მართლაც, მატარებლის მაგივრად თეთრ-ეშვებიანი, უზარმაზარი სპილო შემობრძანდა. სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, ალექომ ქალის ხელს ხელი ჩასჭიდა და მკერდზე მიიკრა: - აი, ხომ გეუბნებოდი, გოგო!

სპილომ დინჯად გაიარა გარკვეული მანძილი, ცენტრში შეჩერდა და ხალხს თვალი მოავლო, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ცაგოს პირისპირ აღმოჩნდა, ქალს მოეჩვენა, რომ სპილომ გაუღიმა. ცაგოს შიშმა გადაუარა და მის შუბლზე ხელის შეხების სურვილი გაუჩნდა. ალექო ქალს წინ კედელივით აეფარა და სპილოს მობილური ტელეფონის თვალი მიაპყრო, ცხოველმა კი ხორთუმი ქერისკენ აღმართა, მსახიობს ლამის ტელეფონი ხელიდან გააგდებინა და საყვირით დასჭექა, იმ წამს ყველამ გაიფიქრა, მეტროს მატარებლების გამოძახილს ჰბაძავსო. ვილაც წლამდე ბავშვმა ხელი სპილოსკენ გაიშვირა და კისკისით ბგერები წარმოსთქვა, ატა, ატა, და, მე!

ხალხის მიმართ კეთილად განწყობილმა ცხოველმა ხორთუმი დაუშვა, თავი ჩაქინდრა და გზა განაგრძო. გვირაბის მეორე ნახევარში შევიდა, ცოტა ხანს ჩანდა, მაგრამ მალევე გაჰქრა. ამგვარი რამ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში რომ მომხდარიყო, ატყდებოდა ჩოჩქოლი, ზედახორა, ნივილი, კივილი, გულის-ნასვლები, გამომძიებლებთან შეხვედრები, დაკითხვები... ახლა კი, არაფერი მსგავსი. ცაგოს ის გაუკვირდა, რომ ადამიანებს გაცეცხის უნარი თითქმის დაჰკარგვოდათ და გაახსენდა დიდი ხნის წინ მივიწყებული ბავშვური ოცნება, გულით რომ სურდა მეტროს ლიანდაგებზე აქლემების ქარავანი ეხილა, ეს ოცნება მაშინ დაიბადა, როცა ირაკლი ლომოურის ნოველა „შემთხვევა“ ნაიკითხა ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარსა“ თუ „ნობათში“, წარმოიდგინა პირბადიანი მხედრითურთ მომავალი თეთრი აქლემი, რომელიც ჩვეულებრივ აქლემებს წინ მიუძღოდა და აღფრთოვანდა. აქლემების ხილვა სურდა მეტრო პოლიტექნიკური

უნივერსიტეტის ლიანდაგზე. მოგვიანებით მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ, მაინც აოცებდა მეტრო წერეთლის სივრცეში მოჟივჟივე ბელურების ფრენა და უკვირდა, ნეტავ აქ საიდან გაჩნდნენო?! დღეს, რამდენიმე წუთის წინ აუხდა ბავშვობის ოცნება, აქ აქლემებს არა, მაგრამ სპილომ ხომ მაინც ჩამოიარა! ჯაჯლანა შუახნის კაცის ხმამ გამოიყვანა ცაგო ფიქრებიდან, რომელიც იჭვნეულად და ირონიით ამბობდა, „ფეიკია,“ უეჭველად ჩვენს შორის მყოფ მსახიობ ალექოს მონყობილიო!

-მეე?! - დაიყვირა მსახიობმა, - არა ხალხო, არაფერ შუაში ვარ!

ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ცოტა ხნის შემდეგ ხალხი ალაპარაკდა, აშკარად მოჩვენება იყო, საერთო ფსიქოზის გამოვლინება იქნებოდა, ამიტომ ყველას ერთნაირად მოგველანდაო, ზოგს სპილო მეტროში შემთხვევით მოხვედრილი უცხოპლანეტელი ეგონა, ზოგიც ასკვნიდა, სპილოს გამოჩენა კარგის ნიშანიაო, ანუ დაგვიბრუნდება წართმეული ტერიტორიები, გავბრწყინდებით და ავშენდებითო, ის ხომ ძლიერია, მშვიდი, ბარაქის და გამრავლების სიმბოლოო. ერთმა თქვა, იქნება და, არაბებზე მეტი სპილოებიანი ინდოელები მოდიან ჩვენს ნასალეკად და უფალმაც არ იცის, კიდეც რა დოზანასთან გამკლავება მოგვინევსო, მოკლედ, წამში ხალხი გაპროფესორ-გააკადემიკოსდა. მოლუშულ სახიანი ადამიანებიც იღიმოდნენ, უკლებლივ ყველა გათავაზიანდა, ერთუროს ელულუნებოდნენ მატარებლის მოლოდინში.

უცბად გაჩნდნენ ეზოთერიკოსები, ასტროლოგები, ნუმეროლოგები, ვილაც „გამტარები,“ წინასწარმეტყველები და ჯადოქრებიც. ხალხს სთხოვდნენ, გადაღებული მასალა გამოგვიგზავნეთ, რომ მომხდარს ანალიზი გავუკეთოთ, ეს მოვლენა სწორად ავხსნათო. რამდენიმე წუთში ტიკტოკზეც დაიდო სპილოს მეტროში გამოჩენის და გაქრობის კადრები სხვადასხვაგვარი კომენტარებით და მთელი საქართველოს, შესაძლოა მსოფლიოს მასშტაბით ატყდა აურ-ზაური. მატარებელიც მოვიდა, მაგრამ გადაქანცული ალექო ჩაიცუცქა და ბავშვობის მეგობარს ქვემოდან ახედა, ცაგო გაოცებული დაჰყურებდა: - რა მოხდა, ეგრე რად მიცქერი?!

-ჭორფლი აღარ გაქეს ალეკო!

ვილაც კაცი გაიდახოდა, ფსორიაზი მჭირდა და გამიქრაო, ერთი ბიჭიც შუბლზე ხელს იტყაპუნებდა, აკნეს ნაკვალევიც არ დამრჩაო. იმ ბავშვის მამა, საყვარელად ბგერები რომ წარმოსთქვა, ამტკიცებდა, იდაყვზე ყავისფერი ლაქა ჰქონდა და სადღაც დაიკარგაო.

ჩაცუცქული ალეკო აქეთ- იქით იცქირებოდა და გაიდახოდა, აჰა, ხალხო, ხომ ხედავთ, მე არაფერი სანახაობა არ მომიწყვიაო.

ცაგო ალეკოს წამოდგომაში დაეხმარ, ჩანთიდან პატარა სარკე ამოიღო და ჩაახედა. აღფრთოვანებულმა ალეკომ წარმოსთქვა: - უცნაურია, დაუფერებელია, კარგია, საყვარელი სპილო! -ცოტა ხნით ხალხის ფუსფუსს, მოძრაობას უმზირა, მერე სარკე ცაგოს მიაწოდა და სახეზე მიაშტერდა, რომელსაც ისედაც შესანიშნავი კანი ჰქონდა და სპილოსაგან განსაკუთრნი არაფერი სჭირდა.

-ცაგო, მითხარი თუ ქალი ხარ, რა მოხდა?

-რა მოხდა და პოსტმოდერნში ვართ.

- პოსტმოდერნში?

-მაგიურში, ჩემო ალეკო, მაგიურში!

ქპრიპი

ასაკში შესულ ცოლ-ქმარს ერთურთის მიმართ ვნებები დაუცხრათ, მაგრამ ერთ სულ და ხორც იქცნენ. ბედნიერების ზენიტს მიაღწიეს, მაგრამ ერთ დილას ქალმა ველარ გაიღვიძა.

ემიგრანტი ვაჟი უცხო ქვეყნიდან ჩამოვიდა. ორმოცის აღნიშვნამდე დედის საფლავი ხელოსნებს თეთრი მარმარილოს ფირფიტებით მოაპირკეთებინა. წასვლის წინ დაქვრივებული მამა გაამხნევა: - მივდივარ, არ მოიწყინო, მხნედ დამხვდი, იჩუჩუნე, გაერთე, ისეირნე, საქმე გამონახე მამი!

გაითვალისწინა დარიგება, მაგრამ ცოლის გარეშე ცხოვრება გაუჭირდა. ქალიშვილების ოჯახებში დრო გაყავდა, შვილიშვილებთან ერთობოდა, სხვადასხვა თემებზე კი უფროსს, თავის სეხნიას, თორმეტი წლის ბიჭს ესაუბრებოდა, რომელიც პაპას დიდი კაცივით უსმენდა, იმიტომ, რომ დედის მამა, როგორც მოზრდილ ადამიანს ისე ექცეოდა და რჩევასაც ეკითხებოდა, რაც მოზარდს ძალზედ ახარებდა, მაგრამ პაპა მის თვალში მხნედ აღარ გამოიყურებოდა.

შინ დაბრუნებულ ქვრივს კარს აღარავინ უღებდა, ძველებური ხის საათის წიკნიკის ხმა ისმოდა და კაცს აშინებდა ცარიელი სახლი. ბზობამ, აღდგომამ უღიმღამოდ ჩაიარა, ვნების კვირა დადგა. მარტოობის ხუთი თვე დროში გაიწელა. მეუღლე ძლიერ ენატრებოდა, მაგრამ შვილიშვილების მოფერება დროებით ავიწყებდა წყეულ მარტოობას.

კაცს ურწმუნო თომას სახელი ერქვა, და თომას სახელის ხსენების დღეც გაუთენდა. სანოლში დილით იმ მხარეს გადმოზრუნდა, სადაც ცოლს თავი ედო, დაავიწყდა მარტოს რომ ეძინა და ხელები გაიწვდინა, მას რომ მოჰხვეოდა, მაგრამ გრილ ბალიშს ჩაეხუტა და გული შეეკუმშა, ატირდა დედაკაცურად. გული მოიოხა და დღე დაგეგმა. წამოდგა, თავი მოიწესრიგა. შუათანა ქალიშვილის ქმარმაც დარეკა, გამოგივლით და გავიდეთ სასაფლაოზეო.

თომამ ნოუთბუქი გახსნა. უფროს შვილიშვილს მესენჯერში გულები გამოეგზავნა. პაპას გაელიმა და ბავშვს მიწერა: - შემოგველოს პაპა, ჩემო ოქრო ბიჭო!

დაუყოვნებლივ მოვიდა პასუხი: - მიყვარხარ პაპი!

-ძვირფასო ბიჭო, მოდიხარ ბებოს საფლავთან?

-კი პაპი, აბა რა! დეიდაც მოვა. ღვინოც მოაქვს მამაჩემს.

ესე იგი სიძეები საფლავთან სუფრის გაშლას აპირებდნენ, არ მოეწონა. არაუშავსო გაიფიქრა და ფეისბუქში შეიჭყიტა, გავიგო რა ხდება ქვეყანაზე და იქნებ უკრაინაშიც დასრულდა ეს ოხერი ომიო და საინტერესო ვიდეოს წააწყდა. ვილაცას გადაეღო ყელზე საბელიანი, ზრდასრული, მოვლილი გერმანული ნაგაზი, რომელიც შემკრთალი დაძრწოდა ქუჩაში, ხან ერთი მალაზიის კართან ჯდებოდა, ხან მეორისა... გადამღები ახმოვანებდა, რომ საბჭოს მოედნის მიდამოებში დაიარება, ვილაცას ეძებს, დაკარგულია. დროებით შევიფარებ, მაგრამ პატარა ბინაში ვერ ვაცხოვრებო. თომას შეეცოდა ცხოველი, კომენტარებს გადახედა, ვილაცა წერდა, „აუ, ნახე, როგორი შეტყუებული ლამაზი ყურები აქვს, ბენვიც გრძელი, იშვიათია ასეთი დახვეწილი გერმანული ნაგაზი!“ თომამ, როგორც გულმა უკარნახა, დაწერა: - საბჭოს მოედნიდან ძალზედ შორს ვარ, მაგრამ ძალღს თუ პატრონი არ გამოუჩნდა მე ავიყვან, მაგრამ მიმიღებს?-თავისი მობილური ტელეფონის ნომერიც დაწერა და გააგრძელა, მერწმუნეთ, კარგად მოვუვლი და წინადადების ბოლოს სამი ძახილის ნიშანი დასვა.

ცოლის საფლავთან მდგომმა გაიფიქრა, არც ისე მარტო ვყოფილვარო. მეც დამიტყუებენ ჩემი ლამაზები, სიძეები, როგორც ახლა, თავდახრილნი ჭიქა ღვინით ხელში მონიწებით დადგებიან ჩვენს საფლავთან. რა ყოფილა ეს ნუთისოფელი, ერთმანეთის გაცილება მოუსაველეთში.

პაპას ოქრომ განაცხადა, ღამით დიდ თომასთან დავრჩებიო!

დიდი და პატარა თომა სასაფლაოს ვიწრო, მიკლაცნილ-მოკლაცნილ გზას გაუყვნენ. ტელეფონმა დარეკა, უცხო ნომერი იყო: - გისმენთ, ბატონო!

ახალგაზრდა კაცმა მიმართა: - თქვენ გინდოდათ ხომ გერმანული ნაგაზი!

-ის ვიდუო თქვენ გადაიღეთ?

-დიახ, არ გამოჩნდა ნამდვილი პატრონი, დავიტოვებდი, მაგრამ სახლში ალერგიული ფეხმძიმე მეუღლე მყავს, თუ მართლა იჩუქებთ, გამეხარდება, ძალიან კარგი გოგოა ეს!

-მდებრია?- გაუხარდა თომას.

-დიახ, თავიდან გაუჭირდა, მაგრამ მაღლიერია, რომ შევიფარე, ისე ძლიერ აღარ დარდობს პატრონთან განშორებას, შეგუებულია ბედს. თანაც ეტყობა, რომ ახალგაზრდაა და როდის და სად მოგიყვანოთ?

-ახლავე, სად მოვიდე?

-მარჯანიშვილის მეტროსთან!

- ბაგებში ვარ, ტაქსით წამოვალ!

-მეტროს შესასვლელთან დაგელოდებით.

-ტაქსი, დავიჭიროთ ტაქსი!

-რა ხდება პაპი?!

-ძალლი გვეყოლება!

-აუ, რა მაგარია! - მუშტები შეკრა ოქრო ბიჭმა.

ძალლს შემფარებელთან განშორება გაუჭირდა. პაპას ოქრო ყელზე მოეხვია გაჭირვებულ ძალლს და ყურებს შუა აკოცა. ძალლი წამიერად დაიბნა, მაგრამ ბიჭს ცხვირი აულოკა. თომამაც ჩაიმუხლა და ჰკითხა: - რა გქვია გოგო შენა, რაო?

შემფარებელმა მხრები აიჩეჩა: - წარმოდგენა არ მაქვს, მე და ჩემი ცოლი სიყვარულს ვეძახით.

-გასაგებია. სიყვარულო, დღეიდან კირა გერქმევა, დაიმახსოვრე, კი-რა!

ოქრო ბიჭმა გაოცებით ახედა უფროს თომას, ბებოს სახელი რატომ დაანათლაო?!...

კირამ ბინაში მარჯვენა თათი შედგა. თომამ სასტუმრო ოთახში შეიყვანა და უთხრა: - ქალბატონო, ეს იყოს შენი ოთახი, აქ მოისვენე სავარძელზე, აივანიც გვაქვს!

ძალლი არ განძრეულა. ბიჭმა ჯამით ნყალი დაუდგა. პაპა და შვილიშვილი სახლიდან გავიდნენ, რომ კირასთვის საჭმელი ეყიდათ. დაბრუნდნენ, ძალლი სადაც დატოვეს იქვე დახვდათ, ზედმეტი ნაბიჯი არ გადაუდგამს. საკვები მიაღწევს, ცოტა შეჭამა. პაპა და შვილიშვილი მოეფერნენ, სახელს კირას ხშირად წარმოთქვამდნენ. ყურებ-დაცქვეტილი დაჟინებით შესცქეროდა ახალი პატრონების ტუჩების მოძრაობას. ძილის დრომაც მოატანა. თომამ ოქრო ბიჭი გვერდით დაიწვინა და შვილიშვილმა ჰკითხა პაპას: - ბებოს სახელი რატომ დაარქვი ძალლს?

-ეჰ, პაპი, რომც გითხრა, გაიგებ რო?!

-რატომ ვერ გავიგებ, ბავშვი ხომ არ ვარ!

თომას გულიანად გაეცინა: - ბავშვი ხარ ჯერ, აბა, რა ხარ, მაგრამ გეტყვი, იმიტომ დავარქვი, რომ ბებიაშენის სახელი ხშირად წარმოვთქვა.

-გასაგებია, ბებოს სახელს ხშირად რომ გაიმეორებ, თავს მოიტყუებ, ვითომც ცოცხალია?

თომამ თავი დაუქნია: - დაახლოებით...

-ანუ, ვერ გავიგე?!

-შენ საოცრად გამგებიათ ხარ ოქროვ! ბებიაშენი უზომოდ მიყვარს.

-გარდაცვლილიც ?!

-გაცილებით მეტად.

-რა აზრი აქვს, აღარაა ადამიანი!

-იცი როგორაა, ქალი რომ გიყვარს? ზეცის სილამაზე სპეციალურად შენთან ჩამოდის, მაგრამ, როცა საყვარელი ქალი სიკვდილს მიყავს, შენთან მხოლოდ მინიერი მოგონებებიღა რჩება, რაც მწარეცაა და ტბილიც, და გენანება, რომ აღარაა.

ბავშვი ჩაფიქრდა და თქვა: - არა, არ მინდა ვინმეს ისე ვუყვარდე, როგორც შენ ბებო გიყვარს. ცოლი ზომიერად უნდა მიყვარდეს.

-რათა, პაპი!

-ძალიან, ძალიან არც იმას უნდა ვუყვარდე! თუ პირველი მოკვდები, შესაძლოა ჩემი ცოლიც ჩემს გამო მალევე გარდაიც-

ვალოს! და ის რომ მოკვდეს პირველი, არ მსურს შენსავით მტკიოდეს უმისობა!

თომა გააოცა შვილიშვილის ნათქვამმა: - დამეტყო უმისობა?! - იკითხა პაპამ, მაგრამ შვილიშვილმა პასუხის გაცემა ვერ მოახერხა, ორივე კარს მიაჩერდა, რომლის იქითაც ძალღი ანკმუტუნდა. დიდი თომა დაფეთდა.

-რაო, კირავ, მოინწყინე?-გასძახა ბიჭმა.

ძალღმა ორჯერ დაიყეფა, თათები აატყაპუნა, კართან მივიდა და მგონი ზედაც აეკრა.

-პაპი, მოდი დავუძახოთ, საინტერესოა, თავისით შემოსვლას თუ მოახერხებს.

თომამ ძალღს გასძახა: - კირა, შემოდი!

ორ ფეხზე დამდგარმა კირამ კარის სახელური თათით ჩამონია და ოთახში თავი ადამიანივით შემოჰყო, მაშინვე ოთხზე დადგა, ინტერესით შესცქეროდა უზარმაზარ სანოლს, თავი გვერდზეც კი გადაწია, კუდი ააქიცინა. პაპამ და შვილიშვილმა აღიარეს, რომ კირა ძალზე ჭკვიანია.

-ამოხტი ფეხებთან! - უბრძანა ბიჭმა და კირაც მაშინვე სანოლისკენ გამოქანდა და როგორც უბრძანეს, მათ ფეხებთან განზე განვა. ქასქასებდა, პირდაღებულს გადმოგდებული ვარდისფერი გრძელი ენა უკანკალებდა, თითქოს იცინისო. იცელებს, დაილაღნენ და სამთავეს ტკბილად ჩაეძინა.

თომას ღამით გაეღვიძა. კირა ზემოთ ამოცოცებულიყო და მათ შუა მოქცეული მძინარე ბიჭს დასცქეროდა. ნაზად ცხვირი აულოკა, ბიჭს არაფერი უგრძნია. თომა ძალღს ზურგს შეეხო, ის შემობრუნდა და თომას ყელსა და კისერს შუა დრუნჩი შეუყო, ღაბაბი დაადო ლავინის ძვალზე და დარდიანად ამოიხვნეშა, თითქოს მსოფლიოს სევდა ამოაფრქვიაო. გულაჩუყებულმა თომამ ძალღი ჩაიხუტა, უკვე უყვარდა ეს არსება და გრძნობდა, რომ ისიც მთელი სხეულით, მინდობილად ეკვროდა. ბოლო მოელო თომას დარდებს, დღეიდან მოსაწყენად ველარ მოიცლიდა.

იმან...

წნევის დამარეგულირებელი აბები გამოელია, ფასდაკლების დღეს დაელოდა და სწორედ მაშინ მივიდა აფთიაქში. დილით იქ ფარმაცევტების გარდა არვინ იყო და ერთ-ერთს წამალი მოსთხოვა.

-დოზა მიკარნახეთ!

-პატარა! - უპასუხა წამლის გამცემს.

-ანუ ხუთ მილიგრამიანი და რამდენი ცალი მოგართვათ?

-მთლიანად მინდა.

აფთიაქის მწვანე ბარათს ახალი ქულა შეემატა. ფარმაცევტი გოგონა ყურადღებიანი აღმოჩნდა და მომხმარებელს ჰკითხა, კიდევ რამეს ხომ არ ინებებთო? მერე თავი აიღო, კლიენტს შეხედა: - სახე წამოგინთლდათ, გნებავთ აქვე მიიღოთ?

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია: - არა, შინ გადავყლაპავ. შესაძლოა მქონდეს კიდევ მაღალი წნევა. სამი დღეა წამალი არ მიმიღია, ფასდაკლების დღეს ველოდი, გაძვირებულია წამლები და...

-ქალბატონო, მაგ დღეებს არ დაელოდოთ, დამარეგულირებელს ნებისმიერ დროს ისედაც შელავათიან ფასში იძენთ ანუ იგივე გიჯდებათ.

-ეს, როგორ?! - გაუკვირდა ქალს.

-საპენსიომ დაგაკლოთ.

-საპენსიომ?! არ ვარ პენსიონერი!

-პენსიონერობამდე მიახლოებული ასაკი გექნებათ!

მყიდველმა საფულეში ჩადო ბარათები და გულმოკლული გასასვლელისკენ გაემართა. ვაიმე, ვაიმე, დავბერებულვარო, ფიქრობდა. შინისკენ მოისწრაფოდა. ხელები აუკანკალდა, გასაღები კარის ხვრელს ვერ მოარგო, დააბრახუნა. ქალიშვილმა გაუღო. ქურთუკი და ჩანთა დივანზე მოისროლა, სავარძელში ჩაეშვა და აზლუქუნდა.

-რა გატირებს?

-ამ ნუთს გავიგე, რომ მოვხუცებულვარ!
-კაი რა!
-პენსიონერი ვეგონე!
-ვის!
-იმას, აფთიაქარს. ვუთხარი პენსიონერი რომ არ ვარ, მერე
რა, მალე გახდებო, რა!!!
-ჰმ! - ჩაელიმა ქალიშვილს.
-რა გაცინებს, ჯერ კიდევ გუშინ, გოგო ვიყავი და ახლა აღარ
ვარ ქალი, გავთავდი!...
-უიმე დედა, ქალი როგორ არ ხარ!
-მოხუცი ქალი ვარ მე!
-მოხუცი ნამდვილად არ ხარ, შენც ხომ იცი- არა?!
-იმან, სხვისმა შვილმა გოგომ მითხრა ხარო და!..
-იმან?! რა იცის იმან, გგონია კარგად შემოგხედა? აფთია-
ქარი მონიტორს უყურებს, შენ კი არა. მოგანოდა ინფორმაცია,
რომელიც შესაძლოა არ გცოდნოდა, ეგაა და ეგ!
- ულამაზესი თვალებით შემომხედა!
ქალიშვილი დედას მიუჯდა და ჩაეხუტა. ქალმა ამოიხვნეშა
და დანანებით წარმოთქვა: - ეჰ, რა გოგო ვიყავ!
ქალიშვილს ჩაელიმა: - ახლაც კაი გოგო ხარ!
-იმან რა იცის არა?
-ჰო, იმან რა იცის!
-ჰი, ჰიი, აბა რა, ღმერთმა დამაბეროს!

მადლი

პანდემიის დასრულებისთანავე ონლაინ მუშაობას წერტილი დაესვა. ნინი სამსახურში გავიდა და კარგა გვარიანადაც დაილა. დაბრუნებისას დედის თხოვნა უნდა შეესრულებინა და შინ საქონლის ხორცის ფარში მიეტანა. ყასაბს ფარში აანონინა, რომელმაც პროდუქტი ერთჯერად თეფშზე კი არა, ვარდისფერ ცელოფნის პარკში ჩაუდო. ნინის გული მოუვიდა, თუმც არაფერი თქვა. პარკი სახელებით მაჯაზე ჩამოიკიდა და სივრცეს თვალი მოავლო. დაფასოებული ფინიკები დაინახა, მოცხარის არომატიანი თხევადი საპნითაც დაინტერესდა, ხელი დასტაცა და ფინიკთან ერთად ილიის ქვეშ ამოიღო. თვალსაჩინო ადგილას გორგოლაჭებიანი პროდუქტებით სავსე რეკინის ურიკა იდგა წარწერით, „უკრაინელი ხალხისთვის“. ჰერკულესის ფანტელები, სხვადასხვა სახის დაფასოებული მაკარონი, წინიბურა მოხვეტა და მკერდზე პროდუქტებაკრობილი სალაროსთან მივიდა, რიგში ჩადგა. პროდუქტები მოლარეს წინ დაულაგა. ნაღდი ფული ხელთ არ ქონდა, მაგრამ საკრედიტო ბარათმა თავისი ძალა აჩვენა. გეზი გორგოლაჭებიანი კალათისკენ აიღო, მაგრამ მოლარემ შეაჩერა: - ეი, გოგონავ, ჩეკი აიღეთ, გასვლისას დაგჭირდებათ!

წინიბურა, შვრიის ფანტელები და მაკარონები უკრაინელთათვის განკუთვნილ კალათში ჩაალაგა და გასასვლელისკენ გაეშურა. მარკეტის ფორმიანი თანამშრომელი კაცი გადაეღობა და ფურცელი მოსთხოვა, დახედა და ნინის გამომცდელად შეხედა: - თქვენ რალაც ზედმეტი გაგაქვთ აქედან!

-რაა?! - გაუკვირდა ნინის და მარცხენა ხელზე დაიხედა, შეცბა, თითქმის ყველა პროდუქტის საფასური გადაეხადა უკრაინელი ხალხისთვის განკუთვნილი პროდუქტების საფასური გადაუხდია, მაგრამ მაჯაზე ჩამოკონწიალებული პარკისა არა, „რა გამოდის, ხორცის ფული არ გადამიხდია“?! გაიფიქრა წინი. სალაროსკენ შეტრიალდა: - ამის გადახდა დამევინებია! - წამოიძახა სახეშენითლებულმა, მაგრამ დაცვის თანამშრომელმა უთხრა: - ჯერ უფროსთან უნდა მიგიყვანოთ!

-თქვენ რა, მიჭერთ?!

- ახსნა-განმარტებას დანერო!

-ააა, ესე იგი ქურდობა მბრალდება და მარცხვენო?!

კაცმა პასუხი არ გასცა, გოგონა წინ წარიმძღვარა და წარამარა უმეორებდა, წინ, პირდაპირ იარეო. სირცხვილისგან იწვოდა წინი, ცრემლები ახრჩობდა, მაგრამ კურცხალიც არ გადმოვარდნია, დაჯდა და გულმოსულმა თქვა: - ქურდი არ ვარ, დამავინყდა „ჯანდაბა“ ფარში!..

ორ უზარმაზარ მონიტორთან ასევე ახალგაზრდა კაცი იჯდა, სავარაუდოდ უფროსი, რომელსაც თავს ახალგაზრდა ქალი ადგა: - დანერეთ, როგორც იყო.

-დამავინყდა, ვერ ვგრძნობდი პარკს მაჯაზე, თქვენ რა, ჩემი არ გჯერათ?!

პოლიციის ფორმის მსგავს სამოსში გამოწყობილმა ქალმა კალამი და ფურცელი დაუდო: - ჩვენი მარკეტის ხშირი მომხმარებელი ბრძანდებით?

-არც ისე.

პირადობა მომეცით! - უთხრა მონიტორების მოთვალთვალემ. აღელვებულმა წინიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მაგრამ პირადობის მოწმობა ორივე ხელით მიაწოდა.

სანამ წერას დაიწყებდა იკითხა: - ახლა რა მოხდება, დამაჯარიმებთ?

ქალმა თავი გააქნია: - ამჯერად არა, გაფრთხილებას მოგცემთ, მაგრამ თუ ისევ გამეორდება ასეთი რამ, ოოო! -და წინის ჩეკს დახედა: - დანარჩენი პროდუქტები სადაა?!

წინიმ არ უპასუხა, კალამი აიღო და დასაწერად მოემზადა, მაგრამ მონიტორების მოთვალთვალემ თქვა: - ზოგი რამ უკრანელების კალათში ჩაალაგა!

-ეგ კარგი საქციელია, ყოჩაღ! - შეაქო ფორმიანმა ქალმა და წინის მხარზე ხელი მოუთათუნა.

ახსნა-განმარტება დანერა და საკუთარ თავზე გაბრაზებულს, შერცხვენილს და გაოგნებულს ხელჩანთა მაგიდაზე და-

დებული დარჩა, ფორმიანმა ქალმა აიღო, მიაწოდა და უთხრა გაგაცილებო. სალაროსთან მიიყვანა, რიგის გარეშე მიიღეს, საკრედიტო ბარათით გადაიხადა ფარშის საფასური, მაღაზიიდან თავჩაქინდრული გავიდა და დაიქაღნა, ამიერიდან ამ მარკეტში ფეხს აღარ შემოვდგამო.

პროდუქტებით სავსე პარკი მძიმე არ იყო, გადანყვიტა ეკლესიაში შესულიყო. ამასობაში მღელვარებაც გადაუვლიდა.

გამოჩნდა ქაშუეთის ტაძარი თავისი დიდებულებით. შეჩერდა, თავი დახარა, პირფვარი არ გადაიწერა, გულ-მკერდის არეში წამიერად ტკივილი იგრძნო და თავი ასწია თუ არა, ვილაც მხარზე შეეხო. ტაძარს ზურგი შეაქცია. სლავური გარეგნობის შუა ხნის კაცის წინაშე აღმოჩნდა, ნინის ყურადღება მისმა ტოლმკლავება ბზის ხისგან დამზადებულმა უბრალო შავი ფერის ძაფზე ჩამოცმულმა ჯვარმა მიიქცია, რომელიც უთუოდ თბილისში ექნებოდა შეძენილი. კაცმა რუსულად მიუგო: - უკრაინელი ვარ! ქართველი ხალხის მიმართ მადლიერების გამოსახატავად გთხოვთ, მიიღოთ მცირედი! - გაუმჭირვალე უზარმაზარი გაბერილი ჩანთიდან შეფუთული და წითელი ბაფთით დამშვენებული პასკა ამოიღო და ნინის გაუწოდა. ნინის გაელიმა, კარგ გუნებაზე დადგა და დაბნეულობამაც გადაუარა, მადლობის თქმა დააპირა, მაგრამ კაცი მის წინ აღარ იდგა. ოქროსფერთმიან გოგონასთან მისულიყო, რომელიც იგივეს აკეთებდა, უკრაინელ კაცს პირ-სახით ჰგავდა. მამამ ქალიშვილს მხარზე ხელი გადახვია. ნინის შეხედეს და პირადად მას გაუღიმეს. გოგონა ამოძრავდა, საჩუქარი მაღლა ასწია და მამა-შვილს მადლობა შორიახლოდან გამოფრენილი კოცნით გადაუხადა.

ბზის ქურდი

დღეს, ბზობას, თამარი ვაჟიშვილთან ერთად სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიას“ სააქტო დარბაზში მიიწვიეს, როგორც ნიგნის რედაქტორი. ნიგნის ავტორი ბიოლოგი იყო.

შვილს ორმაგად უხაროდა დედასთან ერთად ღონისძიებაზე წასვლა, პანდემიის გამო დიდი ხანია ერთად არსად ყოფილან. საამაყო ექიმ ნათლიებსაც შეხვდებოდა, რომლებიც იმ მეცნიერი ბიოლოგის ნაშრომის რეცენზენტები იყვნენ. უყვარდა ბიჭს ნათლიები. იყო დრო, ყურადღებას და სიტბოს არ აკლებდნენ ნათლულს, ბოლო დროს მხოლოდ მობილური ელსმენით თუ მოიკითხავდნენ.

სკოლა ორი წლის წინ დაამთავრა, ქვეყნის უპირველეს უნივერსიტეტშიც ჩააბარა, მაგრამ რა, კოვიდ-პანდემიის გამო მერხიდან აუდიტორიაში გადანაცვლება ვერ მოახერხა. ახალგაზრდას არ განუცდია ბოლო ზარის სიხარული, არც ბანკეტი ჰქონია. ახლა ონლაინ-ლექციებს, სემინარებს ესწრებოდა და ონლაინ-გამოცდებს აბარებდა. მეორე კურსს ასრულებდა და სტუდენტობას ვერ გრძნობდა. 2022 წლის ორი მაისიდან ეშველებოდა, ნამდვილ ლექციებზე მოუწევდა დასწრება. ამ ეტაპზე კი დედა-შვილს შინ ქონდათ სასწავლებელიცა და სამსახურიც. სპორტულ სამოსში გახვეულები გადათეთრ-გადაფითრდნენ, მზე მოაკლდათ მზიანი საქართველოს მზით გამთბარ დედაქალაქში.

კოვიდ-ინფექციას გადაურჩნენ, ორი და მეტი წლის განმავლობაში სურდოც არ შეყრიათ, ან რა გააციებდათ შინ შეყუჟულებს?!

გზად საცობებს გადაეყარნენ. მიაღწიეს სასტუმროს სააქტო დარბაზამდეც. ღონისძიების დაწყებამდე მონაწილენი ფურშეტზე მიიპატიჟეს, მინებიან ნაცრისფერ ფოიეში ვილაცები კანტიკუნტად პატარ-პატარა, ნაირ-ნაირი ნამცხვრების პანია ნაჭრებთან ერთად ქართულ ჩაის, ყავას, ფორთოხლის წვენს, ზოგიც იოგურტს მინის ბოკლებით მიირთმევდა.

დარეგისტრირდნენ და დარბაზის ბოლო რიგში დასხდნენ. ბიჭის ნათლია რომანოზი გამოდიოდა მოხსენებით, ღონისძიების სლოგანი იყო, "ცხოვრება სისხლდენის გარეშე". მერე, მეორე ნათლია მარინამ დაიკავა ტრიბუნა. ყველა გამომსვლელს ყურადღებით უსმენდა ვაჟი, მაგრამ თითქმის ვერაფერს იგებდა, მედიცინის საკითხებში ვერ ერკვეოდა, მეტიც, ეშინოდა ექიმების, მაგრამ ყურს კი მოხვდა ცალკეული სიტყვები. ვაჟი პოლიტოლოგი უნდა გამხდარიყო და შემფოთდა, როგორი მოსასმენია, როცა ადამიანის სისხლში წარმოქმნილ მრავალ უბედურებაზე ლაპარაკობენო.

რომანოზი სცენაზე სავარძელში იჯდა და დარბაზს ათვალიერებდა, დედა-შვილს თვალი მოკრა და ნათლულს თბილად გაუღიმა. წამოდგა, ფრთხილი ნაბიჯებით ჩამოვიდა სცენიდან, მათკენ გამოეშურა.

ნათლიამ ნათლულს მკლავზე ხელი წაავლო, წამოაყენა და დარბაზიდან გაიყვანა. რამდენიმე წამში შემოაღო რომანმა მძიმე კარი და სცენაზე დაბრუნდა. ხუთ წუთშიც დასრულდა ღონისძიების პირველი ნაწილი. თამარს ნაცნობები შემოეხვივნენ, მარინამ იკითხა, სადაა ჩემი ნათლულიო, დაინახა, გადაკოცნა, ხელკავი გაუკეთა, რომანს დაუძახა და ერთად ფოტოები გადაიღეს. მარინამ ბიჭს ფული აჩუქა. ნათლულმა დაიმორცხვა, მერე დედას მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა: - რომანოზმაც ფული მაჩუქა, არ მინდოდა, მეძალავა! - და დედას თანხა კაბის ჯიბეში ჩაუდო. სამასი ლარი იყო. თამარი რომანოზს მიუახლოვდა: - რომანოზ!..

რომანოზმა სათვალე გაისწორა: - არაფერი მითხრა, თავი დამანებე! - და გაიქცა. თამარმა თავი გააქნია: - ე, ბიჭო, მაღლობის თქმა მინდოდა!

კონფერენციის მეორე ნაწილი ყმანვილისთვის საინტერესო აღმოჩნდა. გამომსვლელები ცდილობდნენ მოეძებნათ გამოსავალი, სტაციონარული მკურნალობა და ძვირად ღირებული სისხლმდენი დაავადებების გამკურნავი ან შემაჩერებელი პრე-

პარატები პაციენტებისთვის გაცილებით ხელმისაწვდომი გამხდარიყო და ჯანდაცვის ნოვატორული სახელმწიფო პროგრამის შექმნისთვის მზად ყოფნა გამოაცხადეს. ბიჭმა საკითხს ალლო აულო, იდეები მის თავშიც გაჩნდნენ, მაგრამ არაფერი თქვა, მიიჩნდა, რომ ამის უფლება არ ქონდა.

მეორე განყოფილების დასასრულს რომანოზმა განაცხადა, სადილი გელოდებათ მეორე სართულზე და ორ საათზე ყველანი აქ დამხვდითო.

დედა-შვილი ხალხის ნაკადს გაჰყვა. სასადილოში კი არა, რესტორნის დახვეწილ ინტერიერში აღმოჩნდნენ. რიგად ჩამწკრივებულ მაგიდეებზე, რომლებიც „შვედურს“ ჰგავდა, მაგრამ გაცილებით მდიდრული იყო, ევროპულთან ერთად ქართული ცხელი და ცივი კერძები, სალათები და დესერტები ელაგა.

შვილი დედას მიაჩერდა, ვინაიდან ყველა თვითმომსახურებით დაკავდა, ამგვარ ვითარებას არასდროს შესწრებია, დაიბნა ისედაც მორცხვი და მოუქნელი. თამარმა იყოჩაღა. აილო დიდი თეფში და ზედ თითო კოვზი სხვადასხვა კერძი ბიჭს პორციებად დაულაგა, თავად მცირედი ტკბილეულითა და ფინჯანი ყავით დაკმაყოფილდა.

ლონისძიების მესამე და ბოლო ნაწილი წიგნის პრეზენტაციას დაეთმო. თავდაპირველად ავტორმა ისაუბრა, შემდგომ სხვებმა, წიგნის რედაქტორსაც მოუწია ტრიბუნასთან დადგომა. მან აღნიშნა, რომ ამ ნაშრომზე მუშაობა იყო ძალზედ საინტერესო თუმცა ექიმთა და სტუდენტთა სახელმძღვანელოა, სპეციფიურია, მაინც გასაგებია მედიცინით და კერძოდ ჰემატოლოგიით დაინტერესებული ადამიანებისთვის. სიტყვა დაასრულა და შვილს გვერდით მიუჯდა, აფორიაქდა, იმ წამსვე მოითხოვა წავიდეთო. გაკვირვებულმა ბიჭმა გადაუჩურჩულა: - გაპარვა ხომ უზრდელობაა?!

-ოთხი საათი ხდება, ძველ ქალაქში გასეირნება გვინდა, ბზაც ხომ შესაძენი გვაქვს, ბზა!

შვილი წამოდგა, გამოიპარნენ.

გაზაფხული ძალას იკრებდა და თბილისს ხომ განსაკუთრებულად შვენის წელიწადის ეს დრო, ქალაქში სეირნობაც სასიამო

მოვნო განცდებს ინვევს. ქაშუეთის ტაძართან შეყოვნდნენ, მაგრამ იქ ბზა გათავებულიყო. იარეს და სიონის ეზოში შევიდნენ, ბზის ტოტები იქაც გამოლეოდათ, მაგრამ ფესვებიანი ბზები ჰქონდათ მოვაჭრეებს. ვაჟი ტაძარში შევიდა, გამოსვლა ეძნელებოდა. ქალი უკანა ეზოდან მტკვრის სანაპირო მხარეს გავიდა. ვერც იქ ნაანყდა უფესვო ბზას. ერთმა კაცმა უთხრა, გაჩუქებთო, მაგრამ თამარს არ უნდოდა ფესვიანი ბზა, რომ ვერ გაეხარა გული ეტკინებოდა, როგორც ადრე. სამების ტაძრის ეზოში შეიძინა პანია ქოთანში ჩარგული ღვთიური მცენარე. რუდუნებით მიიტანა შინ, ელოლიავა, ეფერა. ბზა ოდნავ გაიზარდა, მაგრამ ჩვილი ფოთლები გაუყვითლდა. მცენარეს ეხვეწებოდა, არ მომიკვდეო, მაგრამ ის მაინც მინი-ცოცხს დაემსგავსა. გაიფიქრა, ახლაც რომ იგივე მოხდეს, გულიც გამისკდებაო.

ავტობუსში ჩასხდნენ. ბიჭი აკვირდებოდა ქალაქის ქუჩებს, თითქოს ეუცხოვებო. პირველად მიაქცია ყურადღება ჭადრების სიმრავლეს, უიარაღო, კეთილი მცველი ჯარისკაცებივით ჩანიკნიკებულიყვნენ ქალაქის ქუჩებში. დედას გადაულაპარაკა: - ჭადრების ქალაქია თბილისი!

-აქამდე არ იცოდი შვილო?!

ბიჭმა თავი გააქნია: - ყურადღებას არ ვაქცევდი, ახლა შევამჩნიე, მშვენიერები არიან!

თამარმა ძველი ბზა ლარნაკიდან ამოიღო და სახლთან ახლოს მდებარე ეკლესიისკენ გაეშურა. პატარა ტაძრის ეზოში, ხის ძირას დადო გამხმარი ბზა და ახლის შესაძენად სანთლების გამყიდველთან მივიდა, რომელმაც უთხრა, აღარაა ბზის ტოტები, გათავდაო. ყურში ცუდად მოხვდა ეს გათავდა, დაღონებული გამობრუნდა და დაინახა ბზის ოვალურ-ფორმიანი მოზრდილი ბუჩქი, თვალები გაუფართოვდა, საღამო ხანს ეზოში ადამიანის ჭაჭანება აღარ იყო. ბზას ტოტი მოატეხა. პირველად იქურდა, მაგრამ სინდისი არ ქენჯნიდა, უხაროდა. ტაძრის ეზოში მცხოვრები, მრავალგზის ლოცვებს და გალობებს მონასმენი მაღლიანი მცენარის ტოტი ლარნაკში ჩასადებად მიჰქონდა.

მოლაპარაკეები

მინდია ვორონცოვის ხიდს მიუყვებოდა და ქალაქში მომრავლებულ საკუთარ თავთან ხმამაღლა მოლაპარაკე ადამიანებზე ფიქრობდა, კითხვა გაუჩნდა, ნეტავ რა ჰქვია მოლაპარაკეთა დაავადებასო? რამდენიმე წუთის წინ ჩაუარა მოყვითალო სახლს და იმ აივნს ახედა, რომელზეც ყოველ დღე და არც ეს დღილა აღმოჩნდა გამონაკლისი, მოხუცი ქალი გადმოდგებოდა ხოლმე და ქოთქოთებდა, ახლაც ხელებს დირიჟორივით იქნევდა, გაჰკიოდა თუ როგორ დაიკარგა ბინიდან ნივთები და ძვირფასი ხალიჩები, ქურდი კი მისივე ღვიძლი და ყოფილა. საქმროც მოუტაცია დისთვის და ცხრა მთას იქით გადამალულან.

ავტობუსის გაჩერებას უახლოვდებოდა, ხანდაზმულმა კაცმა ჩაუქროლა, აღელვებული განზე იცქირებოდა და არარსებულ ადამიანს უყურებდა, რომელსაც თავის შეხედულებებს უზიარებდა: - არა, ძმაო, ასე გაგრძელება არ შეიძლება... დაიღუპება ქვეყანა... სირცხვილია, აქამდე მოვედით და ახლა უნდა გადავშენდეთ?! რას ჰგავს ეს ბოროტი ქმედებები! - შედგა, გაჩუმდა, არარსებულ მოსაუბრეს თავდახრილმა მოუსმინა და განაგრძო: - რა ვერ გაიგე, ადამიანო?! არ ვარ მე რასისტი, ჩემი გენის გადაშენების მეშინია და გეუბნები, პირადობაში რომ აღარ გვინერია ეროვნება... საქართველოა, ჰო, სწორედაც, რომ უნდა მენეროს მეც და იმ სხვასაც, რომ ცხოვრობს ის სხვაგვარი გენისა აქ, იმას არ ნიშნავს, რომ უკვე აქაურია, მილიარდი წელი რომ გავიდეს, მაინც! გამრავლებიან და პრეტენზიები გაუჩნდებათ, რახან ქართველებზე მეტნი გავხდით და მიწა, რომელიც ჩვენ გადავფარეთ, აუცილებლად უნდა წაგართვათო და მიაქვთ კიდეც, რა, არ წაიღეს?! რა ხდება, ვერ გავიგე, გვშლიან თუ აქ მაცხოვრებელი სხვა ჯიშის ხალხის გაქართველება უნდათ! არაა საჭირო, ყველამ თავისი იდენტობა უნდა შეინარჩუნოს, და დროა, უცხო ტომელებმა თავისი ადგილი იცოდნენ. ღუპავენ ქვეყანას, მალე უცხოებზე მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებაზეც იზრუნებენ, ასე არ შეიძლება!!!

მინდია გაყვა ხანდზამულს, აზრიან წინადადებებს ისროდა და დაინტერესდა. კვლავ შეჩერდა და განაგრძო: - გეთანხმები, სწორედაც, ახალგაზრდები მეტრადება, არც მეგობრობა იციან, მშობლები ფეხზე კიდიან, არ უყვართ დედამამიშვილები, გარბიან ოჯახებიდან, ბინას ქირაობენ და ფიქრობენ, რომ მარტო ცხოვრებაა თავისუფლება! - აღელვებულმა ხელი გააქნია: - ჰო, კიდეც, სიყვარული და ვნება ერთმანეთისგან ვერ გამოურჩევიან... აი, სწორედაც ეგ ქნა გლობალიზმმა, რა სამშობლო, რის პატრიოტიზმი, კაცო, გავგიჟდები! - მოხუცის საქციელს უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ზოგი „არიო“ პირდაღებული თვალს აყოლებდა. მეტს ველარ მოუსმენდა მოლაპარაკეს, სამსახურში აგვიანდებოდა.

ავტობუსი მოვიდა და ავიდა, ბოლო რიგში ჭაღარა ქალი იჯდა, ხელჩანთის ზედაპირზე თაბახის ფურცელი ედო და რაღაცას გამალებით ინიშნავდა. ჩუმად, თავის თავს ეჩიფჩიფებოდა. მის გვერდით ადგილები ცარიელი იყო, ხალხი კი ფეხზე იდგა, გაუკვირდა მინდიას, რატომ არვინ ჯდებაო და იმ ქალის გვერდით, ერთი სკამის გამოტოვებით დაჯდა. ქალმა უცბად დაკეცა ფურცელი, კალამი ჩანთაში ჩადო, მინდიასკენ მოიხედა, მაგრამ მას კი არ მიმართა, არამედ ვიღაცას, ვინც ელანდებოდა: - კიდეც გიმეორებ, სანდრა მე მივიყვანე სამხედროებთან... კი, კი, მივედი და რას ვხედავ, თითი დარბის, ვკითხე, ეს ხომ შენი თითია? კიო, სანდრამ დამიდასტურა...

გაოცებით გახედა ქალს მინდიამ, ესეც ხმამაღლა მოლაპარაკე აღმოჩნდა. აი, თურმე რატომ არავინ ჯდებაო მის გვერდით, მაგრამ წამოდგომაზე არც უფიქრია. ქალმა წამით შეისვენა და დაიწყო იგივე ტექსტის წარმოთქმა, როგორც ჩანს, დიდი ხანია ერთსა და იმავეს მრავალჯერ იმეორებდა, მინდიას გული გაუნწვრილდა. ჩასვლის დრომ მოატანა, წამოდგა და ის ქალიც ავტობუსიდან გაბადრული სახით ჩამოვიდა, შედგა და მალევე აყვირდა, არარსებულ ადამიანს აუშარდა: - ქალო, შენ გიჟი ხომ არ ხარ, გინდა დანა მუცელში გაგიყარო!

ზოგმა თავი გააქნია, ასეთს გარეთ რატომ უშვებენ, არავინ ჰყავს, საცოდავი, უბედური, ვაი, მაგის პატრონსო...

დანტისტი მინდია ხუთ პაციენტს მოემსახურა და იქაც ერთს შეამჩნია, რომ მოლაპარაკე იყო. მინდიამ მცირე ხნით შეასვენა, პირი დაახურინა, იმან კი ვილაცას მიმართა: - არა კაცო, რა ტკივილი, რის ტკივილი, არ მტკენია და არც ახლა მეტკინება!

შინ რომ ბრუნდებოდა, დროზე ადრე ჩამოვიდა ავტობუსიდან, ბეჭიც ტკიოდა, უბანში რომ აღმოჩნდა, კარგა ხნის გადაკარგული გიჟად შერაცხული დაინახა, რომელიც სამი წელი ვარკეთილიდან ვორონცოვზე ფეხით მოდიოდა, მოკალათდებოდა რომელიმე კაფეს წინ მაგიდასთან და საქმიან გარჩევებს იწყებდა. ერვენებოდა, რომ ბიზნეს -ლანჩზე იმყოფებოდა და სხვა ბიზნესმენთან ხელშეკრულებას დებდა. ახლაც, ამ წუთს იგივეს აკეთებდა და ვილაც ღვთისნიერს ყინულის ბურთულებით სავსე ჭიქა წყალი მიუერთმევია, ნეტარებით სვამდა, ვითომც წვეწს ან ღვინოს აგემოვნებსო. ჩაეცინა მინდიას, თავი დახარა და გზა განაგრძო. იცნობდა ეგრეთ წოდებულ გიჟს, მაგრამ ის ახლა ნაცნობ მინდიას ველარ ხედავდა და მისალმებას აზრი არ ქონდა. მარკეტში შესვლა გადაწყვიტა, სადაც კოხტა, შავ თმიანი, ჭრელთვალა ახალგზარდა ქალი მუშაობდა, უსაუბრიათ კიდეც და გადწყვეტილი ქონდა ჭრელთვალა კარგად გაეცნო. ის ქალი მაღაზიიდან გამოსულიყო, კარებთან ატუზული ხარბად სიგარეტს ეწეოდა, თან ხელების ქნევით დაბეჯითებით მსჯელობდა, ოღონდ რატომ და რისთვის, ეს ვერ გაიგო მინდიამ. თავდაპირველად იფიქრა ყურსასმენი უკეთია და ტელეფონით ვინმეს ელაპარაკებო, მაგრამ შეცდა. ჭრელი თვალებით ვილაცას, არარსებულს მიშტერებოდა. მინდია მიესალმა, მაგრამ იმან ვერ დაინახა, ვერც ხმა გაიგონა. მინდია შეცბა და უმაღ მაღაზიაში შევიდა, პროდუქტები აიღო, რიგშიც სალაროსთან კარგა ხანს იდგა. გამოვიდა და იმ გოგოს კიდეც არ ქონდა ვილაც უხილავთან დავა დასრულებული: - სპეციალურად გააკეთა ეგ მაგან და მაგიტომაც დავშორდი! - თქვა და მინდიასკენ შემოტრიალდა, ლამის შუბლით დაეჯახნენ ერთ-ერთს. ქალის ჭრელმა თვალებმა მინდია მაინც ვერ იცნეს. კარი შეაღო და სამსახურს დაუბრუნდა. თვალებ-ანწყლიანებული კაცი კარგა ხანს ადგილიდან ველარ იძვროდა.

საბოლ

ერთმანეთი რიგში დგომისას, იუსტიციის სახლში გაიცნეს. ორივეს რალაცის გაგება სურდა საკუთარი უძრავი ქონების შესახებ, განცხადებაც დაწერეს, უთხრეს, პასუხები დღესვე, ორ საათში იქნებაო. ქალი შორს ცხოვრობდა და ადგილზე დარჩენა გადანყვითა. კაცისთვის წასვლაც იოლი იყო და დაბრუნებაც, ვინაიდან „ტოიოტა“ ჰქონდა, მაგრამ იმ ქალის გამო დარჩა და იმავე სივრცის კაფეში ფინჯან ყავაზე დაპატიჟა. დასაოჯახებლები იყვნენ და კაცმა გულში მშვენიერ ქალზე გაიფიქრა, ერთურთს თუ შევეწყობით, ცოლად მოვიყვანო.

წარმოსადეგი კაცი იყო, მაგრამ ქალს მისი გვარი არ მოეწონა, უთხრა კიდეც, ულამაზო გვარისა ხარო. კაცმა გაიფიქრა, ამ ქალს იუმორის გრძნობა აქვსო და უფრო მეტად მოეწონა. დრო გავიდა, გამოზაფხულდა კიდეც. ერთმანეთს თითქმის ყოველ დღე ხვდებოდნენ, ერთურთის ამხანაგებიც გაიცნეს და კაცმა ქალს ხელი თხოვა. დავფიქრდებო ჩაიბუტბუტა ქალმა. კაცი დარწმუნებული იყო, მალე გაბედნიერდებოდა. ქალმა ერთი კვირა იფიქრა და დაოჯახებაზე თანხმობა განაცხადა. გადანყვითეს იუსტიციის სახლში დარეგისტრირებულიყვნენ და ხელის მოწერის დღე დაედგინათ. ქალი მარტო მოვიდა, კაცს ორი მეგობარი მოყვა. რეგისტრატორმა დაწყვილების მოსურნეებს პირადობის მონმობები ჩამოართვა, დახედა და განაცხადა: - ესე იგი, მარიამ ჯინჭარაძემ და ნიკიფორე უჯმაჯურიძემ გადანყვითეთ დაოჯახება, გილოცავთ!

ქალს სახე მოექუფრა, ყვრიმალეები წამოუწითლდა და კაცს კითხა: - ნიკიფორე გქვია?

-კი! -ლიმილით უპასუხა კაცმა.

-მეგონა ნიკოლოზი გერქვა, ნიკოდ გამეცანი, მომატყუე?!

-ნუ, ახლა, ნიკო ნიკიფორესთან ახლოს დგას და!...

-არა! - თავი გააქნია ქალმა და რეგისტრატორს თავისი პირადობის მონმობა ხელიდან გამოსტაცა: - აღარ მსურს შენთან

ქორწინება! - შეტრიალდა, ჩქარი ნაბიჯებით გასასვლელისკენ გაემართა, საქმროცა და ის ორი კაციც გაეკიდნენ, წინ დაუდგნენ და სასოწარვეთილმა ნიკიფორემ კითხა: - რატომ აღარ გინდა გათხოვება, რა დაგიშავე?!

- ისიც მეყოფოდა აზნაურიშვილი უჯმაჯურიძეს რომ მოგყვებოდი, ახლა ეს სასაცილო სახელიც...

-რა პრობლემაა, შევიცვლი სახელს!

-არაა საჭირო, გამატარე! - მკაცრად წარმოთქვა მარიამმა და გაიქცა.

-ეს სნობიზმია! - მიაძახა ნიკიფორეს ერთ-ერთმა მეგობარმა. ქალს უკან არ მოუხედავს.

ნიკიფორემ ფერი დაკარგა, ვარდისფერი ტუჩები გაუთეთრდა და და მკერდზე ხელი იტაცა.

-რა გჭირს ბიჭო! - შეჰყვირა ერთ-ერთმა მეგობარმა და ხელი მკლავზე წაავლო. მეორეც შეშინდა: - კაი ახლა, მაგ ქალის გამო სიკვდილს აპირებ?!

-პატარა არ ვარ, ორმოცი წლისა ვხდები! არა, სიკვდილი არ მინდა, რაც არის არის, მაგრამ გულზე ნემსივით რალაც მეჩხვლიტა და...

-უჰ, მეტიჩარა შინაბერას გამო გულმა არ უნდა შეგანუხოს, ბიჭო! - მიუგო მეორემ.

-ადვილია?! როგორ მოკურცხლა! - ნიკიფორეს გაელჰმა: - ეგ ქალი მე მგავს, კიდეც კაი, აქედან გაიქცა, ერთ დროს საკურთხეველის წინაშე მდგარმა საცოლე მეც მივატოვე.

-კაი?! - გაიკვირვეს ამხანაგებმა.

-კარგი გოგო იყო, ბევრად მჯობდა, ძალზედ ახალგაზრდა ვიყავი, საკურთხეველთან მოძღვარმა სანთლები მომაჩენა, ჩავფიქრდი და ოჯახის შექმნისა შემეშინდა!

-მარტოხელობა კარგი არაა! - თქვა ერთმა.

-ე ბიჭო, მოვიფიქრებთ რამეს!

ნიკიფორემ ხელი ჩაიქნია, ახარხარდა და წარმოთქვა: - „კაროჩე,“ამ ცხოვრების დედაც!...

მთავრობა

ორღანი

ამ ბოლო დროს სუნთქვა მიჭირს და უძილობაც დამჩემდა, როგორც თვალს მივლულავ, მაშინვე დაღლილს მეღვიძება, თითქოს ყანაში მემუშავოს. ნუხელისაც გამიჭირდა ჩაძინება, მაგრამ დილით შიშმა წამომახტუნა, გული მკერდის ფიცრის გამომტვრევას ლამობდა, გადავრჩი... დამღალა ერთფეროვან-მა ცხოვრებამ, დრო მაქვს და მაინც ვერაფერს ვასწრებ, ნუთუ ემოციურად გადავინვი. არაფერი მაკვირვებს, არცა რამ მიხარია, მონატრების უნარიც დავკარგე. ვინც გენატრება მაშინვე უნდა ნახო, დაურეკო, დაელაპარაკო ან თავად მონატრებული გენვიოს, თუ მისთვისაც ძვირფასი ხარ. ეჰ, ცოცხლებს გვიჭირს ერთმანეთის გახსენება, ხილვა და მითუმეტეს გარდაცვლილებს ველარასდროს ჩავეხუტები... ოცდამეერთე საუკუნემ ახალი რალაცები შემოგვიგდო, ვგრძნობ ბუნდოვნად, მძაფრად ვერა, ვერც ვხედავ! რომანტიულობა ხელიდან გამოგვეცალა, მოწყენილობა, სიმარტოვე გამეფდა, მეტირება და არ ვტირი. მამა რომ ცოცხალი იყოს, გამიბრაზდებოდა და მეტყოდა, ცრემლი არავის დაანახო სისუსტის ნიშანიაო, მაგრამ დედაჩემი არ დაეთანხმებოდა, ის პირიქით მარიგებდა, როცა გეტირება იტირე, გულის ამოსუფთავების საშუალებააო. გულს ველარ ვიკრიალებ, თავი ქლიავის ჩირი მგონია! იფ, ისე კი, კაი რამეა ჩირი ყველანაირი ხილისა, მეტადრე ზამთარში, მაგრამ პაპანაქებაში პირგამომშრალი დავყიალებ და ჩირებზე ვფიქრობ, რა მენალვლება ჩარეცხილ ყოფილ მეცნიერ-თანამშრომელს, ან უკვე მარტოხელა ინტელიგენტს? ვივლი, დავილლები, გემრიელადაც დავიძინებ იმედია. ეჰ, რაიმე სახელოვნებო ნიჭი მაინც მქონოდა, დავხატავდი ან გამოვაქანდაკებდი, თიხის ჭურჭელს შევქმნიდი. რა კარგი იქნებოდა ნოტები მცოდნოდა და კომპოზიტორობა შემძლებოდა ან მწერლობა... უმუშევარო მათემატიკოსო, ჰოი, საცოდავო, სიბერეს მიახლოებულ მათემატიკის მასწავლებლად ქცეულ ჩემო თავო, პენსიონერი მაინც ვიყო, დამღალა რეპეტიტორობამ!

- თქვა და მხრებში მოიხარა, შემკრთალმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ვინმე ხომ არ მისმენს, ხმამაღლა რომ ვფიქრობო და გააგრძელა მონოლოგი, ოღონდ ჩუმად, ფიქრით: - ვიცი, ჩემო თავო, უმადური ვარ და მაპატიე, რაც ძალმიძს, შენგან მაქვს ბოძებული, შეგნებულად მესმის, გმადლობ! ზაფხულია, აბიტურიენტებს არ ვამეცადინებ, ვერ ვიღლები და იმიტომაც მანუხებს უძილობა. ნებისმიერი სამსახური გამომინახე უფალო, რომ დავიღალო, აბა, დასასვენებლად ვერსად წავალ და... აღარც ვიმოქმედო?! ეერავისთან ვრეკავ, იმიტომ კი არა, რომ აღარავის ვაინტერესებ და ვახსენდები, აღარვის ვუყვარვარ. ეჰ, იმ ქალბატონსაც დავავინწყდი, რომელთანაც სამ წელზე ცოტა მეტი ხანია ვმეგობრობ თუ ვსაყვარლობ, ახალი, ცივი, უცნაური სამყაროდან მომეველინა. კვირაში ორჯერ, ხუთშაბათს და კვირას ერთ და იმივე დროს მოდის და მიდის, არ მელაპარაკება. ბევრ ყავას სვამს და მეც მჭყიპავს, გარინდული ქალია. ორ კვირაზე მეტი იქნება არ გამოჩენილა, ალბათ მოვბეზრდი ან აღარ ვჭირდები ან ისიც ჩემსავითაა, რომც დამირეკოს, რას მეტყვის რო?!.. არც არასდროს დაურეკავს, არც მე მისთვის, დამიშალა. სამი საათი რჩება, მერე მიდის. სამჯერ ვცადე ორლანის ჰანგებით დამეტკბო მისი სმენა, მაგრამ არ მოისურვა, ყურებზე ხელები აიფარა და მიბრძანა, გამორთე, თავი პანაშვიდზე მგონიაო! ასე მითხრა სამივეჯერ. ლოგინად ჩავარდნილ ქმართან გარბის, უვლის, ალბათ ქმრის უმწეობას განიცდის. ცივია, როგორც ყინულის ქვა, არა, უფრო სწორად, ვარდისფერი, უზარმაზარი, უფესვო და უფოთლო პარაზიტი ყვავილი რაფლებიაა, რომელიც ჩემი ენერგიით იკვებება. სულ ცოტათი მაინც ვუყვარდე... რომც ვკითხო, ვიცი, რასაც მიპასუხებს, ჩვენს ასაკში რაღა დროს ეგეთებია, თავს ხომ კარგად ვგრძნობთ, საკმარისია, ან არც არაფერს მეტყვის. შუშისებურ, ცივ, გახუნებულ თვალთა მხერგით თავს ჩემსკენ შემოატრიალებს და წესიერად არც შემომხედავს, ჰო, ასე უბრალოდ, ხისტად და ვიკითხავ, აბა, რატომ ამბობენ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო?!...

ნამით გონება ეჭვმა შეუერთო, „ალბათ სიყვარულსაც აქვს თავისი დრო.“ შეჩერდა, მიუხედავად იმისა, რომ ქალმა გააფრთხილა არასდროს დამირეკოო, მაინც დაურეკა. ტელეფონი გამორთული ქონდა. მათემატიკოსმა იცოდა, ტელეფონის ხმა რომც გაეგო არ უპასუხებდა, გათიშავდა. ასეთ უცნაურ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა. „ქალბატონო, როგორც ჩანს, არ მესმის შენეული, თანამედროვე მოდური სასიყვარულო ურთიერთობის აბაღუბდის, მაგრამ გნებდები. ცივილურში ალბათ მუნჯური და უუესტო ურთიერთობა იგულისხმება. მიუხედავად ყველაფრისა, მომწონხარ, ვცდილობ გავცივილურდე და ვინყებ დაჯერებას, რომ კარგად ვართ, სანამ ერთმანეთი მოგვებზრდება. კი ბატონო, თუ ეს არაა ტრაგედია, იყოს ასე!“

მტკვრის სანაპიროს გზას დაადგა, ვახტანგ გორგასლის ძეგლს ხელის აწევით მიესალმა და გაუღიმა. ყოფილმა მეზობელმა, თბილისელმა სომეხმა მუსიკოსმა დაურეკა, რომელიც სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში ვიოლინოზე უკრავს, მაგრამ ზედმეტად აქტიურია, იგივედ დარჩა, როგორიც ბავშვობისას იყო. მასზე არანაირი შიდა თუ მსოფლიო სირთულე, დაბლოკვა არ მოქმედებს, სულ რაღაც კარგ საქმეს სჩადის ქვეყნის მუსიკალური ცხოვრების წინ წასწევად. ბავშვობაშიც უცნაურობები ახასიათებდა, შინ მხოლოდ მაშინ იყო, როცა ვიოლინოს უკრავდა, დედამისი აიძულებდა მეცადინეობას. მათემატიკოსს ყოფილი მეზობლის ტიგრანის დედა გაახსენდა, რომელიც მათემატიკოსის პირველი უფროსი მეგობარი გახდა. ტიგრანის დედა ირა, ფრანგების ეკლესიად წოდებულ თეთრ კათოლიკურ ტაძარში ორღანზე უკრავდა.

-ბიჭო, როგორ ხარ შენა, მე თუ არ მოგიკითხე, საერთოდ არ გახსენდები!

-„ვტოკამ“ ტიგრან, შენ გენაცვალე!

-გცალია დღესა?

-კი, რა ხდება!

-რა და, ერევნელი ახალგაზრდა ორლანისტი სტუმარი გყავს, ვირტუოზია, დღეს პლესანოვზე რა, ჯანსუღ კახიძის ცენტრში ორლანზე დაუკრავს, ხომ გიყვარს ორლანი!

-კი ტიგრან, რა დასამალია და, დედაშენმა შემაყვარა ეგ ინსტრუმენტი!

- კეთილხმოვანი ინსტრუმენტია!

-უფრო მეტიცაა, არაამქვეყნიურია, დიდებულია!

-ჰო, და მოდი დღეს რვის ნახევარზე, მაგ ბიჭსაც გაგაცნობ და შენს სათაყვანებელ ორლანთანაც ახლოს მიგიყვან, ოღონდ ეგ ელექტრონულია, დედაჩემი მექანიკურზე უკრავდა.

-კი, შენ შემოგეველე, მოვალ, აბა არ მოვალ? ორმაგად მიხარია, ორლანსაც მოვუსმენ და რაც მთავარია, შენ გნახავ!

- ნუ „მეპაღხალიმები“, აბა ჰე, გელოდები!

რათ, „მეპაღხალიმებო?!“ ანუ მეფარისევლებო! - გაბრაზდა მათემატიკოსი და შეუკურთხა. ბავშვობაშიც ბურთის გამო უჩხუბიათ ან როცა აღმოაჩენდნენ ერთი და იგივე გოგო მოსწონდათ, ამ მხრივ გემოვნებაში თანხვედრა ქონდათ, ხანაც ნაყინის ატლექვის გამო კინკლაობდნენ, შენ ჩემზე ბევრი შეჭამე და არა შენ ჩემზე მეტით და როგორც მაშინ, ახლაც: - უხ, ირას შვილი არ იყო, გაგინგრევდი თავ-ყბას! - დაემუქრა ტიგრანს და იმავდროულად ყურებში ირას კისკისი ორლანის განელილ ხმასთან ერთად ყურებში ჩაესმა და თვალები ცრემლებით ავესო. მათემატიკოსს სურვილი გაუჩნდა ირას სულისთვის სანთელი დაენთო, თუმც არ იცოდა რომელი კონფენსიის მიმდევარი იყო. აღმართი უძველესი კიბეების დახმარებით აიარა, მეტეხის ტაძარში შევიდა, კელაპტარი იყიდა, აანთო და ქრისტეს ჯვარცმასთან შანდალში ჩაარჭო. გულში თქვა, უფალო, იესო ქრისტე, ყველა კეთილო ძალავ და არსებავე, სამყაროს ანგელოზებო, დაეხმარეთ ირას სულს კარგად იყოს, სიმშვიდე და სასოება არ მოაკლდეს სასუფეველში!

ირა კათოლიკურ ეკლესიაში ორლანზე უკრავდა, მაგრამ კათოლიკე არ იყო, ლუთენარობა, პროტესტანტობა და გრიგორი-

ანელობაც გამორიცხულია. მიუხედავად იმისა, რომ დედა რუსი ებრაელი ჰყავდა, მამა-ქართველი, მეუღლე კი- სომეხი, ირა იუდეველიც კი არ იყო, არც მუსლიმი, არც მართლმადიდებლურ ეკლესიაში დადიოდა. ღმერთის არსებობისა სწამდა და ეს კოსმოპოლიტი ადამიანი ავს შეგნებულად არვის გაუკეთებდა, არც უსურვებდა, წყევლაც არ იცოდა, მაგრამ ზოგჯერ ძლიერ რომ გაბრაზდებოდა ტიგრანის სიზარმაცეზე, უტაქტო გამოსდომებსა და თავნებობაზე, შვილს აგინებდა სამ ენაზე, ქართულად, რუსულად და სომხურად, მრავალფეროვანი, სართულებიანი შეკურთხებანი ამ ქალისგან ისწავლა მათემატიკოსმა. არადა, ტიგრანი სულაც არ იყო ზარმაცი. ჩხირკედელაობდა, სხვენში უცნაური სახელოსნო ქონდა გახსნილი, ხან თვითფრინავებს აწყობდა, ხანაც პატარა გემებს, ბოლოს ხის ნაფოტებისგან ჩიტებს ბუდეებს უწყობდა და თანამოაზრეებთან ერთად მხარზე კიბე-გადებული პანია სახლებს მაღალ და დიდ ხეებზე ამაგრებდა, ბელურები ეცოდებოდა, ზამთარში თბილად იქნებიანო.

ბავშვობისას მათემატიკოსს რუსულის ათვისება გაუჭირდა, გრამატიკის წესებს ვერ იგებდა, საშინაო დავალებებს ვერ წერდა და ამის გამო დედას ეჯავჯლანებოდა, რა ჯანდაბად უნდათ ეს „მიაჰკი ზნაკი“, ან ეს „მაგარი ი“ და სადაც „ა“-ს ამბობენ „ო“-ს რატომ წერენ?! დედა უხსნიდა, მაგრამ ვერ აგებინებდა. დაილოცოს ჩვენი მშობლიური ენა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ვლადპარაკობ ისე მაინც ვწერო, ფიქრობდა ბიჭი. დედამ დასახმარებლად ირას მიმართა, ამ ბავშვს რუსულის გრამატიკისა ვერა გაუგია, მეჩხუბება და იქნებ გვიშველოო. მოვიდა ირა თავისი შავ ჩარჩოიანი სათვალთ შეიარაღებული და ბავშვს კითხა: - აბა, რა პრეტენზიები გაქვს რუსულთან, ყურადღებით მომისმინე და „გაგვიასნებ.“

ირა მეგობრული მასწავლებელი აღმოჩნდა, თავისსავე ახსნილით კმაყოფილი შეგირდს წამდაუნუმ აქებდა, კოცნიდა, მკერდში იხუტებდა და საჯაროდ აცხადებდა: - ეს ბიჭი „დუშენი“, მცოდნე კაცი გაიზრდება. ჩემი ტიგრანი „პრატივნი“ და

ზარმაცია. ქართული ნესიერად არ იცის, არც რუსულს სწავლობს, სომხურიც ალაგალაგ გაეგება. აბსოლუტური სმენა აქვს მამაძაღლს, ვიოლინოზე დასაკრავს ეგრევე ითვისებს, მაგრამ მეცადინეობა ეზარება, გაკვეთილების სწავლაზე აღარაფერს ვამბობ! ვერ გაუგია, რომ მხოლოდ ნიჭით ფონს ვერ გავა, შრომაა საჭირო, შრომა! - ამგვარად ახასიათებდა ნაშიერს.

მომავალი მათემატიკოსის დედა ამბობდა: - სანყალი ბავშვი, ტვინი აქვს არეული, სამ ენოვან ოჯახში ცხოვრობს და რომელი ეცოდინება სრულფასოვნად?! ირას ქმარი ძლიერ რომ უყვარს სომხურიც ისწავლა, ენების ათვისების ნიჭი აქვს ირას, ტიგრანი უნარებით დედას გავს, განერვიულებულია ბავშვი, რა ქნას! - და მომავალი მათემატიკოსი ემადლიერებოდა დედას, ირას შვილს რომ ამართლებდა, თანაც, ქართულის და რუსულის უცოდინრობას თავად ვერ ამჩნევდა ტიგრანს, ის კი არა და, სკოლაში ინგლისურს ხომ ასწავლიდნენ, ის თავისი ძალებით ფრანგულს სწავლობდა და ამბობდა, დიუმა დედანში უნდა წავიკითხოო. მოუსვენარი, საქმიანი, მოქნილი და გონებამხვილი ბავშვი იყო. ფეხბურთი და სხვა კოლექტიური თამაშები, ხალხში ტრიალი უყვარდა. უზარმაზარი საამხანაგო წრე ჰყავდა, მაგრამ სულთან ძალზედ ახლოს არავის უშვებდა და აი, ეს არ მოწონდა ირას, ამბობდა, ჩემს შვილს გულის მეგობარი არ ყავსო. ალბათ, ამიტომ თხოვა თავის მოსწავლეს, ჩემს ბიჭს დაუახლოვდი, გახდი მისი მეგობარიო, მაგრამ მათემატიკოსმა ანწყობივ არ იცოდა, მოახერხა თუ არა კარგი ქალის თხოვნის შესრულება.

ცხელი ზაფხულის ერთ დღეს ირამ კარებზე მოწინებით დააკაკუნა და ბავშვის მშობლებს უთხრა: - თქვენს ბიჭუნას ორლანს მოვასმენინებ, ბავშვს განვითარებაში დაეხმარება! - გააყოლეს ირას ბიჭი და იმ დღეს პირველად მოუსმინა ორლანის მომავალი დოქტორი ხმას. დაითრგუნა, შეეშინდა უზარმაზარი ჩუქურთმიანი ხუთ სართულიან-კლავიშოიანი, მრავალ პედლიანი და უცნაურ სახელურებიანი და ალბათ რამდენიმე ათას მილიანი სასულე საკრავის მშვენიერი და იმავდროულად საიდუმლოებებით მოცული

ხმებისა. იმ დღეს ბიჭს ირას მიმართ მონინების გრძნობა გაუჩნდა. ეს იყო ქალი, რომელიც უკრავდა და მართავდა სრულყოფილი ხმების გამომცემ გიგანტს, რომელიც პირდაპირი გაგებით ღმერთის შექმნილად აღიქვა. ორლანზე დღემდე ასე ფიქრობდა.

კონცერტზე წასასვლელად საუკეთესო თეთრ პერანგსა და კლასიკურ შარვალში გამოეწყო, შემორჩენილი, ძვირად ღირებული ფრანგული ოდეკოლონიც მიიპკურა და საზეიმო განწყობით გაემართა მუსიკალური ცენტრისკენ. ფიქრები და მოგონებები ირაზე მხოლოდ მაშინ შეაჩერა, როცა ტიგრანს შეხვდა, რომელმაც ხელი ჩაავლო, რომ ელექტრონულ ორლანთან ახლოს მიეყვანა, მაგრამ მუსიკალური ცენტრის თანამშრომლებმა ნება არ დართეს, მუსიკოსი გამოსასვლელად ემზადება და ვერ მიგიშვებთ ორლანთანო. მათემატიკოსს გული დაწყდა, მაგრამ მალევე გადაუარა, ვინაიდან ყოფილმა მეზობელმა ეგრევე დარბაზში შეიყვანა და ბილეთზე მითითებული ადგილის მიხედვით დასვა, თავად კი გაეცალა. ამ დარბაზში პირველად იმყოფებოდა, რომლის კედლებიც ძირითადად თეთრი, ღია ცისფრითა და კიდევ უფრო ნაკლებად ღია, რძიანი კაკაოსფრად შეეფერათ. ნატიფი, სადა, წაწვეტებული ფორმის ნათურებით მოციმციმე ბრებმაც აღაფრთოვანა. ინტერიერის არქიტექტურა თანამედროვე, გოთური ელემენტებით სათუთად, მკრთალად, არაგამალიზიანებლად გადახალისებული. უზარმაზარი თეთრი ჭალი უცხო პლანეტელების მფრინავ თეფშს, ჭერი კი თავლის ფიჭას მიახლოებს. თეთრი აივნის შიდა ჭრილიდან ასევე თეთრი, წითელი კანტებით განწყობილი ორლანი მოჩანდა, რომლის ჩასაბერი ლითონის მილები საკონცერტო დარბაზის კედელზე არნივის გაშლილი ფრთებივით განფენილიყო. დარბაზში სინათლე ჩააქრეს, ბრები ბუჟუტავდნენ. იდუმალი სიჩუმე გამეფდა და მათემატიკოსი ისევ ისე დაითრგუნა, როგორც წარსულში იქ, ტაძარში. ორლანის ხმების მოსასმენად მოემზადა. გამოაცხადეს, ორლანზე სრულდება ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიო... მათემატიკოსმა ტიგრანს გახედა, რომელიც შედარებით ქვე-

და, რიგში ამხანაგებთან ერთად იჯდა და ბავშვობის მეგობარს გამჭოლი მზერით შეცქეროდა. ახალგაზრდა ორლანისტის სახე ვერ დაინახა, მაგრამ დააფიქსირა, გრძელი, ნაბლისფერი თმა და წვერი ქონდა, ტანმორჩილი იყო ირასავით, რომელიც, ორლანზე დაკვრის შემდგომ შინ დაბრუნებული ბევრს ჭამდა დაკარგული ენერგიის აღსადგენად. ბიჭს ერვენებოდა, რომ ირას ორლანი სულის ენერგიის გარკვეულ ნაწილსაც სტაცებდა, არამც თუ ფიზიკურ ძალას. ზრდასრულსაც ეშინოდა, ორლანმა ქალს შემორჩენილი სულის ნარჩენებიც არ ამოაცალოსო და მისი შიშები გამართლდა, თავად ოცი წლისა იყო, ირა კი ორმოცდათხუთმეტის, გულმა რომ უმტყუნა და ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. უკვე სტუდენტი, მომავალი მათემატიკოსი კათოლიკურ ცარიელ ტაძარში გარბოდა, ჯდებოდა მრევლისთვის განკუთვნილ ბოლო რიგში მდგარ გრძელ, მუქად გალაქულ სკამზე და ირაზე ფიქრობდა, ტიროდა კიდეც, ის გრძნობდა, ირა საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებიდან ცოცხალი ვერ გამოვაო. ღმერთის სახლში დადუმებულ საკრავს თხოვა, უშველე ირა დეიდასო და ბოლო დღეს მოეჩვენა, რომ ორლანმა ხმა ამოიღო, ბიჭს ავის მომასწავებელი გაბმული ხმებით უპასუხა და შეაკრთო. თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა თეთრი ეკლესიიდან, სირბილით სახლთან მივიდა, რომლის სადარბაზოს კარი ფართოდ გაეღოთ, გული აუჩქარდა, მუხლები აუკანკალდა, ფრთხილად აიარა სადარბაზოს კიბეები, ირას სახლის კარიც ღია დახვდა, შევიდა და რას ხედავს, ირა თეთრ სუდარა გადაფარებული წევს ტახტზე მისაღები ოთახის ცენტრში, თავს ქმარი დადგომია და ტირის, ტიგრანიც დაინახა, უკვე ჩამწკრივებულ სკამებს შორის კუთხეში მიმჯდარი, გაოცებული ჭერს მიშტერებოდა, მასთან მიახლოება ვერ გაბედა, გახევდა, იცოდა, იცოდა ირა ცაში ასაფრენად ემზადებოდა, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო მისთვის, რასაც ხედავდა. მეზობლები შემოვიდნენ, ატირდნენ, აქებდნენ კეთილ და ნიჭიერ ირას, უცხოებიც მოვიდნენ. დედა მკლავზე შეეხო მათემატიკოსს და მიეხუტა.

-რატომ, დედა! - აღმოხდა ყმანვილს.

-აი, ასე შეილო, ესაა ცხოვრება, ირა იყო და აღარაა, ახლა ტიგრანთან მიდი, მოუსამძიმრე და ირაც ღირსეულად მიაცილე სამარემდე, შენ მას უყვარდი და არ დაივინყო.

რა თქმა უნდა, ირას როგორ დაივინყებდა, არავითარ შემთხვევაში. გასვენების დღეს შეეშინდა, მაგრამ მაინც სამს შორის ერთ-ერთ კაცად კუბოს მხრით შეუდგა და ქალი გათხრილ სამარემდე მიაცილა და არ ისურვა ძვირფასი ადამიანის დამარხვისთვის ეცქირა, უკან მოუხედავად სასაფლაოდან გამოიქცა, ჭიშკართან შეჩერდა, ცრემლებს ვერ იკავებდა, ვილაცამ მხარზე თანაგრძნობით ხელი მოუთათუნა, სიგარეტის ღერი მიაწოდა, დაუფიქრებლად გამოართვა და თავის სიცოცხლეში პირველად ნაფაზი დაარტყა და მაშინაც ორლანის გაბრაზებული ხმა ჩაესმა, თითქოს საქციელი დაუწუნა. გაბრუებულს თავს ტიგრანი დაადგა და შეუღრინა, საფლავი რატომ მიატოვე, ყვავილებისა და „ვენოკების“ მილაგებაში კაცები დამაკლდაო. გაბრაზდა მათემატიკოსი, მაგრამ ისევ ირას ხატრით მორჩილად დახარა თავი.

საკონცერტო დარბაზში იჯდა და ტიგრანის წყალობით ორლანიდან გადმოსული ჰანგებით ტკებოდა. მუსიკოსმა გამოსვლა ბახის რამდენიმე შედევრით დაასრულა, სანამ უკრავდა მათემატიკოსს ბავშვობის წლებიდან ორი მომენტი გაახსენდა. ტაძრიდან ხელიხელჩაკიდებულნი გამოვიდნენ ირა და სიფრიფანა ყმანვილი. ჟუჟუნა წვიმა წამოვიდა და ირამ ბიჭი სანაყინეში შეიყვანა. ორას ორასი გრამი ვანილის ნაყინი მოიტანეს, რომელზეც ბლომად დაფშვნილი შავი შოკოლადი მოეყარათ. ბიჭმა კითხა ქალს: - რომელმა კომპოზიტორმა შექმნა ორლანისთვის ასეთი საოცარი ნაწარმოებები?

ირამ გაუღიმა: - იოჰან სებასტიან ბახმა. გაგიგია?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა: - აბა საიდან მეცოდინება, სადაური იყო?

-გერმანელი, საყვარელო. საუცხოო კომპოზიტორი, რომელიც დაბრმავდა, თავად ველარ წერდა ნოტებს და სხვებს კარნახობდა.

მერე! - დაინტერესდა მომავალი მათემატიკოსი.

-მერე მოკვდა, როგორც ყველა!

-რა ცუდია სიკვდილი!

-ნუ იტყვი მაგას, ვინაიდან ის არ არსებობს!

-როგორ თუ არ არსებობს, როცა ვიცი, მეც უნდა მოვკვდე!

ირამ თავი გააქნია: - შენ მაინც ცოცხალი იქნები, ღმერთთან მიხვალ და მასსავით უხილავად გადაიქცევი, მაგრამ ყველა ვერ ხვდება მასთან.

-რატომ!

-ღირსები არ არიან და იმიტომ.

-ბახი ხომ ღმერთთანაა, ირა დეიდა?

-დარწმუნებული ვარ, ვინაიდან სებასტიანი სიკვდილის შემდეგაც დასაჯეს ადამიანებმა!

- სიკვდილის შემდგომ?! - გაოცდა ბავშვი.

- მისი ნაწარმოებები დაკარგეს.

-რანაირად, ირა დეიდა?!

-ადამიანები ერთმანეთს არ უფრთხილდებიან, უმადურები, დაუდევრები არიან! ასე რომ არ იყოს ომები კი არ იქნებოდა. იაპონიაში ამერიკელები ატომურ ბომბებს არ ჩააგდებდნენ.

ბავშვს ლანვები ცრემლით დაენამა. ირა შეშფოთდა ბიჭი რომ ატირდა და უცბად გამოსავალი გამონახა: - მაგრამ ჩემო ძვირფასო, მამა ღმერთი მოწყალეა, იცი რა მოხდა? გამოჩნდა სხვა კომპოზიტორი, რომელიც ასევე კარგ მუსიკას ქმნიდა და ბახს უშველა. საოცარია მენდელსონის „საქორწინო მარში“, მაქვს ვინილის ფირფიტა, გაჩუქებ და მოუსმინე ხოლმე.

-კარგით, მაჩუქეთ, მაგრამ როგორ უშველა ბახს, მაინტერესებს.

- ფელიქსმა იპოვა მისი ნაწარმოებები და ამგვარად მოახერხა მისი გაცოცხლება, როცა ისინი მუსიკოსებმა ააჟღერეს, ბახიც მსოფლიომ თავიდან აღმოაჩინა. უკვდავია აბა რა არის, ახლა შენც გაიგე მის შესახებ, უფრო სწორად ორი უკვდავის შესახებ, ხომ კარგია!

-კი, ირა დეიდა, ძალიან კარგია!...

და მათემატიკოსს მოეჩვენა, რომ თეთრ აივანზე შავფრთიანი ანგელოზი წამოსკუპდა, შავებში გამოწყობილი, მრისხანე სახიანი მამრი იყო, მოფრინდა თეთრი ანგელოსი, ქეროში ხელები ჩაავლო შავს და ჭერისკენ აზიდა, წაათრია. მათემატიკოსმა პირი დააღო, ამასობაში დარბაზიც გაჩახჩახდა და ისინიც გაქრნენ, თითქოს არცა ყოფილან. გაღიმებული ორლანისტი პუბლიკის წინაშე წარდგა, დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა, ძალზედ გახარებული თავს ხრიდა თბილისელი მსმენელების წინაშე, ყვავილებიც მიართვეს. ტიგრანმა ხელი დასტაცა მათემატიკოსს, ახალგაზრდა მუსიკოსთან მიიყვანა, რომელსაც აქებდნენ და მადლობას უხდიდნენ ქართველი კომპოზიტორების ნაღვანის ორლანზე შესრულებისთვის. ამათი რიგიც მოვიდა, ტიგრანმა რუსულად უთხრა ორლანისტს: - გაიცანი, ჩემი მეგობარია, ორლანზე გიჟდებო.

მუსიკოსმა გაუღიმა და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა ტიგრანის მეგობარს, რომელიც მას მოეხვია და უთხრა: - ძვირფასო, ჯადოქარო, ღვთიურო!

მუსიკოსი გაოცდა და ვერაფერი უთხრა. ტიგრანმა უხეშად გამონია მათემატიკოსი.

-ჩვენ წავალთ, დაისვენე და ხვალ ვისაუბროთ იმ საკითხზე...

-კარგიო! - მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა ერევნელმა მუსიკოსმა და მათემატიკოსს გაუღიმა.

ჩქარი ნაბიჯებით გამოვიდნენ შენობიდან და ტიგრანმა თქვა: - რა იყო ეს, რა ქმედება, რამ გადაგრია?!

-რაზე მეუბნები?-ვერ მიხვდა მათემატიკოსი.

-ორლანისტი ყველას თვალწინ გააღმერთე!

-ღმერთების საკრავს ეუფლება, ტიგრან!

-ღმერთების არა, იმის კიდევ... უმარტივესი საკრავია!

-გაჩუმდი, ჩემს რწმენას ორლანის მიმართ ნუ შეურაცხყოფ, გასაგებია?-მკაცრად მიუგო მათემატიკოსმა.

-გავიგე! - უპასუხა ტიგრანმა.

მათემატიკოსი ტიგრანს დაუმშვიდობებლად დაშორდა, ერთდროულად აღფრთოვანებულიც იყო და სევდიანიც. თითქოს განიკურნა იმ ღამით და შემდეგაც უძილობას აღარ უჩიოდა.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისი ახლოვდებოდა და კვლავ დაურეკა ტიგრანმა მათემატიკოსს. ძლიერ გაახარა ირას ვაჟის ზარმა: - გისმენ ძვირფასო, როგორა ხარ!

-ვახ, კაცო, შენი ვერაფერი გამიგია, მგონია გამებუტე!

-ოდესმე გაგბუტივარ?

-არა, მაგრამ...

-მადლობელი ვარ, რომ არსებობ, ტიგრან!

ირას ვაჟი დაიბნა, ვერ გაიგო, რატომ უთხრა მათემატიკოსმა ეს სიტყვები, გულშიც სითბო ჩაელვარა, მაგრამ ზნეს არ უღალატა, თავისებურად მიახალა: - „კაროჩე,“ სენტიმენტებს მოეშვი და ნუ მაბნევ. მითხარი, ბუღალტრობა შეგიძლია?

-რა თქმა უნდა!

-ჰო, კარგად მომისმინე! დავაარსეთ ხელოვნების სკოლა, გვჭირდება ბუღალტერი, შენი კანდიდატურა წამოვაყენე. ვიოლინოს კლასს ვუხელმძღვანელებ, ორლანის კლასიც გვექნება. ხვალ დილით შემხვდი ათზე მარჯანიშვილის მეტროსთან და დეტალებში ადგილზევე გაგარკვევენ.

მათემატიკოსი სახტად დარჩა. ახლო წარსულში უფალს ნებისმიერი სამუშაოს გამოძებნაში დახმარებას სთხოვდა და აჰა, მიეცა. ძილის წინ ნევროლოგის დანიშნული წამლის მიღება გადაწყვიტა, მაგრამ ყურებში ტიგრანის დედის კისკისი ჩაესმა, მოეჩვენა, რომ ირა უსხეულოდ მის გვერდით იდგა, უყურებდა. მათემატიკოსი გაირინდა.

-კარგო ბიჭო, ტიგრანი ცოტა უკმეხია, მაგრამ ჯიგარი ბიჭია, როცა სხეული მქონდა მასთან მეგობრობას გთხოვდი. ის აქტიურია. ჩემს ბიჭს მეგობრები არ ჰყავს და მან ჯერ არ იცის, რომ შენ ხარ მისი ნამდვილი მეგობარი, ვიცი, ერთად რომ იმუშავებთ, მიხვდება!

-ირა დეიდა, ტიგრანი საზოგადო მოღვაწეა და...

-ჩემო ბიჭო,-შეაწყვეტინა ირამ სათქმელი: - შენგან შუქი მომივიდა, გმადლობ. არ გინდა აბები, გადაყარე, როცა დეპრესია გაქვს, ეცადე თავს წამლის გარეშე უშველო.

მათემატიკოსმა უსხეულო ირას დაუჯერა და გაიფიქრა, იქნებ შინაგანი შეჭირვებაც უფლისგან მოდის, რომ სულის მართვაში გავძლიერდეთ და წამალი აღარ დალია და დიდი ხნის წინ დაკარგული ბედნიერების შეგრძნებაც დაუბრუნდა.

რეპეტიტორი

ადამიანი დაბადებისას მარტოაო. უყვარს თუ სძულს, შემოქმედია, მეცნიერი თუ უბრალოდ კარგი მუშაკი, მაშინაც მარტოაო, შვილებს რომ ზრდის მაშინაცო, სიკვდილის წინაშე ხომ მარტოა და მარტოო... ისე, ზოგს განსაკუთრებულად მარტოობისკენ მიდრეკილი ბედი აქვს, მაგრამ ვინც კარგი იღბალის მოსაპოვებლად იბრძვის, ვერასდროს ჩერდება, ვინაიდან ის ვერ იტანს დაყოვნებას, ხანგრძლივ პაუზებს, მაგ დროს გასხლტომა იცის.

ბედი გვაშორებს და გვაკარგვინებს ახლობლებს და მწუხარების ნისლში გვხვევს. სევდას ძალუძს მარტოობისკენ მიდრეკილი ბედის წინაშე თავი დაგვახრევინოს და გაგვაშეშოს. მუდმივ მოქმედებისას კიდეც, სწორი გზების პოვნაა ძნელი. როცა გვგონია კაეშანი გავდევნეთ, ის თურმე მაინც თან გვდევს, მიმაღულია, მაგრამ მზად ყოფნაშია თავდასასხმელად, და ჩვენივე ცხოვრებაა თვალწინ სხვადასხვა გზებისა და ხიდეების გამდები, აბა, მიდი და აირჩიე, რომელია საუკეთესო და ყველაზე სწორი! ძნელია, ვაი, და შეცდე, განვალდე, მაგრამ არა უშავს, მთავარია მოქმედებდე, ცხოვრობდე.

პატარა გოგონას დედა სიკვდილმა მოულოდნელად წაართვა. მამამ გაზარდა დამხმარე ქალის დახმარებით, რომელიც დღეგამოშვებით მოდიოდა, სადილს და ვახშამს ამზადებდა, სახლს აწკრილებდა, დანარჩენს მამა აკეთებდა. სალომე ერქვა ამ პატარას, გაიზარდა დამშვენდა, მამასავით შრომისმოყვარე, მიზანდასახულ ადამიანად ჩამოყალიბდა, ამიტომ დამხმარეც დაითხოვეს, სალომესაც შეეძლო ორსულიანი ოჯახის მიხედვა, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მამას ასევე მოულოდნელად გულმა უმტყუნა და...

სალომესთან მამიდა მოდიოდა, ღამით რჩებოდა, ანუგეშებდა, ელაპარაკებოდა, ერთად ტიროდნენ გულდათუთქულები. ძმისშვილი გონს რომ მოეგო, ისიც თავის ოჯახს სრულად დაუბრუნდა.

21 წლის სალომე კინოსა და თეატრალური ხელოვნების უნივერსიტეტის ტელე-სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა, ფერმკრთალს, უღიმღამოს ველარავინ ამჩნევდა, მაგრამ როცა ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ტელეკომპანიის პრაქტიკანტი გახდა, გამოცოცხლდა და გახალისდა.

დილის გადაცემების პროდიუსერმა და რეჟისორმა რეზომ თავის თანაშემწედ აიყვანა და სალომე უნივერსიტეტში სწავლის დასრულებამდე გახდა ტელეკომპანიის შტატის თანამშრომელი. რეზო ქცევებითა და მანერებით საკუთარ მამას მიამაგავსა და ხშირად აღფრთოვანებული შესცქეროდა და ამ დროს რეზო ფიქრობდა, როგორი მაგიური თვალებით მიყურებო?! მაგიური, სხვა შესატყვისი სიტყვა ვერც ლექსიკონში იპოვა. სალომეს აკვირდებოდა, კეთილსინდისიერება, გულწრფელობა და გულუბრყვილობა შეამჩნია და ერთხელაც სალომე მანქანაში ჩაისვა, შინ წაიყვანა და იქ გოგონას რეზოს მშობლები დახვდნენ. ვახშობისას რეზომ კითხა, დარჩებიო? გაოგნებულმა გოგომ რეზოს შეხედა, მერე მის მშობლებს, რომლებიც უღიმოდნენ და სამუდამოდ დარჩენას ურჩევდნენ, თანაც მოითხოვდნენ, ჩვენი გოგო გახდით. ბევრი აღარ უფიქრია, დარჩა.

დიპლომის აღებამდე წამოვიდა სამსახურიდან, შინიდან გარეთ გასვლა ესიკვდილებოდა, დედამთილს კუდში დასდევდა, მის გვერდით სამზარეულოში ფუსფუსი და სალამო ხანს, სამსახურიდან ოჯახში დაბრუნებულ მამაკაცების შეგება უხაროდა. რეზო დღითი დღე იხიბლებოდა თავისი ცქნაფა ცოლით, დაიფიცა, ყველაფერს გავაკეთებ, სალომემ აქტიურად რომ იცხოვროს. ჭკვიანი, მიზანდასახული, წესიერია და იმსახურებს ყოველმხრივ წარმატებულ ქალად იქცეს. მამიკოს გაზრდილი გოგო რომაა, რაღაც სხვანაირად კარგი ვინმე მოვიყვანე სახლშიო. რეზოს სიტყვებით აღფრთოვანებულ სალომეს თვალები გაუბრწყინდებოდა და მხოლოდ ორ სიტყვას წარმოთქვამდა: - ბედნიერი ვარ!

პატარძალი შინ ფეხაკრეფით დაიარებოდა, აქაოდა, ფაფხურით ოჯახის წევრები არ შევანუხოო. თითქმის არ ლაპარაკობდა, დედამთილ-მამამთილის კეთილ მოპყრობას, გულისხმიერებას ღვთის წყალობად მიიჩნევდა და მაღლიერებას, სიტყვების გარეშე, საქციელით გამოხატავდა. ოჯახს ახალი წევრი, პატარა ერეკლეც შეემატა და ერთ ღამესაც, აბსოლუტურ სიჩუმეში სალომეს თვალები ძალზედ ფართოდ გაეხილა, ბედნიერების შეეშინდა და, რომ გათენდა ქმარს, დედამთილ-მამამთილს კარებად მიხდია, ყველას ჩაეხუტა, ისინი სადარბაზოში გავიდნენ, სამთავემ მისკენ მოიხედეს, ხელი დაუქნიეს, გაუღიმეს და... უკანასკნელი კოცნა, მომხიბლავი ღიმილი დაუტოვეს და სალომესგან იმედიც თან გაიყოლეს. ახლა, ბავშვი მარტოს უნდა გაეზარდა, სამსახური ემოვა. დაქვრივებული მიზანმიმართულად მოქმედებდა, შვილის მომავლისთვის ფულს აგროვებდა, ფუსფუსებდა და ცხოვრებამაც დაანახა, რომ ყოფა არც ისე ძნელად ასატანი ყოფილა და აღარც სიმარტოვის სიმძიმეს განიცდიდა, ძე ხომ დარჩა, თავისი და გაღმით გასული ოჯახის წევრების სისხლი და ხორცი. ერთურთი ჰყავდათ დედა-შვილს, რაც ცხოვრებას აზრს და შინაარს ანიჭებდა, მაგრამ ეშინოდა, შრომით გათანგულ მექანიკურ დედად არ გადაქცეულიყო, რომ არის და თან არც არის. ცდილობდა, ბავშვთან სულიერი სიახლოვე ქონოდა.

ნათესაებს დაავინყდათ სალომესა და ერეკლეს არსებობა, მამიდაც აღარ ურეკავდა ძმისშვილს და არ ვიცი მიზეზი ცოცხლებს სიცოცხლეშივე ცოცხალი სისხლით მონათესავენი მოსაკითხად მაინც რატომ არ ახსენდებათ. მხოლოდ ერთხელ ეტკინა გული, როცა ღრმად ჩაფიქრდა. რაც მთავარია, ცხოვრების გაგრძელება შეძლო და შეეგუა ახლობლებისგან გამოვლენილ ტიალ მივწყებულობასაც. ფიქრობდა, რომც მოვკვდე, გასვენების დღესაც დაეზარებათ მოსვლა ჩემსა და რეზოს ნათესავებსო. დრო გადიოდა, მეგობრებსაც დაშორდა, მათთან თითქოს საერთოც აღარაფერი აკავშირებდა, ვისთანაც საქმე ჰქონდა, იმათთან ურთიერთობდა. ვითარება აიძულებდა, საკუთარ

ნაჭუჭში შეყუჟულიყო. ახლობელ ადამიანებს შორის წარმოქმნილი გაუგებრობები და სიძულვილი აფრთხოდა. ზოგიერთის სისასტიკე ისე ძლიერ აშინებდა, რომ თავს არიდებდა, ჩაკეტილად ცხოვრობდა. მხოლოდ დედამთილის ძმის ცოლს, რეზოს ბიცოლას ემეგობრებოდა და, არც იმ თბილ ქალს უზიარებდა თავის გასაჭირს. სწორედ იმ ქალბატონის გამოგზავნილი იყო მოგრძო ნესვის ფორმის თავა, აყლაყუდა გერმანულის მასწავლებელი ზაზა, რომელმაც თავი რეპეტიტორად წარუდგინა.

ერეკლეს სასწავლებელში ყოველ დღე გერმანულის გაკვეთილი უტარდებოდა, ამ ენის გაძლიერებული სწავლების საჯარო სკოლაში დადიოდა. ერეკლე შინ მოსული მასწავლებლის დანახვისას შეიშმუშნა, მაგრამ გასაცნობად ხელი გაუწოდა, დედამ ასწავლა ასე მოქცევა. რეპეტიტორმა ქალი ინტერესით შეათვალიერა, მიაშტერდა. ბავშვის დედას უსიამოდ შეაჟრიალა, ვინაიდან გერმანისტს ისედაც დაჭყეტილი თვალები უარესად გაუფართოვდა და ფოლაქებივით დაუმრგვალდა. გახუნებულ ღია თაფლისფერის ცენტრში მოთავსებული გუგებიც უსაშველოდ გაუფართოვდა. სულელური ღიმილი სახეზე დასთამაშებდა, ხან ბავშვს გახედავდა, ხან დედამისს და ქალმა დაასკვნა, მასწავლებელს ბიჭუნა მოეწონა, უხარია და ალბათ, გუგებიც ამიტომ გაუდიდდაო.

ზაზამ ბავშვის ცოდნა გადაამოწმა. კითხვა, გრამატიკა იცოდა, ერთადერთი გასაჭირი ბიჭუნასი იყო ის, რომ მწირი სიტყვათა მარაგი ქონდა და ზაზამ შვებით ამოისუნთქა, თუ ბავშვს აიყოლიებდა, ლექსიკაც გაუმდიდრდებოდა.

სალომე აუთოვებდა და გაკვეთილის მსვლელობას უსმენდა, კმაყოფილი დარჩა პედაგოგის მუშაობით. მასწავლებელი რომ წავიდა, ბიჭუნა არ გაჩერებულა, თორმეტ ახალ გერმანულ სიტყვას წამდაუნუმ იმეორებდა, რომ ზაზა მასწავლებელთან შემდეგ შეხვედრაზე სიტყვები დამახსოვრებული ქონოდა. გაკვეთილები ხალისიანად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა. თვეც ჩათავდა და დედამ რეპეტიტორს კონვერტში ჩადებული თანხა მიანოდა. ზაზამ უკან დაიხია, თავი გააქნია: - ფულს არ ავიღებ!

-რას ბრძანებთ, აიღეთ ფული!

-არა! - უკან დაიხია რეპეტიტორმა.

-რატომ, მიზეზი!..

-შვილი არ მყავს და მგონი, ერეკლე შვილივით შემიყვარდა.

-დაოჯახებული მეგონეთ!

- აფხაზეთიდან ლტოლვილი ვარ, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ და მოხუც დედას ვუვლი! - დადებითი შთაბეჭდილების მოსახდენად თქვა ასე, თორემ დედის მიმართ დიდი ხანია სიძულვილს გრძნობდა.

ჩაფიქრებული ქალი სავახშმოდ მზადებას შეუდგა. ზაზასთვის არაფერი უთქვამს, თავად მიხვდა მასწავლებელი, მაგიდა მისთვისაც რომ იშლებოდა. ერთობ კმაყოფილი დარჩა, დიდი ხანი გასულა, რაც ოჯახში მომზადებული ქართული კერძები არ დაუგემოვნებია. ზოგჯერ თავის დამსაქმებელ არაბთან, არაბული რესტორნიდან ამოტანილ უცხო გემოიან ცხელ, მძიმე ვახშამს მიირთმევდა, რომელიც ცხვრის ხორცისა იყო, მოსწონდა ცხიმიანი კერძები, იოლად ნაყრდებოდა. ახლა კი, ცხელ ელარჯს გაეხლებოდათ, რამაც მშობლიური ქალაქი სოხუმი გაახსენა, ყურში ზღვის ტალღების ხმაც ჩაესმა. გაახსენდა დრო, სანაპიროს რომ მიუყვებოდა და ლამაზი ქალების ცქერით ტკებოდა. გაახსენდა რუსი გოგონაც, რომელიც პლაჟზე გაიცნო. პირველი მდედრი, რომელსაც ზაზა მოეწონა და დასთანხმდა შემოთავაზებას, ზაზა მისთვის პირველი მამაკაცი გამხდარიყო. ზაზას ცოტათი შეეშინდა, თავადაც ვაჟიშვილი გახლდათ, მაგრამ გოგო და ბიჭი მაინც შეიყარნენ, ცხოვრებაში პირველად სქესობიერი აქტის მოსახდენად და საქმე საქმეზე რომ მიდგა, ზაზამ ვერც ვერაფერი მოახერხა. ხვევნა-კოცნის შემდგომ, მთავარი მომენტის აღსრულების ჟამს მოუმზადბელი აღმოჩნდა და გაშეშდა, გახევდა ბიჭი, ბოროტმა ძალამ მოკუნტა, დააპატარავა, გაანახევრა, გაფსკვნა. ქალიშვილს ეშმაკურად გაელიმა, პარტნიორი დაამშვიდა: - როცა შეძლებ, ადექი და წადი....

სანოლიდან წამოდგა საკუთარ თავზე გაბრაზებული ზაზა, თვრამეტი წლის ულამაზეს გოგოსთან მთავარი და მნიშვნელო-

ვანი რამ ვერ შეძლო და გაიფიქრა, ძალიან ლამაზია, იმიტომ დავიბორკე. მას შემდეგ ის გოგო ველარ ნახა, დაეკარგა. კიდეც სცადა ბედი ზაზამ, შედარებით გამოცდილ ბელორუს ქალბატონთან, ისევ იმ ქალს რომ არ ეყოჩაღა, ვერაფერს გააწყობდა, თუმც მისვდა, სიამოვნება ვერ მიანიჭა. შინ მიდიოდა და თავს იმართლებდა, ჩემზე უფროსია და ცოტათი შემრცხვაო. შემდეგ პაემანზე ბელორუსმა ზაზას უარი უთხრა. მესამე ეპიზოდიც გაახსენდა პენსიონერ სიმპათიურ ქალთან, მხოლოდ მოეფერა და, თავს რომ დაათენდათ, გაღიზიანებულმა ქალბატონმა უბრძანა, ჩემთან აღარასდროს მოხვიდე, შე, უსუსუროო! დაღონებული წამოვიდა და მაშინაც თავი იმართლა, მოხუცია, დაჭმუჭნული დედაბერი, რა ჩემი ბრალია?! ეს დიდი ხნის წინ მოხდა, მას მერე არცერთი ქალსკენ გაუხედავს, სოხუმის დატოვების შემდეგ ველარც მასტურბირებდა, ოთახში მართო ხომ არ ცხოვრობდა. სანოლში საკუთარ სხეულთან ველარ ერთობოდა, მორალისტ ელენეს თვალი რომ მოეკრა, როგორ ოსტატურად სძალუძს პარტნიორის გარეშე სექსუალური სიამოვნების მიღება, ერთ ამბავს დაანევდა.

მეოთხე კლასელი ერეკლე ელარჯს კევივით წელავდა, ჩანგალზე ახვევდა და დიდ ლუკმებს საყვარლად აბუკნავებდა. სიჩუმე ზაზამ დაარღვია. ქალს ჰკითხა, რას საქმიანობთ? თქვენს ქმარს რა მოუვიდა? ბავშვის დედას დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა გაუჭირდა....

ქალს სარეკლამო სტუდიაში ფოტოგრაფად უმუშავია, სამსახური შვილის სასწავლებლის მოპირდაპირედ შენობაში ყოფილა, დღის მანძილზე სკოლაში რამდენჯერმე გადადის, რომ ბავშვი გააკონტროლოს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, სკოლიდან გამოყავს და სამსახურში შეყავს, სამუშაოს დამთავრებისთანავე ცურვაზე, დანარჩენ სამუშაო დღეებში ხატვის წრეზე, გიტარის მასწავლებელთან, შემდეგ კი შინისკენ მიემართებიან. მეუღლე და მისი მშობლები ავტო-ავარიის შედეგად დაღუპულან. ზაზას შუბლი შეეჭმუნა, ვითომც შენუხდა, სინამ-

დვილეში ეამა, ბედმა უდედმამიშვილო, ობოლ, ქვრივ, ერთი ვაჟიშვილის ამარად დარჩენილ ახალგაზრდა, სიმპათიურ, მარტოხელა ქალს რომ შეახვედრა და გაიფიქრა, ან, მე ვიციო...

მომდევნო გაკვეთილზე სალომემ მასწავლებელს საჩუქარი გადასცა და უთხრა, ამაზე მაინც ნუ მეტყვით უარსო. კაცმა ყუთი გახსნა, სადაც ძვირადღირებული შამპუნი, დუშ-გელი, წვერის საპარსად გამოსაყენებელი ქაფი, ფრანგული ოდეკოლონი და გრძელმკლავიანი შავი, ასევე ძვირადღირებული მაისური იდო. სიხარულისგან თვალები დაეჭყიტა და ვერ გაიხსენა, ოდესმე ვინმეს, თუნდაც იაფფასიანი საჩუქარი ებოძებინოს. ტანსაცმელს და ყველა საჭირო ნივთს მისთვის და ძმისშვილებისთვისაც დედამისი ყიდულობდა.

შინ მისულმა ელენეს აჩვენა საჩუქრები და დასძინა, ჩემს ცხოვრებაში ქალი გამოჩნდა, მალე დედამთილი გახდებო.

ჩემი შვილი ცოლთან საცხოვრებლად გადავა, ამოვისუნთქავო, ფიქრობდა გახარებული ელენე. ზაზა ყოველდღე რომანტიულ ისტორიებს თხზავდა, ვითომც სალომემ აკოცა, რომ კინოში, რესტორანში, თეატრში ერთად დადიან, რომ ჯერ შეყვარებულები არიან, რომ არსად ერქარება და ყველაფერი შეერთებით დასრულდება. სალამოობით უყვებოდა დედას შეთხზულ სასიყვარულო ისტორიებს. ჰიგიენასაც გულმოდგინედ იცავდა. ოფლის უსიამო სუნი აღარ ასდიოდა, კოპწიაობდა. არაბს, რომელმაც ზაზა თარჯიმნად აიყვანა, განუცხადა, ცოლი მომყავსო და იმანაც არაბულ სილამაზის სალონში მიიყვანა, გაახალგაზრდავებაში დაეხმარნენ, ეთეროვანი ზეთებით სხეული დაუზილეს, თმა და წარბები წაბლისფრად შეუღებეს და ზაზასაც მოეჩვენა, ოცი წლით გავახალგაზრდავდიო, მაგრამ მოსწავლესთან რომ მივიდა, ბავშვის დედამ ირონიანარევი გაოცება ვერ დამალა, ბიჭმა კი თავისთვის ჩაიფხუკუნა, როცა ზაზას შეხედა. რეპეტიტორი მიხვდა, მიქარვა იყო თმა-წარბების შეღებვა, მაგრამ ბავშვის დედას მაინც კითხა, - მიხდებაო? რა ვიციო, მხრები აწურა სალომემ, არაბუნებრივად გამოიყურებით, მაგრამ მთავარია,

თქვენი თავი თავადვე მოგწონდეთო. ზაზამ კი ხმას აუწია, ჰო და მომწონს, სიმპათიური მამაკაცი ვარ, ხალხში ვტრიალებ, კარგად უნდა გამოვიყურებოდე... - თავადაც არ სჯეროდა იმისა რასაც ამბობდა, ამიტომაც წამოსცდა: - ეს ოხერი სულ ხომ არ მექნება, საღებავი ხომ გადამეცლება?

კიო, დაუდასტურა ქალმა და გაუკვირდა, ეს კაცი რად მიყვირისო?!

ზაზამ თავი ვერ მოაწონა დედა-შვილს და გულდამწყდარი შინ რომ მივიდა, უცაბედად მშობელმაც ვერ იცნო, დაითრგუნა და დედას საწყლად მიაჩერდა. ელენემ აღიარა, არ მოგიხდა შელევბა. ჯვარი გწერია შვილო და, მკვდარს რომ კუბოში გაალამაზებენ, მაგეთს ჰგავხარო!

იმ ღამით ზაზა ბორგავდა და გაურკვევლად ბუტბუტებდა.

დედა-შვილმა თვალი შეაჩვიეს ზაზას ახლებურ იმიჯს, დროთა განმავლობაში შეღებილი თმა და წარბები გაუფერმკრთალდა, ჭაღარაც გამოუჩნდა და ზაზა კვლავ ზაზას დაემსგავსა, რომელიც ბავშვის მეცადინეობისას დროს არ ინიშნავდა, ზოგჯერ სამი საათიც ეჯდა ერეკლეს და გამოთქმით ამეორებინებდა ახლად შესწავლილ გერმანულ სიტყვებს. რთულ ტექსტებს კითხულობდნენ, ქართულად თარგმნიდნენ. დედის გული აფასებდა მასწავლებლის თავდადებას და მუდმივად ფიქრობდა მომდევნო საჩუქარზე, რომელიც რეპეტიტორისთვის უნდა გადაეცა. ერეკლემ „დოიშლანდის“ „ბე“ კლასიდან „ა“ კლასში გადაინაცვლა, დაწინაურდა.

რეპეტიტორს ყავა და ტკბილეული უყვარდა და გაკვეთილის დასრულებისთანავე სალომე ვახშამზე პატიუბდა, შემდგომ ტკბილეულითა და ყავით უმასპინძლდებოდა, თავის გამომცხვარ ნამცხვრის ნაჭრებს ზაზას ხელითვე ელენეს უგზავნიდა. ერთხელაც, ზაზამ დედას სალომესთან დარეკვა დააძალა, -მადლობა უთხარი ტკბილეულისთვის, ბავშვიც მოიკითხე...

-ხვალ ან სხვა დროს, ახლა გვიანია!

წარბები შეიკრა ზაზამ და სახეზე მრისხანება აღებეჭდა. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარმა ელენემ შვილს ქვემოდან ამოხე-

და და სხეული აუთრთოლდა, არ დამარტყასო არც უამისობა იყო, ზოგჯერ უმიზეზოდ ხელს მოუქნევდა და თან ჩქმეტდა მშობელს. დედა ცდილობდა, რაც შეიძლება დაბალი ხმით ეკვნესა, რომ მეზობლებს არ გაეგოთ.

- დამეხმარე! - დაიღრიალა ზაზამ, - შემაქე, მადლობა გადაუხადე ყურადღებისთვის და მერე, მე ვიცი...

- ახლა რომ არ ველაპარაკო არ შეიძლება? ღამეა, თერთმეტი საათია, მერიდება.

- ახლა, კომპიუტერთან ზის და ფოტოებს ამუშავებს! - აჩურჩულდა ზაზა.

- დია! - შეიცხადა ქალმა: - ფოტოგრაფია?!

- კიიი, რა იყო!

- ფოტოგრაფობა რა ქალის საქმეა, ბოშო!

- დეგენერატო ქალო! - ზიზილით მიმართა დედას ზაზამ: - კრეტინს რა გელაპარაკო, სხვა დროში ხარ, ოეეე!

- არ ვიცი, არ ვიცი! - დაბნეულად წარმოთქვა ქალმა: - მიდი, დარეკე, დაველაპარაკები.

ზაზამ სალომესთან ზარი გაუშვა, დედამ ტელეფონი გამოართვა, ყურზე მიიდო, მოთმინებით დაელოდა, როდის უპასუხებდა ახალგაზრდა ქალი, მაგრამ...

- გამორთული აქვს, ალბათ სძინავს!

ზაზა შეცბა. ოთახიდან გავიდა და აღარ შემობრუნებულა. ტაქსიში ჩაჯდა და სალომეს სახლისკენ გასწია, დედა-შვილთან სიახლოვე ეწადა, მაგრამ მათთან მისვლა ვერ გაებედა. კორპუსის წინ, გრძელ სკამზე ჩამოჯდა, ხერხემალი ეტკინა, ზედ განვა, ცალი ხელის მტევანი მკერდზე დაიდო და გაშეშებულს ჩაეძინა. დილით ვილაცამ შეანჯღრია: - ეი, მეგობარო, მეგობარო! - უთუოდ სალომეს მეზობელი იქნებოდა, ვინაიდან ჰკითხა: - შენ ის არ ხარ, დედა-შვილთან რომ დადიხარ?

- ერეკლეს გერმანულის მასწავლებელი! - მსწრაფლ წამოჯდა ზაზა სკამზე.

- ჰო, და ამ დილაუთენია აქ რას აკეთებ, რამე გაგჭირვებია?

-არა!

-კეთილი, მაშინ დაგტოვებ! - უპასუხა ორმოციოდე წლის პუტკუნა კაცმა და გაეცალა.

დილა იყო და ზაზა ფიზიოლოგიურმა მოთხოვნილებამ გაუსაძლისად შეანუხა. გარაჟებისკენ გაექანა, ორ კედელს შუა ჩადგა და ბუჩქებს მიაფსა. ნეტარებით ამოისუნთქა, მიიხედ-მოიხედა, მოფარებულისგან გამოვიდა, ონკანს მოჰკრა თვალი, მოუშვა, ხელები დაიბანა, სახეზე წყალი შეისხა და სალომეს ნახვის სურვილმა მორიდებაც გადაავიწყა. ამ გოგოს ხელიდან ვერ გავუშვებ, ყოველმხრივ კარგიაო, ბუტბუტებდა. ცას ახედა, თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, რომ სალომეს ჩაეხუტა, მოეხვია, ტუჩებზე აკოცა, გულის საკინძეც შეუხსნა, მკერდი მოუშიშვლა, ქალიც კოცნის გაშმაგებით. იხდის, ლამისაა ტანთ სამოსი შემოიხიოს. სალომე ჩერდება, აღარ კოცნის, ღიმილით უცქერს, მოთმინებით ელის საყვარელ კაცს, რომ ვნების მორევში ჩაიძირონ. ოცნება შეწყვეტა, დილის ათი გამხდარიყო, მოშიებოდა, გაიფიქრა, რაც იქნება, იქნებაო და ზოზინით ავიდა პატარა ერეკლეს სართულზე, საშინლად უნდოდა სალომეს ნახვა, აი, კართან დგას და ზარს რეკავს, ცოტა ხნის შემდეგ აბრაახუნებს, ნერვიულობს. მეზობელმა კარი გააღო და უთხრა: - ბატონო, დილაუთენია აბრაახუნებთ, გვაშინებთ... არ არიან სახლში!

-როგორ! - დაფეთდა ზაზა: - სად, ვისთან, რატომ წავიდნენ?!

-რამდენადაც ვიცი, გუშინ სალომე მივლინებით საირმეში გაემგზავრა.

-როგორ, სალომეს მივლინებები აქვს?! ბავშვი სადღაა!

- მასთანაა! - უპასუხა მეზობელმა ქალმა.

-ვის, რომელ მანქანაში? - იკითხა ზაზამ.

მეზობელმა მხრები აიჩეჩა და კარები მიხურა.

ზაზა კიბეებზე დაეშვა, ნერვიულად იქნევდა ხელებს და იმეორებდა, მივლინება, მივლინება, მე შენ გაჩვენებ მივლინებას!.. გული გამალბებით უცემდა და თავადაც არ იცოდა, საითკენ გარ-

ბოდა. სალომე ქალაქის ფარგლებს გასცდა?! იქნებ, ნათესავე-
ბიც ბლომად ჰყავს! უარესად ანერვიულდა. ისინი შეეცდებიან
დაგვაშორონ, მაგრამ ვიბრძოლებ, უკან არ დავიხევ, დედას გი-
ტირებთ, ნათესავებო და მივლინებებო, ვერ დამაშორებთ! ბევ-
რი ნათესავი გყავს? რატომ ყავს ნათესავეები, ან რა გაუძლებს
მაგათ და საერთოდ, რატომ არსებობენ ეს უაზრო ნათესავეები,
მეგობრები, კეთილმოსურნეები, უმაქნისები, ჭორიკნები და ღო-
რები! სურვილი კლავდა, სალომეს ყველა ნათესავისთვის თუნ-
დაც ნაცნობისთვის თავი გაეჭეჭყა. ამას რომ ფიქრობდა, ქალა-
ქის ცენტრში მდებარე ბაღში იჯდა, თბილ ფუნთუშას კბეჩდა
და ლუკმებს ცივი კოკაკოლით ასველებდა. სანამ დამსაქმებელ
არაბს ეახლებოდა, ქვა აიღო და წარმოსახვით სალომეს ნათე-
სავეებს დაერია, ზოგს თავი გაუტეხა, ზოგს თითები და სახე და-
უჩეჩქვა, ზოგს ნეკნები და გულის ფიცარი შეუწგრია და გულმო-
ოხებულმა მუჭში მოქცეული ქვა ძირს დაანარცხა. უკეთ გახდა,
სიბრაზეც გაუნელდა და კუნტრუშით გაქანდა დამსაქმებლის-
კენ, არაბის საუზმობას თუ შეესწრებოდა, მასაც ერგებოდა
ცხელი, მსუყე და უცხო გემოიანი საჭმელი, მაგრამ არაბი შინ არ
დახვდა, არც სალომეს ახლობელი მეზობელი მოხუცი ქალი და
დაღონდა, უფრო იმის გამო, რომ კვლავ მოშიებოდა. შინ, ელე-
ნესთან ერთ ოთახში ყოფნა არ უნდოდა და არაბ-ინდოელ-ირა-
ნელებით დასახლებულ უბანში დაყიალებდა, ვიღაცებს ქუჩაში
თარჯიმნობაც გაუწია, კოსტიუმის ჯიბეში ლარები ჩაიკუჭა.
შაურმით დანაყრდა, ამასობაში ტელეფონმაც დარეკა, დაინტე-
რესდა, მხოლოდ ელენე და არაბი ურეკავდნენ, მაგრამ ეკრანს
მაინც დახედა, სალომე ეწერა და აკანკალებულმა მაშინვე უპა-
სუხა. ქალმა უთხრა, საირმეში ვიმყოფებით. დღეს შინ არ ვართ
და შეიძლება, ხვალის მაგივრად ერეკლეს ზეგ საღამოს ჩაუტა-
როთ გაკვეთილი? კი, კიო! - თავის უცნაური კანტურით დაეთან-
ხმა ზაზა და უკვე აღარ ეჭვიანობდა საირმეზე, მივლინებაზე,
ნათესავეებზე, თანამშრომლებზე, აღარც მეგობრებზე. აბსოლუ-

ტურად მშვიდი გახდა. თავის არაბსაც შეხვდა, იმუშავა, სალამოს კი დაპირებისამებრ, დედამისი მობილური ტელეფონით უცნობ-
ნაცნობ სალომეს დაელაპარაკა.

-გამარჯობათ, გენაცვალე, სალომე!

-სალამი! - დაიბნა ახალგაზრდა ქალი.

-ზაზას დედა ვარ და გირეკავთ იმიტომ, რომ მადლობა გითხ-
რათ, შესანიშნავი კონდიტერი ბრძანდებით.

-გმადლობთ შექებისთვის, შეგერგოთ!

-ჰო, მე ელენე მქვია. ჩემს ბიჭს ძალიან უყვარს თქვენი ერეკ-
ლე, სულ მასზე მესაუბრება.

-მართლა? - გახალისდა სალომე: - ვიცი, ერეკლე უყვარს,
მაგრამ თქვენთანაც თუ ჩემს ბიჭუნაზე საუბრობდა, არ მეგონა!

-ჰო, ზაზას უყვარს ბავშვები, თავადაც კარგი შვილია, ყუ-
რადღებიანი, მზრუნველი, მამაც კარგი იქნება!

- დიახ, რა თქმა უნდა, ეყოლება შვილებიც!

-ეჰ! - ამოიხვნეშა ქალმა: - ჩვენ ისეთი სახლ-კარი დაგვატო-
ვებინეს, დიდებული. სოხუმის ელიტა ჩვენსას იკრიბებოდა, მამ!

- იქნებ, მოხდეს სასწაული და მალევე დაბრუნდეთ აფხა-
ზეთში.

ზაზას დედამ კვლავ ამოიხვნეშა: - მეექვსეა გენაცვალე,
ნართმეულს ვინ დააბრუნებს!

-სასწაულებიც ხდება! - დაამშვიდა სალომემ ელენე.

-ახლა მთავარია, ზაზა დაქორწინდეს. მზრუნველია, ჩემი
შვილი!

- კი ბატონო, დაქორწინდეს, დასაქორწინებელი ქალების მე-
ტი რაა!..

ელენე შეცბა, ვინაიდან სალომე თავის თავს აშკარად არ გუ-
ლისხმობდა. დედამ ზაზას თვალეზმოჭუტულმა გახედა, რომე-
ლიც ფრჩხილებს იკვნეტდა.

-კი, მაგრამ ჩვენ გარიგებით არ გვინდა...

- რალა დროს გარიგებებია, მაჭანკლობის ინსტისტუტი გა-
უქმებულია...

ქალბატონი ელენე პოეზიაზე გადავიდა: - „სიყვარული აღ-გვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“, - უთქვამს დიდ პო-ეტს! - ჩამოარაკრაკა პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ სხვადასხვა სტროფი და სალომემ შეაჩერა ზაზას დედა: - უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, მშვენიერი სტროფების შეხსენებისთვის, ღამეა, ნამგზვრი ვარ, მეძინება და თუ თქვენც ინებებთ, საუბარი სხვა დროს გავაგრძელოთ!

და ეს სხვა დრო, თითქმის ყოველი ღამე გახდა, ელენე შო-თა რუსთაველის პოემიდან ფრაგმენტებს უკითხავდა სალომეს, თან ეტრაბახებოდა, კარგი მახსოვრობა მაქვს, კონსტიტუცია თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიცი, იურიისტი ქალი ვარო! საკუ-თარი ლექსიც წაუკითხა ელენეს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ არა და არ შეეშვა. სალომეს ედო მაგიდაზე ტელეფონი და თავის საქ-მეს აკეთებდა, ელენე კი ქაქანებდა და თუ არ შეაჩერებდი, არც გაჩერდებოდა....

ელენემ გულახდილად განუცხადა ზაზას: - ამ გოგოს შენთან არაფერი აკავშირებს, ვგრძნობ!

-ჰო, კაი ახლა, ნუ დაიწყებ!... - აბუზღუნდა ზაზა.

-ჯერ არაფერი მითქვამს, მარა, რა გინდა, რომ ქნა აწი, ჰა?! გაგიმეორებ, შენთან იმ გოგოს სასიყვარულოს მსგავსი არაფე-რი აკავშირებს!

-კი, აბა, გეგონოს, ხომ არ გეტყვის, ლოგინში გემოც გაუ-სინჯე შენს შვილსო! - თქვა და დედისთვის არც შეუხედავს, კარს ეძგერა, დერეფანში გავარდა და ქუჩაში დიდხანს ირბინა, მოგრძო ნესვის ფორმიანი, სანახევროდ მელოტი თავი კისერზე ხინჯია-ნად მიკერებულებით უქანავ-უყანყალებდა, ხელებიც ისე გაენ-ვდინა, თითქოს ვინმეს უნდა მოეხვიოსო, რომ დაიღალა, მკლა-ვებიც ჩამოყარა, საერთო საცხოვრებლის კიბეები მძიმედ აიარა, ოთახში სანოლამდე მისავალი სწორი ბილიკი გაიარა და მისავა-თებულს იმ წამსევე ჩაეძინა. შუალამით წამოიყვირა, ელენეს გა-ელვიდა და ყურადღებით მოუსმინა შვილის წამოძახილებს, ბე-დია... ჩემია... არ დავთმობ... ძუძუებიიი! აჰ, აჰ! - აკრუსუნდა ზაზა

და ელენე სასწრაფოდ შვილის სანოლს მიუახლოვდა, ბოდვების-გან, რომ ეხსნა და შეეხო. დაფეთებული წამოხტა, ზაზას კვლავ სირბილი მოუნდა, მაგრამ ოთახში დაყრილ ხარახურებს წამოედო და წაიბორძიკა: - უხ, თქვენიი! - წამოიყვირა, დედამისი ჩუ, ჩუს ჩასძახოდა, ნუ გმინავ, სირცხვილია, ხალხი რას იტყვისო?!

-მკიდია! -დაიღრიალა ზაზამ.

ზაზა ბავშვობაში ენატანობით გამოირჩეოდა, თავის გამოჩენა უყვარდა, „შატალოებზე“ არ დადიოდა, ტრაბახაც იყო, მაგრამ საერთო ენას ვერავისთან პოულობდა, არადა, ნიჭიერებით სხვათაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. თხუთმეტი წლისამ რუსული და აფსუური ენები მშობლიურივით იცოდა, სომხურად ლაპარაკიც შეეძლო. სკოლაში მასზე უკეთ ინგლისური თავად მასწავლებლებმაც არ იცოდნენ. იტალიურისა და ფრანგულის შემსწავლელ კურსებზეც დადიოდა, სამაგიეროდ, ქცევები ქონდა საზოგადოებისთვის მიუღებელი. ტყუპ ბიძაშვილებთან ერთად იზრდებოდა, მაგრამ იმ ბიჭებმაც ვერ შეიყვარეს, გაურბოდნენ და ესეც ვერ იტანდა ტყუპებს, ამიტომ, ბიძა და ბიცოლა ელენეს ხათრით იტანდნენ, ოჯახს ფაქტიურად ელენე ინახავდა, წარმატებული ადვოკატი იყო. შვილისთვის არასდროს ეცალა. ძმას და რძალს მიანდო ზაზას თავი, სადაც ორი გყავთ, აჰა, ესეც მესამეო!..

ზაზას ბიძამისი ბოროტი გამოხდომების გამო ზოგჯერ კინკრიხოზე წაუთაქებდა, ხელმარცხიანიც იყო რასაც შეეხებოდა ყველაფერს ტეხდა, აფუჭებდა, ბიძაშვილებს უღრენდა და მაინც ფიქრობდა, რომ ყველაზე უკეთესი იყო ოჯახში. დედას ეუბნებოდა, შენი ძმა და რძალი მკაცრად მეპყრობიან, მცემენ და მჩქმეტენო! ის კიდეც პასუხობდა, ალბათ, ღირსი ხარო. შვილს სასაუბროდ არ უჩერდებოდა, გაურბოდა. კარგა ხანს სდია კუდში დედას, ის კი ზედაც არ უყურებდა. ამიტომაც ხელი ჩაიქნია, საბოლოოდ ჩამოშორდა და დედის მიმართ, შინაგანად გაცივდა.

უზარმაზარ ოთახში მარტოს ეძინა და მამის სახეს ვერ იხსენებდა. მასთან შეხვედრაზეც ვერ ოცნებობდა, რომელიც ახალ-

გაზრდობაში ცნობილი მოჭიდავე გახლდათ. ელენეზე მუდმივად გაბრაზებულ-განანწყენებული გახლდათ. ქალი შინ თითქმის არ იყო და როცა ბრძანდებოდა, მაშინაც, უმეტეს წილად დღის საათებში ეძინა და ძილს არც ღამით უჩიოდა. ჰო, და ერთხელაც, ქმარმა უთხრა, გაბრუნდი, რაც გინდა ის ქენი, თავი დამანებე, სხვაზე უნდა დავქორწინდეო.

გაბრაზებული ელენე ვაჟთან ერთად მშობლიურ სახლში დაბრუნდა, რომელშიც ძმა ოჯახით ცხოვრობდა. გერონტის შვილი ზაზა მალევე მოენატრა და ცოლყოფილის ეზოს ჭიშკარს მიადგა, კინწისკვრით გააგდეს. ეს ბავშვი ახლა მხოლოდ ჩემია! -ლანძღვა მიაყოლა ელენემ. მაშინ ზაზა შვიდი წლისა იყო და ეს მომენტი კარგად ახსოვს, გაქცეულ გერონტის ზურგის მხრიდან თვალი მოკრა, მას შემდეგ აღარც უნახავს.

ერთ დღეს სალომემ რეპეტიტორს ნდობა გამოუცხადა, აიღო თავსაფარი და ეკლესიაში წავიდა. ზაზას ნერვები მოეშალა, დაიჯღანა, მაგრამ ვერაფერი თქვა, ან რა უფლება ჰქონდა საყვედურისა?! ეჭვის ჭიამ ტვინი ამოაჭამა და ზაზას ჩასძახა, ეკლესიაში კი არა, საყვარელთან შესახვედრად გაიქცაო და იმ კაცის ხატებაც თვალწინ დაუყენა. ბავშვმა ტექსტის კითხვისას ოდნავ წაიბორძიკა და განრისხებულმა რეპეტიტორმა ერეკლეს მკლავზე გამეტებით უჩქმიტა. ბიჭს ტკივილისგან ლამის გული გაუჩერდა, მაგრამ მასწავლებლის აგრესია არ გააპროტესტა, ალბათ, ღირსი ვარ, იმიტომ, რომ შემეშალაო. შემდეგ გაკვეთილზეც სადღაც წავიდა სალომე და კაცები შინ რომ დატოვა, ზაზას კვლავ სიბრაზემ სძლია და ერეკლეს კვლავ, ამჯერად უმიზეზოდ უჩქმიტა, ბავშვმა ტკივილს ვერ გაუძლო და ცრემლები წამოცვივდა. ზაზა შეკრთა, დედამისს ენა არ მიუტანოსო და მაშინვე თავს დაადგა თავზე უხეშად ხელი გადაუსვა, ხელში აიყვანა, მკერდზე მიიკრა, მაპატიე, დედაშენს არ უთხრა, მეტს აღარ ვიზამო, აბუტბუტდა. ერეკლეს შეეცოდა მასწავლებელი, დაპირდა, არ ვეტყვიო და თხოვა, დამსვითო. ზაზამ ბავშვს ბარძაყებზე შემოხვეული მკლავები მოაშორა და იმ ღამით, როცა

დედა ერეკლეს ტანთ გახდაში ეხმარებოდა, მკლავზე ორი ნაჩქმეტი დაუნახა, ერთი მკვეთრად ჩალურჯებული, მეორე ცოტა ქვემოთ, შედარებით ახალი, ალისფერად დაჩნეოდა. აღშფოთდა: - ვინმესთან იჩხუბე? არაო, პასუხობდა ბიჭუნა. თავჩაქინდრული იდგა ტრუსის ამარა, მაგრამ დედის ჩიჩინი, რომელიც ჩასძახოდა, - ვინ გიჩქმიტა! ყელში ამოუვიდა, თვალებიც ეხუჭებოდა და წამოცდა, ზაზა მასწავლებელმაო. ქალი მსგავს საქციელს რეპეტიტორისგან არ მოელოდა. ბავშვს კი გაუღიმა, მაგრამ მრისხანებით მოცული ფიქრობდა, ბიჭუნა ისე წამოვზარდე, თითიც არ დამიკარებია და ეგ ვინაა, ჩემს შვილს სისხლის ჩაქცევამდე რომ ჩქმეტსო?!

დედას ღამით არ სძინებია, გულმოსულს ზაზას დანახვაც არ სურდა, შესძულდა ეს უშნო კაცი.

ბავშვისთვის ჩვეულებრივად გათენდა, ისაუზმეს, სამარშრუტო ტაქსში ჩასხდნენ, სალომემ შვილის შუბლს ტუჩები შეახო, ერეკლეს ეამა მშობლის ამბორი და დედას მკერდზე მიეკრა. სკოლის კიბეებთან დატოვა ერეკლე, ტროტუარიდან ტროტუარზე გადასასვლელი ხიდით მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და სამსახურში შევიდა, უხასიათობა თანამშრომლებმაც შეატყეს. ლანჩზე, ასე ეძახდნენ პატარა ნახემსებს, ყავას, ჩაის და ტკბილეულს როცა მიირთმევდნენ კოხტად მოწყობილ პანია სამზარეულოში, სალომემ ფანჯრიდან, სკოლის ტერიტორიასთან მოწრიალე ზაზას თვალი მოკრა და სიბრაზისგან სახე წამოუწითლდა, ამას აქ რა უნდაო?! ფანჯარას გაეცალა, მცირე ხნის გასვლის შემდეგ, კვლავ გაიხედა, ზაზა აღარ დაუნახავს და შვებით ამოისუნთქა.

ზაზა კვირა დღეს გაკვეთილის ჩასატარებლად რომ მოვიდა, ქალი სახლიდან აღარ გავიდა, რეპეტიტორის მიმართ ნდობა დაკარგა, ისევ უხეშად არ შეეხოს ჩემს ერეკლესო და მათთან ერთად მაგიდას მიუჯდა. ზაზას კიდევც ესიამოვნა სალომეს სიახლოვე, მისი სხეული ჟასმინის ყვავილის სურნელს გამოსცემდა და ზაზამ ქალის მიმართ სექსუალურ ლტოლვაც კი განიცადა.

აცმუკდა, კაცი ვარ, კაციო, გაიფიქრა, მაგრამ სურვილს ხმა-
მალლა ხომ ვერ განაცხადებდა, დრო კი გარბოდა. სალომე გა-
ზაფხულის შემობრძანებას ელოდა, განსაკუთრებით მაისისას,
რომ ერეკლეს გერმანულში გამოცდა ჩაებარებინა და თვალე-
ბაყეტილი ჩქმეგია რეპეტიტორი სამუდამოდ დაეთხოვა.

პარასკევს სალომემ ერეკლე სკოლიდან გამოიყვანა, სამსა-
ხურში შეიყვანა და ბავშვს ხელსახოცთან ერთად შაურმა თეფ-
ზე დაუდო. ერეკლე გამოიტივნა. დედამ უთხრა, კალორიების
დანვის დროა, ცურვის გაკვეთილზე წავიდეთო. ავტობუსს არ
დაელოდნენ, შუა დღეს სამარშუტო ტაქსებში დასაჯდომი ად-
გილები ბლომად იყო, გააჩერეს, ავიდნენ, გზაში ანიმაციური
ფილმის შესახებ ისაუბრეს, ბედნიერები დანიშნულების ადგი-
ლას ჩამოვიდნენ და საცურაო აუზის შენობას მიუახლოვდნენ,
მათ ზურგს უკნ ჩაბოხებულმა ხმამ დაიძახა, კუკუ! მოიხედეს.
ზაზა იდგა, ყურებადმდე გაღიმებული. ქალის გულს შიშის პანია
ნაპერნკალმა გაჰკრა, ბავშვს კი გაეღიმა, რეპეტიტორის და-
ნახვამ გაახარა, ბიჭების გასახდელში შევიდა. ზაზა და სალომე
მოსაცდელში გვერდიგვერდ დასხდნენ. ქალი თავს უხერხულად
გრძნობდა. კედლებზე ოთხივ - კუთხით ჩამოკიდებულ მონიტო-
რებს გახედა და ერთ-ერთს მიაშტერდა. სხვა ბავშვებთან ერ-
თად ერეკლეც გამოჩნდა. ზაზა ჩუმად იჯდა, მაგრამ ერთი ფეხის
ტერფს ნერვიულად ახანხალებდა, ქალიც აღელდა, სახე წამოუ-
წითლდა. ზაზამ ხმამალლა, ყველას გასაგონად წამოაყრანტალა:
- კაფეა აქვე, არ გინდა, ყავაზე დაგპატიჟო?

ქალმა ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიღო, ხმას დაუწიეო და
თავიც გააქნია. ზაზამ თვალეები დაშტომა, უარს რატომ ამბობო,
ჰკითხა. ქალმა უპასუხა, უკვე დავლიეო. პირველად უპასუხა ზა-
ზას შენობით, ამ მომენტამდე ყოველთვის თქვენობით მიმართავ-
და, ახლა კი, ღირსად არ ჰყო. მაშინ, ხინკალი ვჭამოთ, არ მოეშვა
კაცი, მაგრამ ქალმა უპასუხა, ერეკლეს გარეშე არაფერს ვჭამო.

ეს როგორო?! გაიკვირვა ზაზამ. ჩვეულებრივად, უპასუხა
ქალმა. ზაზას სახე მოებრიცა და ანიშნა, გარეთ გამოდიო, ქალი

მორჩილად გაყვა, იქ მყოფი სხვა მშობლებისა რსცხვენოდა ამ ნესვისთავა კაცის გამო, თან აინტერესებდა, რისი თქმა სურდა ზაზას. კაცმა ღრმად ამოისუნთქა და ქალს თამამად განუცხადა, მიყვარხარო. სალომე ყურებს არ უჯერებდა, როგორც ამბობენ, პირკატა ეცა თუმცა გაეცინა. რას იკრიჭებო, გაუთამამდა კაცი. ცოლად მოგიყვან, ბავშვის გაზრდაში დაგეხმარები და მეც ერთ შვილს ხომ გამიჩენო? ჩააცვიდა. სალომე გაოცდა, არ ეგონა, მსგავსის თქმას ვინმე თუ გაუბედავდა და გაბრაზებულმა შეუტია: - ნადი!!! - ზაზას ზურგი შეაქცია და გულაფრიალებული, სწრაფი ნაბიჯებით შენობისკენ გაემართა. ზაზა ამჯერად გაეცალა.

სალომემ, ნადიო რომ უთხრა ზაზას სამუდამოდ წასვლა იგულისხმა, რაც კაცმა ვერ გაიგო ან არ შეისმინა და მომდევნო დღეს, დანიშნულ დროს მათი ბინის კართან იდგა ზარის ღილაკზე საჩვენებელ თით-მიჭერილი. კარი გაუღეს, მაგრამ ქალი ცივად შეხვდა, როგორც კი ზაზა ბავშვთან ლოჯიაში შევიდა, სამზარეულოში გამომავალი კარი ფართოდ გააღო, მაგიდას მიუჯდა, რომ გავკვეთილის მსვლელობისთვის არა მხოლოდ ყური, თვალიც ედევნებინა, ზაზა მისგან ზურგით იჯდა, ბავშვი კიდეც პროფილში. გადაწყვიტა, საღამოს ზაზასთვის ესემესი მიენერა, რომ მალე ბავშვი გამოცდას ჩააბარებს, უკვე შეუძლია დამოუკიდებლად მეცადინეობა და თქვენის მხრიდან დახმარება აღარ გვმჭირდებაო, მაგრამ ვერ გაბედა. მიხვდა, რატომაც ურეკავდა ყოველ ღამით ელენე, ზაზას მიზნის მიღწევაში ეხმარებოდა და სალომესთან დაახლოებას რუსთაველის პოემის მოშველიებით ცდილობდა.

ზაზამ გაკვეთილის მსვლელობისას ერეკლეს დაავალა ავტობიოგრაფია დაწერე, რა მოგწონს და ვინ გინდა გამოხვიდეო. ბავშვი წერას შეუდგა და ზაზამ დრო იხელთა, სალომეს ესემესი მისწერა. სამზარეულოს მაგიდაზე დადებულმა მობილურმა ტელეფონმა დაინკარუნა და ერეკლემაც ყურები ცქციტა, წამით, წერა შეწყვიტა, ზაზა მასწავლებლის ხელებში მოქცეულ შავ ტელეფონს შეხვდა, მიხვდა, დედამისს რომ მიწერა. სალომემ ტექსტი მაშინვე წაიკითხა.

-რას ფიქრობ შემოთავაზებაზე? გადაწყვეტილების მისაღებად საკმაოდ დრო გქონდა, ვქორწინდებით?

არა! - მიწერა ქალმა.

პასუხმა ზაზა გაანერვიულა, მაგიდასთან მჯდომმა, ლოჯიდან სამზარეულოში მაგიდასთან მოკალათებულ ქალს მრისხანედ გამოხედა. ბავშვი გატაცებით, ლაღად წერდა დავალებას, გერმანული ენა ძალიან უყვარდა.

უმაღური ხარ, ჩემი დამსახურებაა, ბავშვმა რა დონესაც გერმანულში მიაღწია, ფულის აღებაც არ ვიკადრე, ბევრი ვიშრომე და ეს არ დაგავინყდეს!

ქალმა მონაწერი მაშინვე წაიკითხა, მამადლისო, გაიფიქრა სასონარკვეთილმა და მარჯვენა თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა, ღანვზე ჩამოეღვენთა. სასწრაფოდ, სოლიდური თანხა უნდა ეშოვა, რომ რვა თვის მანძილზე განეული გარჯისთვის რეპეტიტორისთვის გადაეხადა და ფიქრებში გართულს მისთვის პასუხი აღარ გაუცია და რა იფიქრა ან იეჭვიანა ბატონმა რეპეტიტორმა, ღმერთის გარდა, არვინ იცის.

მომდევნო დღეებში, მეუღლის მოხუცი ნათესავისგან, ვინც ზაზა მასწავლებლად გამოგზავნა, ფული ისესხა და ბანკში შევიდა, რომ ზაზას ანგარიშზე სოლიდური თანხა ჩაერიცხა. მისი სეხნია-მოგვარეები ბლომად იყვნენ, მაგრამ ქალს მახვილი თვალი ქონდა და ზაზას ფოტოს მაშინვე მიაგნო, შესაძლებლობა მიეცა მის ანგარიშზე თანხა ჩაერიცხა. შვებით ამოისუნთქა. ვალი აღარ ქონდა და გაიფიქრა, ახლა ხომ მაინც დამეხსნებაო. ერეკლეს კი მოახსენა, - საკმაოდ ცოდნა დაგიგროვდა, ახლა გერმანულს შენი ძალებით მიყევი, ხომ შეგიძლია?

ბავშვმა თავი დაუქნია და დედა დაპირდა, ზღვაზე წაგიყვანო. ბიჭუნას ზღვა არ ენახა და სიხარულისგან ლამის ცას ეწია, ამასობაში ზაზა მასწავლებელიც მოვიდა, მაგრამ ქალმა შინ აღარ შეუშვა, კარებში ჩამდგარმა, გადახდილი თანხის ქვითარი ლამის შუბლზე ააკრა და ჩურჩულით უთხრა: - მადლობელი ვარ თქვენი გარჯისთვის, იმისთვისაც, რომ თანხას გასამრჯელოს

სახით არ გვართმევდით თუმც ჩემის მხრიდან, თქვენ ყურადღება და პატივისცემა არ მოგკლებიათ, მაგრამ ახლა თანხაც ხელთ გაქვთ, დამსახურებულად, თქვენი დახმარება ერეკლეს აღარ ჭირდება და კარგად ბრძანდებოდეთ. ზრდილობიანი, ოფიციალური, იმავდროულად მადლიერიც იყო ახალგაზრდა ქვრივი, ვერაფერს ეტყოდი, მაგრამ ზაზამ მაინც შეურაცხჰყოფილად იგრძნო თავი, დაბნეულად იკითხა: - ერეკლესთან დამშვიდობების უფლება მაქვს?

-აჰ, დიახ, რა თქმა უნდა!

ამასობაში ზაზამ მობილური ტელეფონი ჯიბიდან ამოიღო და ქალს ფოტო გადაუღო. სალომე შეცბა, არ ესაიამონა, მაგრამ შვილს დაუძახა, ერეკლე სადარბაზოში გამოვიდა, დედა ოდნავ გაიწნა, რომ მასწავლებელს გამომშვიდობებოდა. ზაზა ერეკლეს ჩაეხუტა. ყურში ჩასჩურჩულა, დედაშენმა დამითხოვა, არა-უშავს, ჩემი ნომერი გაქვს და თუ რამ გაგიჭირდეს დამირეკე, მაშინვე შენთან გაგჩნდებიო და წავიდა. ქალმა თავისუფლება იგრძნო, თითქოს მონობას თავი დააღწია, სამაგიეროდ, ზაზა გახდა შეუძლოდ, გულ-მკერდის არეში გაუჩნდა პანია, წინ და უკან მოგორავე ბურთი, რომელმაც ნერვები მოუშალა. უღიმღამო, უსიხარულო წარსული მეხსიერებამ ამოუტივტივა და ბავშვობის წლებში ვერაფერი სასიამოვნო, გასახარი ვერ იპოვა, გული დაწყდა და საკუთარი თავი შეეცოდა. კლასელები დასცინოდნენ, არსად ეპატიჟებოდნენ, გოგონებიც გაურბოდნენ, ყველასგან უარყოფილი იყო, საკუთარი დედისგანაც, ახლა მათ რიცხვს სალომე და პატარა ერეკლეც შეემატნენ. გაახსენდა, საკუთარი ქალაქიდან გამოგდებულმა დედასთან და ბიძის ოჯახთან ერთად საკენ-ჭუბერის ჯოჯოხეთური გზა რომ გამოიარა, დაღლილები წარამარა უზარმაზარ სიბ ქვებზე სხდებოდნენ, რომ მოესვენათ და ზაზა როგორც კი ჩასთვლემდა, ბიძამისი მხარზე ხელს წამოართყამდა, არ დაგეძინოს ბიჭო, არ დაიძინო, თორემ ძილში გაიპარები, აი, ამათსავითო! - მიუთითებდა ცოცხლად გაყინულ ადამიანებზე. მერე, შემთხვევით ნაცნობი სვანი კაცი შეხვდა

ბიძამისს, რომელსაც ცხვირი თუთიყუშის ნისკარტს მიუგავდა, მძიმედ ლაპარაკობდა, სვენებ-სვენებით, მუქი ნაცრისფერი თბილი სვანური ქუდი წარბებამდე ჩამოეფხატა: -ჩემთან წამოდიო! - დაიღრიალა და ესენიც გაყვნენ. ოთხი დღე იცხოვრეს იმ ოჯახში. ზაზა და დედამისი დედაქალაქისკენ წამოვიდნენ, ბიძამისმა ოჯახითურთ ქუთაისისკენ გასწია, იმერლები მიყვარს და იქაურობას უფრო შეეგუებო. ზაზა დედასთან რომ დარჩა, ბიძის გარეშე გზის გაგრძელებისა შეეშინდა. მერე, სოხუმელე-ბით გაძეძგილ ავტობუსში ჩასხდნენ და ზაზამ თვალები დახუჭა, ძილით შიშსა და ბუნდოვან მომავალზე ფიქრს თავი აარიდა. თბილისში ჩასულ ლტოლვილებზე მერიამ იზრუნა.... საერთო საცხოვრებელში შეასახლეს, დიდი, ნათელი, ორ ფანჯრიანი ოთახი მისცეს, მაგრამ ოთხ ლტოლვილ ოჯახთან ერთად საერთო სამზარეულოთი და დანარჩენი სველი წერტილებით უნდა ესარგებლათ. ბედს შეეგუა დედა-შვილი, უფასოდ ჭერი ქონდათ, დანარჩენი მათზე იყო დამოკიდებული. სამშობლოშივე ლტოლვილებად ქცეულმა ოჯახებმა თავის გატანის გზები გამონახეს, მიდგნენ, მოდგნენ, ამოაშენეს, მიაშენეს, დააშენეს და საკუთარი სამზარეულოები, ლოჯიები, აბაზანა-ტუალეტები მოიწყეს, ყოველივე საერთოს განერიდნენ.

წლები გავიდა, მაგრამ ამ უღიმღამო და უსახურ შენობაში შესახლებულები აღარვის გახსენებია. ორი ოჯახი დარჩა საერთო სველი წერტილების ამარად. შნოგამოცლილი ზაზა, მოხუცი ელენე და გვერდით მცხოვრები ჯემალას მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ერთი ვაჟი ინვალიდი ყავდა.

ზაზა პურის ფულს ქუჩაში თარჯიმნობით შოულობდა. კმაყოფილი საზიზღრად ღლინებდა იმაზედ, რომ მეზობლების ოთხმოცდცხრამეტი პროცენტი აბაზანასთან ხელ-პირის, სხეულის დასაბანად და საერთო ტუალეტთან შარდის ბუშტის დასაცლელად, ზოგიც მოსასაქმებლად რიგში აღარ იდგა და ნებისმიერ დროს შეეძლო წერვებდაუნწყვეტლად ჰიგიენის დაცვა. დედამისიც სოხუმელმა ნაცნობმა ქალაქის ძველ უბანში თავის

საადვოკატო კანტორაში მიიღო, მაგრამ ელენეს ცოდნა ოფისს არ აკმაყოფილებდა და მას მხოლოდ ყავის მოდულება, ჭურჭლის გარეცხვა ევალებოდა. ოთახში მაგიდის გარეშე, სავარძელი დაუდგეს და ამ კუთხეში იჯექიო უთხრეს. გზის ფულს აძლევდა ოფისის ხელმძღვანელი. რა პოზიციაც გააჩნდა სამსახურში ელენეს, იმისი დაკარგვისაც ეშინოდა. ჩუმად იჯდა, ყველას უღიმოდა და შენ გენაცვალე, შენი ჭირიმეს გარდა სხვას არას ამბობდა. შინ დასაძინებლად მიდიოდა და ზაზას ჯაჯღანს უსმენდა, რომელიც ხმაგაკმენდილ დედას გამეტებით ურტყამდა. ოთახის გარეთ, როცა საერთო სამზარეულოში ყავას ადულებდა, აუტანელი, თავხედი, უჟმური შვილის მავნებლური საქციელების შესახებ ჯემალას ცოლისგან საყვედურებს ისმენდა. ზაზამ ონკანი გააფუჭა, ზაზამ სამზარეულოს კარის საკეტი გატეხა, სახელურიც მოგლიჯა, ზაზამ არასრულწლოვნებს შეაგინა და აბაზანით სარგებლობისას ცხელ წყალს რომ ხარჯავს გადასახადის წილშიც არ შემოდის, ყველაფერს აბინძურებს...

გაზაფხულის მშვენიერ კვირა დილას სალომემ ერეკლეს შესთავაზა, თბილისის ბოტანიკურ ბაღში წავიდეთ, ფოტოებს გადავიღებ, შენ კიდევ გაერთობიო და ავტობუსის გაჩერებასთან რომ მივიდნენ იქ ზაზა მასწავლებელს შეეფეთნენ. ქალი უსიამოდ შეიშმუშნა. კაცმა იკითხა, სად მიდიხართო? ბავშვმა უპასუხა, ბოტანიკურ ბაღშიო. ზაზას ისედაც დაჭყეტილი თვალები უარესად გაუფართოვდა და დედა-შვილს ძალღივით აეკიდა. სალომე გაღიზიანდა, მაგრამ ბედს შეეგუა, გუნება-განწყობა არ გაიფუჭა, საქმეს შეუდგა, ფოტოებს უღებდა კვირტებგამოტანილ ხის ტოტებს, ყვავილებს, შვილსაც უღებდა, მაგრამ ზაზაც მოეჭდებოდა კადრებში და სურათებს აფუჭებდა. პარკში უცხოელებიც სეირნობდნენ და ზაზა თავმომწონედ ორ გერმანელ გოგონას გამოელაპარაკა. მიხვდნენ, სალომე პროფესიონალი ფოტოგრაფი რომ იყო და პოზიურობა დაიწყეს. ზაზა სალომეს იმ მხრივ გაეპრანჭა, რომ გოგონებთან ჩქარი გერმანულით ალაქლაქდა. ისინი შეკითხვებს აძლევდნენ, ეს პასუხობდა და

თვალს სალომესკენ აპარებდა, რომელიც თავჩაქინდრული იდგა და გადაღებულ ფოტოებს ძვირად ღირებულ ქენონის ფოტო-პარატის ეკრანზე ათვალიერებდა. მერე, სამიკიტნოში შევიდნენ და ზაზა ხელების დასაბანად რომ გავიდა, ერეკლემ დედას უთხრა, ზაზა მასწავლებელმა იმ გოგოებს ჩემზე უთხრა, შვილიაო და შენზე კიდევ, ძალიან მიყვარსო.

-რას ამბობ შვილო, მართლა ასე უთხრა იმათ?!

ბიჭმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია: - კი, დედა!

სალომე აღშფოთდა და ზაზა მაგიდას რომ მიუჯდა რუსულად ჰკითხა, ვინაიდან ერეკლეს ინგლისური კარგად ესმოდა, რუსული კი- არა.

-რატომ უთხარით გერმანელებს, რომ ჩვენ თქვენი ცოლ-შვილი ვართ?!

ზაზა შეცბა, მაგრამ არ დაბნეულა: - საიდან მოიტანეთ?!... - ხინკალი აიღო და ნერვიულად ჩაღეჭა.

-გავიგონე, გგონიათ გერმანული არ მესმის? ყველაფერი მესმის, უბრალოდ, ვერ ვლაპარაკობ!

-ვახ, მართლა?! - ჩაეცინა ზაზას და რუსულად გააგრძელა: - მაშინ, ახლა რასაც გეტყვი კარგად დაიმახსოვრე. მე შენ და ეს ბავშვი მიყვარხართ!

-ჩვენც პატივს გცემთ, ბატონო ზაზა!

-თქვენობით ნუ მომმართავ, გოგო, ჭკუიდან ვიშლები! - სახეზე ხელები აიფარა ზაზამ და განაგრძო: - შენი ფულისთვის ხელი არ მიხლია, უნდა დაგიბრუნო!

-არ გაბედო, ერეკლეს ხათრით მაინც, ეგ ფული დამსახურებულიად, შრომით მოიპოვე. მოვრჩეთ, დავასრულოთ....

-რა დავასრულოთ?! - აგრესიულად იკითხა ზაზამ.

-ფულზე ლაპარაკი! - მკაცრად უპასუხა სალომემ.

-ჰო, და იმას გეუბნებოდი... განა რამეს გაძალებ, კარგად მოიფიქრე და პასუხი ზეგ მითხარი!

- ცოლობაზე? უკვე გაგეცით პასუხი და გაგიმეორებთ, არა, და ჩვენთან აღარ მოხვიდეთ!

-რატომ!

-ალარ გვჭირდება გერმანულში მეცადინეობა, არც თქვენი ცოლობა მინდა, არც არავისი, თავისუფლება მინდა!

- აქეთ- იქით ტუნტული?

-არ ვტუნტულებ, ვმუშაობ, ვცხოვრობ და შვილს ვზრდი!

- მარტო ზრდი, არ გიჭირს?

-არა, პირიქით, ბედნიერი ვარ! - გაიღიმა სალომემ, რომ ბავშვს დედისთვის ღელვა არ შეემჩნია: - მამად არ მიგიღებთ, ჰყავს ამას თავისი მამა, რომელსაც ვერავინ ჩაუნაცვლებს და მეორეც, არ მომწონხართ!

-ასაკობრივი სხვაობა არ მოგწონს?-მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა ზაზამ.

-ეგ რა შუაშია, გათხოვება რომ მდომოდა მეორედ, კარგა ხნის გათხოვილი ვიქნებოდი, მაგრამ არ მინდა ბატონო, არა!

ზაზა წამოწითლდა და ბავშვი მიხვდა, რომ დედა და ზაზა მასწავლებელი კამათობდნენ, შეეშინდა.

ზაზამ ხმას ნელ-ნელა აუწია: - არ დაივინყო, ეს ბავშვი ჩემი წყალობითაა გერმანულში გაძლიერებული, ხომ ასეა...

-მერამდენედ გვაყვედრი, ფული გადახდილია, სხვა მხრივაც პაციენაცემი ხართ ჩემის მხრიდან. ბავშვს ნუ დავზაფრავთ და ჩავაშხამებთ მშვენიერ დღეს, მშვიდად ვისადილოთ და გავიდეთ აქედან.

ზაზას ხმა ალარ ამოუღია.

- ჩხუბობთ?! - დედას მიმართა ერეკლემ.

-არა, პატარავ! - მკერდზე მიიხუტა ბავშვი.

-გოეთეზე ვლაპარაკობთ! - ღიმილით წარმოთქვა ზაზამ.

-რუსულად რატომ ლაპარაკობთ....

-მე არ ვიცი კარგი ინგლისური! - თქვა დედამ: - რუსული ვიცი და იმიტომ.

ერეკლემ გაიფიქრა, ალბათ გოეთემ ისეთი რამ დაწერა,ჯერ მე რომ ვერ გავიგებ, ამათაც სხვადასხვაგვარად ესმით და რეპეტიტორთან დედა რუსულად იმიტომ კამათობსო.

დაძაბულობა სალომესა და ზაზას შორის მოჩვენებითად გა-
ნეიტრალდა. ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლებას პრინციპით

მიირთვეს ხინკალი. ოფიციალტს ზაზამ გადაუხადა. მშვიდობიანად გამოვიდნენ ქუჩაში. ქალმა ტაქსი გააჩერა, ბავშვი ჩასვა მანქანაში, თავადაც მიუჯდა, გახევებულ ზაზას არ დაემშვიდობა, კარი სასწრაფოდ მოიჯახუნა, თითქოს ეშინოდა რეპეტიტორი ტაქსში არ შემოგვიხტესო. ზაზამ მანქანას თვალი გააყოლა, ერეკლემ მასწავლებელს ხელი დაუქნია.

აბანოთუბანში იბორიალა და გადანყვიტა, გოგირდის წყლით ებანავა. შინ მოთენთილი მივიდა, დედამისი მაგიდას მიჯდომოდა და სიბნელეში გაზეთის ფურცლებს ათვალიერებდა.

სალომეს გაცნობამდე წლინახევრით ადრე, ზაზას ცუდი ამბავი შეემთხვა. ბანკის თანამშრომელი გასათხოვარი ქალი მომსახურებისას გულისხმიერად მოექცა და ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა, იმ ქალისთვის თვალი დაედგა. დევნიდა და ამის გამო მის მამას შემოელახა. მშობელმა რომ ჰკითხა, რა გინდა ჩემი შვილისგან, რატომ დასდევი?! ზაზა გაეჯგიმა, მიყვარს და ვალდებული ვარ გავაკონტროლო ჩემი მომავალი ცოლიო. ამის გაგონებაზე გადარეულა მამა, რას ქვია გააკონტროლო, ან ვის უნდისხარ, ვის დაკარგვისხარო?! ზაზამ განაცხადა, სიყვარულს ვერ დამიშლით და ცოლად მინდა ეს გოგო, განა გასართობადო! ამ სიტყვების გაგონებაზე ქალი აკივლდა: - ნუ დამდევი, ჭირივით მეჯავრები! ზაზას გამო აცახცახებული შვილის დანახვაზე მამა უარესად აღელდა, ხელი დაავლო ძალად მაცხოვნე სასიძოს და ტვინის გალაცებად ანჯღრია. ზაზა შეშფოთდა, რასაა, რომ მიბედავსო და სასიძამროს პოლიციის გამოძახებით დაემუქრა, ამასობაში შარვლის ჯიბიდან ძვირადღირებული აბრეშუმის ნაჭრის ცისფერი ყელსახვევი გადმოუვარდა. საქალბატონესთვის აუწყაპნავს.

რად მომპარე?! - კითხა ქალმა და ზაზამაც არ დააყოვნა, შენს მაგივრად ამას ვეფერებოდით.

-რას ბოდავი! - აღრიალდა ქალის მამა, ზაზას ავადმყოფი უწოდა და დაემუქრა, - სადაც გინდა იქ მიჩვილე, კაცი არ ხარ, არ უნდისხარ ჩემს შვილს და მაინც დასდევი, ცხოვრებას უმწარებ,

დარაჯობ, მისი მანქანის ქვეშ ძვრები და ასფალტზე იძინებ შე უპატრონოვ, გაეთრიე აქედან, თვალით აღარ დამენახო, თორემ ციხეში კი არა, საგიჟეთში გამოგამწყვდევ, საიდანაც ველარასდროს გამოეთრევი! - ერთი კარგი მუშტიც მიაზილა ყვრიმალზე, კანი გასკდა და სისხლმა ამოხეთქა. წამით ქვემოდან ამოხედა ამოჩემებული მამას და ხელი შეუბრუნა. კაცმაც ველარ მოითმინა და ერთი ისეთი გაულანუნა, რომ ზაზას ეტკინა და კარგა გვარიანადაც შეშინდა. შინ მივიდა და დედას შესჩივლა, -სიყვარული დამიშალეს დედა, უარმყვეს!..

თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, სოხუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ზაზა არცერთ სამუშაოზე რომ არ მიიღეს და ქუჩის თარჯიმანობას მიჰყო ხელი, პარალელურად ერთი გატაცება გაუჩნდა, რის გამოც ნაცნობები ზურგსუკან დასცინოდნენ და მენაგვეს იარლიყიც მიაწებეს.

სისხამ დილით ქუჩაში ეულად მდგარმა ვერცხლისფერმა ნაგვის ურნამ მიიზიდა და მასში ჩაყრილი ნაგავი პირველად რომ გადაქექა, ჯერ არგანცდილი სიამოვნება იგრძნო. ძველ, გამოშიგნულ ხის ძველებურ კედლის საათს წააწყდა, შავ პარკში ჩადო, სახელურები გამოფსკვნა და შინ მიიტანა. იმ შავ პარკს სხვადასხვა ხარახურით გატენილი პარკებიც მიუმატა და აავსო სახლი უსარგებლო ნივთებით. მან არ იცოდა, მის ყურამდე არ მისულა, რასაც ეძახდნენ. დილით რაიმე საინტერესოს იპოვიდა, სახლში წააცუნცულებდა, მერე, ხელებს დაიბანდა და ქალაქის ცენტრში დაღამებამდე დაყოლებდა, დაბრუნებული ელენეს თვალებს უბრიალებდა, ჩემს ნივთებს არ გაეკაროო. ელენე ნერვიულობდა, ოთახი ნაგვის ბუნკერს რომ დაემსგავსა, მაგრამ ზაზას ნებას წინ ვერ აღუდგა, მოგვიანებით, ისევ ზაზას ბრძანებით, პარკები ფრთხილად, კედლისკენ მისწია, ერთურობზე ახორხლა, მაგიდამდე და სანოლებამდე მისასვლელი ბილიკები გამოაჩინა.

უნიათო და უგვანო ზაზამ მოახერხა გერმანიაში გამგზავრებულიყო, ოღონდ, თვითმფრინავით არ გაფრენილა, ავტობუ-

სით გაემგზავრა. მისგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, დედა ერთხელაც არ გახსენებია. ქალმა სამი თვე ნერვიულობას გაუძლო და ბოლოს თავი დააჯერა, ჩემი ზაზა უცხო ქვეყანაში ბატონივით ცხოვრობსო.

ექვსი თვის თავზე მოულოდნელად გამოჩნდა ჩამოძენილ-გამათხოვრებული და ხარახურა რომ ველარ დაინახა, მრისხანება მოეძალა, ჩაძინებულ დედას დაუღრიალა, რა უყავ, ვის მიეც ჩემი ქონებაო. დედამისმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, მეზობელი გოგონას დახმარებით რვა დღე მოანდომა ოთახის დაცლას, ასფალტის ფერი იატაკი მოხეხა, პარკეტიც გამოჩნდა და ისევ იმ გოგონას დახმარებით, იატაკზე მასტიკაც მოუსვა. ქალს გული ეტკინა, შვილი რომ არ ჩაეხუტა, უფალს იმისთვისაც ჰმადლობდა, რომ არ დაჩქმიტა. გათენდა თუ არა, ზაზა ნაგვის საჩიჩქნი ჯოხით ხელში ვერცხლისფერ ბუნკერებს მიასკდა. გაფაციცებული ჯოხით ეძებდა ნადავლს და ვინც ეძებს ის ყოველთვის პოულობს. დაშლილი ჭალის ნარჩენები შავი პარკით შინ მიიტანა, კუთხეში მიაყუდა. ანერვიულდა ელენე, მაგრამ ზაზას ნებას ვერ შეენინა აღმდეგა.

იტალიის მოქალაქე არაბი ბიზნესმენი, რომელმაც ზაზა თანაშემწედ აიყვანა, თბილისის ძველ უბანში მცხოვრებ თავისიანებს არაბულად ესაუბრებოდა, ზაზაც მათ გვერდით იყო და დროს ტყუილად არ კარგავდა, საკუთარი საიდუმლო მეთოდებით ახალ სალაპარაკო ენას ეუფლებოდა და ერთი წლის შემდეგ, უფროსის წინაშე არაბულად აჭიკჭიკდა. თანაშემწის ნიჭიერებით გაკვირვებულ და აღფრთოვანებულ არაბს პირი ღიად დარჩა, უბანს გააგებინა, ვუნდერკინდი დამხმარე მყავს, ბევრი ენა იცის, იტალიურად ვსაუბრობდით, ახლა თავის კოლექციას არაბულიც დაუმატაო. მერე, არაბის მოხუცებული კარის მეზობელი ქალბატონი გაეცნო და პატარა ერეკლესთან გამოგზავნა. ამჟამად, ზაზას დამსაქმებელი არაბი თბილისში არ იმყოფებოდა, დროებით, ქალაქ პადუაში გამგზავრებულიყო და ზაზას სალომეზე საფიქრალ-სამოქმედოდ ბევრი დრო ჰქონდა, ამიტომ,

ყოველ დღე მიდიოდა ერეკლეს სკოლასთან, სალომეს სამსახურის ფანჯრებისკენაც იცქირებოდა, ორთავეს უმზერდა, ბავშვსაც და ქალსაც, თვალთვალთ არ ილღებოდა, ჯერჯერობით, ქალის ქცევაში დამაეჭვებელს ვერაფერს ამჩნევდა, ისინი კიდევერ გრძნობდნენ დაოსტატებული მოთვალთვალის სიახლოვეს.

ზაზა დანყნარდა, მეზობლებს უსაფუძვლოდ აღარ უშარდებოდა, დედასაც აღარ სცემდა, მხოლოდ უყვიროდა. მეზობლები თავს არიდებდნენ, ჯერ არ დავიწყნოდათ რამდენიმე კვირის წინ პატრულში რომ დარეკა და პოლიციამ ჯემალას ხელწერილი დაანერინა იმაზედ, რომ საზიარო აბაზანის კარს საკეტი დაადო, თავად კი მიიმალა, მეზობლებს რომ ვერ ესარგებლათ, ნაგულისხმები იყვნენ ზაზა და დედამისი. ჯემალას ოჯახსაც ეძნელებოდა ზაზასა და ელენესთვის სალმის მიცემა, ნაწყენები იყვნენ. ყოველ დილით, გულმოსული ზაზა ბუზლუნით გაირბენდა დერეფანს, გინებით ჩაირბენდა კიბეებს, სიმღერ-სიმღერით გაივლიდა ლტოლვილთა საცხოვრებლის ეზოს და მგზავრობისას ტრანსპორტში მგზავრებთან ჩხუბით ერთობოდა. ზოგი აპყვებოდა, ზოგი ჩაიცინებდნენ, ზოგი მაშინვე გაეცლებოდა ან სინანულით თავს გააქნევდა, ჩამოვიდოდა ავტობუსიდან და სამაღავისკენ გაეშურებოდა. ორშაბათ დილასაც თავის არჩეული შტაბიდან იმზირებოდა გრძელ-ცხვირა და დიდ-ყურება ზაზა. პირველი გაკვეთილი დასრულდა, მაგრამ სალომე და ერეკლე არ გამოჩნდნენ, იფიქრა, გაიარეს და გამომრჩაო. დასრულდა პირველი ცვლის გაკვეთილები. სკოლის კიბეებს მიაჩერდა ზაზა, მაგრამ ერეკლე არ გამოვიდა, ამიტომ, მოპირდაპირე ქუჩაზე რკინის ხიდით გადავიდა და სალომეს ოფისის ფანჯარაში ფრთხილად შეიხედა. ერეკლე სამზარეულოში მაგიდას მიჯდომოდა და შოკოლადის ტორტის მაღალ და მოზრდილ ნაჭერს მიირთმევდა, ზაზასაც მოუნდა, ნერწყვი ხარბად გადაყლაპა. სამზარეულოს კარი გაიღო და ბავშვთან სალომე შევიდა, დაიხარა, ყურში ჩასჩურჩულა. ბავშვმა დედას გაუღიმა და ლოყაზე აკოცა. ზაზას ერეკლესი შემურდა და გაიფიქრა, ეჰ, ნეტა შენს მაგივ-

რად მე ვკოცნიდე დედაშენსო. უცბად, სამზარეულოში ორი კაცი შემოვიდა, ზაზას გულისცემა აუჩქარდა. იმათგან ერთს ხელში ფოტოაპარატი ეკავა, რომელიც სალომეს გადასცა. მეორე კაცი ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და სალომესთან ერთად სამზარეულოდან გავიდა. აჰა, გასაგებია, ბავშვს სკოლა გააცდენინა, ნეტავ რატომ?! აფორიაქებული ზაზა ფანჯარას მოცილდა და განიერ ქადრის ხეს ამოეფარა. სადარბაზოდან სალომე და ის ვიღაც გამოვიდნენ. კაცმა უკან მარჯვენა კარი გააღო, ქალმა უზარმაზარი შავი ჩანთა შეაგდო მერსედესის სალონში, თავადაც ჩაჯდა. კაცმა კარი მიხურა, ელეგანტურად წინ წამოვიდა და საჭეს მიუჯდა. ამ სურათის შემხედვარე ზაზას სახე ოფლით დაეცვარა, სველ შუბლზე მაჯა მოისვა, სასწრაფოდ ტაქსი გააჩერა და მძღოლს უბრძანა შინდისფერ მერსედესს გასდევნებოდა. ტაქსისტს უღვაშებში ჩაელიმა და მანქანა მძიმედ დაძრა. შინდისფერი მერსედესი ქალაქის ცენტრისკენ გასრიალდა და ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმროს შესასვლელთან გაჩერდა. კაცი მანქანიდან გადმოვიდა, მარჯვნივ უკანა კარი გააღო, მანქანიდან გადმოსულ ქალს ჩანთა ჩამოართვა და წინ გაუძღვა. ჰაი, ჰააო, აღმოხდა ზაზას და მკერდის არეში ისევ აუგორ-ჩამოუგორა ბურთივით რაღაცამ, ტაქსიდან გადმოსვლა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, დაიბორკა. დაზაფრულმა თავისი საცხოვრებლის მისამართი უკარნახა მძღოლს. შინ მისული საწოლზე დაემხო, ფიქრს მიეცა. დაასკვნა, სალომეს საყვარელიაო, მერე თავი გააქნია. არა, ვერ დავიჯერებ, სასტუმროში რაიმე ღონისძიებაა და სალომე ფოტოგრაფად მიიწვიეს, ასეა ეს! მაგრამ მაინც გაბრაზდა. დედამისის საწოლზე გადაინაცვლა, ბალიში დაითრია, რომ თავქვეშ ამოედო, ემძიმა, დაინტერესებულმა ბალიშის ჩიხოლში ცხვირი და ხელი ერთდროულად ჩაყო, შოკოლადის კანფეტები და ფილები ამოყარა და წამოიძახა, -ფუ, წუნკალი, ეგო-ისტი, ღორი ქალი, როგორ დაუმაღავს!!! - შოკოლადის ტორტის ნაჭერი გაახსენდა, ერეკლე რომ მიირთმევდა და პირი ნერწყვით აევსო, ხარბად დასტაცა ხელი მთელ-მთელი თხილით გამდიდ-

რებული შავი შოკოლადის უზარმაზარ ფილას, დანარჩენებიც გადასანსლა, დანაყრდა, მოწყურდა, მთვრალივით იყო და საწოლიდან ვერ წამოდგა და მწყურვალს მიეძინა.

შინ მოსულ ელენეს ტკბილეული გამქრალი, შოკოლადის ვერცხლის, ოქროს ფერი და ნახატებიანი ქაღალდები ნაკუნებად დაქუცმაცებული იატაკზე მოფენილი დახვდა და გული საშინლად დანყდა. მშობლის საწოლზე გადათხლაშულ პირმშოს კი პირ-ლიად ჩასძინებოდა. დასევდიანებული ელენე დაძინდილ ტახტზე მიწვა, დაკონკილი პლედი გადაიფარა და ძილის ბურანში გაეხვია.

აპრილი დაიწყო. სალომემ სკოლაში განცხადება დაწერა, რომ ერეკლე რამდენიმე დღით გაკვეთილებიდან გაეთავისუფლებინათ. კახეთში გაემგზავრნენ, სეხნია დიდი ერეკლე მეფის სასახლე დაათვალიერა ბავშვმა თელავში. აკვირდებოდა ალაზნის ლურჯი ველის სილამაზეს, რომელიც ზღვას ჰგავდა და კახეთის ცაზე თავმოყრილი თეთრი ღრუბლებიც სხვაგვარი ეჩვენა, დედასაც უთხრა, როგორი ღვთიურია კახეთში ყოველივე, თბილისის ღრუბლებიც უფრო ნაცრისფერია ვიდრე თეთრიო. სალომემ გაუღიმა შვილს, ცა ყველგან ცაა, მაგრამ შესაძლოა შენი აღქმა სწორიცაა, საქართველოს მიწა-წყლის ამ მონაკვეთში უმეტესად მევენახე-მელვინეები ცხოვრობენ, ალალი, გულ-კეთილი, იუმორით და პირდაპირობით განთქმული ქართველებიო, ღვინო კიდევ სიმბოლურად ქრისტეს სისხლიაო. თეთრიცო? იკითხა ბიჭუნამ.

- ჰო, აბა რა! წითელი და შავი ღვინო ქრისტეს სუფთა სისხლია, თეთრი კიდევ, ქრისტეს სისხლის შემადგენელი ნაწილი, კრიო, ზოგიც პლაზმა!

ერეკლემ არ იცოდა რა იყო კრიო და პლაზმა, გუგლს მიმართა, იმანაც აუხსნა, პასუხი ებუნდოვნა და კირკიტს თავი დაანება, ზღაპარში ცხოვრობდა, რომელიც დასასრულს უახლოვდებოდა და ამის გამო გული წყდებოდა. ტაძარში ყოფნისას უცნაური შეკითხვა დასვა ბავშვმა: - დედა, მე და შენ ღმერთს ვუყვარვართ?

-ღმერთს ყველა ადამიანი უყვარს შვილო!
 -გუყვარვართ და მაინც გვსჯის ხოლმე?!
 ელენე გაოცდა და თან გაელიმა: - ღმერთი არავის სჯის!
 -მაშინ, რატომ ვარ ობოლი, მეც მინდა სხვებივით მამიკო გვერდით მყავდეს, რატომ არ მყავს?!
 -გგონია, ეგ ღმერთის ბრალია? მამაშენი, შენი ბებიკო და პაპა ტრაგიკულად დაიღუპნენ!
 -რატომ არ დაიფარა ისინი ღმერთმა!
 -მოულოდნელი შემთხვევა იყო, ისევ და ისევ, ადამიანების დაუდევრობის ბრალი!
 -გავიგე, მაგრამ რატომ არ გადამირჩინა ჩემები! - ცრემლვით აეცსო ბიჭუნას თვალები.
 სალომემ აღარ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ მაინც მოიფიქრა:
 - ღმერთი მთელ სამყაროს ასულდგმულებს შვილო, მას ყველაფერი შეუძლია, მაგრამ ზოგჯერ ისიც იგვიანებს და ვერ შევლის სიკვდილის წინ დამდგარ ადამიანებს და იცი რას გვეუბნება? გაუფრთხილდით თქვენს ჭურჭელსო ანუ სხეულს და იგულისხმება ჩვენი ჯანმრთელობა და სული, ასევე ამბობს უფალი, გაუფრთხილდით ერთმანეთსაცო.
 ბავშვმა თავი ჩაღუნა, იესოს ჯვარცმას მიუახლოვდა და დაღურსმულ ფეხებზე ეამბორა. ტაძრიდან გამოსვლისთანავე სალომემ იგრძნო, რომ ერეკლეს სულში დადებითი ძვრა მოხდა, თითქოს გამოხედვაც შეეცვალა, საქციელიც. დედის გადაღებული ფოტოებით დაინტერესდა, ფოტოაპარატის ეკრანს ათვალიერებდა, ტაძრებს, მთებს, ადამიანებს საქმიანობისას, პორტრეტებს, ახლო ხედით გადაღებულ არქიტექტურულ დეტალებს, ამკარად ესთეტიურად ვითარდებოდა და რეალური სინამდვილის მშვენიერების აღქმა უმძაფრდებოდა. აზროვნებაც აუჩქარდა. მობილური ტელეფონით ხელში დასდევდა მშობელს და თავადაც აფიქსირებდა კადრებს. სალომემ დაათვალიერა ერეკლეს გადაღებული ფოტოები, აღფრთოვანდა და შეაქო, კარგია, გააგრძელე მუშაობაო.

კახეთმა და კახელებმა, ბუმბერაზი ყვარლის მთის ხილვამ, კავკასიონის ჯერ ისევ დათოვლილმა წვერებმა ბავშვი ეიფორიულ მდგომარეობაში ჩააგდო. განსაკუთრებულად დაუმეგობრდა სასტუმროს მეპატრონე ზურას. ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ ბიჭს უთხრა, შენ ზურა პაპაი დამიძახე, ჩემთან მოდი, კიდე ჩამოდი, ბევრჯერ ჩამოდი, რომ გაიზრდები, მაშინაც ჩამოდიო და დედა-შვილს გამომგზავრებისას მანქანის საბარგულში თავისი დაბეჭდილი საფირმო ბოთლის ღვინოები, ბადაგი, ჩურჩხელები, ჩირები ჩაულაგა, იმდენად ბევრი, რომ სამსახურის მიერ დაქირავებული მანქანის მძღოლსაც უწილადეს. სალომემ სტუდია და ერეკლესთან ერთად სკოლაშიც მიიტანა კახური ნობათი. დირექტორს, სასწავლო ნაწილს, კლასის დამრიგებელსა და ყველა საგნის მასწავლებელს თითო ბოთლი ღვინო აჩუქეს. ბავშვმა ყველას გასაგონად განაცხა, თქვენი დახმარებით, გაკვეთილებიდან რომ გამათავისუფლეთ, საქართველო შევიგრძენი და კახურ საჩუქრებს იმსახურებთ!

სკოლის დირექტორი მწერალი კაცი იყო, რომელსაც მამითობოლი ბიჭუნას საქციელმა ცისფერი თვალები აუწყლიანა და სალომეზე გაიფიქრა, რა კარგი გოგოა, მაღალი ღირებულებების ზიარებითა და გააზრებით ზრდის შვილსო!

ზაზა პანიკამ მოიცვა, რა უნდა ეფიქრა?! ბავშვი სკოლაში არ მოდიოდა, არც სალომე იყო სამსახურში. მათი ბინის ფანჯრებიდან სინათლე არ გამოდიოდა. წინ და უკან დარბოდა, სალომესთან დარეკვას ვერ ბედავდა, ეშინოდა, დედა-შვილზე რაიმე ცუდი არ გავიგოო. სკოლასთან ახლოს, დასვედიანებული ბაღში სკამზე ჩამოჯდებოდა და პენსიონერებს შესჩიოდა, ჩემი სალომე დაგვკარგეო. ისინი ეკითხებოდნენ, რა მოუვიდაო? არ ვიციო, ამბობდა და გარბოდა. სასონარკვეთილი მობილური ტელეფონის ეკრანს ქუჩაში გამვლელ-გამომვლელებს აჩვენებდა, იქ ის ფოტო ჰქონდა, თავად რომ გადაუღო კართან მდგარ ქალს და საწყლად მოთქვამდა, აი, ვინ დაგვკარგეო. ადამიანები დაკარგული ქალის პოვნის გზებს ასწავლიდნენ და უცხოთაგან გა-

მოვლენილი თანაგრძნობა სიამოვნებდა, დარდის განქარვებაში ეხმარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი გამვლელი გულგრილობას იჩენდა, ილიმოდნენ ან ვითომც ზაზას ვერ ხედავდნენ და გზას განაგრძობდნენ, როცა ასეთებს გადაეყრებოდა შეშლამდე ცოტალა აკლდა, მაგრამ ვაშა, გამოჩნდა დედა-შვილი გაბერილი ჩანთებით ხელში. ზაზამ შვეებით ამოისუნთქა და იჭვნეულად გაიფიქრა, ნეტავ რა უდევთ ჩანთებში, ძლივს რომ მოძრაობენ?! სალომე კაი ხანს არ გამოსულა შენობიდან და როცა გამოჩნდა, სკოლის კაპასი კარის ქალი, ბავშვებს სკოლის გარეთ ფეხს რომ არ ადგმევინებდა და მშობლებს მხოლოდ პარასკევ დღეს უშვებდა ინტერიერში, სალომეს გამოეკიდა, ჩაეხუტა და დალოცა. ნეტა, რა მოიმოქმედა „მამაძალმა“ გოგომ?! დაინტერესდა ზაზა და სამალავიდან თვალი გააყოლა სამსახურისკენ მიმავალ სალომეს. ზაზა სკოლის ტერიტორიაზე დარჩა. გაკვეთილები რომ დასრულდა და ერეკლე გამოჩნდა, მასთან მივიდა. ბიჭს გაეხარდა რეპეტიტორის დანახვა. აქ რატომ დგახარ?- კითხა ზაზამ. ბავშვმა უპასუხა, დედას ველოდებო. ზაზამ ხელი გაუწოდა ბიჭს და უთხრა: - იგვიანებს, წამოდი, ერთად მივიდეთ!

ხელ-ჩაკიდებულებმა შეაბიჯეს მისაღებ ოთახში, სამზარეულოდან სალომეს ხმა გამოვიდა, -გოგოებო, ჩურჩხელები დაჭერით, „როზე“ ჩვენ, ბიჭებს არ დააღვევინოთ, მაგათ საფერავიც ეყოფათ, გადავალ რა ერეკლესთან!

სალომემ ზაზა და ერეკლე ერთად რომ დაინახა, შეცბა. რამდენიმე სტუმარიც მოვიდა, სუფრასთან ზაზასაც უხმეს, საფერავი დალია, ხილსა და ჩურჩხელებს სწვდა, ენა გაულურჯდა, ყველა ეგეთი გახდა, ვინც საფერავი დააგემოვნა, ერეკლეს ცისფერ კიჭებიან ბიჭუნად გადაიქცა. ზაზა აჰყვა სუფრასთან მსხდომთა მხიარულებას, სალომეს, ერეკლეს და ვინმე ზურას ლოცავდნენ, კაი კაცია, ღმერთმა ბარაქა და ბედნიერება არ მოაკლოსო. სალომეს რომ ადღეგრძელებდნენ და აქებდნენ ზაზა ცქმუტავდა და იქ მყოფთა ყურადღებას იქცევდა. ზაზამ სადღერძელოს წარმოთქმისას ხაზგასმით აღნიშნა, რეპეტიტორი ვარ, პოლიგ-

ნლოტი და ჩემი მოსწავლე ერეკლე ძალიან მიყვარსო. ბავშვ-
მა არ იცოდა სიტყვა პოლიგნლოტის მნიშვნელობა, ტელეფონი
მოიმარჯვა და ეს სიტყვა დაგუგლა. დღემ მხიარულად ჩაიარა
და სალომემ ერთი ბოთლი „როზე“ ელენესთვის მისართმევად,
ზაზას აჩუქა. მთვრალი არ იყო, ბოთლი მკერდს ჰქონდა მიყრ-
დნობილი, ხელებს უფათურებდა სალომეს ნაჩუქარს. ბოთლი
თაროზე, გამოსაჩენ ადგილას დადო. დედა გააფრთხილა, ხელი
არ ახლოო, თან ფიქრი აწვალებდა, ვერ ხვდებოდა, სალომესთან
ერთად რატომ ახსენებდნენ ვინმე ზურას, ვინ ოხერია, ნუთუ
სალომეს თაყვანისმცემელი? ხომ არ დავიღუპე... დავიღუპე?!
ძილშიც ვიღაცას ეკითხებოდა. ეს სიტყვა აეკვიატა და ელენეს
გული უსკდებოდა, შვილი ხომ არ გამიგიჟდაო. დილას, რომ გა-
იღვიძა, აბსოლუტურად მშვიდი იყო.

სამშაბათი გათენდა და სალომემ ერეკლეს თხოვა, სიურპ-
რიზი აღარ გამიკეთო, სკოლიდან გამოსული ზაზას არასდროს
გამოყვე, დამელოდეთ. ქალმა ბავშვის მობილურ ტელეფონში
შენახული ზაზას ნომერი დაბლოკა, რამაც ერეკლე გააოცა, მაგ-
რამ დედას არ კითხა, ეს რატომ გააკეთეთ.

პარასკევი სკოლაში ღია კარის დღედ იყო გამოცხადებუ-
ლი და ზაზა უპრობლემოდ შევიდა შენობაში, მეორე სართულ-
ზე ყველა კარი შეაღო, რომელსაც IV კლასი ეწერა. სულ ოთხი
ოთახი იყო ასეთი, შესვენებაზე იპოვა ბავშვი, IV ბე კლასის მოს-
წავლე ყოფილა. ერეკლეს გაუკვირდა, ზაზა რომ დაინახა, აპრი-
ლის ბოლო დღე გათენებულიყო, მაისის ბოლოს კი გერმანულში
გამოცდა უნდა ჩაებარებინა. ეს იცოდა ზაზამ და ბიჭუნას ხელი
ჩაკიდა, მეც მოვდივარ გერმანულის კლასთან, შენი მასწავლე-
ბელი უნდა ვნახო და რა ქვიაო? მარიანა, უპასუხა შემცბარმა
ბავშვმა. ახალგაზარდა ქალი იდგა კლასის კართან და ბავშვებს
ესალმებოდა. ზაზამ ერეკლეს ანიშნა, შედი კლასშიო და მასწავ-
ლებელს გერმანულად გამოელაპარაკა. ერეკლემ არ იცოდა, რას
ეუბნებოდა ზაზა მარიანას და ინერვიულა. გაკვეთილი რომ და-
იწყო, მერხთან მჯდარ ერეკლეს მარიანამ მზრუნველად თავზე

ხელი გადაუსვა. აღელვებული ერეკლე დამშვიდდა. გაკვეთილის დასრულებისთანავე კლასიდან გამოვიდა, რეპეტიტორი წასულიყო. სალომეც გამოჩნდა და ბავშვმა უთხრა, ზაზა იყო მოსული და მარიანას რაღაცებს ეუბნებოდაო. სალომემ მარიანას ნახვა მოინდომა და კითხა: - დღეს ვინ კაცი იყო მოსული ჩემი შვილის გამო, რა გითხრა, რა უნდოდა?

-გერმანისტი ზაზა, ასე გამეცნო, ერეკლეს ბიძა ვარო და ვიცი მაგ ბავშვის შესაძლებლობები, გამოცდაზე მისი დაჩაგვრა არ გაბედოო, თორემ...

-სალომე აღელდა: - ღმერთო ჩემო, არც ბიძაა და არც არვინ, ცოტა ხნით მასწავლებლად მყავდა აყვანილი, სანამ ბავშვს შენს კლასში გადმოიყვანდნენ.

მარიანამ თავს უფლება მისცა რასაც ფიქრობდა, ხმამაღლა ეთქვა: - არაადამიანი უნდა ვიყო, ბავშვის დაჩაგვრა რომ მოვინდომო. თქვენ გცემთ პატივს, ამიტომ არ ვუპასუხე და მეწყინა, რომ დამემუქრა!

-რა ვქნა, რას გადაგვეკიდა!...-ნამოსცდა აცრემლებულ სალომეს.

-გადაგვეკიდათ?! - მასწავლებელი ჩაფიქრდა,-ფრთხილად სალომევ, საშიში ტიპია...

-რა უნდა გავაკეთო, რომ აქ აღარ შემოვიდეს და თავი დაგვანებოს?!

-მანდატურები და კარის ქალი გავაფრთხილოთ, არ მომნონს ეგ კაცი, მართლა გეუბნები, თვალებს მიბრიალებდა.

-როგორ მოვიქცე?!

-ასე დავინყოთ, მომყევი!

დედისა და მარიანას ქმედებების მოწმე ერეკლეს გახდა, ბავშვმა ტირილი დაიწყო, შერცხვა, დირექტორმაც რომ გაიგო ზაზას არასასურველი ვიზიტის შესახებ. მეორე დღეს, სკოლის გარე კამერებმა, გაკვეთილების დაწყებამდე ერთი საათით ადრე ზაზა თავის სამალავიდან დააფიქსირა. მანდატური, რომელიც ზაზას მონიტორებზე უცქერდა, სიცილით ლამის გაიგუდა

და დაასკვნა, ეს კაცი აფრენსო. სალომეს დაურეკეს და უთხრეს, პოლიგნოტი ზაზა დაზვერვის მუშაკივით გითვალთვალებთ, ამიტომ გირჩევთ, პოლიციის განყოფილებას მიმართოთო. სალომე საგონებელში ჩავარდა, ზაზას ქმედებების გამო რცხვენოდა და დირექტორსაც გული გადაუშალა: - აი, სირცხვილით რა ვთქვა, პოლიციაში?!..

-რაცაა ის, თქვით, მაგრამ შესაძლოა პოლიციელებმა დაგცინონ, პრინციპში ამ კაცს დანაშაული არ ჩაუდენია!

სკოლის დირექტორი პაატა პროფესიით ფილოლოგი, ფსიქოლოგიაში კარგად ერკვეოდა და გასაგებად ლაპარაკიც ეხერხებოდა: - ნუ დელავთ, ვატყობ, ამოჩემებული ყავხართ, ჯერ მე გავესაუბრები!

სალომემ იმედიანად შეხედა პაატას და გაუღიმა.

ყოველ დღე ეტიკტიკებოდა პაატას შესახებ ერეკლე დედას, აღფრთოვანებული იყო ჭკვიანი, მოწესრიგებული, გამგებიანი, ცისფერთვალა დირექტორის ქმედებებით. კაბინეტში კი არ ზისო, ეუბნებოდა ერეკლე დედას, დაუღლელად დერეფანში დაიარება, ყველა კლასში შედის, მაღალ კლასელებს რაღაცებს ეკითხება, ბლოკნოტში მათ ოცნებებს და სურვილებს ინერს და ჭერში იცქირება. პატარებს არ გელაპარაკებათ?- ჰკითხა სალომემ.

- კი, როგორ ხართო, გვეკითხება და გვეფერება. ჰო, და ერთხელაც სალომემ თქვა, შენი დირექტორი მეც მომწონს, ქართველი ალენ დელონიო. ბავშვმა არ იცოდა ვინ იყო ალენ დელონი და თავის მეგობრად მიჩნეულ გუგლში შეძვრა, ის ხომ ყველა შეკითხვაზე პასუხს სცემდა ბიჭუნას და გაიგო, ფრანგული კინოს ვარსკვლავი ყოფილა და ბავშვმა ალენის სახეს რომ შეხედა, დედას დაეთანხმა, პაატა პირ-სახითა და თვალების ფერით ალენ დელონს წააგავდა. ძილის წინ დედა-შვილი იმ ფილმებს უყურებდნენ, რომელშიც ალენ დელონი მთავარ როლებს ასრულებდა. ინგლისურ ტიტრებიან, გაუხმოვანებელ ფილმებში ყურებდაცქვეტილი ერეკლე კეთილხმოვან ფრანგულს უსმენდა და სურვილი გამოთქვა, ცოტას კიდევ გავიზრდები და ფრანგულს ჩემით

ვისწავლიო. დედამ შვილის წინადადება დაიმახსოვრა და მკერდში სითბო ჩაელვარა.

დიდ შესვენებაზე ერეკლემ სალომეს გამომცხვარი ლობიანი ჩაკბირა და ფანჯარას მიუახლოვდა. სკოლის ეზოში თვალი მოკრა პაატასა და ზაზას. დირექტორი ელაპარაკებოდა, ზაზა მოჭმუხნული სახით უსმენდა, ბოლოს დაიჯღანა. ერეკლეს ელდა ეცა, შიშის მიზეზი ვერ გააცნობიერა.

საკლასო ოთახში პაატა შემოვიდა, მათემატიკის მასწავლებელს გაუღიმა და ერეკლეს შეხედა, რომელიც სხვა ბავშვებთან ერთად ფეხზე წამოდგა.

-ნინელი მასწავლებლო, თუ რამე არ დაშავდება, ერეკლეს ცოტა ხნით გავიყვან გაკვეთილიდან?

მასწავლებელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და დირექტორმა პატარა ერეკლე კაბინეტში შეიყვანა, დაჯექიო ანიშნა. ერეკლე სკამზე ჩამოჯდა და პაატას მიაჩერდა. დირექტორი კომფორტულად მოკალათდა, ხელები მაგიდაზე დაანყო და ბავშვს მიმართა: - ერეკლე, ზაზა ბიძია რომაა, რეპეტიტორი, იმას არსად გაჰყვე.

-დიახ, ვიცი!

-სადმე გამოყოლა რომც არ შემოგთავაზოს, როგორც კი მოგიახლოვდება თავი აარიდე, შეკითხვებზე პასუხები არ გასცე, როგორც კი შესაძლებლობა გაგიჩნდება, გამოეყეცი.

ბავშვმა თავი დაუქნია, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. დირექტორმა განაგრძო: - ეგ ადამიანი საკუთარი ქალაქიდან, სახლიდან გამოაგდეს...

-დიახ, ვიცი, აფხაზეთიდან ლტოლვილია!

-კი, ასეა, აფხაზეთიდან... მრავალ ტანჯვა გამოვლილია, ყველაფერი დაკარგა ადამიანმა და არ არის კარგად, გესმის რასაც გეუბნები?

-დიახ, კი, როგორ არა!

-და ვფიქრობ, რომ შენი მამობა უნდა.

ბავშვი სკამიდან წამოდგა.

-არაა მამაჩემი, ვერც გახდება!

-ვიცი ძვირფასო, ამიტომ მიახვედრე, რომ საბოლოოდ გაცეცალოთ, შევთანხმდით?

-დიახ, გავერიდება.

-დღეს დედა რომ მოვა შენს წასაყვანად, მეც მნახოს, გადაეცი.

ერეკლემ არ იცოდა, პაატა დირექტორმა რა უთხრა სალომეს. გზაში დედა ხშირად იმეორებდა სიტყვას უტიფარი. გუგლმა ერეკლეს უთხრა, რომ უტიფარი უსირცხვილო, თავხედ ადამიანს ნიშნავს და გული ეტკინა, არ სურდა ზაზა ამგვარი ყოფილიყო. იქნებ, დედა ზაზას არასწორად აფასებდა?

დირექტორთან შეხვედრის შემდეგ ზაზა სკოლის ტერიტორიაზე აღარ გამოჩენილა, მაგრამ შაბათ დღეს, როცა სალომე სახლში შევიდა და ლიფტი გამოიძახა, ხმა შემოესმა, კუ კუუ! და სულელური ღიმილით, ხელს უქნევდა. ლიფტის კარის გაღებამდე მკაცრად უცქირა ზაზას სალომემ და როგორც კი ლიფტის კარი გაიღო, სასწრაფოდ შევიდა. შინ შესულს ზაზაზე არ უფიქრია, დაღლილი იყო და მაშინვე ჩაეძინა. კვირა დილით სარეცხი მანქანა გამორთო და როცა აივანზე გაჭიმულ თოკებზე სარეცხს ფენდა, სტადიონთან მდგარი ზაზა დაინახა, რომელიც ისევ ხელს უქნევდა, გაბრაზებულმა კარები მოაჯახუნა და გაიფიქრა, ამ დილა უთენია რა ძალამ მოათრიაო?! ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ზაზას შესაძლოა აქვე, უბანში, ღია ცის ქვეშ ღამე გაეთია. გაბრაზებული სალომე ხმას არ იღებდა, მაგრამ თავსაც ვერ აკონტროლებდა, სამზარეულოში ჯამჭურჭელს ისეთი ბრაზაბრუხი აუტეხა, რომ ბავშვს შეშინებულს გამოელვია. პროდუქტების საყიდლად გავიდა, ქუჩა მოათვალიერა, ზაზა გამქრალიყო. კვირას სახლიც კი ვერ დააღაგა, ძალგამოცლილს არაფრის კეთება აღარ შეეძლო.

დილით სალომეს ტელეფონში ზაზას გრძელი და გაბრაზებული შინაარსის, ლათინური ასოებით დაწერილი ესემესი გაჩნდა. ნაწყენი იყო სალომეზე, ისეთი რა მოვიმოქმედე, ქვეყანა, რომ შემეცარე, თითქოს ცუდი რამ ჩამედინოს, ვითომც თქვენ-

თვის ცუდი მინდოდესო. შებინდა და სალომეს ჯერ კიდევ არ ქონდა პასუხი გაგზავნილი.

ისევ მოვიდა ესემესი. პასუხის გაცემაც არ გინდა, გამირბი-ხარ, გეჯავრებო. კვლავ დუმდა სალომე. მერე, ზარის ხმა შემო-ესმა და ტელეფონი რომ არ გაჩერდა, საერთოდ გამორთო. დი-ლით ახალი ესემესი წაიკითხა, სადაც ზაზა ემუქრებოდა. ამევსო მოთმინების ფილა და აწი ნახე რას გიზამ, დედას გიტყვებ, არც შენს ნაბიჭვარს დავინდობ! სალომეს ელდა ეცა და მაშინვე მისწე-რა. პროექტზე ვმუშაობ და მოსაწერად დრო არ მაქვს, ან ბავშვს რომ ემუქრები, არ გრცხვენიაო? ზაზამ ბრძანება გასცა, მაშინ, დამარწმუნე, რომ არ ცრუობ. სალომე გაოგნდა, კითხვის ნიშანი გაუგზავნა ანუ ეკითხებოდა, როგორ დაგარწმუნოო. პასუხმა არ დააყოვნა, მომწერე, რომ გიყვარვარ! ჯანდაბასო, თქვა სალო-მემ და მისწერა, მიყვარხარ! ორი წუთის შემდეგ კიდევ მიწერა ზაზას, - ოღონდ, ჩემთან შეუთანხმებლად ერეკლეს მასწავლებ-ლებს არ შეხვდე და გთხოვ, ნუ დაგვდევენ, ვითარგუნებით!

კარგი, მოიწერა ზაზამ, რომ დავრწმუნდე და დავწყნარდე, დამიდასტურე, რომ არ გძულვარ და გიყვარვარ. არ მძულხარო, უპასუხა ქალმა. არა, ეგრე არ მინდა, მომწერე, მიყვარხარ და თავს დაგანებებო. არანორმალური, მაგრამ კიდევ კარგი, მეტს არაფერს მთხოვს, დაფუდასტურებო და კვლავ მისწერა, მიყვარ-ხარ! იმ დღეს ზაზას აღარ მოუწერია, მაგრამ შაბათ დღეს სამ-სახურში მიმავალ სალომეს წინ გადაეღობა და უთხრა, რომელი საათისთვის გეცდება, რომ ერთად ვივახშმოთ? მბრძანებლური ტონი ქონდა, სალომე დაიბნა და უპასუხა: - ზუსტად არ ვიცი, როდის გავთავისუფლდები, ერთ ადამიანს სტუდიური ფოტოები უნდა გადავუღო...

-კარგი! - თავი დააკანტურა ზაზამ: - დაგელოდები და რო-გორც კი გამოხვალ, რესტორანში წავიდეთ.

სალომეს ტყუილი არ უთქვამს. ლამაზი მდედრი მივიდა ფო-ტო-სტუდიაში ფოტო-სესიისთვის. ეჭვიანობის მიზეზეს ზაზა ვერ ჩაებლაუჭა თუმცა მაინც გალიზიანდა და სალომეს გამოჩე-ნამდე ორი კოლოფი სიგარეტი მონია.

პირისპირ ისხდნენ მაგიდასთან. კაცმა ქალს თეთრი ღვინო ჭიქაში ჩამოუსხა. ქალმა უხალისოდ ორი ყლოუპი მოსვა, პირი არაფრისთვის დაუკარებია. აქეთ-იქით იცქირებოდა, აშკარად გამოხატავდა, რომ თავს არაკომფორტულად გრძნობდა. მხოლოდ ხუთი ნუთით გაძლო და ფეხზე წამოდგა, ბოდიში, უნდა წავიდეთ. ზაზას ზურგი შეაქცია. გასვლისას კართან თვალნაკრავივით წაიბორძიკა, ტაქსი გააჩერა, ჩაჯდა და იქაურობას გაეცალა. ზაზა კი ცხელი და გემრიელი კერძების სურნელმა გააბრუა და გააბედნიერა. დანაყრების შემდგომ ჩაფიქრდა, ეს რა გააკეთა!... სანამ თანხას გადაიხდიდა მობილური ტელეფონი მოიმარჯვდა და ქალს რაღაც მიწერა, პასუხი არ მოსულა.

შიშები მოეძალა სალომეს. ეჩვენებოდა, რომ ზაზა მოსდევდა ან უთვალთვალებდა, ამიტომ, ერეკლესთან ერთად თავის პანია ბინაში გადავიდა. პირველი ღამე რომ გაუთენდათ, ერეკლემ გულახდილად აღნიშნა, ძალიან საყვარელი სახლიაო. შიდა სასკოლო გამოცდები დასრულდა და მეოთხე კლასელი ერეკლეც თითქმის მეხუთე კლასელი გახდა. სულ მალე დაითხოვდნენ და დედა დაპირებისამებრ ზღვაზე დასასვენებლად წაიყვანდა.

უცხო ნომრის ზარმა შეაკრთო სალომე, იეჭვიანა, ზაზა ხომ არ რეკავსო, მაგრამ დედამისი იყო, რომელმაც სალომეს უთხრა, ბინა დაგიტოვებიათ და რამე პრობლემა ხომ არ გაქვთ? სალომემ უპასუხა არაო. ბევრი აღარ ულაპარაკია ელენეს, ერთი რამ თხოვა სალომეს, ჩემს შვილს ცოლად გაყევი, ხელი მოუწერე, რამდენიმე თვის შემდეგ თუ გინდა, გაშორდი. სალომე სახტად დარჩა, ელენესთვის პასუხი არ გაუცია, განერვიულდა... ქალმა ისევ დარეკა და გაკაპასებულმა დაუცაცხანა, თუ არ გინდოდა ზაზა, მაშ, თავი რად შეაყვარე, მოგწონს, რომ ტანჯავ, სადისტი ხარ?!..

სალომე ისევ გაიტრუნა და ნომერი დაბლოკა, გული უფრიალებდა, ნერვიულობისაგან სიცხემ აუწნია და არ იცოდა რა ექნა, რჩევა ვისგან მოესმინა და რეზოს ბიცოლას დაურეკა, რომელმაც უხეშად უპასუხა. გაკვირვებულმა სალომემ კითხა, - რა ხდება, რამე დაგიშავეთ?!

- მე რა უნდა დამიშავო გოგო, ეცადე, საკუთარ თავს აღარ დაუშავო!

-რატომ მეუბნები მაგას?!

- სალომევ, ყველაფერი ვიცი!

-რა იცი?!

-ზაზამ ყველაფერი ჩამიკაკლა!

-ჰმ! - ჩაელიმა სალომეს,-და რაო, რას მამბრალეხს?!

რეზოს ბიცოლა წამით შეეყოვნდა, დაიბნა, მაგრამ მაინც თქვა: - გამოგიწვევია კაცი, ერთადაც კი გიცხოვრიათ...

-საკმარისია! - დაიღრიალა სალომემ: - მაგ თქვენს გამოგზავნილ უტიფარ ზაზას გადაეცით, თუ კიდევ მსგავსს რაიმეს დამამბრალეხს, ციხეში ამოვალპობ!

-ვერ ამოვალპობ, შუბლზე ამაფარა შენი ერთი სიტყვა, რომ წერ, მიყვარხარო!

და სალომემ შუბლზე ხელი იტკიცა: - ერიჰა!

მოხუცმა სასწრაფოდ გამორთო ტელეფონი.

სალომეს დარეკვა და თავის მართლება თავში აზრადაც არ მოსვლია, განრისხებული, პანია სივრცეში აწრიალდა. დილა იყო და ერეკლეს მშვიდად ეძინა . ხმამაღლა წარმოთქვა: - მორჩა, ჩემთვის აღარ არსებობ, პატივცემულო ბიცოლავ, აბა რა, ვილაც გიჟის გჯერა, ჩემი კი არა!...

ცრემლები წამოცვივდა, ყვირილი მოუწდა, ბავშვი რომ არ გაეღვიძებინა, გასაღებს და საფულეს ხელი დასტაცა, გავისეირნებ, რომ დავწყნარდე, საკვებს ვიყიდი და დავბრუნდებო. სახლიდან გამოვიდა, მაგრამ რაც დაინახა მოჩვენება ეგონა, ზაზა არხეინად იდგა და სიგარეტს აბოლებდა, წარბშეკრული, მრისხანედ მისკენ გაემართა, პერანგზე ხელი წაავლო, მოქაჩა და სინინით უთხრა: - რას გადაგვეკიდე, რა გინდა, სად გადავიკარგო, რომ შენს მჟავე სახეს ველარ ვხედავდე, რა გინდა, როგორ მოგვაგენი!!!!

- შენი პოვნა ადვილია! -მხიარულად უპასუხა ზაზამ.

-კარგად ხარ, არა?!

-კი, ოღონდ, მას შემდეგ, რაც გიპოვე!
-ახლა მაღაზიაში შევალ და რომ გამოვივლი, აქ აღარ დამხვდება, თორემ, პოლიციას გამოვუძახებ...
-გამოუძახე, რას გიშავებ, რო?!
-არ მიშავებ?-ჩააცივდა სალომე.
-მაგას მე უნდა გეკითხებოდე და არა შენ!
გაოცებულმა ქალმა წამით პირი დააღო: - მხოლოდ პოლიციას არ გაკმარებ, უბნელი კლასელები არიან და ჩემს გამო, ასე სასტიკად რომ მტანჯავ, თავ-ყბას გაგიერთიანებენ.
-რომ ვეტყვი ვინც ხარ, აქეთ არ გცემონ!
- ვინ ვარ შენი აზრით, ვინ!
-ბოზი! - გამომწვევად უპასუხა ზაზამ. ქალმა ზურგი შეაქცია, სწრაფად მიდიოდა, ტელეფონი ჯიბიდან ამოიღო, ოღონდ, არ იცოდა სად და ვისთვის დაერეკა. როგორც ჩანს, ზაზას ტელეფონ მომარჯვებული ქალის შეეშინდა, აქაო და, მართლა პოლიციაში არ დარეკოსო...

სალომემ მხოლოდ პური იყიდა და მაღაზიიდან გამოსულს გზად ზაზა აღარ დახვედრია, მაგრამ მიდამოს მაინც ზვერავდა, მახვილი თვალი ჰქონდა. შინ შესული ბავშვზე ზრუნვამ გაიტაცა, მაგრამ როგორც კი შეჩერდა, ისევ წამოუარა სურვილმა, შემოჩენილი ჭირის შესახებ ვინმესთვის მოეყოლა, შველა ან რჩევა მიეღო და ფიქრად ქცეულმა ამგვარი ადამიანი ერთი-ც ვერ იპოვა. ბავშვი შინ დატოვა, გააფრთხილა, კარი არავისთვის გაეღო.

მამა გიორგი ტაძრის ეზოში მრევლის ნევრ კაცებს ესაუბრებოდა. თვალებამღვრეულ სალომეს თვალი მოკრა და სატრაპეზოში შეიყვანა. თავიდან ხმას ვერ იღებდა ქალი, მერე აბდაუბდად ალაპარაკდა, ლელავდა და მონათხრობიდან მღვდელმა ამგვარი აზრი გაოიტანა, ვილაც ოხერი სალომეს უთვალთვალეbs, დასდევს, სახელს უტეხს. აღელდა მოძღვარი და გაბრაზებულმა კბილებიდან გამოსცრა: - მომიყვანე! მერეო? იკითხა სალომემ. ცემით მოვკლავო, უპასუხა აღელვებულმა სასულიერო პირმა. ქალმა მხრები ჩამოყარა და ატირდა.

-მომიყვანე ქალო, ჭკუას ვასწავლი!

-სხვა გამოსავალი არ არსებობს?-ისევ იკითხა სალომემ.

-როგორც მივხვდი, მაგასთან ადამიანურად საუბარი არ ჭრის, აგერ, მწერალ კაცს სანახევროდ დაუგდო ყური, სკოლას გაეცალა, მაგრამ რა, მაინც გიტრიალებთ, ხომ არ უნდა გადაშენდეთ!

- არა, მამა გიორგი, ასე არ ივარგებს!

-აბა, რა ექნათ?! - ჩაფიქრდა მოძღვარი: - მოიცა, მრევლში ერთი პოლიციელია და იმას ვკითხოთ?

სალომემ იმედიანად შეხედა მოძღვარს და თავი დაუქნია.

ქმენა-ქმენვით ოთახში ღიპიანი პოლიციელი შემოვიდა, შეკითხვები დააყარა სალომეს. გაკვეთილის გარდა დროს თქვენს გარემოცვაში ატარებდა? სუფრას უშლიდით? თავისი განზრახვა გაგიმხილათ? სალომეს ვრცლად და დაწვრილებით ახსნა-განმარტების მიცემის თავი არ ქონდა და ყველა შეკითხვაზე დასტურით პასუხობდა. ღიპიანმა პოლიციელმა ზაზა გაამართლა, -შე კაი ადამიანო, თუ რესტორანში წაყვეი, ესაუბრებოდი, საჭმელს აჭმევდი და საჩუქრებს აძლევდი, პლუს დედამისს ტკბილეულს უგზავნიდი, მაშინ ის კაცი მართალიაო. შუბლშეკრული მამა გიორგი უსმენდა პოლიციელს და ტუჩს იბზუებდა, სალომემ იქ ყოფნა ველარ აიტანა, სინანულმა შეიპყრო, დაუმშვიდობებლად გაეცალა სატრაპეზოში მყოფთ. გზად მიმავალი ტიროდა და პოლიციელის დასკვნას აპროტესტებდა, არაფერი შემშლია, ადამიანურად არაფერი შემშლია, სწორად ვიქცეოდი, სწორად!.. გამიჭირდება, მაგრამ მართალი ვარ და გავიმარჯვებ!

ვილაცამ დარეკა, ქუჩაში სკამზე ჩამოჯდა და უპასუხა. ისევ ელენე იყო: - შვილო, დედაშვილურად გევედრები, გთხოვ, გაყევი ზაზას ცოლად!

-რატომ, რისთვის ქალბატონო ელენე, რას მერჩით!

-მე არაფერს, მკლავს, აღარ შემიძლია სალომე, მირტყამს შენს გამო!

-რა ბრძანეთ?!

-მცემს და მჩქმეტს გამეტებით, სად წავიდე, მითხარი, სად!

-არ ვიცი... ან, როგორ გავყვე, ბოზობას მაბრალეებს და, გინდათ კახპა რძალი?!

ელენემ ხმა გაკმინდა, აქვითინდა. სალომემ ტელეფონი გამოართო და ინანა ზაზასთან მიმონერებს მაშინვე რომ შლიდა. ველარ გარკვეულიყო რანაირ დედაშვილთან ქონდა ურთიერთობა. თითქოს ნორმალურები იყვნენ, იმავდროულად შერეკილებიც.

შინ დაბრუნებულმა დილით ადრე ბავშვი გააღვიძა, ტაქსი გამოიძახა და მეუღლის ბინაში დაბრუნდა. ერეკლეს არდადეგებიც დაწყებულიყო, სალომე სიტყვის შესრულებას და ბავშვის ბათუმში ან ქობულეთში დასასვენებლად წაყვანას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელი მოვლენები სწრაფად დაბზრილ-განვითარდა. შინ შეყუჟულები იმ დღეს გადარჩნენ, მაგრამ მომდევნო დღე მწარედ გაუთენდათ.

ზაზა სალომეს სახლისკენ გაქანდა, ჯერაც არ გათენებულიყო, ის რომ მათ ფანჯრებს უცქერდა, შუქი არ ანთებულა ბინაში. მზის ამოსვლას დაელოდა და დედა-შვილი არა და არ გამოვიდნენ ქუჩაში. იფიქრა, აქედან გამასწრესო და სალომეს სტუდიისკენ გასწია. ოფისი დაკეტილი დახვდა, დაფეთდა, ავტობუსში ავარდა და სალომეს მეუღლის სახლისკენ გასწია, უკვე დაღამებულიყო. მათი ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა. მარკეტში შევარდა, პატარა ბოთლით რუსული ხორბლის არაყი გამოიტანა, ერთი ამოსუნთქვით გამოცალა, ძალა და აგრესია მოემატა, შურდულივით ავარდა მეთერთმეტე სართულზე და კართან დადგა, ზარი დარეკა. სალომეს ელდა ეცა, კარის გასახედიდან ზაზას თვალი რომ მოკრა, შემოსასვლელში შუქი ჩააქრო და გატრუნდა. ზაზამ რეკვა გააგრძელა, ერეკლე გამოვიდა საძინებლიდან და იკითხა, რა ხდებაო? დედამ ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო, ბავშვს ანიშნა ნუ ლაპარაკობო. ზაზა კარს იქიდან აღრილდა: - სალომე გააღე, ვიცი, სახლში ხარო, გააღეთ!

სალომე დაიბნა, აკანკალებულმა მობილური ტელეფონი აიღო, აივანზე გავიდა და ინსტიქტურად სკოლის დირექტორ პატას დაურეკა.

-გისმენთ, ძვირფასო!

-ბატონო პაატა, მაპატიეთ, გვიან განუხებთ, არავინ მყავს სხვა, თქვენს გარდა...

-რა ხდება სალომე, ამიხსენით გასაგებად!

-ის, ის არანორმალური კაცი კარებთან დგას და მიბრძანებს, გინდა თუ არა, კარი გამიღეთო, მგონი ნასვამიცაა!

-არ გაუღოთ!

ამ დროს ერეკლეც გამოვიდა აივანზე და დედას შეშფოთებულმა უთხრა: -კარებს მუშტებს და წიხლებს ურტყამს, მეშინია!

პაატამ გაიგონა ბავშვის ნათქვამი და ფეხზე წამოდგა: - სალომე, ნუ გეშინია!

-გვეშინია, ბატონო პაატა, ლამისაა კარი შემოღენოს!

-მომისმინე, 112 -ზე დარეკე და უთხარი, პოლიცია მოვიდეს, დააკავონ ეგ გიჟი, მიდი, ცოცხლად, არ დაიბნე!...

სალომემ 112-ში დარეკა, არ დაბნეულა, ოპერატორს მოახსენა თავს დატეხილი უბედურების შესახებ.

აიენიდან, ლოჯიისა და სამზარეულოს გავლით, შემოსასვლელს მიაღწენენ, ურდული სანახევრად მოყანყალბულიყო.

-არიქა, შვილო, გასაღები მომიტანე!

ზაზა ღრიალებდა, მოთქვამდა, კარს მუშტებს ურტყამდა. ერეკლემ დედას გასაღები მიაწოდა, ქალმა კარები გასაღებით ჩარაზა, იცოდა, ზაზა კარს ვერ მოერეოდა, მაგრამ რკინას მაინც აეფარა. ერეკლეს შიშით გული აუფრიალდა, დარწმუნებული იყო, ზაზას წიხლი და მუშტი კარებს წააქცევდა და მშობელს ქვეშ მოიყოლებდა. პირველად შეეშინდა დედის სიკვდილისა. სამზარეულოში გავარდა, პურის საჭრელ დანას დაავლო ხელი და მშობელს გვერდით დაუდგა, აყვირდა: - ზაზა, შე ვირიშვილო, გაჩერდი, თორემ, გამოვალ და მოგკლავ!

-თავად ხართ ვირიშვილები, შე საზიზღარო, უმადურის გაგდეხლო ნაბიჭვარო, დამაცადე, შემოვალ და ორივეს დაგასამარებთ! - გამოსძახა ზაზამ.

არცერთი მეზობელი გარეთ არ გამოსულა, არვინ გამოქომებია დედა-შვილს, ვითომ ყრუები იყვნენ, არადა და, ინტერესი

კლავდათ, ვინ იცის, რამდენი იდგა კარებზე ყურმიწებებული-
ვით. სალომე ატირდა, თან ერეკლეს თხოვდა, დანა ადგილზე და-
დეთ. ერეკლე ჯიუტობდა და გაიძახოდა, მოვკლავო.

სკოლის დირექტორმა მალევე დარეკა, რა ხდებაო? პოლი-
ცია არ ჩანსო, შესჩივლა სალომემ. ახლა მეც დავრეკავო, დაამშ-
ვიდა პაატამ ქალი, შენი მობილურის ნომერს შევახსენებ 112-ს,
მაგრამ თქვენი მისამართი მაინც ჩამაწერინეთო. კარი ზანზა-
რებდა, სალომეც ხტოდა, ისევ დარეკა პაატამ!

-ცოტაც გაუძელით სალომე, ეკიპაჟი გამოსულია, არ შეგე-
შინდეთ, მიხედავენ!

ზაზამ უცბად შეწყვიტა ფეხებითა და ხელებით ბრახუნი. ვი-
ლაცამ წყნარად და მშვიდად ზარი დარეკა.

-გააღეთ ქაღალტონო, საპატრულო პოლიციაა!

სალომემ კარი გააღო. ორ პოლიციელს ზაზა უსულო საგა-
ნივით ეკავა, მუხლები ეკეცებოდა და საცოდავად იყურებოდა.
ყველაზე ასაკოვანი პოლიციელი ბინაში შემოვიდა. სალომეს შე-
კითხვები დაუსვა და პასუხები რომ მოისმინა თქვა: - ნუთუ ვერ
შეამჩნიე ვინცაა, ჩვეულებრივი ბომჟია, ყარს!

თავიდან ეგეთი არ იყო, წაილულულა ერეკლემ, რომელ-
საც დანა კვლავ ხელში ეკავა.

-რატომ უკავია დანა ?

-ჩემი დაცვა უნდოდა, ბატონო! - წარმოთქვა აკანკალებულ-
მა სალომემ.

-მესმის! - პოლიციელმა ბავშვს დანის ტარზე შემოწებებუ-
ლი თითები გააშლევინა, დანა ჩამოართვა, მაგიდაზე დადო.

დედა-შვილი პოლიციელს კარამდე მიყვნენ. ზაზამ ქალის-
კენ ხელები გაიწვდინა: - მიყვარს ხალხო, რა დავაშავე, ნუთუ,
სიყვარული დანაშაულია!

დაიჩოქა და სალომეს ფეხებზე წაეპოტინა, ქალმა უკან და-
იხია. ზაზა ფილებიან იატაკზე განვა, აფხარკალდა. სართულის
მეზობლები გამოსულიყვნენ და სალომემ მათ მრისხანედ გა-
ხედა, ერთ-ერთმა მეზობელმა კაცმა სალომეს შეუბღვირა და
ცხვირაბზუებული შინ შებრუნდა, კარიც მიაჯახუნა.

შუალამით ვილაც პოლიციელმა დაურეკა სალომეს, რა ვუ-
ყოთ ამ კაცს, ამჯერად გავუშვათ თუ დავაკავოთ? გაუშვით,
მაგრამ თუ იგივეს გაიმეორებს, აღარ დავინდობო, უპასუხა
სალომემ. ორი კვირის შემდეგ ზაზა ისევ გამოჩნდა სალომეს
სამსახურთან ახლოს, მისდევდა და ეძახდა, შეჩერდი, სათქმე-
ლი მაქვს რამეო. სალომე გამოექცა, მაგრამ ზაზა დაენია, თმა-
ში წვდა, ქალი გაუსხლტდა და თმის ნაგლეჯი ხელში ცხენის
ძუასავით შერჩა. სალომეს ტკივილი არ უგრძვნია, სირბილი
გააგრძელა, მაგრამ ზაზა კვლავ დაენია, წინ აეფარა და მთე-
ლი ძალით სილა გააწნა. რომელიღაც დაწესებულებიდან გამო-
სულმა დაცვის თანამშრომელმა ზაზას მიმართა: - რას სჩადი-
ხართ, არ გრცხვენიათ, ქალს დღისით, ქუჩაში რომ შეურაცხ-
ყოფთ?! პრობლემაზე შინ ისაუბრეთ და წყნარად მოაგვარეთ,
ცემა-ტყეპის გარეშე!

-რაა?! - წამოიყვირა გამწარებულმა სალომემ: - ეს კაცი ჩე-
მი არავინაა და რა მინდა ამასთან სახლში, გთხოვთ, ახლავე და-
რეკოთ პოლიციაში! - გვერდით გაიხედა, ზაზა გაქცეულიყო, ისე
შორს, რომ წერტილს გავდა.

-მართლა დავრეკო?-იკითხა დაცვის თანამშრომელმა.

-დიახ, დამეხმარეთ, გთხოვთ, უცხოა, გადაკიდებული მყავს,
ერთხელ უკვე ყავდა პოლიციას ჩემს გამო დაკავებული...

-დამშვიდდით, ახლა უკვე სხვანაირად მიხედავენ!

კაცმა გაქცეული ზაზასკენ გაიხედა: - ვაი ვაი, უნამუსო,
თქვენი თმა ისევ მუჭში აქვს მოქცეული, დგას, გვიყურებს ეს
ტიალი!

ამ შემთხვევიდან სამი დღის შემდეგ, გამწარებული ზაზას
ესემესი მოვიდა.

შენ როგორი გამოცდილი ყაჩაღი ყოფილხარ, სინამდვილე-
ში მე ვარ დაზარალებული შენი მხრიდან და ისეთი ჯადო ხარ,
რომ აქეთ გამოგყავარ დამნაშავე, როგორ მოახერხე?! ააა, მივ-
ხვდი, ყველას მიეცი ხომ! ეს მე ვარ, მხოლოდ მე მწუნობ და არ
მაძლევ. ჰე, მიდი, დარჩი შენს კუნთმაგარ და უტვინო პოლიციე-
ლებთან, ძალოვნებთან კარგად გაერთეე!

ეს რომ მოსწერა ზაზამ, სალომე სამსახურში იყო და თანამშრომლებმაც ნახეს ესემესი, გაელიმათ. არ იდარდო, ეჭვია-ნობს დიდცხვირა და დიდყურება ზაზაო, მას ხომ სტუდიაშიც იცნობდნენ.

სალომე იმ განყოფილებაში დაიბარეს, მის საცხოვრებელ სახლთან ახლოშივე რომ მდებარეობდა. ახალგაზრდა, წარმოსადეგი, ასე, 27- 28 წლის კაცი ფეხზე წამოუდგა სალომეს და ხელიც ჩამოართვა, მაგრამ სალომე სირცხვილისგან თავს მაღლა ვერ წევდა, ასეთ ცუდ მდგომარეობაში არასდროს ჩავარდნილა, მაშინაც კი, როცა სამი კუბო ცხვირწინ ედგა და საყვარელ ადამიანებს საიქიოსკენ მიაცილებდა, ქალს დარდისგან ცრემლი გაშრობოდა. 33 წლისა იყო და გაცილებით მეტი ასაკისას გავდა იმ დღეს, მაგრამ გაფერმკრთალება მოუხდა, მეტი შარმი შეჰმატა მის ვიზუალს.

კარგი ადამიანი აღმოჩნდა ინსპექტორი დათო. ქალისთვის შეკითხვები არ დაუსვამს. ზაზასთან შეხვედრის ამბავი მოუყვა. აღნიშნა, მეც იქ ვიყავი იმ ღამეს, თქვენთან შემოჭრას რომ ლამობდაო. დღეს გაგვაგიჟა, თქვენზე ისეთები გვითხრა... ვიცი, ტყუოდა. ოპერაციის ჩასატარებლად ჯგუფი გადიოდა და ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა კინალამ ავტომატის ჯერი დაახალა, ძლივს შევაკავეთ. აი, ისიც, მოდის, გვიახლოვდება ჩვენი რაგბისტი.

ახალგაზრდა კაცი ღიმილით მიუახლოვდა ქალს, სალომე წამოდგა და გაოგნებულმა ხელი გაუწოდა, მადლობის თქმა უნდოდა და ვერ შეძლო. რაგბისტმა მრავალმნიშვნელოვნად იკითხა: - ამ ანგელოზივით ქალზე კადრულობდა სიბინძურის დაბრალებას?

გამომძიებელმა თავი დაუკრა. კაცმა დანანებით თავი გააქნია და კიბეებისკენ გაემართა. სალომე გამოცოცხლდა და იკითხა: - კიდევ რას მაბრალებდა ამ ჯერად, ძალიან მაინტერესებს, თუ შეიძლება...

-რა ვიცი, რა გითხრათ, თურმე მსუბუქი ყოფაქცევისა ხართ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს წითელი ფერის ტრუსებს ჰფენთ თოკებზე გასაშრობად. სხვა რამ ვერ მოიფიქრა.

-რაა?! - გაოცდა სალომე: - საერთოდ არ მაქვს მაგ ფერის...

-მერე რა, თუნდაც გქონდეთ, განა ტრუსის ფერი რამეს ნყევტს?! ჰო, მოგვიანებით, ფანტაზია მოეძალა და მითხრა, რომ კაცები მოდიან თქვენთან და ვაჟის არ გრცხვენიათ, მის წინაშე... და ასე შემდეგ. ჯადოქარიც ხართ, მოგიჯადოებიათ, საჭმელს აჭმევდით და შიგ ჯადოებს უყრიდით. კერძში ფრჩხილები და თქვენი შავი თმის ბენვები დაუნახავს და მაინც შეუჭამია, იმიტომ, რომ მაშინ არ იცოდა ჯადოქარი რომ ყოფილხართ!

-თქვენ ახლა მეხუმრებით?! - გულწრფელად იკითხა სალომემ.

-არა, უბრალოდ გიყვებით, რაც თქვენზე თქვა. მერე, თქვენი მიწერილი „მიყვარხარ“ გვაჩვენა.

-მაიძულა ბატონო, მომწერა, თუ გინდა შეგეშვათ, მომწერე, რომ გიყვარვარო და მეც, მივწერე.

-ჰო, ვუპასუხე, შესაძლოა, თავიდან უყვარდი იმ ქალს, მაგრამ მერე აზრი შეიცვალაო. მოკლედ, ბოლოს გვითხრა, რომ ენერგო-ვამპირი და უცხოპლანეტელი ბრძანდებით, ჩვენ თვალებში თუ ჩაგხედავთ, დაგვლუპავთ.

სალომემ უსაფუძვლო, ზღაპრულ ბრალდებებს ველარ გაუძლო, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა, თან ბუტბუტებდა, მაპატიეთო! დაწყნარდა, ჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და გამომძიებელს მიაწოდა.

-ეს ბოლო ესემესია, ადრე ყველაფერს ვშლიდი, რასაც მწერდა, ეს აღარ ნავშალე, ნახეთ, რას მწერს და რას მიწოდებს!

გამომძიებელმა წაიკითხა და გაელიმა: - ველარ გამაკვირვებთ, სამკურნალოა, საცოდავი! მოკლედ, ხელწერილი დავანერჩინეთ, მხოლოდ თქვენთან მოახლოება კი არა, ამ უბანის მიწაზე ფეხის დადგმაც ავუკრძალე. მშიშარაა, ეს კადრმაც დამიდასტურა, როგორ გიშავებთ და მერე იდიოტურად გარბის, გამელიმა უბრალოდ! თუ მოგწერთ, ან სადმე შეგეფეთებათ, შეგაშინებთ, მირეკავთ მე. შევთანხმდით?

-დიახ, უღრმესი მადლობა!

ერთხელ კიდევ რაღაც სისაძაგლე მისწერა სალომეს ზაზამ. შეშინებული სალომე მაშინვე პოლიციის განყოფილებაში გაიქცა,

დათო გასული იყო, მაგრამ რაგბისტმა ნახა მესიჯი. ზაზას დაურეკა და დაემუქრა. რაზე შევთანხმდით ჩვენ, რად აწუხებ იმ ქალბატონს, რა ვქნა, დაარღვიე პირობა და გადაგცე სასამართლოს?

რაგბისტმა თვალი ჩაუკრა სალომეს: - მეტს აღარ ვიზამო, ზაზამ!

დარცხვენილი სალომე მეზობლებს კარგა ხანს, აღარ ესალმებოდა. იმ წელს ერეკლე ზღვაზე დასასვენებლადაც ვერ წაიყვანა. სალომეს გულზე პრობლემა შეექმნა და სამკურნალო გახდა. ერეკლემაც შიშები დამოუკიდებლად ვერ დაძლია, ყველგან ზაზას დაშტიმული თვალები ელანდებოდა და ერთი წელი ფსიქოლოგი ეხმარებოდა.

გაიგეს სალომეს თავგადასავლის შესახებ ნათესავებმა და გამოჩნდნენ. ეკითხებოდნენ, რა მოხდა და ასე გვიან რატომ მიაღწია ამ აბავმა მათ ყურამდე, რატომ არ იხმო დასახმარებლად მარტო დარჩენილმა ქალმა ისინი... მოკლედ, გათიშული ნათესავები დროებით შეკავშირდნენ, დაიშალნენ, მიიშალნენ.

რეზოს ბიცოლა ისე გარდაიცვალა, რომ სალომეს მისთვის ხმა აღარ გაუცია.

...სიბრძნის გაკვეთილი დასრულდა და სალომემ ცხოვრება ისე გააგრძელა, რომ აიძულა საკუთარ ბედისწერას მის წინაშე თავი დამარცხებულად ელიარებინა.

არ მკითხოთ, რა ქნა ასეთიო! ისეთი არაფერი, ვინმეს რომ არ უქნია! თავის სწორად შეყვარება შეძლო. იმ თავგადასვლიდან ათი წლის შემდეგ, თქვენ რომ მეგობარ მამაკაცს ეძახით, ეგეთი კაციც გამოჩნდა მის ცხოვრებაში.

P.S ჩაფიქრებული ერეკლე მეტროს მატარებლის ვაგონიდან გამოვიდა, ესკალატორზე შედგა, თავისუფლების მოედანზე ადიოდა, თანაკურსელებთან შესახვედრად, ჩამომავალ ესკალატორზე ზაზა დაინახა, აღელდა, თავი დახარა, ის ისევ ისეთი იყო, მხოლოდ ნაოჭები ჩაღრმავებოდა, ჭერს შესცქეროდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა, მოვდივარ მამიიი, დამელოდე, მალე მოვალ!

ერეკლემ სინანულით თავი გააქნია და ჩაიჩურჩულა: - ღმერთო ჩემო, ჰაი მეეე!

წესილები

ის!

არ მქონდა ბედნიერება მისი სტუდენტი ვყოფილიყავი, არა-და, უკვე ვიცნობდი. 12 წლისას მისი წიგნი დედამ ხელეში ჩამიდო და მითხრა, კმარა ზღაპრების კითხვა, დროა სერიოზული ლიტერატურის კითხვაზე გადახვიდე და დაიწყო ქართველი ავტორებით. რომ წაიკითხავ, შენს შთაბეჭდილებებზე მომიყევიო.

წიგნში ნოველები ეწერა და ამ პატარა, მოქნილი ამბების ავტორი ჩემი სულის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ის მწერალი შემეყვარდა. დიდი დრო გავიდა, მაგრამ ნოველების ის ავტორი არ დამვიწყნია. გრძნობა სულში არა თუ დარჩა, გაძლიერდა კიდევც.

ახალგაზრდობისას ხშირად ვხედავდი ჩაფიქრებული სახით დერეფნებში მიმავალ მწერალს, რამდენჯერმე ლანდივით ავედევენე, ის კი უკანმოუხედავად მიდიოდა, ვერც კი მამჩნევდა ან რა იცოდა, რარიგ ახლობელი იყო ჩემთვის. დღეს მას ჩემს მასწავლებლად, დამრიგებლად, ერთ-ერთ აღმზრდელად ვთვლი, ვინაიდან ის ქართული მწერლობის კამკაშა ვარსკვლავია. ახლახანს გავუბედე მეთქვა, რომ ძლიერ მიყვარს. ეჭვი არ შეპარვია ჩემს გულწრფელობაში. კმაყოფილი დავრჩი ჩემი საქციელით. მან კი მიპასუხა, ჩემი მეგობარი ხარო!

თორმეტი წლისამ წიგნის მეშვეობით გავიცანი, ორმოცდათხუთმეტისამ კი პირადად, თუმცა ვხედავდი ლიტერატურულ საღამოებზე მწერლის სახლში და სხვებივით მასთან მიახლოებას ვერ ვხედავდი. ის თავმდაბალია, თუ კარგად წერ, შეგაქებს, ცეცხლს შეგინთებს, რომ არ გაჩერდე, წერა გააგრძელო. მდიდრულად, სიტყვებით მოგეფერება. ასე მოხდა ჩემთან მიმართებაშიც. შექება ისე ძლიერ მეამა, რომ კურცხალიც ჩამომიგორდა ლანვებზე და ვიფიქრე, სად ვიყავი აქამდე, რატომ ვერ გავიცანი, ან ვინმეს მის მეგობარს რატომ არ ვთხოვე გამაცანო?! როცა მოთხოვნილი და ხმამაღლა გაცხადებული მქონდა სურვილი და უფროსმა მეგობარმა, პოეტმა ზურაბ მამულაშვილმა გულის-

ნადები ამასრულებინა, მას მერე ვიფიქრე ამგვარად. მეღიმება, თურმე რამდენი ახლობელი მყოლია, ვინც მას პირადად იცნობს!

ნიკო ბალაშვილმა მისი ორი რომანი მათხოვა, „წამება“ და „ციყვი ბორბალში.“

ორივე რომანში მწერალი დიდ გულისტკვილს გამოხატავს იმის გამო, რომ უკვე თავისუფალ ქვეყანაში ღვანლმოსილ ადამიანებს უდიერად, აგდებულად ეპყრობიან, ამ ქვეყანაში ადამიანი თავისი დიდებულებით თავად სახელმწიფოს მესვეურთ არ აინტერესებთ. საქმე იქამდეცაა მისული, რომ განათლებული, მშრომელი და ნიჭიერი ახალგაზრდებიც გარბიან ქვეყნიდან, რომ ცხოვრებაში საკუთარი თავი იპოვონ. ორივე რომანი თანამედროვე საქართველოზეა, და ესაა პერიოდი „სააკაშვილის ათწლეულის“ მმართველობისა. მწერალი ყურადღებას ამახვილებს მისი რეჟიმის მრავალ მანკიერებაზე, რომელიც აიძულებს ადამინებს გადაგვარდნენ, გახდნენ გაცილებით ცუდნი, ვიდრე წარსულში ყოფილან.

სანამ რომან „წამებას“ წავიკითხავდი, ვამაყობდი ჩემი ქვეყნის ისტორიით, არასდროს ქართველებს სხვისი მიწების დაპყრობაზე რომ არ უფიქრიათ, მეტიც, ქართველი მეფეები მეზობელ სომხებსაც იცავდნენ მტრებისგან და საქართველოს მხოლოდ ვასალი ქვეყნები თავიანთი ნებითვე ევასლებოდნენ, მაგრამ „წამება“ ისეთი წიგნია, რომელმაც საქართველოს წარსული და აწმყო ერთი მიზანმიმართული რაკურსიდან დამანახა, როგორც ყოფა ერთი ადამიანისა, რომელმაც ხანგრძლივად ცხოვრების მანძილზე ნელ-ნელა დაკარგა მნიშვნელოვანი უნარები. ქართველები საკუთარი, წართმეული მიწების დასაბრუნებლად ხმალამოწვდილნი დაჰქროდნენ, მხოლოდ თვეების, წლების კი არა, საუკუნეების მანძილზეც, რომ კუთვნილი დაებრუნებინათ. იყო აღზევება, დაცემაც, მაგრამ წამოდგომა და წელში გამართვაც შეგვეძლო. მომხდურებს ვეჭიდებოდით, ვაძევებდით, მაგრამ მშვიდობიანად შემოსულებს, ქართველთა გვერდით დამკვიდრების მოსურნეებს მკერდში ვიკრავდით. მერე რუსეთმა

შეგვიფარა და აი, მაშინ დაიწყო უბედურება, ქართველები მიაჩვიეს ტერიტორიების დაკარგვას.

რომანის მთავარი გმირი ისტორიკოსია, პროფესორი, უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი, რომელიც წარსულში მრავალჯერ დაუთხოვიათ სამსახურიდან, შემდგომ ღირსეულადაც დაუბრუნებიათ, მაგრამ ამჯერად სამუდამოდ გააძევეს და შიშით გამოქომაგება ვერვინ გაბედა. სულდამძიმებული ისტორიკოსი დავით გარეჯის მამათა მონასტერში მივა და იქ მოღვაწე შავი სამღვდელოების წარმომადგენელ ახალგაზრდას დაუტოვებს თავის რომანს წასაკითხად. ბერთან ერთად მკითხველიც შედის საქართველოს იმ წარსულის მომენტებში, როცა ჩვენ ძლიერ გვიჭირდა, მაგრამ რწმენა და შემართება გვქონდა, რომ ტერიტორიულად არ შევმცირებულებიყავით. ქრონოლოგიურად პატარა-პატარა მომენტებზე აგებული რომანი დღევანდლობამდე მოგვიყვანს და ჩვენს სავალალო მდგომარეობაზე მწარედ ჩაგვაფიქრებს.

სამეგრელოს მეფე ლევანი აღელვებულია იმის გამო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მეთექვსმეტე საუკუნეში მასიურად შემოდიან აფსუა-ყაზარდოელები და მკვიდრ აფხაზებს ავიწროვებენ, საკუთარი მიწიდანაც კი აძევებენ და ლევან მეფე სამეფოს გადარჩენისთვის ელჩებს აგზავნის რუსეთში, რომ მათგან დახმარება მიიღოს... ტყუილად არ შფოთავდა მეფე. დღეს აფსუებმა აფხაზობა დაიბრალეს და რუსეთის დახმარებით გაბედეს, თავი სხვა სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ. თითქმის აღარ გვაქვს ჩრდილოეთის მხარე, აღარც მესხეთის დიდი ნაწილი, თურქეთის ტერიტორიაზე გადაჩოჩდა და დღემდე იქაა. ახლო წარსულში სამაჩაბლოს ოფიციალურად სამხრეთ ოსეთი უწოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ მიწაზე ჩვენზე მეტად გამრავლდნენ. ჯიუტად გაიძახიან, თქვენგან დამოუკიდებელი ქვეყნები ვართო და ჯერჯერობით გასდით, რუსეთს სურს ამგვარად და იმიტომ. ამ რომანმა კიდევ უფრო მძაფრად განმაცდევინა ჩვენი სატიკვარი, რომ არასდროს მეგობარი სახელმწიფოე-

ბი არ გეყოლია. მხოლოდ გემტრობდნენ, ზოგი აშკარად ზოგიც ფარულად და რუსეთი? რუსებისა და ქართველთა მეგობრობის შესახებ მითებს თავადვე ვქმნიდით, ასე გვწადა. რუსეთს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, ასეა ახლაც, ისე კი ქართველები მშობლიური ენიანად აღიზიანებდნენ რუსებს და ცდილობდნენ ჩვენს გარუსებას. გასაბჭოების შემდგომ ქართული მიწების ნაწილი თავისად გამოაცხადეს, სომხეთმაც დრო იხელთა და ჩვენი ტერიტორიები მიითვისა, აზერბაიჯანმაც. საქართველომ ხელი ჩაიქნია, საკუთარი უმწეობა დაიჯერა, დანებდა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. გვეკარგება მიწები, საქართველო... რუსეთს არ ვუყვარვართ, მაგრამ მისი ნების წინააღმდეგ და ღვთის შეწევნით მათი არსებობა ქართველობას მაინც გვიცავს, რომ არ აღვიგავით პირისაგან მიწისა.

რომანში, „ციყვი ბორბალში“ მოგვითხრობს ერთ კარგ ადამიანზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფია. ლავრენტი მიქავას არ ჰყავს ოჯახი, მარტოხელაა და მწერალი გვიამბობს ბავშვობის, მისი ოჯახური მდგომარეობის, მოსწავლეობის, სტუდენტობის და სიბერის შესახებ. ესაა კაცი, რომელსაც ცხოვრების ყველა ეტაპზე უზღუდავდნენ თავისუფლებას, მაგრამ გამოუჩნდება უფროსი მეგობარი ფოტოჟურნალისტის სახით, რომელსაც ლავრენტი ენდობა და ახლობლად თვლის. საბოლოოდ რომანის მთავრი გმირი კეთილშობილადამიანად ჩამოყალიბდება და თავადაც ფოტოჟურნალისტი გახდება, თუმცა პრეზიდენტმა შარი მოსდო, ქვეყნისა და პრეზიდენტის მოღალატედ უნდა გამოგაცხადო და სხვა ფოტოგრაფთა შესაშინებლად სასტიკად დაგსაჯო.

ციხეში მოხვედრილი ლავრენტი ხედავს, რომ იქ მასსავით უდანაშაულო ადამიანებს ტანჯავენ და მათი რაოდენობა განუსაზღვრელად დიდია. ყველა მათგანი დამკვიდრებული სისტემის მსხვერპლია. გული უმტყუნებს და სხვა ტუსაღებთან ერთად საავადმყოფოს პალატაში მოხვდება, რომლებიც ყვებიან თავიანთ სასიცვარულო ამბებს, რომლის შედეგადაც იქმნება მშვენიერი,

დაუვინყარი რომანული ეპიზოდები. სწორედ ეს ადამიანური ურთიერთობები ჰმატებს მთავარ გმირს სულიერ სიმტკიცეს.

მწერალმა იმ პრეზიდენტის ბედი იწინასწარმეტყველა. ლავრენტი სიზმარში ნახავს პრეზიდენტს, რომელიც მასსავით პატიმარი გამხდარა. ლავრენტის სურს, პრეზიდენტს თვალებში ჩახედოს და ყელში ხელი წაუჭიროს, მაგრამ ვერ ახერხებს და გამოღვიძებული ნერვიულად ცახცახებს. როგორია, როცა არაფრის გამო ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას მოგიხჯიან?!

არჩევნების დამთავრებიდან ერთი თვის თავზე ლავრენტის ბოდიშს მოუხდიან, რომ თვითნება ხელისუფლების მსხვერპლი შეიქნა და გამოუშვებენ, მაგრამ იქ, ციხეში ამ პატიოსანმა ადამიანმა ცხოვრების ორი წელი დაკარგა, ისიც აღსანიშნავია, რომ გარეთ გამოსვლამდე ლავრენტი მიქავამ იცოდა, პრეზიდენტი საზღვარგარეთ რომ გაიქცა. კი, გაუშვეს, მაგრამ როგორც ჩიტი გალიიდან, გამოფრინდი, გაფრინდი და თავში ქვა გიხლიათო, ასე გამოუვიდა ახალ ხელისუფლებასაც. ლავრენტი უმუშევარი გახდა, მაგრამ თავისი პროფესია მაინც აჭმევს პურს, კარგ ფოტოებს იღებს. რუსთაველის მეტროს შესასვლელთან დგას, რომელთანაც გამოლაპარაკება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

რომანების თხრობის მანერა განსხვავებული და ორიგინალურია. ამბებიც მკვეთრად გამოხატული, ეტყობათ, ნოველების დიდოსტატის შექმნილნი რომ არიან. ის გახლავთ ქართველი კლასიკოსი, მართლაც რომ სახალხო მწერალი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე!

2023 წლის 5 მარტი

ნოველა და ნოველისტი

ბატონმა რევაზ მიშველაძემ თავისი წიგნი მაჩუქა, რომელშიც ოცდათხუთმეტი ნოველაა შეტანილი, წიგნს ჰქვია „წარღვნა.“ წიგნი დაჭმუჭნულია, არ ვიცი რატომ. მუხლებზე დავიდე, გადავშალე და კითხვა დავიწყე, დავიწყე და მოულოდნელად წიგნის სუნთქვის ხმა გავიგონე. სხვა დროს ამგვარი რამ არასდროს დამმართნია, ამიტომაც მაგიურ წიგნად აღვიქვი და კითხვა დავიწყე. მივყევი, მივყევი და გული ბატონი რევაზის ხმითა და დიქციით ამიმეტყველდა.

აი, დავხურე მაგიური წიგნი. სათითაოდ ნოველას გაანალიზება-განხილვა შედარებით ადვილია, ვიდრე ყველაზე ერთად წერა, დამეთანხმებით, მაგრამ სანამ ამ შესანიშნავი წიგნის შესახებ მოგახსენებდეთ, გავიხსენოთ, რა არის თავად ნოველა.

როცა ნამდვილ, კარგ ნოველას ვკითხულობ, თვალწინ დამიდგება ულამაზესი მელია, ღუნღულა კუდიტ, მოქნილი სხეულით და დაცქვეტილი ყურებით, ვინაიდან ნოველა მოქნილია თავისი ნატურით, ამიტომაც ძნელად დასაწერი, ის თავისი ფორმატით მცირე ასპარეზს გთავაზობს. ნოველა წამია, გაელვება ადამიანის, კონკრეტული ქვეყნის თუ კაცობრიობის ცხოვრებიდან. ნოველა ეპიზოდია, რომელსაც შევადარებდი იმპრესიონისტ მხატვართა შემოქმედებას, სადაც მრავალი მკვეთრი ფერი ლივლივებს, შევადარებდი ფოტოგრაფიულ ხელოვნებასაც, შავ-თეთრ ფოტოს და ფერადსაც, რომელიც ასახავს და აფიქსირებს მხოლოდ მნიშვნელოვანს, თუნდაც ადამიანის პორტრეტი იყოს. კარგი ფოტოგრაფი ისე გაჩვენებს სახეს, რომ ყურადღებას შენდაუნებურად მთავარ შტრიხებზე ამახვილებს. ნოველა ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზიდან ამოგლეჯილი მნიშვნელოვანი მომენტია, ნოველა აფიქსირებს კაშკაშა ან შავბნელ გაელვებას წარსულიდან თუ აწმყოდან. ნოველისტის კალამი კაცობრიობის, კონკრეტული ქვეყნის, საზოგადოების გარკვეული ფენის, ინდივიდის ისტორიის დაუვინყარი, უმნიშვნელოვა-

ნესი პერიოდების დამფიქსირებელია, რომელსაც ზედ ერთვის მწერლის გემოვნება, ცოდნა, ანალიტიკური, ორიგინალური აზროვნება, ფანტაზიის უნარი, ნიჭიერება. წამთან პირისპირ დადგომა და მისი შეჩერება არაა ადვილი საქმე. თავად ბატონ რეზოს სიტყვებს გავიმეორებ, შესაძლოა ნოველის სამოცდაათი პროცენტი წაკითხული გქონდეს და ვერა და ვერ ხვდებოდე, როგორ დასრულდება. ოსტატის ხელით დაწერილ ნოველას შეუძლია მკითხველის შოკში ჩაგდება მოულოდნელი დასასრულის გამო, თანაც მწერალმა „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ პრინციპით უნდა მიიტანოს მკითხველამდე სათქმელი. ნოველას მკაცრი კანონები აქვს და ნოველის წესებს თუ არ მისდიე, მის შექმნას ვერ მოახერხებ.

რევაზ მიშველაძე დიდი კაცია, ასაკით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, ღვაწლით. მის ნოველებში ასახულია საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვანი პერიოდი. მისი შემოქმედება მკვეთრად ქართულია, მაგრამ საქართველო მსოფლიოს ნაწილია, თავისებურად ხიბლიანი, მრავალფეროვანი. მაგალითად, ესაა ქვეყანა, სადაც ჯანდაცვის მინისტრი ტელევიზიით ხალხს ამცნობს, უახლოეს თვეებში ქათმის გრიპისგან ყოველი მესამე დაიღუპებითო. სხვა, ნორმალურ ქვეყანაში რომ გამოეცხადებინათ მსგავსი რამ, ქუჩებს შიშით აგნიასებული ხალხის ხმაური წაღეკავდა. საქართველოში კი ამ განცხადებას არანაირი პანიკა არ გამოუწვევია. მხოლოდ აქ, ჩვენთანაა შესაძლებელი პოეტს ბუღბუღს, უგვირგვინო მეფეს უწოდებდნენ, სიყვარულს ეფიცებოდნენ, იუბილეს უწყობდნენ და მერე მისი შინ წაყვანა ავიწყდებოდათ ან შეეძლოთ იუბილის დამთავრების შემდგომ გაძარცვონ, დააყაჩაღონ... აქაა შესაძლებელი იყო აღიარებული, ცნობილი, კარგი მუშაკი და მაინც მშვიერი დაიარებოდე. თუ აქამდე გაუგონარი იდეა დაგებადა, გაახმოვანე და ამხანაგების გვერდში დგომა გჭირდება და თანამოაზრეების, ახალი მეგობრების გამოჩენა, ჩანაფიქრის განსახორციელებლად, არვინ გაგეკარება, დაგცინებენ ზურგსუკან ან გიჟად გა-

მოგაცხადებენ. საქმეს წამოიწყო რაიმეს სარფიანს, ყველასათვის სახიეროს და დაგესევინ თავისდა სასრგებლოდ, შენს ხარჯზე ასაშენებლად, თავად კი უშრომელად ფული რომ იშოვონ. მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი 25 იანვარს მოსული თოვლი აღიქმებოდეს მოულოდნელ მოვლენად და რუსმა ყოველნაირი სინდისის ქეჯნის გარეშე დენი და გაზი არ გამოუშვას შენსკენ შუა ზამთარში მხოლოდ იმიტომ, რომ შენი სამშობლოს პრეზიდენტი შვეიცარიაშია სასრილოდ გამგზავრებული და არავინ დაუტოვებია პასუხისმგებლად, პრობლემის მოსაგვარებლად. ამიტომ ახალგაზრდა და სიმპატიური პრეზიდენტი თვალცრემლიანი ბრუნდება, აბა, ხალხს ხომ არ მიატოვებს გასაჭირში?! მაგრამ ზამთარში რომ ადამიანებს ერთი თვით უპურგაზ-უშუქოდ დაარჩენ, ამას არავინ გაპატიებს და ჩათვალე, რომ უკვე დამთავრებულია ასეთი მეთაურის პრეზიდენტობის ისტორია. ამ ქვეყანაშია შესაძლებელი, დღისით, მზისით, გენიოსი პოეტი საავადმყოფოს ფანჯრიდან გადმოფრინდეს და მიწას დაენარცხოს. ამ ქვეყანაში შესაძლებელია მოხდეს ის, რომ უნივერსიტეტის პროფესორმა, ლექტორმა, აუდიტორიიდან გამოსვლისთანავე ჯიბიდან ნახევარლიტრიანი ბოთლი ამოიღოს და შიგ ჩასხმული ნავთი გადაისხას, მერე კი ასანთს გაჰკრას, რომ ცოცხლად ამოიბუგოს, მაგრამ ვერ მოკვდეს, ვინაიდან სტუდენტი გადაარჩენს, შემდგომ, საავადმყოფოში მწოლიარეზე ექიმები იტყვიან კლიმაქსი აქვსო, კიდევ დააბრალებენ, რასაც ზედ ნევროზიც დაემატაო და ის ქნა, რაც სახეზეაო. აქ სახელოვანი მშობლის შვილობა, მეტადრე თუ ის ბელადიც იყო და სახელმწიფოს თავგანწირული წინამძღოლი, ასეთი კაცის შვილობა სასჯელი უფროა, ვიდრე საამაყო. არავინ პატივს არ გცემს, მეტიც, მაგალითად, იოსებ სტალინის ქალიშვილს მუშაობის უფლებას არ აძლევენ, არც რაიმე გასაქანს და პატიმარივით აცხოვრებენ.

ამ წიგნში ბიბლიურ ამბებსაც გადაეყრებით, რაც უკვე ნაკითხული გვაქვს ახალ აღთქმაში და ვიცით, მაგრამ ბატონი რეზოს ნოველაში ამბავი სხვა რაკურსითაა გადმოცემული ანუ

ნაცნობი სურათი ნაჩვენებია სხვაგვარად. ყველამ ვიცით, რომ იესო იერუსალიმს ვირით შევიდა, მაგრამ არცერთ ჩვენგანს არ გვიფიქრია იმ ბიბლიურ ვირზე, რომლის ზურგზეც მაცხოვარი იჯდა, აი, ნოველაში, რომელსაც „ვირი“ ქვია, გაიგებთ თუ როგორ მოიპოვა უფალმა ეს სახედარი, ვისი საკუთრება იყო და მაინცდამაინც დედა ვირი რატომ ამოარჩია, რომელსაც კუნტრუშით ახლომახლო თავისივე პირმშო მოსდევდა.

ჩვენ არ გვიყვარს იუდა, რომელმაც მაცხოვარს ამბორით უღალატა, მაგრამ ბატონი რეზოს ამ მეტად საინტერესო ნოველაში იუდა გამართლებულია. სახალხოდ და საყოველთაოდ ისე გამოჩნდა, რომ მოღალატე და უფლის გამწირველია, მაგრამ ის კაიაფამ მოატყუა, თავად იუდას გულში ღალატი ფიქრადაც არ გაუვლია. კაიაფამ დაარწმუნა, რომ ქრისტეს შეპყრობა ქრისტესავე განსადიდებლად უნდა განხორციელებულიყო და იუდაც გაბრიყვდა. კაიაფამ იუდასთვის სინედრიონს ოცდაათი ვერცხლი გამოაყოფინა, ვინაიდან იუდა ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამიტომ ფული ხელში შეაჩერეს და გამოუშვეს. დაპირებისამებრ, იუდამ აკოცა უფალს, რომელიც შეიპყრეს, ჯვარზე გააკრეს, წამებით მოკლეს. გამწარებული იუდა მივიდა გაიძვერა „მწიგნობართან“ და მოახსენა, „დაიბრუნე ჩემი ამბორის საფასური, რა დაგიშავე, რომ ასე გამწირე, კაიაფა!“ მაგრამ გვიანი აღმოჩნდა იმ ოცდაათი ვერცხლის დაბრუნება. კაიაფამ იუდას უთხრა, რომ თავადაც მოტყუებულია... მერე, რაც იუდამ თავის თავს გაუკეთა, თქვენც იცით!

მწერალი თავისი შემოქმედებით გვახსენებს 90-იან წლებს, აი, მხედრიონელობა რომ იყო, ქურდობა და ყაჩაღობა რომ ყვაოდა. მართლაც როგორი განუკითხაობა ბატონობდა. დღისით თუ მანქანას ქუჩაში არ წაგართმევდნენ, ღამით მოგპარავდნენ პირდაპირ გარაჟიდან და ერთ პერსონაჟს, რომელსაც მსუბუქი მანქანები უყვარდა და „ვოლგის“ შესაძენად დიდხანს ფულს აგროვებდა და რიგშიც ორჯერ დგომამ მოუწია და როცა უნდა შეეძინა მანქანა ფული არ იყო, მაგრამ მაინც მოახერხა და იყიდა, მერე

მას, როგორც ცოცხალ არსებას ესათუთებოდა, უფლიდა, მისი ტარებაც კი ენანებოდა და ასეთ კაცს, სიმწრით შეძენილ ბორდოსფერ „ვოლგას“ რომ მოპარავ თანაც ბორბლებ- დახსნილს და ქვებზე შეყენებულს, დილით მანქანის ადგილას მხოლოდ ოთხი უზარმაზარი ქვა რომ დაგხვდება გაგიჟდები ან გული გაგისკდება. ჰო, და გაუსკდა ის ერთი გული ადამიანს. აი, ამგვარ დროებაშიც უცხოვრიათ ქართველებს. ბატონი რეზო ნოველებში ყურადღებას ამახვილებს მეტად საჭირობოროტო თემაზე, როცა ადამიანი თავს ზედმეტად გრძნობს თავის ქალაქში, სოფელში, სამშობლოში, არადა, ამ დროს საჭირო და სასარგებლო პიროვნებაა და აფასებენ თანამემამულეები? პასუხია: - არა!!!

მწერალი გვიხსნის, რატომაც შეუძლებელი, რომ ქარავანს არ აყვე და თეთრი ყვავის მდგომარეობაში არ აღმოჩნდე. ბატონი რეზოს კეთილი ზნე უკეთ მაშინ იცნობა, როცა ის ადამიანურ, სასიამოვნო გრძნობებს ეხება, განსაკუთრებით ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს. დაშვებული შეცდომების გამო ადამიანებს არ კიცხავს, პირიქით, შეუწოდებს. ზოგჯერ ჩადენილი შეცდომა ხავსჩაჭიდულობაა, იმედია, სიხარულია, ნუგეშია, სიცოცხლისკენ შემობრუნებაა. არის მომენტი, როცა კაცი ცოლს ღალატობს უნებლიეთ და პირიქითაც ხდება ხანდისხან, ქალიც გაიხედავს სხვისკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ცოდვილობას. თუ ერთ ჭერქვეშ ნორმალური ქალი და მამაკაცი ანდამატივით იზიდავენ ერთმანეთს, მოსახდენი უნდა მოხდეს და დასძენს, იმ ქალისა და კაცის ჩახუტებაზე ფიქრს გვიჯობს წარღვნაზე ვიფიქროთო. წარღვნას ყველა კითხვაზე აქვს პასუხი მომზადებული!

ბატონი რეზოს ნოველებში ყველა წეს-კანონი დაცულია, ამიტომაცაა ის სიცოცხლეშივე კლასიკოს მწერლად აღიარებული, რომელიც მცირე მამტაბის ფარგლებში თავის სათქმელ-სატიკვარსა თუ სიხარულს სრულად, უნაკლოდ და მოქნილად გვეუბნება, მკითხველის სულის სიმებს ეხება, მაგრამ ამ ადამიანის ნიჭიერება ზღვარსაა გადასული, ვინაიდან სძალუძს ნოველის კანონებიც დაარღვიოს და ნაწარმოები მაინც ნოველად და-

არჩინოს. მან, როგორც მწერალმა ერთ ნოველაში აკაკი წერეთლის მთელი ცხოვრება ხელის გულზე დაგვიდო, ბოლოს მოაკვდინა კიდეც, ვინაიდან ისიც ადამიანი იყო და პოეტის სიცოცხლეს ერთხელაც დიდი შავი წერტილი დაესვა, მაგრამ რა გინდა რომ თქვა, „სავალალო ამბავი“ არის ნოველა და არა მოთხრობა. ბატონმა რეზომ შთამბეჭდავად მოგვითხრო გალაკტიონის გარდაცვალების კი არა, მართლა სიკვდილის შესახებ, რომელიც საავადმყოფოს ფანჯრიდან გადმოფრინდა და ამგვარად დაასრულა სიცოცხლე, წაიკითხავთ და საშინელი სინანული დაგეუფლებათ ამის გამო. ბატონმა რეზომ ტერენტი გრანელზეც შექმნა ასე ვიტყოდი, პიეს- ნოველა, „ლიბრეტო პანტომიმის თეატრისთვის“, რომელიც სამი სურათისგან შედგება. შეგახსენებთ, რომ ლიბრეტო იტალიური წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს წიგნაკს. მთავარი პერსონაჟები ამ ნოველაში არიან ტერენტი, მარო მაყაშვილი და ყვავილი-მიხაკი.

მარო მაყაშვილსაც ჰქონდა უბის წიგნაკი, რომელშიც ჩანანერებს აკეთებდა, თავადის ქალი იყო, განათლებული, ღირსეული, მჭერმეტყველი, მწერალ კონსტანტინეს, მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებლის ასული და ასევე მწერალი ქალის, ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი (დედის მხრიდან). მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა, განვევრიანდა წითელი ჯვრის ორგანიზაციაში და მედდად იქცა, ასე სჯობდა მისთვის, სამშობლოს უკეთ რომ დახმარებოდა, ფრონტზე წავიდა, ქართველ იუნკრებს გვერდით დაუდგა, მაგრამ რუსებმა სასიკვდილოდ დაჭრეს კეფაში და ის იქცა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს სიცოცხლე შეწყვეტილ პირველ მსხვერპლ ქალად, ქართველ ჟანა დარკად. მაროსა და ტერენტის სულები დაკავშირებულები არიან ამ ნოველაში.

ბატონი რეზო წუხს იმის გამო, რომ საქართველოში მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა რაოდენობა მცირეა, და თუ ქვეყანაში მკითხველი თითქმის აღარ გყავს მხოლოდ მწერლე-

ბის ბრალი არაა. საერთოდ დედამინაზეა შემცირებული მკითხველთა რაოდენობა და თავი და თავი ჩვენი უნიგნურად ქცევისა არის ის, რომ ჩვენ, ქართველები გალახულები ვართ, დაჩოქილები, დამარცხების სინდრომი გვთრგუნავს და იმედს გვაცლის. ნელში გვტყებს სამარცხვინო ახლო წარსული და ანმყო, უპატიო გამოქცევები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და დავამატებ, ანმყოში ზღვარს გადასული ემიგრანტობაც. გულს მიძგერებს ბატონი რეზოს ნოველებში გამოხატული მგზნებარება, რომელიც მაიძულებს მახსოვდეს ვისი შთამომავალი ვარ, ვისი და მღვდელი თევდორესი, სამასი არაგველის, ცოტნე დადიანის, მეფე დავითისა, მეფე თამარისა, ქეთევან წამებულისა და ზოგადად სახელოვანი წინაპრებისა, რომლებმაც შექმნეს სახელმწიფო ქართული, თავისებური პოლიტიკით, კულტურით, რელიგიით, დროშით, ენით და ყველასგან განსხვავებული ანბანით, თანაც სამი გვაქვს, გახსენდებათ რომელიმე სხვა ერი, რომელსაც სამი ანბანი აქვს? მე პირადად არა და ამიტომ არ გვეკადრება ანმყოში დადებლავება, არც ქვეყნის მიტოვება და უკეთეს ადგილას გადახვეწა.

რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში ასახულია ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი. ფაშისიტური გერმანიის საკოცენტრაციო ბანაკებში მომხდარ ამბავსაც წაიკითხავთ ამ წიგნში (ყველაზე სასტიკი, უზარმაზარი სიკვდილის ქარხანა რომ იყო დედამინის ზურგზე), რომლებიდანაც უმეტესობა ცოცხალი ვერ გამოვიდა და ვინც იქ სიკვდილს გადაურჩა, სამუდამოდ დახეიბრებული და სულიერად ტრავმირებული დარჩა. იმნაირი ერთერთი ბანაკიდან თერთმეტი ქართველი ტყვე გაიპარა, მაგრამ ზონიდან ვერ გააღწიეს. იპოვეს გერმანელებმა, დახვრეტა მიუსაჯეს და ერთად შეყარეს კამერაში და იქ ქართველები ამღერდნენ და მრავალხმიანი ქართულით გადარიეს ფაშისტები. ერთერთ ტყვეს მხსნელად ბანაკის ექიმი ოტო შვარცი მოეწვლინა და ის ქართველი თავისი საქციელით ცოტნე დადიანს მიემსგავსა. მადლობა გადაუხადა ექიმს, მაგრამ სიცოცხლეს ვერ ვიჩუქებ, როცა ჩემი ათი ამხანაგი ხვალ დილით დაიხვრიტებაო. ცოტნე

დადიანის ამბავით კეთილად არ დასრულებულა ეს ისტორია, თერთმეტივე დილით სიცოცხლეს გამოასალმეს.

ბატონ რეზოს შეცნობილი აქვს თავისი ერის სული, მუხტი, ენერგია, პოტენციალი და მძაფრად შეიგრძნობს თავის გენს, ამიტომ ძალზედ ძველი ამბების ნოველებად ქცევაც ხელენიფება. შეუძლია ძველ საუკუნეებშიც გვამოგზაუროს და ჩვენი წინაპრების ყოფა დაგვანახოს, მაგალითად, 17-ე საუკუნის კოლხეთში ცუდი ვითარება ყოფილა იმ მხრივ, რომ თურქეთიდან შემოპარული თულები იტაცებდნენ მეგრელებს, მეტადრე ქალებსა და ბავშვებს, შემდგომ სტამბულის ბაზარზე ყიდდნენ, რაც იყო ქვეყნის დასუსტების ერთ-ერთი უმძლავრესი მიზეზი.

ღმერთო ჩემო, კიდეც რამდენი რამის თქმა მსურს ბატონ რევაზ მიშველაძეზე, მაგრამ ამჟამად აქ შევჩერდები, ვინაიდან, წერა რომ გავაგრძელო ეს წერილი რეცენზია ველარ იქნება, რეცენზიასაც თავისი წეს-კანონები და ჩარჩოები გააჩნია... თქვენი ნებართვით, ერთსაც ვიტყვი, ბატონი რეზო ბავშვების მწერალიც რომაა, მათთვის ზღაპარ-ნოველები შექმნა სიკეთის ქვაზე და ძაღლ ბომბორაზე, რომელიც ჯაჭვით ეზოში დააბეს პატრონებმა, მაგრამ ღვთის ნებით, მან ჯაჭვთან ერთად ტყვეობას თავი დააღწია, ტყეში გაიქცა და იქ ბალახიჭამია ცხოველებს დახმარება გაუწია, რომლებმაც გაჭირვებაში არ მიატოვეს კეთილი ბომბორა, პატრონებმაც იპოვეს, შინ წაიყვანეს, აკოცეს, მოეფერნენ და მას მერე აღარც დაუბამთ.

ბატონ რეზოს, სულ ახლახან ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. ვულოცავ მას მისი ნიჭიერების კიდეც ერთ დიდ აღიარებას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს ვუსურვებ.

2023 წლის 11 აპრილი

ერთი ლექსი მაყვალა გონაჰვილის ლექსი „ათასგოროა ლამა“

საქართველოში ოდითგანვე იცოდნენ ქალის ფასი, რასაც ჩვენი სამეტყველო ენაც თვალნათლივ ადასტურებს. ყველაფერს მნიშვნელოვანს წინ სიტყვა დედა უძღვის. დედა სამშობლო, დედაენა, დედაბოძი, დედაქალაქი...

ქართველთა გაქრისტიანებაც ქალს უკავშირდება, წმინდა ნინოს, საკუთარი თმის ნაწნავით შეკრული ვაზის ჯვრით რომ შემოაბიჯა ქართულ მიწაზე და მას შემდეგ ყველა ქართველმა იცის, ვინც მფარველობს საქართველოს, ღვთის დედის ხელთ ვართ და ესეცაა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ვარსებობთ და ვცხოვრობთ დედაენით, უნიკალური ანბანით, რელიგიით, კულტურით, ხელოვნებით, ჰიმნით, დროშით და შემორჩენილი ქართული მიწით, რაც მთავარია, ვარსებობთ ღირსეულ ბანოვანთა წყალობით. მიუხედავად იმისა, რომ თამარი გვყავდა, რომლის არსებობითაც ამაყია ჩვენი ერი და საქართველო მეომართა, მიწისმოქმედთა, რაინდთა ქვეყნად ჩამოყალიბდა, სადაც ქალებს და განსაკუთრებით დედებს უღრმესი პატივით ეპყრობოდნენ, მაინც, ქართველ ქალთა ხვედრი ტკივილით, სიმძიმით, სიმწრით იყო გაჯერებული და ყოველთვის, კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მძიმე იყო ქალის ხვედრი და მიუხედავად ყველაფრისა ქალები ინარჩუნებდნენ სილამაზეს, მშვენიერებას, მომხიბვლელობას, ზრდიდნენ შვილებს, თავს ევლებოდნენ მეუღლეებს, აძლიერებდნენ კერიას. მათ ჯეროვნად მაინც არ აფასებდნენ, ზღუდავდნენ გამოგონილი წესებით, ადათებით, სტაცებდნენ უფლებებსა და თავისუფლებას. გავიდა დრო, ბრძოლის შედეგად ქალებმაც მოიპოვეს თავისუფლება, რამაც მშვენიერი არსებების პასუხისმგებლობანი გაზარდა. ახლანდელ დროში აღარავის უკვირს ქალის მეცნიერ-მუშაკობა, საზოგადო და შემოქმედებითი მოღვაწეობა, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლი-

ტიკის განვითარებაში მონაწილეობის მიღება და ზოგადად წარმატებულობა. ქალებმა თავიანთი გონიერებითა და სიძლიერით ტოლი არ დაუდეს მამაკაცებს.

ერთ ლექსზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, მკითხველო, ლექსზე, რომელსაც „ათასმეორე ღამე“ ქვია, მისი ავტორი მაყვალა გონაშვილია, რომელმაც მრავალმნიშვნელოვნად გვითხრა, რომ საქართველოში ძნელია ქალობა, იმიტომ კი არა, რომ მას, როგორც ქალს, უჭირს ამ ცის ქვეშ ცხოვრება და მოღვაწეობა, არა, ის თავისი შემოქმედებით ქალთა გულშემატკივრად და ქომაგად იქცა, და კიდევ, არის ქვეყნები, სადაც ქალები ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, იჩაგრებიან, ითრგუნებიან, ნაადრევად სტოვებენ სანუთროს. მათ კლავენ მამები, მეუღლეები, ძმებიც კი. მათ სიცოცხლეს არა აქვს არანაირი ღირებულება, მკვლელებს იმ ქვეყნების კანონები ამართლებთ. ჰო, მოკლულ იქნა ქალი, რა მერე... არანაირი სინანული და წუხილი არანაირი!..

„ათასმეორე ღამე“ გაგრძნობინებთ ნამდვილი ქალის მაგიურ ძალას, შინაგან ენერგიას, ცეცხლოვანს, ამაღლელებელს, ქალურ სინაზესა და გონს, მეტადრე, თუ ქალი განათლებულიცაა და ჭკვიანიც, მისი მაგიური ძლიერება გაათმაგებულის.

ქალის გაჩენის ისტორიას რამდენიმე სიტყვით, უზადო ოსტატობით შეგვახსენებს პოეტი.

**სამსალანარევს რად სვამ შარბათს ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგდევს როგორც სისხლის ჯადო-შელოცვა,
თვალის უბეზე ნემსის წვერით ამოკანრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.**

ქალბატონი მაყვალა მკითხველს აიძულებს გაიხსენოს არაბული შუასაუკუნოვანი წერილობითი ძეგლი „ათას ერთი ღამე“, ესაა ამბავი მეფე შაჰრიაზაზე და მის ცოლ შეჰარაზადეზე. ამ მე-

ფეს პირველმა მეულემ უღალატა, რის შედეგადაც მეფე გაბოროტდა და მდებრებზე ჯავრს იყრიდა, ვისაც მისწვდებოდა. ყოველ დღე ქორწინდებოდა, სარეცელს იყოფდა ქალთან, დილით კი კლავდა, შემდგომ კვლავ ახალი ცოლი მოჰყავდა. შეჰარაზადესაც ეს ბედი ელოდა, რომ არა მისი განათლებულობა, საზრიანობა და სხვა რამეებიც, რაც ქალებს მაგიურ ძალებს ანიჭებთ, გამოიყენა, რომ სიცოცხლე თვისი შეენარჩუნებინა. იმავდროულად გაგახსენდებათ უფლის მიერ შექმნილი პირველი ადამიანები, კაცი და ქალი, ადამი და ევა. ქალის ცნობისმოყვარეობა, სიანცე, მაგია კაცის საცდუნებლად, საწადელის მიღწევაც, რასაც მათი სამოთხედან გაძევება მოჰყვა. პოეტი მკვეთრი რაკურსით გვიხატავს ქალის განცდებს, შიშს სიკვდილის მიმართ, მისი სულის შინაგან კივილს, რომ გადარჩეს ან რამდენიმე დღითა და ღამით მაინც გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, სუნთქვა და ქალის სხარტი გონება იპოვის გამოსავალს, ცოდნა დაეხმარება, ამბების საინტერესოდ თხრობის უნარი და ის უცაბედად გადაიქცევა მეზღაპრედ. ცოდნა და განათლება დიდი ძალისა და ენერგიის მატარებელია. ის იხარჯება, ემოციებად იღვრება, ყვება ამბებს გარიჟრაჟამდე, საინტერესოს, მძაფრს, მრავალფერს.

უყვებოდა მეფეს ასწლეულების წინ მომხდარ ნამდვილ და მოგონილ ამბებს, სიმართლეებს, ტყუილებით შეზავებულს, ჯადოსნურს, შემზარავ ფაქტებით გაჯერებულს, სასიყვარულო ისტორიებს და გარიჟრაჟის დადგომამდე სწყვეტდა თხრობას, რომ სიკვდილს გამიჯვნოდა. მეფეს კი სურდა დასასრულების მოსმენა და ქალს მომდევნო დღემდე სასიკვდილოდ აღარ ეხებოდა.

სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი თამამი ვჩანდი,
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეცე შენი გულისთვის.
ზეცის ზენარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავინწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო...

ზღაპრებსაც იგონებდა ქალი, კეთილი ჯინები იყვნენ იქ, ადამიანებს სურვილებს რომ უსრულებდნენ და ბოროტი გოლებიც, ღამის უდაბნოში მოხეტიალენი, ადამიანის ხორციით რომ იკვებებოდნენ, საფლავებშიც დაძვრებოდნენ, შეეძლოთ შესანიშნავი გარეგნობა მიეღოთ, ადამიანები მოეზიდათ და უდაბნოში გაეტყუებინათ. მათ შეეძლოთ ადამიანთათვის წაერთვათ სიცოცხლე და თუ მოინადინებდნენ, სააქაოს დაებრუნებინათ კიდეც.

ათასმეორეთ ღამეც დადგა და მეფემ არ მოინდომა ახალი ცოლის მოკვდინება. გაუქრა მძვინვარება, ქალების დახოცვის ჟინი. სიკეთე და სიყვარულის უნარი დაბრუნდა მეფესთან, რწმენა დაბრუნდა, იმედი დაბრუნდა. პოეტის მთავარი მიგნებაა ის, რასაც გვეუბნება. შეჰერაზედას კეთილი შურისძიება გამოუვიდა, კაცს თავი შეაყვარა და თავადაც შეუყვარდა.

**თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა თვისი.**

შეჰერაზედასაც შეუყვარდა მეფე და დადგა ათასმეორე ღამეც. ნეტავ, რა მოხდება? ის, რაც ორ მოსიყვარულე გულს შორის ხდება. ჭეშმარიტი სიყვარული დაიბადა, რომელსაც დრო და ჟამი ვერაფერს დააკლებს. სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ ვნებაცაა, ორივე ერთად კი წყვილებს აბედნიერებს. ისინი შეწყვილდნენ, ასე სჯერა პოეტს და ასე გვჯერა ათასერთი ღამის მიხედვითაც. ჭეშმარიტი სიყვარული ჰბადებს ნდობასა და ერთგულებას.

**მე კვლავ მაკრთობს ათასერთი ღამე... გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ველარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!**

ანუ ვნების ღამე, ზეციური და მიწიერი სიყვარულის შერწყმის, ჭეშმარიტი ბედნიერების დასაწყისის ღამე, ერთსულოვნებისა და ერთხორცობისა, ამგვარი სიყვარული ბევრი არაა, მაგრამ რაცაა და რამდენიცაა, რამდენჯერაცაა, უკვდავობს!

2023 წ. 1 მარტი

იღუმალი შუქი

მთაში დაბადებული ადამიანები სხვანაირები, კარგი გაგებით, უცნაურები არიან. მშვენიერი სევდითაა შემოსილი მათი სული. მთის ხალხი გამორჩეულად ლამაზია, ნისლიან მთათა წვერნი, ღმერთთან ახლოს მყოფნი, სხვადასხვა სახის მადლს იღებს და ეს მადლი ქვემოთ, დაღმართზე მოექანება, შედარებით ვაკე ადგილებში განიბნევა და ეძებს ადამიანებს, გადადის მათში და მათ სულებს ისე ეფინება, რომ ჩვეულებრივ ადამიანებს პიროვნებად, ნამდვილ ღვთის შვილებად გარდაქმნის. ამგვარ პიროვნებათა რიგს მიეკუთვნება პოეტი ბალათერ არაბული.

ყოველი ჩვენგანი ინდივიდია და თავისებურად აღიქვამს გარემოს, ვითარებას, რომელშიც თავად იმყოფება. ბუნება, ამ დალოცვილ დედამიწაზე ისეთი მშვენიერი და მრავალფეროვანია, რომ არჩევანის უფლება გაქვს გიყვარდეს სასურველი გარემო, ბარი, მთა, ზღვა, ტბები, მდინარეები, წყაროები...

ბალათერ არაბული მთის კაცია, იღუმალი შუქი ადგას თავს, ვინაიდან პოეტია! მშვენიერს, უბრალოების, სილამაზის დამნახავ-შემფასებელ-დამფასებელია... უპირველეს ყოვლისა, ქართული კაცია, ქართული ღირსებებით შემკობილი და ნაკლოვანებებიც გააჩნია, ალბათ, ვერ ვამჩნევ და ვხედავ, იმდენად დიდსულოვანი ადამიანია -ეს დიდებული შემოქმედი...

ხევესურული კილო სდევს მის პოეზიას და მე, როგორც წარმომავლობით კოლხს, მეუცხოება ეს პოეზია და თანაც მხიბლავს, მომწონს სიუჟეტები, ნამდვილი ამბები, რომლებსაც კალმით თავიდან აცოცხლებს, ისტორიული ფაქტები, რომლებსაც იყენებს საკუთარ შემოქმედებაში, მიყვარს პერსონაჟები, მხიბლავს მათი ქმედებები, ჩემთვის უცნაურნი, მომწონს მთაში დაბადებული თქმულებები, ანდაზები, ლეგენდები. ეს ყველაფერი უზომოდ ქართულია, ახლობელიცაა და ექსპერიმენტულიც, ამგვარ ჰარმონიასთან შეხება ჩემთვის საშიშია, იმდენად ფაქიზია, რომ მესმინია, რაიმე ისე არ ვთქვა, რომ შევაკრთო ეს ამაღლებული პოე-

ზია, სიკეთე, სიყვარული, სიამოვნება რომ მოაქვს მკითხველისთვის. პოეზია, რომელიც ცხოვრებას გილამაზებს და სიცოცხლეს გიხანგრძლივებს და მყოფნის კადნიერება, ბატონ ბალათერ არაბულის შემოქმედებიდან ავიღო თემა დარდებისა, ესეც ხომ სულის მოძრაობის ნაწილია, ქარივითაა, ზოგჯერ დამანგრეველი სიძლიერისაც, დარდი შიშითაა შეზავებული, სიყვარულითაც და ყველაფრით შეკაზმული, რასაც თავად სული შეიცავს...

სადაც არ უნდა დაიბადოს მთის ადამიანი, მასზე გენეტიკურად გადადის ის განსხვავებული ნიჭიერება და აღქმათა, შეგრძნებათა უნარი, რაც მთის ხალხს ახასიათებს ზოგადად. ისინი ამოირჩია უფალმა, რომ მათ მთების საშუალებით, მეტ-ნაკლებად გადაეცეთ ღვთიური ნიჭიერება სესხად, რომ გამოიყენონ და კვლავ უფალს და ადამიანებს დაუბრუნონ სიკეთედ, მშვენიერებად, ახალ აღმოჩენებად...

ბატონი ბალათერისთვის უხვად გაიმეტა უზენაესმა მადლი, ოღონდ, არ იფიქროთ, რომ აჩუქა, მასაც სესხად ებოძა, რომელიც, ვფიქრობ, ბოლომდე არ დაუბრუნებია, კიდევ დიდხანს მოუწევს მოძრაობა, სასიამოვნო შრომა ვალის გასასტუმრებლად, რომელსაც დარდებად აბნევს, იმიტომ, რომ დარდიც აუცილებელია ადამიანისთვის, კეთილი დარდები გვაიძულებს ვიყოთ კარგები და ვეძებთ ჩვენი ცხოვრების ის გზები, რომლებიც ღირსეულად მიგვიყვანს სიცოცხლეშივე ღმერთამდე და ამის შემდეგაც, როცა ჩვენი სულები სხეულებს განეშორებიან:

**ვტოვებთ სხეულებს და თანდათან... ჩვენც ცისკენ ვიხვეთ,
სადაც გველიან სივრცეები შავი ფერებით
და სადაც ზეცას, ლურჯ სხივებით ნაშენებ ციხეს,
აბჯარაყრილნი სამუდამოდ შევეფარებით.**

დგება დრო ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, როცა ის ცხოვრებას კი არ წყვეტს, არამედ უსხეულოდ განაგრძობს ზეციურში არსებობას, უფაროდ, უხმლოდ, მხოლოდ სულის ანაბარად, სადაც არვინ დრტივინავს და ბობოქრობს, სადაც არაა ხმაური, მხოლოდ სიმშვიდე, ჰარმონია, სადაც მხოლოდ უფალია ბატონ-

ნი და სულებს სიხარულს ანიჭებს ყოველ საღამოს ჩამოვლით, ჩამოქროლვით, რომ ისინი, ღირსეული სულები გაასეირნოს, ამოგზაუროს ვარსკვლავებზე. სწორედ ეს სულები უფლის ნებით ასუფთავებენ სააქაო საწუთროს ცოდვებისგან, რომ ცხოვრება ეიოლოთ სხეულიან სულებს:

**დავანათებთ მთვარეს ღამისა და დღის გასაყარზე,
მოვრთავთ ცისქვეშეთს იღუმალი შუქის ჩქერებით
და ამ საწუთროს, ამ ცოდვებით ავსილ სამყაროს
ჩვენ მოციმციმე ვარსკვლავებად მოვეჩვენებით...**

პოეტის გულს სინანული იპყრობს, ვინაიდან მას სტკივა ყოველი კაცის გარდაცვალება, მეტადრე ისინი, ვინც სიცოცხლის ხანმოკლე გზა განვლო. ვერ ეგუება ახალგაზრდათა იმ ქვეყნად გასვლას. ყველა ადამიანია ღირსი დაბერდეს, ვინაიდან, ცხოვრების ყველა დროს თავისი წილი ბედნიერება მოაქვს და ამიტომაც ღირს სიცოცხლე, ღრმა სიბერემდე.

კონკრეტულ ადამიანებს მიუძღვნა პოეტმა ტკივილითა და სევდით აღსავსე ლექსები. მაგალითად, შაბურა არაბულს, ჯამრუკათ იმედას, დათა გულუას და მრავალ სხვას...

**...შენთვის ჯერ კიდევ შორია ცამდე
და გამგზავრება გადადე გიჯობს:
გემუდარები, ჯერ არ აჩქარდე,
დაბრძენებულო, პატარა ბიჭო...**

სადაც გასურთ წადით, ოღონდ იქ არაო, ეუბნება გულწრფელად, ვინაიდან, მსგავსი მგზავრობისთვის არავინ ემეტება... სხვა სამყაროსთვის არ ეთმობა ახალგაზრდები, ძალზედ უჭირს ამგვარი განშორება და ხელს უშლის ცხოვრების გზის გავლაში. არ სურს სიკვდილთან შეგუება, თუმცა გაგებით ეკიდება ყველაფერს ამას, რომ ყოველი სულიერი ცოცხლობს და კვდება, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის ნაადრევად შეწყვეტას ვერანაირად ეგუება, მაგრამ რა ქნას, თავადაც ადამიანია, სიცოცხლისა და სიკვდილის შვილი. ამიტომაც უძლური და არავის შველა არ სძალუძს. ამიტომ ავედრებს მაღალ ღმერთს მათ სულებს, რომ ცის

კაბადონზე ამავალნი მშვიდობით გავიდნენ სხვა, მშვენიერ ზე-
ციურ სამყაროში:

**მაგ მარადიულ სამყაროს კართან
დგახარ ამაყი და ვალმოხდილი,
შენ ტანჯვის გარდა არაფერს კარგავ,
მე კი მწუხარედ მაინც მოგტირი....**

ნუთია ჩვენი ცხოვრება ამ ნუთისოფელში და მნიშვნელობა
არ აქვს სადამდე გვამყოფებს ბედი ჩვენსავე ჭურჭელსა და ტყავ-
ში, მაინც გვეცოტავენ, გვენუთისოფლება აქ ყოფნა, არადა ბედ-
ნიერებასთან, სიხარულთან ერთად, რაგვარად უღევად სავსეა
ცრემლებით, დარდის ქვებით, გულის დამჭრელი ეკლებით, და რა
ბევრია საცდური, დიდ დროს ვხარჯავთ მისთვის, რომ მრავალი
დამღუპველი ცოდვის ჩადენისგან დავიცვათ თავი.

ვინც გვიყვარს და ვინც გვენანება, სრულიად გვტოვებენ
და მონატრებისას არ ძალგვიძს ჩამოვუაროთ სულების გზებზე
მდგარ წასულებს და მოვინახულოთ.

და მაინც, რას გვპირდება მიწიერი ცხოვრება?! - არც არა-
ფერს, ის თავისთვის არსებობს, რომელსაც უნდა მოვერიდოთ,
და არც არასდროს დაგვცდეს საკუთარ ბედზე აუგი.

რა და ვინ წერს ჩვენს ბედს?! და შემდეგ ალბათ,
უპირველესად, მაცხოვარი ჩვენი, საკუთარი გონი, გული, სუ-
ლი, მაგრამ იქნებ, თავისუფლება, რომელიც უფალმა გვიბოძა
ჩვენსავე დასაღუპად ვიყენებთ, როცა მცდარად, უპატიოს-
ნოდ და ქვად ქცეული გულებით ვაღებთ ნამდვილი ცხოვრების
კარს, როცა ვიბნევით და გზააბნეულნი ბოროტების გზაზე აღ-
მოვჩნდებით:

რას?

**რას გპირდება? სიხარულს, ღიმილს?
თუ განუკურნელ წუხილს და ვარამს?
დღეებს-მოქარგულს ღვთაებრივ სხივით?
თუ ნისლით ავსილ ღამეებს წკვარამს?..
იქ, მომავალში, როცა გადახვალ,
დღეების უღრანს როცა გაივლი.**

დრო რას გპირდება წლების გადაღმა?
 ეკლის გვირგვინს თუ გვირგვინს ყვავილის?..
 გამოაღწიე ტკივილის ქვეყნებს
 ცრემლის და დარდის ქვეებით მოფენილს,
 დღეს გულში დაჭრილს ეჭვის ეკლებით
 თქვით, რას გვპირდება წუთისოფელი?..

პოეტს არ ავიწყდება ის სამყარო, რომელშიც რეალურად
 ცხოვრობს, არ ავიწყდება წარსული, რომელსაც მუდამ აანალი-
 ზებს და უყვარს ბავშვობა, რაც მეხსიერებამ შემოუნახა და და-
 ამახსოვრა:

ღამეებს-ათას სევდით დაფერილს,
 ღამეებს-აღვსილს მხოლოდ ღალატით,
 ხსოვნიდან მიაქვთ დღეს ყველაფერი,
 ო, სიყვარული ვინ თქვა მარადი?

იქნებ, ეჭვი შეეპაროს მკითხველს, როცა სიყვარულზე ასე
 ამბობს პოეტი და იფიქროთ, რომ მარადიულ სიყვარულს უარ-
 ყოფს, არა! ის კითხვას სვამს: - ვინ თქვა, რომ სიყვარული მარა-
 დიულიაო.

გეტყვით;
 ბუდამ თქვა!
 მოსემ თქვა!
 იესომ თქვა!
 მამა ღმერთმა თქვა!
 ყველა ვალიარებთ!

ყველამ თქვა და ყოველთვის იტყვიან, აღიარებენ, რომ სიყ-
 ვარული უკვდავია, უსაზღვროა, „ბრუნვადი და ვერტიკალურია“
 ბოლოს და ბოლოს!!!

მეხსიერების განძთსაცავიდან ის რომ ამოაქვს გონებას, რაც
 გახსოვს და რაც იცი... ამას რა გაკეთებინებს, თუ არა სიყვარული!

მშობელი რომ ხარ, შვილი, რომ ხარ, მეუღლე, მეგობარი, შე-
 ნი საქმის მცოდნე, პატრიოტი, რომ ხარ და კარგი, რომ ხარ! რა-
 ტომ ხარ, რატომ?! იმიტომ, რომ ზრუნავ, ფიქრობ, იღვწი, იწვი
 და ესაა სიყვარული!

**...ან ვარსკვლავები ჩუმი წკარუნით
ვინ მიაქარგა ზეცის ხალიჩას!
ვინ მომისაჯა ეს სიყვარული?
ეს სატანჯველი ვინ მომანიჭა?**

პოეტი ეხმაურება ვაჟას ლექსს, სვამს კითხვებს: - „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმად“-ო?! და, წვიმა რომ ყოფილიყო, იმაზე ფიქრობდა, თუ რას იზამდა მაშინ...

პოეტმა წარმოიდგინა, როგორ ზის და ფიქრობს ვაჟა ფშაველა, რად სჯობდა დაბადება, რად მოსვლა სჯობდა, ადამიანად თუ წვიმად?

რა ხდება, როცა წვიმა გვესტუმრება ხოლმე, მას გვირაბებში, არხებში მწარედ ამსხვრევენ...

იქნებ, ცრემლად ყოფნა სჯობდა, რომელიც წუხილისა და სიხარულის დამამშვენებელია. რა არის ცრემლი, ისიც წყალია?! - არა, მაგრამ რაღაცა ძალამ მანდაც გაურია სხვადასხვა მოდგმის წყალი:

**მაინც რად ღირდა მოსვლა?
...იქნებ ვარსკვლავად?
მკრთალად რომ კრთის ზეცის თავანზე
და მის სინმინდეს
ვერაფერი ძალა ვერ წვდება...
იჯდა და ფიქრობდა...**

კაცი დაღლილი შრომით ნატანჯი, მაგრამ დაუფლეთავი გულით, რომელიც უწინდებურად, ძლიერად ფეთქავს.

ბედნიერება ყოველთვის არსებობს, ის ნისლში გვემალება და როცა საჭიროა, გამოდის ბურუსიდან, თვალწინ გვიდგას, მაგრამ ვერც კი ვამჩნევთ, გვებუტება და კვლავ გვემალება..

უმაღურობაა მთავარი მიზეზი ბედნიერების ვერ დანახვისა, როცა ღამეზე ამოსული დღე თვალს გვჭრის და მაინც სული გვტკივა, რომ სიხარულზე ამონერგილი ტკივილი, თავისი მწარე ფესვებით გვწამლავს და გვბზარავს:

**არ მითხრა, რომ მზის სხივები მხოლოდ ეკლებია-
მომავლის გზებზე ჩამოფენილი-**

იმათზეც ფიქრობს პოეტი, ვინც თავს იტყუებს, ვითომდა ბედნიერია, ამგვარად, ცხოვრებაში ხელმოცარულნი იქცევიან:

ეს მერამდენე გაზაფხულია, თავს ვიტყუებ და
სულ ვიქადნები:

ეს წელიც გავა და მერე ვნახოთ!

სიცოცხლის ბოლოს

რით მოვიტყუებ, ნეტავი, თავს-

რა მექნება დასაქადნები?...

ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი, — “სიცოცხლის ბოლოს“, ვინაიდან, არიან ადამიანები,, რომლებიც კი არ ცხოვრობენ, ცოცხლობენ, ვერაფერს ქმნიან, სუნთქავენ და ელიან, სიკვდილი როდის მოაკითხავთ და ეს არაადამიანური ყოფა, უღიმღამო სიცოცხლეა, გაჭირვებით არსებობაა.

მიდიან თაობები და მათ ახლები ცვლიან, ისინიც წავლენ, როცა იქნება და ვერასდროს დაბრუნდებიან უკან, ამ ცხოვრებაში:

ვინც წავიდა, აღარვინ დაბრუნებულა,

ამბის მომტანიც

არვინ ახსოვთ...

ისე კი... ყველა

სამოთხეში მოხვედრას ლამობს...

მივდივართ, მოვდივართ, ვბობოქრობთ, ვიბრძვით, საბოლოოდ მდუმარება, უმოქმედობა გვბორკავს, მაგრამ სიცოცხლე და ცხოვრება უჩვენოდ განაგრძობს არსებობას, ის, უკვდავია:

მოკვდა...

იტირეს...

ივიშვიშეს...

და ცრემლებით მიაბარეს

სამარის მიწას...

იქვე ახლოს კი... ნუშები და ალუბლები

საზეიმოდ ჰყვოდნენ მზეზე...

თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში ხან აღმასვლაა, ხანაც კიბეებიდან ჩამოგორება, მაგრამ ამქვეყნად არსებობს იმედი, მთავონებით, ფანტაზიით გაჯერებული და, რაც მთავარია, კე-

თილი, ვინც ამგვარ იმედს გულით ატარებს, ის ყოველთვის იმარჯვებს დაცემის, დამარცხების წინაშე:

**ქარებიანი ზამთრის შემდეგ,
ხეებმაც იგრძნეს,
რომ გაზაფხული უკვე მოვიდა,
ადგილიდან ჩუმად დაიძრნენ
და ფოთლების შარიშურით მოედვნენ სივრცეს...**

ადამიანთან ერთად, სულის კუნძულებივით ცხოვრობს მახ-სოვრობაც, ილევა ჟამიც, დაბადებიდან კუბოს კარამდე.

ცხოვრება ტკბილიცაა და მწარეც, ხშირად გვტკენს გულს ლალატი, განკითხვა...

ძნელია, გახდე ადამიანი ან იოლად შეინარჩუნო და იყო ღირ-სი ადამიანად ყოფნისა:

**ადამიანად გარდაქმნას თურმე
მაიმუნები გლოვობდნენ დიდხანს...**

დროს მართებულად ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას. ცხოვრე-ბაში ყველა სიხარულსა თუ ნალევს თავისი დრო აქვს, არ უნდა გაიფლანგოს დრო ადამიანისა. ყოველი წამი, წუთი შინაარსიანი და პროდუქტიული უნდა იყოს ფხიზლობისას.

და სიყვარული, ყველაზე მთავარი რამ! არა ხორციელი, არა-მედ სულიერი, როცა რჩეულს უყვარხარ მთელი არსებით, მუ-დამ, როცა უკვე მკვდარიც კი ხარ, მაგრამ მაინც ხარ მის გულში გადასული და დამკვიდრებული. უყვარხარ ისე, როგორც არას-დროს არავის, შენი სახელიც, ბედიც, შენ რომ პასუხობ მგზნება-რედ და ფიქრობ, ჯოჯოხეთშიც გაჰყვები და მის გვერდით, ჯო-ჯოხეთურ საშინელებაშიც ბედნიერი იქნები:

**გიყვარდე მინდა, აღარც სხეული,
არც წლები გვიღირს არაფრად ვიდრე,
გიყვარდე, სანამ ვგრძნობ ამ წყეულ
საწუთროს როგორ გამოვერიდე...**

პოეტი ცდილობს თავად ამაღლდეს ყოველდღიურობაზე, სძლიოს ამ წყეულ საწუთროს ვნებებს, ამაღლდეს ცამდე, მაგ-რამ მცდელობა ბოლომდე არ გამოსდის, თუმცა კარგ, ღირსეულ

კაცად რჩება თავისსავე ფიქრებში, სიყვარულის უნარით, ღირსეული ქმედებებით, სიკეთის ქმნით, სხვა მრავალი უნარებით, რომლებიც მასშივეა ჩამალული და თავისი დიდებული შემოქმედებით, რომლის გაცნობის შემდეგ, აღარც სიბერის შეგეშინდება და აღარც სიკვდილის.

მერე რა, ცხოვრება თუ არარას გვპირდება, ჩვენ ხომ ვპირდებით საკუთარ თავს, სხვებსაც, ხომ გვსურს, ვინც გვიყვარს ისინი მაინც გავაბედნიეროთ, მთელს სამყაროს თუ ვერ გავწვდებით:

წუხს დედამიწა-

ცოდვა-ბრალით სავსე ბებერი-

და კვლავ ტრიალებს ეს საწუთრო, ვით კარუსელი:

არვინ არის გამკითხავი

და გამგებელი,

მე თვითონ მიმაქვს ჩემი ჯვარი,

ჩემი ლურსმნები...

და თუ ლექსი ინტონაციურად მოწესრიგებული მეტყველებაა, მაშინ, ბატონო ბაღათერ, თქვენი, როგორც პოეტის მისია, შესრულებულია, მაგრამ გთხოვთ, არ შეჩერდეთ და წერეთ, წერეთ, გვაიძულეთ ვიფიქროთ ამაოებაზე ამაოთა.

2019 წელი, 3 მარტი

ცოტა ვარ და გავგუჟალები

არ არსებობს ორი სამშობლო, ის გაქვს ან უსამშობლო ხარ. ვისაც ეს ესმის, ისაა მამულიშვილი.

როგორია უსამშობლო კაცი? მასაც აქვს თავისი წარმომავლობა, ენა, აქვს მიწა-წყალი, აქვს ცოდნაც, ქონებაც, მაგრამ ვერ გრძნობს სამშობლოს, ქვეყნის ტკივილი მას არ ეხება, თავისთვისაა, არ ანალღლებს და ვერ ხვდება, რომ ამგვარი ყოფით, მისი არსებობა ხდება ფორმალური. ქვეყნის გმინვის ხმა არ ესმის ამგვარი ადამიანის ყურებს, მისი თვალელები ვერ ხედავენ გაჭირვებულ, გაღატაკებულ, დასევდიანებულ, დასნებოვნებულ ადამიანებს. მისი გული აღარ ფეთქავს ისე, როგორადაც მამულიშვილის გული უნდა ფეთქდეს, ამგვარ გულს არ სძალუძს სამშობლოსათვის თავდადებით აღტკინება, აფეთქება... და, აი, „სიცოცხლე მაშინ მთავრდება, ცრემლი რომ აღარ მოგდის“.

გულსავსე მამულიშვილი, რომლის ცხოვრებაც ჩვენი ტანჯული ქვეყნის დარია, ბატონი თემურ ჩალაბაშვილი, რომელიც ხანდახან ამბობს, - ლექსი არ მეწერებაო. საქართველოს სიყვარულით სული ტკივდება, რაც ხელს უშლის მუშებს პოეტს ესტუმრონ. რას ვიზამთ, ასეა, როცა გიყვარს, გტკივა და ცრემლი გდის იმდენი, რომ ერთ დღესაც აღმოაჩენ, თურმე აღარც გაქვს, გამოგლევია, ამომშრალა:

**დღე და ღამე ლექსზე ვფიქრობ,
სად უნდა ვთქვა ნეტა ეს სად?
მე სიცოცხლეს ლექსად ვითხოვ,
მწამს სიკვდილიც მოვა ლექსად.**

ბატონი თემური საქართველოს შვილია, რომელსაც მტერთან შეყრა და ბრძოლა შია. ძველ დროში რომ ეცხოვრა, ჩემი წარმოდგენით, მეომარი იქნებოდა, რაინდი, რომლის ხმალი ქარქაშში არ დაჟანგდებოდა. ღამაში, ერთგული მეგობარი ცხენიც ეყოლებოდა უსათუოდ, რომ ესმის მხედრისა და ბრძოლის ველზე ეხმარება მეომარს თავისი საზრიანობით, მოქნილობით მტერთან შერკინე-

ბასა და გამარჯვებაში, მაგრამ ბატონი თემური ახლანდელ დრო-ში ცხოვრობს და სიცოცხლეშივე კლასიკოსი პოეტი.

კულტურა, ტრადიციები, ეროვნული სამოსი, ცეკვები, სიმ-ღერები ერს ეხმარება სიცოცხლის შენარჩუნებასა და გაძლიე-რებაში, ეროვნული სიმკვეთრის წარმოჩინებაში. ქართველისთ-ვის მთავარ სულიერ საზრდოდ მიაჩნია შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“:

ჩანს შორით მგოსნის ძველი ნათელი-

და ეფერება რითმას შაოსანს.

ღმერთო კი მომკალ, როცა ქართველი

არ წაიკითხავს „ვეფხისტყაოსანს.

ახლა სხვაგვარად ბრძოლის დროა, ცოდნით, გონიერებით, ჭკუით უნდა ებრძოლო მომხდურს, ვინაიდან, იმანაც იცის, თა-ვის ცოდნა იმგვარად გამოიყენოს, რომ მოგსპოს:

მუდამ სათნოების განმადიდებლო,

აღსდექ, საქართველოვ, მართლმადიდებლო!

ო, წმინდა გიორგის ხატებავ ნათელო,

სანთლად დანთებული მომავლის საქართველოვ!...

სანთელი ციურია, უფლის ხმობილი, ამიტომ ადარებს სამ-შობლოს ანთებულ სანთელს პოეტი. სუსტი ჩანს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ამ სისუსტეში იმალება დიდი ძალა, მოთმინების უნარი,, რომლის გაძლებაც ღვთის ნებით თუა შესაძლებელი, საქართვე-ლოში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც სანთლებივით იწვი-ან და განა ეს ყველას შეუძლია?! - ერში ერთეულებს კი, მაგრამ ბევრს არა!

დაგვიფარე წმინდა ჯვარო,

ნინოს თმებით შეკრულო!

მებრალეები საქართველოვ,

ოდიტგანვე ბედკრულო.

შესაშური სილამაზის მიწა-წყალი გვაქვს იდეალური ად-გილმდებარეობით, რაც სხვა ქვეყნებში წარმოქმნის შურს, შური კი მტრობას, მიწა-წყლის წართმევის სურვილს, ჩვენივე სამშობ-

ლოდან გაძევების ან სულაც ამონყვეტის ბოროტ ნებას, მაგრამ ქართველობის გაქრობას ვინ შეძლებს, როცა ქვეყანას იცავს ღვთის მშობელი მარიამი, წმინდა გიორგი, უმშვენიერესი ნინოს თმით შეკრული ცოცხალი ვაზის ჯვარი, როცა გვმფარველობს მეფე თამარი, ქეთევანი და თავს წირავს შუშანიკი. ქალი, რომელსაც მეუღლის სისასტიკემ წაართვა ამქვეყნიური მშვენიერება, რაც ქალს გააჩნია მიწიერ ცხოვრებაში და რაც მთავარია, ნაადრევად წაერთვა სიცოცხლეც. უზომოდ ეცოდება პოეტს შუშანიკი, როგორც ნაზი ყვავილი, დედა, სიყვარულისთვის გაჩენილი არსება და მეორეს მხრივ, გაბრწყინებული წმინდანი, რომელმაც სიკვდილით შეძლო სიკვდილის დამარცხება.

**ო, დედოფალო, იცვალენ მხარი,
თორო დაწყულდნენ წყლულზე წყლულები,
დასთმე სასახლე და შლეგი ქმარი,
ვითა ბრჭყვიალა სამკაულები,
გარეთ ქარია... ხორშაკნი ქრიან,
ველებს სენაკს ნათლისღებანი...
ო, დედოფალო, სხეული გტკივა
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!**

დედოფალია შუშანიკი, რომელსაც შეუძლია იყოს დამცირებული, დაჩოქილი და იმავდროულად ამაყიც. თავად საქართველოს დაემსგავსა შუშანიკი:

**საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ამბობს:
შენ ორივე ხარ-
ხან დიდგორი, ხან კი კრწანისი.
პირველ დაცემა ნიშნავს, შემდგომ უნდა ამაღლდე,
რომ დაინახო მტერი შენი-შესაბრალისი...**

განსაკუთრებულ სიბოლს გამოხატავს ქეთევან დედოფლის მიმართ, რომლის ლამაზ თვალებში საქართველო ეტევა, ცის კიბეებს მიუყვება დედოფალი, შაჰის რისხვას შეწირული. სამარცხვინოდ, ხალხის სანახავად გაშიშვლებული, ცხელი შანთებით ძუძუდაგლეჯილი, უნაზესი ქალი-დედოფალი, დიახ, მას აკადრეს!..

შიშველ სხეულს ცისკრის ლოცვით ფარავდი,
ვერ გაგტეხეს, მიწყივ ზეცად ამალლდი!

ბატონი თემური საქართველოს ბუნებას აღწერს, მრავალ-
ჰიპერბოლას ნააწყდებით მის პოეზიაში. სხვანაირია ქართლის
ქარები, მინდვრებს რომ ედებიან, მტირალ ცისკარს თეთრად
ღებავენ და უკვირს იმ პოეტებისა, რომლებიც ქარებში მხოლოდ
ქარს ხედავენ. სურს თავის მსგავსებს დაანახოს ქართული ქარე-
ბის თავისებურება, - ისინი ძმადნაფიცები ყოფილან, უძველეს
დროში დაძმობილებულან, მერე მთებში ლეგა კვიცებად გა-
დიქცნენ და ადამიანთა სულებით სავსენი აქეთ-იქით დანავარ-
დობენ. შემოქმედი არსებები არიან, ისინიც ილუპებიან, მაგრამ
საფლავები არ გააჩნიათ:

**ქარებიც ქრიან იმ გატაცებით,
როგორც დანტე და როგორც გოეთე,
ილუპებიან მერე კაცებად,
მხოლოდ საფლავებს არა ტოვებენ.**

პოეტი ქართველებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს, ვინაიდან
განათლება, ცოდნა, თავდადება, სიყვარულით ანთებული გული
ძალიან კარგია, მაგრამ ცხოვრების ბილიკებზე ქვეყნის სასიკე-
თოდ სიარულს სჭირდება გონივრულად დაფიქრება და სიფრ-
თხილე, ვინაიდან შეცდომების დაშვება იმდენად ადვილია, რომ
შესაძლოა სამშობლომ არ გაპატიოს, დაგლუპოს და ვინ იცის,
შენს გამო გულმოსულმა მიწამ სხვანიც გამოგაყოლოს, ისინი,
ვინც შენს გამო შეცდნენ, ვინც გამოჰყვა შენს იდეებს, საქმეს!

**მიწა რომ გაგინყრეს, დავილუპებით !
და განა მხოლოდ დავილუპებით?-
მკვდრებს არ მიგვიღებს-ჰოდა, ამიტომ
ფრთხილად იარეთ, რომ მიწას გული არ მოუვიდეს!**

ბატონ თემურს ესმის საქართველოს სუნიქვა და ილია ჭავ-
ჭავაძის დინჯი ქართული და მისი მზერა მცხეთას ეკვრის და ის
თავის თავს ხედავს, როგორც მცხეთის ჯვარზე გაკრულს...

სიღნაღი, - სიყვარულის ქალაქი, ქიზიყის გვირგვინდადგ-
მულ დედოფლად ჰყავს წარმოდგენილი, რომლის ფერხითი გან-

რობოშულა ალაზნის ველი და იქვეა ბოდბისხევიც, შემწედ კიდეც წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი და ძველისძველი გალავანი, დედოფალ სიღნაღს წელზე ვერცხლის ქამარივით რომ შემორტყმია. ამაყია პოეტი იმის გამო, რომ არსთა გამრიგემ უბატონო ქვეყნის შვილად მოავლინა ცოდვით დაცემულ დედამიწაზე.

პოეტს გულს უკლავს ის, რომ ქართველებს ერთმანეთი ისე აღარ უყვართ, როგორც ადრე. გარდაცვლილებს აქებენ და ადიდებენ, ცოცხლებს კიდეც არაფრად აგდებენ. შეძულების დიდოსტატებად იქცნენ ადამიანები და ალიზიანებს ფაქტი, როცა ქართველები თავისიანს არ ინდობენ, უცხოს კი ეფერებიან, არა-და, რამდენი ნატრობს, ჩვენი ჯიშ-მოდგმისა იყოსო.

უცნაური ხალხი ვართ, ვიცით, რომ სახლში მტერი გვყავს და თავად კი არ ვებრძვით, გარე- გარე დავეძებთ მშველელს და პატრონს, როცა თავადაც შეგვიძლია პრობლემებთან გამკლავება და შინაური მტრების მოგერიებაც:

**არა, ქართველებო არა,
ერთურთს შევეხიდოთ უფრო,
უსიყვარულობა კმარა,
ჩვენში თუ უფალი უფლობს.**

აი, ესაა ერთადერთი გზა იმისა, რომ გავძლიერდეთ და გავბეგრდეთ.

ლექსში „არწივები“ ქართლის მთებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ცრემლებზე დგანან და, რომ გაზაფხულს ქართლში სველი რტოები აქვს:

**სამშობლოდან გაფრენილან არწივები
და მაღალი ზეცა მიუტოვებიათ.
იქნებ მათაც ქართლის მთვარე ეცოტავათ
სამშობლოზე მტანჯველ ფიქრებს უნდებიათ.
ნაადრევად გაკრეფილი არწივები,
ნუთუ, მართლა აღარ დაგვიბრუნდებიან?!**

ბატონო, თემურ, არწივები აუცილებლად დაბრუნდებიან, დღეს ცოტანი ვართ, მაგრამ გავბეგრდებით!!!

2018 ბნლის 4 ნოემბერი

ბთხოვთ, მაპატიოთ სიყვარული!

ეკატერინე გაბედავას პოეზია სევდითა და სულიერი ტკივილითაა გაჯერებული, მარტოობის გრძნობა აქვს გამძაფრებული, უდიდეს სიყვარულს ატარებს გულით, როგორც ქალი და როგორც დედა.

ტერენტისგან განსხვავებული ცხოვრება აქვს ეკატერინეს, მართალია, გრანელის პოეტური გზის გამგრძელებელია, მაგრამ იგი, როგორც პიროვნება, ტერენტიზე ძლიერი და მეტრძოლია, შეუპოვარია.

პოეტებს უხდებათ ტანჯვა და რარიგ მშვენიერდება ეს გრძნობა მათ ხელში, რა ლამაზია ის პრობლემები, რომლებზეც კონკრეტულად ეკატერინე ყურადღებას ამახვილებს.

მარიტა, სიყვარულისთვის დასჯილი უმშვენიერესი გოგონა. თენგიზ აბულაძის რეჟისორობით გადაღებული ფილმის - „ნატურის ხის“ კადრები ცოცხლდება თქვენს თვალწინ. ციციკორე გაგახსენდებათ, რომლის მიმდევრებმაც მორალის სახელით მოკლეს მარიტა, მაგრამ ეს მშვენიერი გოგონა თავისსავე ნებით გედიას გულისთვის მოკვდა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მაინც გვანჯღრევს პოეტი, რომ ნებსით თუ უნებლიედ, არ ვიქცეთ მშვენიერების გამანადგურებლად.

**მე, ზეცა ვიყავი უნისლო,
შენ გსურდა და გავხდი მარიტა!..
მე შენგან ამ ჯვარსაც ავიტან!..
მესროლე!!**

ერთ დროს, მარიტა უნისლო ზეცა იყო, ანუ ადამიანზე მეტი, მაგრამ გედიას გულისთვის ქალად დაიბადა, ოღონდ, ადამიანებმა უუფლებობა დაუნესეს, არ მისცეს გასაქანი, რომ ჰყვარებოდა ის, ვისაც ეკუთვნოდა. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი აღმოჩნდა სალად მოაზროვნე ამხელა სოფელში, ვინც მარიტას დასჯა უსამართლობად ჩათვალა და ისინიც ჩუმად, თავისთვის, გულში აპროტესტებდნენ. ერთი ილანძლება და იფურთხება

ამის გამო და ამ კაცს ისედაც ყველა დასცინის, მეორეა ფუფა-
ლა, გამოგონილი სიყვარულის მთხრობელი, შიოლას ამბებს რომ
თხზავს სოფლის ჭორიკანა ქალების წინაშე. გაგახსენდებათ
ბებია, ტალახში ჩაჩოქილი, გაქვავებული სახითა და მოსავსავე
ხელებით. შვილიშვილი წაართვეს და სიკვდილს გადასცეს. მან
უსუსურობა გამოიჩინა თავის დროზე და მარიტა მატერიალუ-
რად უზრუნველყოფილ კაცს გააყოლა, გოგონას უპრობლემო
ცხოვრება რომ ჰქონოდა, მისდაუნებურად გაიმეტა სასიკვდი-
ლოდ, უღალატა და განაჩენმაც არ დააყოვნა მოიმეო, შვილიშ-
ვილის გარეშე ის მსუნთქავ გვამად იქცა, აი, ზუსტად იმგვარად,
რაზეც პოეტი სხვა ლექსში ამბობს:

იმედი...

რწმენა...

ნუგეში...

სიყვარული...

ადამიანობა...

თავმდაბლობა...

უბრალოება...

ერთად გამოწოვილი სხეულიდან, როგორც გამოწოვილი
ელექსირი...

შეგრჩათ ფიტული...

მიიღეთ...

ინებეთ...

დატკბით...

ისიამოვნეთ...

მორჩა...

დამთავრდა...

დასრულდა...

მე გარდავიცვალე!

ვერჩით და ვამახინჯებთ ერთურთს ადამის ძენი, ქრისტე
გავწირეთ, უპირველეს ყოვლისა, მაინც ვერაფერი ვისწავლეთ!
ვაგრძელებთ ღალატს, ორპირობას, სიძულვილით ვუშავებთ

ერთმანეთს და არც თუ იშვიათად, სიყვარულითაც. არ არსებობს კაცი, არა შესცოდოს და შემდგომ არა სცხონდესო, ეს იმიტომ, რომ ღმერთს ვუყვარვართ, ის კი არ გვსჯის, ერთმანეთს ვსჯით, უფალი კი გვწყალობს, გვიყურებს შიგნით, თუ რა ხდება ჩვენს სულში, რომელიც აგრეთვე მისგან გვებოძა. აი, სწორედ ამ პრობლემაზე აქვს ეკატერინეს ყურადღება გამახვილებული ერთერთ ლექსში და ქრისტეს მოციქულ პეტრეზე გვიამბობს. მას უყვარდა მოძღვარი, ეთაყვანებოდა, აღიარებდა, აღიღებდა და როდესაც ფიზიკური სიკვდილის შეეშინდა, სამგზის უარჰყო იესო, მაგრამ მაინც ეპატია.

დიახ, რაც არ უნდა ვეცადოთ, განვერიდოთ, ჩვენ მაინც განვიკითხავთ ადამიანებს, სხვანიირად არ გამოდის, ასეა მოწყობილი ცხოვრება. არიან ადამიანები, საკუთარ თავს რომ განიკითხავენ, მაგრამ ცოტანი, ვინაიდან უმრავლესობას ურჩევნია, საკუთარი შეცდომებიც სხვას დააბრალოს, ეს ერთგვარი თავდაცვაა, რომ შვება იგრძნონ.

რა არის სინანული?-ეს საკუთარი ქმედების გააზრებაა და კონკრეტული, ცხოვრებისეული ეპიზოდის შედეგში ჭეშმარიტების დადგენის სანინდარი:

ტირის პეტრე და მიწას ჭამს:

ასე რომ სცოდა...

შენ ღმერთს უყვარხარ,

შენს სიყვარულს ღმერთი აფასებს,

უფლის სახელით, გეპატია, ცოდვები პეტრე...

ვინ სთქვა, ღამე ქურდისააო?! დღისით მზე და ღამით მთვარე ვარსკვლავებით ყველასია. მართალია, ზოგს არა მხოლოდ ღამით, დღისითაც სძინავს, მაგრამ არიან მუდმივად ფხიზლად მყოფი ადამიანებიც, განსაკუთრებით პოეტები, რადგან როდის ეახლებიან მუშები, კაცმა არ იცის.

ეკატერინე გაბედავა ღრმად, ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტია, თითქმის ყველა ლექსში თავის გრძნობებს და ემოციებს ანალიზებს და პასუხსაც იქვე ტოვებს და სადაც სიყვარულზე

ნერს, ყველგან გვეუბნება, რომ სიყვარული არის მთავარი მშვენიერება და სილამაზე ადამიანის ცხოვრებაში, რომ სხვა დანარჩენს იმგვარი ფასი და ღირებულება არ გააჩნია, როგორც ამ ერთადერთს! ეს გრძნობაა იარაღი მარტოობისგან თავის დასაღწევად.

**შენ ყოველ ღამე ჩემს სიყვარულს კოცნით ანათებ
და აბა, ამ დროს სიმარტოვე რა სათქმელია!**

საყვარელი ადამიანისგან თუ ფიზიკურად შორს ხარ, არ უნდა შეგეშინდეს სულში სიცივის შემოჭრისა. როცა ძვირფასი ადამიანის სახეს წარმოიდგენ, იწყება სიხარული თავიდან დაბადებისა, თითქოს ვარსკვლავი ხდები, ვინაიდან ეს არაა გამოგონილი სიყვარული, ესაა ნამდვილი, თავისებურად ყველასგან განსხვავებული, შენი, საკუთარი სიყვარული:

**ვინ თქვა, რომ ჩემი სიყვარული გამოვიგონე,
რომ ილუზია უფრო ქვია ახლა ჩემს ყოფას,
ჩემი ცხოვრების ნახევარი გამოვიგონე
და დღეს, ვერავის ვერ ვადირსებ შენს უარყოფას!**

პოეტს არ სურს მარიტას ბედის გაიზიარება, ახლა სხვა დროა და ბევრი მაინც ცდილობს პერსონის ნების გარეშე ცხვირი ჩაყოს სხვის პირად ცხოვრებაში, განიკითხოს, გაკიცხოს, ჩაქოლოს, ტალახი ესროლოს. ვერავინ ვერავის აიძულებს ხელი აიღოს საკუთარ სიყვარულზე, მითუმეტეს, თუ ეს გრძნობა უწყინარია და არავის არაფერი უშავდება.

დამშლელები, — ამგვარად ვუნოდებ იმ ადამიანებს, რომლებიც გველებივით იკბინებიან სხვათა გრძნობების მოსაშხამად, ჩასაკლავად, ათას ხერხსა და ხრიკს მიმართავენ, იშველიებენ წესებს, ადათებს, ღმერთის სახელს და ნეტავ, როდის იყო უფალი სიყვარულს კრძალავდა?! პირიქით, სიყვარულს არც სიბრაზის ეშინია, არც სიკვდილის და მითუმეტეს ღმერთის, როცა ისაა თავად სიყვარული. ამიტომ ამარცხებს ყველა შეყვარებული არსებულ სირთულესა და განსაცდელს. შეყვარებულს არავის წინაშე ბოდიშის მოხდა არ სჭირდება, თუმცა, ახალგაზრდა პოეტი მაინც ბოდიშს იხდის მოდისკუსიე ჭორიკნების წინაშე:

ილაპარაკონ, ესე იგი, ბებერ ჭორიკნებს,
ჯერ კიდევ დარჩათ სინმინდეზე სალაპარაკო,
და რადგან ასე უტიფარი სახით მილიმით,-
ხანაც ბალიშზე მისკუპდებით, ხანაც ლოგინზე,
მოველ, რომ ჩემი სიყვარული ლექსით გიმღეროთ,
გთხოვთ, მაპატიოთ სიყვარული!
ჰო, და ბოდიში-ით!

ცხოვრება ისედაც ტანჯვა და წვალეა, მაგრამ ღირს
შფოთვად, ბორცვად, გოდერძი ჩოხელს დავესესხები და ვიტყვი,
„ცხოვრება თავად სევდაა ადამიანად ყოფნისა და სიკვდილიც
იგივეა, ოღონდ, ადამიანად აღარ ყოფნისა!“

„ნამების ნამ... ნამი“, ასე იწყება უსათაურო რითმული და
ენერგიული ლექსი, ეკატერინესავით სიცოცხლით სავსე და
მკვეთრი, სადაც რიგრიგობით კონკრეტულ თანხმოვნებზეა ყუ-
რადლება გამახვილებული:

**უკუნი კაკუნობს კარებთან კაკანით
კიბეზე დაუცდა ტყუილი,
კაბაზე დაყრილი ცრემლების კანკალი
და სერზე გაბმული ყმული...**

ეკატერინე სიცოცხლესთან და სიკვდილთან თანაბრად შე-
ჭიდული ქალბატონია და ცდილობს, სიახლოვეს არ გაიკაროს
სიკვდილი. აქ საუბარია არა ფიზიკურ, არამედ სულიერ, სოცია-
ლურ სიკვდილზე.

პოეტმა არატრადიციულად, სხვა რაკურსით ღმერთის და-
ნახვაც მოახერხა და თავის აღმოჩენას ჩაეჭიდა. ეს ეკატერინეს
ხილული ღმერთია და იცის, რომ უკვდავი არც თავადაა, მაგრამ
შეუძლია იყოს და დარჩეს მარადიულ შეყვარებულად. ეს იმგვა-
რი სიყვარულია, კუბოს კარამდეც რომ მიგყვება და სასულეთ-
შიც წინ მიგიძღვის მცველად, ზურგსაც გაგიმაგრებს და სამშვი-
დობოს გაგიყვანს:

**არა სიკვდილო, აგრერიგად ვერ მოვრიგდებით,
დღემდე ვერაფრით შეგასმინე, ვარ უკარება!...**

**არა, სიკვდილო! ისიც გყოფნის ქართა რიგებით
ყველას უძვრები სხეულში მიუკარებლად...**

ამგვარია სიკვდილი, ხანდახან ჩაგვიქროლებს, სხეულში გაგვივლის, ისე, რომ არაფერს გვატკენს, ცოტა სიცივეს დატოვებს, ცოტა გულგრილობას, ცოტა სიბრაზეს და ნავა,ზოგჯერ კი, დიდხანს გაგვანამებს და სხეულისაგან სულის მოკვეთის ტკივილს გაგვატანს...

ეკატერინეს, როგორც პოეტს, შეუძლია სიკვდილისგან თავის დაცვა სიყვარულით, და სიყვარულის თქმაც სხვაგვარად სძალუძს:

**...და მე მოგმართავ... ისე, როგორც უფალს შევთხოვდი,
რადგანაც, ამ ბნელ სამყაროში შენით ვმშვიდდები...
ცრემლებით გეტყვი, ვიდრე ჩემი ბაგე გეტყოდეს,
გყავდე, რადგანაც მსოფლიოზე მეტად მჭირდები!...**

პოეტი ეტრფის და უმღერის თავის მიწიერ, ხორცშესხმულ ანგელოზს, სხეულიანს და სახიანს, ეს ანგელოზია მიზეზი ამ ქალის სიძლიერისა. ამ ანგელოზმა აქცია ის მარიამ მაგდალინელად, რომელიც განწმენდილია ცოდვათაგან. ისევ რომ არ დაუფროვდეს ცოდვები და გადარჩეს, აუცილებელია, რომ მიწიერმა არსებამ არ დაკარგოს თავისი ანგელოზებრივი ბუნება, არ გადასხვაფერდეს და არ გახდეს ჩვეულებრივი. შიში აქვს პოეტს, რომ ეს ანგელოზი არ აცდუნოს თავისსავე მოდგმამ, რომელსაც ადამის მოდგმა ჰქვია და სოდომ-გომორის ამორძალებმა არ შეისრუტონ მისი სუფთა სული:

**მე გადარჩენისთვის მჭირდება ვინამო შენი...
მჯეროდეს შენი და შენი სასწაულების...**

ეკატერინემ ისიც იცის, რომ არსებობენ უბედნიერესი ქალებიც, მათ თვალსაც ვერ გაუსწორებს, მაგრამ მორგებული ნილბის წყალობით მზეს, იმედს, ღიმილს ისაკუთრებს. ცეკვავს და მღერის კიდეც, საკუთარი ნატვრები და ოცნებები სხვის ნატვრის ხეზე ჰკიდია და ებლაუჭება სახელს სიყვარულად ნოდებულს, მაგრამ ეს გრძნობა ცალმხრივია და მაინც, ის დადის სი-

სავსის სურვილით, მაგრამ რასაც დაბადება ჰქვია, ეღირსება?!
აი, აქ ეპარება პოეტს ეჭვი. ჰო, მზე კი არის, ის სულ არის, მაგრამ
ეკატერინეს საკუთარი მზეა ბნელი!

მე არასოდეს დავიბადები...

ჩემი ბედნიერება წინასწარ ჩამოწერა განგებამ...

ჩემი მზე ბნელია...

ცხოვრება გარკვეულწილად გამოცანაცაა, ამოუხსნელად
რჩებიან წარსულშიც და აწმყოშიც. ცხოვრება მომავლის მი-
მართ ინტერესია და არის მომენტებიც, როცა ღონე გეცლება და
ამ დროს ვიღაცამ ან რაღაცამ უნდა გიშველოს... როცა ყველას
საკუთარი თავი ადარდებს და მარტო ხარ, როცა ისეთი სასო-
წარკვეთილი ხარ, რომ ღმერთისაც კი გრცხვენია, თავადვე უნ-
და იპოვო გამოსავალი, თორემ ვერ გაუძლებ და დასასრულიც
მოგადგება კარს, თუ გადარჩი, შესაძლოა ისეთი ძლიერი ვეღარ
იყო, როგორიც ბოლო განსაცდელამდე იყავი.

უხდება პოეტს ტკივილი, სევდა, გამოსავლის ძიება და სა-
ბოლოოდ, გადარჩენის წამალი კვლავ ლექსად თქმული ამბები:

რა არ მინახავს, რა ტკივილი არ მიგემია,

ხშირად მღუპავდა სიმართლე და ჩემი სიმორცხვე,

მაგრამ ცხოვრება ო, ისეთი მშვენიერია,

როგორ გავცვალო შავ მიწაზე ჩემი სიცოცხლე...

...და ჩემს სხეულში ჩაკეტილი სული კიოდა,

გიჟის იარლიყს მანებებდნენ მერე მასხრები...

და მე ვითხოვდი დაჩოქილი, ჰო, მე ვითხოვდი,

შველას ვითხოვდი, მჭირდებოდა ღმერთი მაშველად,

რას მოვითხოვდი...

როგორ შევცდი, რას მოვითხოვდი,

როცა ღმერთისთვის თვითონ იყო მაშინ საშველი!...

დიახ, გადატანითი და არა პირდაპირი გაგებით, ღმერთს მა-
შინ სჭირდება შველა, როცა ყველანი ერთმანეთის მიმართ ვცო-
დავთ და ქვეყანაზე ჩვენსავე საყოველთაო ნაკლოვანებებს ვა-
მეფვბთ. ჩვენ ხომ თავისუფლები ვართ, რასაც გვინდა იმას ვა-

კეთებთ და ცხოვრების, მინიერი კანონების მიხედვით ვისჯებით სამართლიანად და უსამართლოდ, მაშინ, როცა თავად ვსჯით ერთმანეთს მწარე სიტყვით, მოსამართლის, პროკურორისა თუ ჩვენზე უარესის, ადვოკატის ხელით.

პოეტი ფიქრობს, რომ ბედი ღვთის ნებით, რაღაც ძალის მიერ, წინასწარ იწერება და დაბადებისთანავე ჩვენს გვერდით დგება, თან გვდევს ყველგან და ყოველთვის, რომ წვრილმანების გამოკლებით, მთავარის აღსრულებას ხელი არავინ და არაფერ-მა შეუშალოს. ილბალი თუ იცვლება, ისიც უფლის ნებით, მაგრამ ხშირად პასუხს ვერ ვპოულობთ, თუ რატომ გვედიდგულება ილბალი. მთავარი ისაა, რომ არ ვიქცეთ იუდეად, რომელმაც იესოს უღალატა უბადრუკი 30 ვერცხლის გამო, ის დამდაბლდა ყოფითისა და უტილიტარულის დონემდე. ღირსეულნი ერთხელ კვდებიან, მაგრამ იგივე ღირსეულნი შესაძლოა ათასჯერ მოკლან ან თავიც მოიკლან, მაგრამ მაინც ცოცხლებად დარჩნენ და გააგრძელონ მინიერი ცხოვრება:

**მილიმი, ჩემო უბადრუკო ბედნიერება
და ათრთოლებულ თითებს ვახებ თვალთა ნაოჭებს,
ჩამოიფერფლა ჩემი სულის მშვენიერება
და ხვალინდელი უღრუბლებო დილა მათეყვებს...
და მაინც ასე
თავანებით გიყურებ ჩუმად,
ღმერთთან რომ დავრჩე ჩემს ოთახში საკმეველს ვაკმევ,
ცნობის წადილმა გამოფინა ბინძური ქუჩა,
უნდა ვიპოვო ჩემი თავი... მშვიდობით სარკვევ...**

ზოგჯერ სარკვეში ისეთები ვჩანვართ, რომ საკუთარ თავს არ ვგავართ... გაუცხოება, საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებისგან გამოყოფის მთავარი პრობლემა! გაუცხოება, ჩვენი საუკუნის ადამიანების, ქვეყნების და მსოფლიოს ტრაგედიების მთავარი მიზეზია. გაუცხოება აიძულებს ადამიანებს გახდნენ მარტოსულები.

სული მთავარია, ის არ უნდა დაიკარგოს, მაგრამ ეკატერი-ნეს სული იმდენად დიდია, შეუძლია ჩიტებს ნამცეცებად დაუყაროს და თავად არაფერი დააკლდეს.

**ბელურები კენკავენ სისხლნარევ ცრემლებსაც...
სული დაგიყარეთ ასაკენკად
სული უმზეო და უდღეებო,
ქარში უიმედოდ მეკარგება,
ჰოდა, თქვენი იყოს, ბელურებო!**

ერთ ლექსში პოეტი ამბობს, რომ ობოლი ცხოვრების გერია. განა, შეიძლება პოეტი გერად გრძნობდეს თავს, როცა უზარმაზარ ნიჭს დაატარებს?!

არ ვიცი, როგორია ობოლი ცხოვრება, მაგრამ თუ მაინცდამაინც ობოლია, მაშინ, ეს ცხოვრება მამინაცვალია თუ დედინაცვალი ეკატერინესი, ჩემი აზრით, გულმონყალე და კეთილია, ობოლმა იცის ობლის ტკივილები და აუცილებლად ეცდება მათ დაამეზას.

2018 წელი, 10 დეკემბერი

ცხონების სანიღარი

ვინ არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა იხილოს სიკუდილი და იხსნეს სული თვისი ხელთაგან ჯოჯოხეთისათა.

დავით წინასწარმეტყველი

ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ ლიტერატურას შეემეტა იოსებ სიბოშვილის რომანი სახელწოდებით „წარსულის ტვირთი“. ავტორი 1917 წელს რუსეთში განვითარებული მოვლენების შესახებ მოგვითხრობს, რომლის ექომაც საქართველომდე მოაღწია, საქართველო, რომელიც ისედაც ძღვევამოსილი ჟანდარმული სახელმწიფოს, - მეფის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიას წარმოადგენდა და რუსეთში წარმოქმნილი ცვლილებები ზეგავლენას ახდენდა ქართველთა ყოფაზეც. „წითელი გველეშაპი“ რევოლუციის სახელით მოქროდა, ამ რევოლუციას უნდა დაემკვიდრებინა მუშურ-გლეხური სახელმწიფო, სადაც პროლეტარები იცხოვრებდნენ ბედნიერად. რომანს ეტყობა, ღვთის მორწმუნე, სულით ხორცამდე ქართველი კეთილშობილი კაცის შექმნილი რომაა. ბატონი იოსების დანახვისას სიამაყით ვივსებო, მახსენდება ნათელით მოსილი, ტოლერანტობით შემკობილი ერის შვილი რომ ვარ, სადაც მეგობრულად ვცხოვრობთ მართლმადიდებლები, კათოლიკეები, გრიგორიანელები, მუსლიმები, იუდეველები, ლუთერანული ეკლესიაც გვაქვს, ვინაიდან სანამ სტალინი გადაასახლებდა, ჩვენს მიწაზე ცხოვრობდნენ გერმანელებიც, რომლებმაც თავისი კვალი დააჩნიეს ქართულ კულტურას და როგორი ყოველმხრივ დადებითად შემკობილი და შრომის მოყვარენი არიან გერმანელები, რომანიდან შეიტყობთ. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ახალი და უახლესი ისტორიის მოვლენების შესახებ გვიყვება, თქვენ მაინც უბრალო ადამიანების ყოფაზე ნაამბობი მიგიზიდავთ და გულს გაგიტობთ, სწორედაც, რომ ხალხი ქსოვს ერის, ქვეყნის ისტორიას და მათით სულდგმულობს საქართველოც.

გამოჩენილი ადამიანების გვერდით ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ოჯახები, ადამიანები, რომელთაც ხალხი ჰქვია და მწერალმაც მოგვითხრო ერთი პროლეტარი კაცისა და მისი ცოლ-შვილის არეული ცხოვრების შესახებ, რომლებიც, ღვთის შეწევნით, ეპოქალური ბოროტების ქარ-ცეცხლის მომსპოვ ტალღებს გადაურჩნენ. ბნელმა, გაუგებარმა დროებამ ოჯახი გახლიჩა, შეცვლილმა ვითარებამ მათი ბედი შეცვალა და დაამახინჯა, მაგრამ კერა მაინც არ გაცივდა, ვინაიდან ამ ოჯახში ღვთის შიში, რწმენა და სიყვარული აქვთ. დედა-შვილს წმინდა გიორგის ხატის მხარდაჭერით, დროებით ანგელოზების გვერდითაც მოუწიათ ცხოვრებამ, რაც მრავალი წლის შემდეგ გააცნობიერეს. მთავარ პერსონაჟს, როგორც ქალს, ლავრენტი ბერიამ თვალი მოკრა, რომელიც ავხორცობით იყო ცნობილი და წმინდა გიორგის ხატმა ლავრენტის თვალებს გადაუშალა ამ ქალის სილამაზე და გაამწესა მოხუც ცოლ-ქმრად გადაქცეულ ანგელოზებთან. პატარა ოჯახი, რომელიც დედა-შვილისგან შედგებოდა, გაიზარდა, გაბეგრდა და საქართველოსავით გადარჩა.

ნაწარმოების მთავარი გმირები არიან თბილისელი ჭაბუკი კოლა ხუციშვილი და მისი კდემამოსილი მეუღლე მაგდა.

პერსონაჟები თქვენს თვალწინ ბერდებიან, ზოგიც გარდაიცვლება. ამ უბრალო, მოსიყვარულე ადამიანების თავს მრავალი წარმოუდგენელი ამბავი მოხდება და მათ გვერდით ავტორი წარმოგიდგენთ ისეთ პირებს, როგორიც იყვნენ ლენინი, სტალინი, ტროცკი, ნოე ჟორდანი, მოლაღატე და ერის მძარცველი მთავრობითურთ რომ გაიქცა ქვეყნიდან. გვახსენებს ხრუშჩოვს, ბრეჟნეფს, შევარდნაძეს, მჟავანაძეს. ჰიტლერსაც, რომლის მავნებლური ქმედებები დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანს შეეხო. ლიდერებმა, ძლევამოსილმა ადამიანებმა შეცვალეს მსფლიოში ვითარებანი, შეანელეს ან დააჩქარეს განვითარების პროცესი, ზოგის ნამოქმედარმა გადაასხვაფერა სამყარო და სულ სხვა რელსებზე შეაყენა. უფრო მეტად შეგიყვარდებით ერის თავისუფლებისათვის მებრძოლი, დიდებული ქაქუცა ჩო-

ლოყაშვილი, რომლის გუნდის წევრიც გახდება ჭაბუკი კოლა და მისი ძმობილი ვასო, რომლებსაც ყაჩაღის იარაღიყი მიაკერეს ახალი წყობილების ხელისუფლების მესვეურებმა.

კოლამ მოძენა და მოკლა თავისი მეგობრის და იმავდროულად მეზობლის მკვლელი, ბოლშევიკი ლოთი რუსი მილიციელი ბარისა.

ეზოში გამოსულ მაგდას რუსმა ლოთმა მილიციელმა ბარისამ ბილწი ხელი უხეშად შეახო, წაეპოტინა და ამ დროს სამსონმა შეაჩერა, წინ აღუდგა ქალის შეურაცმყოფელს. ბარისამ გამომქომაგებელი მაშინვე მოკლა და მიიმალა. ბარისას ქართველის მოკვლისთვის პასუხს არვინ მოსთხოვდა, ამიტომ კოლამ აღასრულა სამართალი.

კოლა და მისი ახლად შეძენილი მეგობარი ვასო ნაძალადევის მუშების მიერ რესპუბლიკად გამოცხადებულ ტერიტორიაზე, თბილისშივე მეფის ჯართან ხელჩართული ბრძოლის დროს მებრძოლი ტუხას ვაჟია, რომელიც ცხრა მოკლულს შორის აღმოჩნდა და კუკიის ძმათა სასაფლაოზეც დაიკრძალა. ეს უცნაური აჯანყება რუსებმა გამოცდილი გენერლის ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ჩაახშეს და ტუხას ვაჟს სძულდა მეფის რუსეთი და რუსების მიერ მოფიქრებული რევოლუციაც. კოლა და ვასო ქაქუცას რაზმის გულმხურვალე წევრები გახდნენ და მათდა უნებლიედ თავი საფრანგეთში ამოყვეს, მოგვიანებით გერმანიაში გადავიდნენ და ყველგან მუშებად დარჩნენ. ცხოვრება გაააგრძელეს ოჯახებს მოწყვეტილებმა, მაგრამ ვაი ამ ცხოვრებას, სსრკ-ს აგრესიული პოლიტიკის გამო, შინ ვერა და ვერ ბრუნდებოდნენ... კეთილი ადამიანების წყალობით, მაგდამ და კოლამ ერთმანეთის შესახებ გაიგეს, რომ ბოლომდე არ გაუწირავს არსთა გამრიგეს, არ დაღუპულან და ამის გამოც ღირს ცხოვრებასთან შეჭიდება, იმედზე დაყრდნობა, რომ ერთმანეთს კვალავაც შეეყრებიან, იმედი გამართლდა...

ქართველი ვაჟკაცების ყოფას აზრი და შინაარსი რომ შესძენოდა, მეორედ გერმანელ გოგონებზე დაქორწინდნენ. კარგი

ქალები აღმოჩნდნენ, კოლას მეტად გაუმართლა, მეორე ვაჟი იოსეფი შეეძინა. ომის დროს განგებამ თავის ვაჟს გიორგი-გო-გასაც შეახვედრა, წლების შემდგომ კი სეხნია შვილიშვილ კო-ლას. 65 წლის შემდეგ, უფლის წყალობით, ელისა მაგდასთან ჩახუტება, ბებოს სეხნია პანია შვილთაშვილიც მკერდში ჩაიკრა. დიდ სიხარულს ვერ გაუძლო მოხუცის სულმა და გულმა, მალევე გარდაიცვალა.

ვასო უშვილოდ დაბერდა, მაგრამ გერმანელმა ცოლმა ცხოვ-რება მაინც გაულამაზა, რომელიც ონკოლოგიურმა დაავადებამ შეიწირა. სიკვდილის წინ კეთილშობილმა ქალბატონმა ქმარს მოუბოდიშა, შვილი რომ ვერ აჩუქა. ცოლის სიკვდილის შემდეგ, ვასომ და კოლამ მოგზაურობა დაიწყეს და საქართველოსთან ახ-ლოს, ყოფილ ქართულ მიწამდეც მოაღწიეს და ვასო იმ ქართულ მიწაზე, საქართველოს რომ აღარ ეკუთვნოდა მეგობრის ხელით, მუხის ქვეშ დაიმარხა. როგორ და რანაირად აღმოჩნდნენ სარფ-თან ახლოს მეგობრები, ამას თავადვე წაიკითხავთ. ცოცხალმა კოლამ კი ასევე კეთილი ადამიანების დახმარებით შვილიშვილის წინამძღოლობით სამშობლოში შემოაღწია, ვასოს ცხედარიც წა-მოასვენეს და ქრისტიანულად დაკრძალეს.

65 წლის განმავლობაში ევროპა ვითარდებოდა, საბჭოეთში შეღწევა, და იქიდან გამოსვლაც რთულზე რთული საქმე იყო. ამი-ტომ, ხალხმა არ იცოდა, სინამდვილეში რა ცუდად ცხოვრობდა.

ლენინის იდეების მიხედვით აშენებულ ქვეყანაში მისი მემ-კვიდრეები მუდმივ შიშში ამყოფებდნენ ადამიანებს და ვინ იყო თავად ლენინი? -გარყვნილი, უსირცხვილო არსება, ათაშანგით დაავადებული, შეშლილი, გახრწნილი, ბილწი ცხოვრების გამო ბოდიშებს ნივთებს რომ უხდიდა, უგონო, უაზრო მდგომარეო-ბაში მყოფი გარდაიცვალა, მის ცოლს კი სძულდა სტალინიც და მისი სამშობლოც...

65 წლის განმავლობაში ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უამრავი მტერი გაუჩნდა, ზოგს მხოლოდ საქართველო სძულდა, ზოგსაც ერთდროულად სტალინიცა და საქართველოც, და ყო-ველთვის სჯიდნენ კოპნია ქვეყანას.

ლენინმა ქართველების დაუკითხავად, ქართული მიწები გაასხვისა, ისინიც გაკადნიერდნენ, შემოვიდნენ აჭარაში, გურიაშიც და ადგილობრივებს უბრძანეს, ახლა აქ თურქეთია და აქედან წაეთრიეთო, მაგრამ გურულებმა და აჭარლებმა გარეკეს ბრიყვი თურქი მებრძოლები. სანახევროდ აღარ ეკუთვნოდა და ახლაც ასეა, საქართველოს ჩრდილოეთის მხარე, სამხრეთი სომხებმა მიითვისეს, საინგილო აზერბაიჯნელებს მიაკუთვნეს, ზღვისპირეთის ნაწილი სოჭითურთ რუსებმა წაიღეს. სამი ავტონომიური რესპუბლიკა შექმნეს საქართველოს დარჩენილ ტერიტორიებზე. მერე სტალინი და ბერია გამოჩნდნენ, სული მოათქმევინეს პატარა საქართველოს. ააშენეს მუშურ-გლეხური ქვეყანა და უტოპია რეალობად აქციეს, თან ორივეს თავისებურად, უცნაურად უყვარდათ პატარა საქართველო და სანახევროდ მაინც ეშმაკს რომ მსახურებდნენ, ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელეს, ვერ დააბრუნეს მიტაცებული ქართული მიწები.

დასაწყისშივე, როგორც კი ავტონომია ებოძათ ოსებს და აფხაზებად გადაქცეულ აფსუებს, ცალკე რესპუბლიკებად თავის გამოცხადება მოუნდათ, სომხებს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის მთლიანად მითვისება, რის გაგონებაზეც ლავრენტი ბერიამ სასტიკი რეაქცია გამოავლინა და ჩაფუშა მათი მტაცებლური სურვილები. აფსუებმა და ოსებმა კი გულის წადილი მოგვიანებით, რუსების თანადგომის შედეგად აისრულეს. ბოროტი, უხილავი ძალა ყოველთვის სჯიდა და სჯის საქართველოს!..

სასტიკი და დაუნდობელი იყვნენ საბჭოეთის მეთაურები, მოგვიანებით, რეპრესიები შეარბილეს, უზნეო თავისუფლებაზე ქადაგებაც შეწყვიტეს, 70-იანი წლების დასაწყისში მითიც კი შექმნეს, ვითომც, საბჭოეთში სექსი არ არსებობს და, რომ აქ ყველა ბედნიერი და ზნეობრივად ამაღლებულია.

შინაური მტარვალები ხრავდნენ ქვეყანას, გარეშეებსაც უყოფდნენ ნაძარცვს, მაგრამ კარგი მეთაურებიც ყოლია ახლო წარსულში საქართველოს, მაგალითად მჟავანაძე, რომელიც ჩანაცვლა თეთრ მელად წოდებულმა მასონმა შევარდნაძემ.

ავტორი ხშირად გვახსენებს, მსოფლიოს ბოროტი, უხილავი ხელი მართავს და მისი მსახურნი დგებიან ქვეყნების მართვის სადავეებთან. საქართველოს სჯიდნენ და სჯიან სტუმართმოყვარეობისთვის, მრავალეროვნულობისთვის, ნიჭიერებისთვის, შრომისმოყვარეობისთვის, მაღალი კულტურისა და ხელოვნებისთვის, მოქნილობისთვის, კარგი მეცნიერებისთვის, სილამაზისთვის, ზღვისთვის, მთა-ბარისთვის, მართლმადიდებლობისთვის, სამი ანბანის გამოც. ჩვენი ენის დაცვისთვის 9 მარტს სასაკლავო მოგვიწყეს, თავისუფლების მოთხოვნისთვის 9 აპრილს, სანთლებით ხელში მდგომ ახალგაზრდებს, ლექსებს რომ ამბობდნენ და მღეროდნენ, ტანკებით გადაუარეს, 19 ადამიანი მოკლეს, აქედან 16 გოგონა იყო. საქართველომ გადაიტანა ბრეჟნევის მართველობის პერიოდი, უძრაობის ხანად წოდებული, გაუძლო 90-ნი წლების სიდუხჭირეს. ქვეყნის გული სასტიკად დაზიანდა პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გამოც, რომელსაც თვითმკვლელობა დააბრალეს, ვერასდროს დავიჯერებ, რომ ზვიადი თვითმკვლეელია. სიმართლე სხვაგვარად აიხსნება, გააძევა შინაურმა, მოგვიანებით, სასიკვდილოდაც გაიმეტა! ფაქტი ისაა, რომ საქართველომ დაკარგა დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი, დიდებული ლიტერატორი, მეცნიერი, რომელიც, მერაბ კოსტავას მსგავსად ქართული ნაციონალიზმისა და სოციალისტური კონსერვატიზმის მიმდვარი იყო. ორივე მოაშორეს ქვეყანას!

საბჭოთა კავშირის ყველა თაობის ხელისუფალთ ემინოდათ ხალხის, განსაკუთრებით, მოწინავე ინტელიგენციის, ხელოვნების, ამიტომ ცენზურას, შეზღუდვებს აძლიერებდნენ, 80-ნი წლების ბოლოს კი ეს ყველაფერი გაქრა, ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოს ძირი გამოუღპა. ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა, რუსეთსა და საქართველოს კაპიტალიზმის ჩამოყალიბების, განვითარების პერიოდი გამოატოვებინეს.

ავტორმა ამ ნაწარმოების შექმნით განმიმტკიცა რწმენა სიკეთის გამარჯვებისა. მთავარია, გულში სიკეთის ქმნისა და

სიყვარულის ლამპარი ჩაუქრობლად გვენთოს, რომ მუდმივად უფალთან ყოფნით, სხეულითაც და მის გარეშეც ვიარებოთ ყველგან, სააქაოშიც, საიქიოშიც, ამიტომ ველარ აღვიქვი კოლას, იგივე ნიკოლოზის გარდაცვალება დიდ უბედურებად, თუმცა გული დამწყდა...

ჩქარი და მოქნილი აღმოჩნდა მეოცე საუკუნე, წინა საუკუნეები უფრო მდგრადები იყვნენ, პროცესები ნელა, დანდობილად ვითარდებოდა და იცვლებოდა, მსოფლიოს ისტორიისთვის ათეული წლები შეუმჩნევლად მიედინებოდა, მაგრამ ადამიანების ხანმოკლე სიცოცხლისთვის ძალზედ ბევრია. მწერალი გულისტკივილით ეხება ახლო წარსულში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წართმევის, მიტაცების ეპიზოდს. იმისათვის, რომ გადავრჩეთ, უნდა გვახსოვდეს:

ადგილობრივი მანქურთები საშიშნი არიან!

მეზობელი ქვეყნები გვემეგობრებიან და გვმტრობენ კიდეც, ჩვენს გასაწირად მუდმივად მზად ყოფნაში არიან!

მწერალი მიგვითითებს, „სასწორის მაყურებლებზე“ მათი მოკვეთა უნდა შეგვეძლოს!

მაგდა ქართლის დედას ჰგავს, აღარც შვილი გიორგი-გოგია ჰყავს, შვილიშვილი პატარა კოლაც ინდივიდუალურ მეზრდოლად გაქანდა აფხაზეთის ფრონტზე, დაჭრეს პატარა კოლა, მაგრამ მაგდას გულმა ამასაც გაუძლო, ის არ ძრწის, ვინაიდან სწორი სულიერი განწყობა გააჩნია. მას უყვარს დიდი კოლას მეორე ოჯახი, გიორგი-გოგიას ნახევრად-გერმანელი ძმა, უყვარს მისი შვილიც და ნამდვილ ბებიობას უწევს გოგონას. ოჯახი ოჯახობს!

მაგდა ქალია, რომელიც ვერანაირმა ამქვეყნიურმა წამებამ ვერ წააქცია. მან იცის, ეშმაკისეულნიც ჩვეულებრივ მოკვდავნი არიან და თავიანთ წინილებსაც ტოვებენ ბოროტების გასამრავლ-გასახანგრძლივებლად, რომ ყოველივე მართალსა და წმინდას მოედონ, ნაბილწონ!

საქართველოს ისტორია და დღევანდელი ღალატითაა დამძიმებული!...

წერილს „ცხოვნების სანინდარი“ დავარქვი, ვინაიდან ვფიქრობ, რომ სიყვარულზე დიდი სიკეთე ამ ქვეყნად არაფერია. მნიშვნელობა არა აქვს სად ლოცულობ. რელიგია, რომელიც კაცთმოყვარეობას ქადაგებს და სიკეთის ქმნისკენ გიბიძგებს არის კარგი სარწმუნოება. ამ რომანში არიან ისეთი ქართველები, რომელთაც არსთა გამრიგემ მუსლიმობა არგუნა, ღვინოს არ სვამენ ქართველი მუსლიმი ძმები, რომ ალაჰის არ მოსაწონი არ ჩაიდინონ. ჩემთვის კი, როგორც მართლმადიდებლისთვის, სიყვარული თავად ქრისტეა და ამიტომ ცდაში ვარ არასდროს გავუშვა გულიდან.

მწერალთა სახლში, იოსებმა ეს წიგნი მაჩუქა წარწერით, „ქ-ნ თიკოს, გამარჯვების სურვილით, ავტორისგან!“ 09.06. 2023 წ.

ასე იყოს, ამინ!

2023 წელი 11 ივნისი

ღმერთის გარდა შენ თუ მიშველი...

მაია ხოფერია წერს ლექსებს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, რომელიც უსაზღვროდ მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის ცხოვრების ყველა ეტაპზე. ღმერთის შემდეგ, შემწე და მშველელი, იმედის მომცემი, გამაბედნიერებელი არის გვერდით მყოფი, შენი ნახევარი, შენი სულისა და გულის ადამიანი!

მაია ხოფერიას ლირიკული პოეზია მიმზიდველია არა მხოლოდ ესთეტიური, რიტმის თავისებური თვალსაზრისითაც. ლექსის კითხვისას სინაზეს გრძნობ არა მხოლოდ ხმამაღლა წაკითხვისას, მაშინაც, ჩუმად, შენთვის რომ კითხულობ და გულს ელამუნება ბგერებად, თანაზომიერად დროში გაფანტული რიტმები, რომლებიც მაია ხოფერიას ლექსებს სასიამოვნოდ წასაკითხს ხდის და ნებისმიერი ადამიანისთვის მკვეთრად შეგრძნებადი ხდება ლექსის ტემბრიცა და ინტონაცია.

პოეტი თავის უფლად განცდილ, გააზრებულ სიყვარულზე გვესაუბრება, ცდილობს ერთი ფორმულის გამოყვანას, მაგრამ ეს გრძნობა იმდენად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რომ ვერცერთი მხრიდან ბოლომდე ვერ მიუდგები, მასში სიხარული, სიამე, სიავეცა და მწუხარებაც ბევრია, რაც საინტერესოს და ამოუწურავს ხდის პოეტი ქალის შემოქმედებას, მაგრამ პოეტი ჯიუტად მიიწევს წინ და ცდილობს ერთი და საბოლოო დასკვნის დადებას, თუმცა შეუძლებლად მიმაჩნია, ვინაიდან თუ პოეტი ოდესმე ერთ ფორმულას გამოიყვანს ამ დიად გრძნობასთან დაკავშირებით, ეს იქნება მხოლოდ მისეული და არა საბოლოო სიტყვა, ვინაიდან ყოველი ჩვენგანი განსხვავებულად განიცდის სიყვარულს. ერთ ლექსში ავტორი ამბობს:

**დაუნერეელი კანონია, გიყვარდეს ერთი,
სიკვდილის პირას, მასზე ფიქრი გაძლევდეს შვებას,
როცა სიცოცხლე, გული, ვნება ერწყმის და ერთვის,
როცა უფლება გენიჭება, ის ერთი გერქვას...**

მიჯნურობის მარადიულობა ერთგულებაზე გადაჯაჭვული გრძნობაა. სიყვარულით გახარება ყველას უნდა, მაგრამ ადამი-

ანების გარკვეული ნაწილი ცდილობს უყვარდეს ერთგულების გარეშე და სწორედ აქაა სათავე და მიზეზი სიყვარულის შეუნარჩუნებლობის ტრაგედიისა. ორს შორის ტრფობა ვერ იტანს გულგრილობას, სიტყვა-ძუნწობას, ამ გრძნობის გამოუხატველობას, ქცევით, სიტყვით, ქმედებით, ამიტომ სიყვარული დამსახურებულად ზოგს მაღლა სწევს ზეცისკენ და ზოგსაც მიწაზე ანარცხებს. ის მახეებსაც გვიგებს, გამოცდებსაც გვინწყობს, თავადვე ცდილობს, გვასწავლოს სიყვარული, ვინც ნიჭიერია, წრფელია, სუფთაა და სირთულეებს არ გაუბრუნებს, გამარჯვებული ანუ ბედნიერი რჩება.

კაცობრიობის ისტორიამ გვაჩვენა, რომ საბოლოო დასკვნებს, ფორმულებს სიყვარულის აგებულება არ ემორჩილება. ჭეშმარიტად მხოლოდ ერთი ადამიანი გიყვარდებაო, მეუბნებიან, მაგრამ ჭეშმარიტი გრძნობით ცხოვრების მანძილზე, შესაძლოა რამდენჯერმე შეგიყვარდეს და თითოეული მათგანი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გრძნობით. ზოგ ადამიანში დროთა განმავლობაში სიყვარულის გრძნობა უფერულდება, დასაწყისში რომ ჰქონდა იმ სიმკვეთრეს ვერ ინარჩუნებს. ზოგს ჰგონია, რომ სიყვარულმა ზურგი აქცია, სინამდვილეში ასე არაა, ის არვის ტოვებს, ყველგან და ყველგან, მთავარია მიიღო, ალღო აუღო, არ გაექცე და არც უღალატო. სიყვარული ადამიანშივეა დაბადებამდე და საიქიოშიც მიჰყვება, აი, ესაა მთავარი და არა ის, თავად რას ფიქრობ და რა დასკვნებს გამოიტან საკუთარი ცხოვრების გზაზე ფიქრად დაღვრილი. დი-ახ, სიყვარული რთულია, ის ხან ჩქარია, ხანაც ნელი, ზოგჯერ ციბრუტს ჰგავს, შეშლილიცაა და სიბრძნითაც აღვსილი, მთავარია გაუძლო ან მის მოსაპოვებლად იბრძოლო.

სიყვარული მწუხარეს თავზე ხელს გადაგისვამს, ნაქცევის უფლებას არ მოგცემს, წაჩოქილს წამოგაყენებს და შენს მფარველ ანგელოზს შეუამხანაგდება, მთავარია ხელი არ კრა, თორემ აღარასდროს შეგანუხებს.

კაცობრიობა, მაიას თქმით, მისტირის ჭეშმარიტ სიყვარულს, ასტრალში გასულს, ვინაიდან დღეს ის პატივცემილი და

გაუფასურებულია უნიჭო ადამიანების წყალობით, ისინი, ჩემის აზრით, უნიჭოები არიან, რომელთაც სიყვარული არ სძალუძთ, საცოდავები აქაც, იქაც და იმის იქითაც, ვინაიდან მათთვის სიყვარული გართობაა, დროის გაყვანაა, ფიზიკური სიამოვნებაა და ასეთი ეშმას გასახარად ცოცხლობენ... არადა, სიყვარულზე მაღალი გრძნობა არ არსებობს! რა არ დაუბრალეზიათ სიყვარულისთვის, მაგალითად, რამდენს უთქვამს ცალსახად, სიყვარული ტანჯვააო, უბედურების მომტანიო, არც მარადიულიო, მხოლოდ მოვალეობაო, ზედმეტი ხარჯიო, გართობაო, მხოლოდ ინტიმიო, სისულელეო და ასე შემდეგ... მაგრამ ქალბატონ მაიას ყველაფერი მოსწონს, რაც ჭეშმარიტ სიყვარულს ამაგრებს და აქვიტკირებს, მაიასთან სულიერი და ფიზიკური სიყვარული თანხვედრაშია, ერთურთის გარეშე ეს გრძნობა არასრულფასოვანი იქნებაო, ამას მეუბნება ამ პოეტის პოეზია და ვეთანხმები. დიახ, აბოხოქრებულ ოკეანეს უნდა ჰგავდეს ორ ადამიანს შორის დაბადებული სიყვარული, დაე, იყოს წამლეკავი, მაგრამ არა დამლუპველი.

**მოვეკალი გრძნობას თივის ზვინში
და ღილები აწყვეტოდა კაბას,
გულწასულს რომ ამიყვანდი ხელში,
ვერც ვერავინ დაარქმევდა ღალატს...**

მაიას აზრით, კაცს არ ეპატიება ქალის მიმართ გულგრილობა, მითუმეტეს, თუ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, ერთ სარეცელს იყოფენ. უშინაარსო, მექანიკური ურთიერთობა, სულიერების გამოვლინებების გარეშე საყვარელი მამაკაცის მხრიდან ქალს კლავს და ცოცხლად ასამარებს.

**რატომ გიყვარს ეს კაციო,
კაცი მკრთალი ფერისო,
მას არავინ არ უყვარს და
არც ტკივილებს შველისო...**

მაია ხოფერია სასიყვარულო ურთიერთობისას წარმოქმნილ ეჭვებზეც წერს, იმგვარ სიყვარულზეც, თანაც რომ გძულს!

ამოუცნობი შიში და ლტოლვა,
მკლავებზე შენი შეხება მზურძგლავს,
ჩემს ოცნებებში ხშირად ნუ მოხვალ,
სხვები რომ გეტრფის, იმიტომ მძულხარ...

სიყვარულთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო სირთულესა და უცნაურობების შესახებ წერს მაია ხოფერია. აი, მაგალითად:

ეს გზა მიმიყვანს, ვიცი, ტაძრამდე,
უფალთან მივალ ჩემი ცოდვებით,
დედას გაფიცებ, ბოლო წასვლამდე,
ნუ გეტკინება-თუ დაგმორდება!

მაია ხოფერია ქალთა შინაგან სამყაროზე წერს, შეყვარებული ქალების მრავალმხრივ განცდებზე, შიშზე, ნდობაზე, ეჭვებზე, გულწრფელობაზე, თავდადების უნარზე, მაგრამ ამ ყველა ფიქრს ქალებისთვის ხომ მამაკაცები ქმნიან? და მივაგენი მაიას დასკვნებს: - „ყველა ასაკში ქალს ტრფობა შეენის... ქალი სავსეა მოგონებებით, წარსულით თბება, ცრემლსაც ვერ მალავს... კაცს შეუძლია გრძნობები ფანტოს, ქალს შეუძლია მისთვის სიკვდილი...“

რატომაა, თავისით, მოულოდნელად და თამამად მოსულ ნამდვილ სიყვარულს თავიდან რომ ვიშორებთ, ხელს ვკრავთ იმ ადამიანებს, ვისაც მართლა ვუყვარვართ და დრო რომ გადის, ვნანობთ!

მახსოვს წუთი, როგორ გიშორებდი.
ავუკრძალე ჩემს თავს სიხარული,
მივატოვე ლექსი, მწკარიც, რითმაც,
ჩემი წილი მზე და სიყვარული.

ძნელია გიყვარდეს, მას კი არა, იცი, რომ არ უყვარხარ და მაინც ნატრობ. სიყვარული აფრთიანებს და აკეთილშობილებს, ვისაც ეს გრძნობა უკეთესს არ ხდის, ის ამ ნიჭისგან გათავისუფლებულია და ჩვენი მაიკო ხოფერია სიყვარულის ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანია, ასე რომ არ იყოს, ტრფობით, ვნებით აღვისილ მშვენიერ ლექსებს ვერ გვაჩუქებდა.

2023 წ.

პოეზიის ყოჩიპარღები

ზურაბ მამულაშვილი ქართული თანამედროვე პოეზიის ღირსეული წარმომადგენელია და მისი შემოქმედება თემატურადაც მრავალფეროვანია. თქვენ შესაძლებლობა გაქვთ წაიკითხოთ პატრიოტული, მშვენიერების ტრფიალით გაჯერებული ლექსები. პოეტი აგრეთვე საქართველოს კონკრეტული ადგილების სილამაზესაც აღწერს საოცარი ოსტატობით. ამგვარი ლექსებია: „ისევ გვეძახის დიდგორი,“ „ლაგოდეხში,“ „გუდამაყარი,“ „გალიდან ოჩამჩირემდე,“ „ქუთაისო,“ „გორს,“ „დავით გარეჯი,“ „სკრის მზე და მთვარე,“ „პაატა“ ეძღვნება გიორგი სააკაძის ვაჟს, როგორც მამის მიერ სამშობლოსთვის შეწირულს...

ლექსი „ვნატრობ“ არის ერთგვარი დალოცვა საქართველოსი. პოეტი ნატრობს დავითს, თამარს, რომ კიდეც ერთხელ გაბრწყინდეს საქართველო. ნატრობს, რომ ცუდი ამბები აშოროს ღმერთმა მის სამშოლოს. ნატრობს ერთიან, ძლიერ სამშობლოს. სურს მოესწროს დავითის დროინდელს, სურს იხილოს თამარის დროშასავით მართალი და ლამაზი ქვეყანა, რომ ჯვარცმულმა ერმა ამოისუნთქოს, გაძლიერდეს, გამრავლდეს და გაიხაროს.

„ვედრება“ ის ლექსია, სადაც პოეტი აღიარებს, რომ დავით გურამიშვილის დროინდელი საქართველოს მსგავსად, დღესაც ქვეყანა დანაწევრებულ-დაჩეხილი, კედლებშერყეული, გულში ლახვარჩარჭობილი და ჯილაგშერცხვენილია. თავდახრილი, წაჩოქილი, წაბილწული, ქართველი ქალის მანდილი კი ძალადობრივად გადახეული. ღვთისმშობლის ადგილ-მამული განეულ-გამონეული, მიწები გაჩუქებული და ვის ჰქონდა ამის უფლება?! ერი გამათხოვრებულ-გალატაკებული და ჰაერში გამოკიდული.

ჯერ ისევ არსებობს საქართველო და ჩვენ არ შეგვიძლია ღირსეულად თავის დაცვა, საშველი არსაიდანაა, არავის ვენადვლებით და ისევ უფლისკენ იმზირება ბატონი ზურაბი: - „იქნება დროზე გვიშველო, ყოვლისშემძლეო იესო!“

„ერთიანი ერი,“ აქ პოეტი ემიგრანტებს ეხმიანება, იმავდროულად ეთაყვანება მშობლიურ ენას, მშვენიერს, რომელსაც

სხვათაგან რადიკალურად განსხვავებული, გასაოცარი ანბანი გააჩნია და ამითაა ამაყი, პოეტს გულიდან ესმის ქართულის ხმა, რომელიც მოდის დავითიდან, თამარიდან და ქართული ენა ყოველთვის დაცული იყო ავი თვალისგან, ვინაიდან მრავალი ენების გავლენის და ექსპანსიის მიუხედავად ის გადარჩა! მეტიც, განვითარებას განაგრძობს და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ცოცხლდება, იმიტომ, რომ თავად ქართველობაა ცოცხალი და მათი ხმები ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის. ეს ხმები მოდის ფშავიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან, ქართლიდან, აჭარიდან, გურია-იმერეთიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, სვანეთიდან... ანუ დიალექტები და ქართველური ენები აძლიერებენ დედაენას, აცოცხლებენ და ამდიდრებენ.

პოეტს არ სურს, ცრემლებით წეროს იმ ადამიანებზე, რომლებიც უცხო მხარეში სამუშაოდ წავიდნენ. მას ედარდება სხვის მოწყალედ მყოფი ქართველობა. ნატვრა აქვს ერთი, ყველას მიეცეს შესაძლებლობა, დაბრუნდეს და მშობლიურ მიწაზე ღირსეულად განაგრძოს ცხოვრება.

ლექსში „აქაც და იქაც“ პოეტი უფლის მადლობელია იმისთვის, რომ ამ ქვეყანაზე გაჩნდა, თუმცა ზოგჯერ კაცის სულშიც განვიმდება და სევდის გუბები ძნელად იწყებს დაშრობას, თუმცა, ბოლოსდაბოლოს შრებიან და ეს უფლის ნებით ხდება, რომ დარდმა და ნალველმა არ წაიღოს, არ წაღეკოს ადამიანის გული, სევდიანსაც რომ გიხარია, როცა აცნობიერებ, შეჭირვებული რომ ხარ, მაგრამ სიკვდილამდეც რომ შორია, როცა იცი, საშველი არის და გამოსავალი განსაცდელიდან წვალებით, მაგრამ უვნებლად გამოსვლისა.

ხშირად ცხოვრებას ფერები აკლდება და ეს ადამიანების ბრალია, იმ პირებისა, რომლებიც გტანჯავენ და პოეტს უხარია, რამე თუ იცის, უფალია ყოველი ქალის და კაცის პატრონი, აქაც და იქაც.

ბატონ ზურაბს აქვს ისეთი ლექსებიც, რომლებსაც თუ დაისწავლით, ქართულ სუფრასთან სადღეგრძელოს თქმისას თავს

მოინონებთ. საოცრად მსუბუქი ლექსებიც აქვს, სადაც ის ისე ამბობს სათქმელს, რომ ვერაფერს იტყვი, ვერც დაწერ, ამ პოეტის კალამს შეუძლია გათქმევენოს, რომ ცხოვრება მშვენიერია, მასთან სევდაც კი მხიარულდება, რაც არ უნდა მწარე იყოს, რაც არ უნდა მძიმე იყოს, რომ ადამიანს ღმერთის მსგავსად სძალუძს შეჭირვებიდან გამოსავლის პოვნა, საკუთარისაც და სხვისი პრობლემების დადებითად გადაჭრა. ასეთი ლექსებია, - „გაუმარჯოს სიყვარულს,“ „ჩემი დრო თითქმის წავიდა“.

ის თავისი პოეზიით გვახსენებს გიორგი ლეონიძეს, ვაჟა ფშაველას, იოსებ ნონეშვილს. არ დავიწყებია დიდი მსახიობები - სოფიკო ქიაურელი, სახალხო არტისტი გრიგოლ ქსოვრელი. ესიყვარულება პოეტ შოთა ტოგონიძეს, არ ავიწყდება მეცნიერი რამაზ პატარიძე, პოეტი გურამ ჭავჭავანიძე, აღფრთოვანებულია გიტარისტ თემურ ყვითელაშვილით. ასაკით უმცროს პოეტ ლელა თოთაძეს მორცხვ და ნაზ ყვავილს ადარებს, რომელსაც გაშლილ კოკორზე პეპელა აზის.

ვორონცოველი პოეტი ამაყია, უბანში ბევრი მისნაირი რომ ცხოვრობს და გულისხმობს პოეტებს.

განსაკუთრებულად გამოვარჩევ ლექსს „მგელი“ და აი, რატომ! როცა ვინმეს მგელს ადარებენ, ესე იგი ის ადამიანი უნდა იყოს ცუდი, შეურაცმყოფელი შედარებაა, მგელი საშიშია, მაგრამ მგელია და რა ქნას!

კაც მგლებს შეუძლიათ იყვნენ კარგები, ვინაიდან უფლის მიერ მონიჭებული თავისუფლება აქვს ადამიანს და ალბათ, ამიტომაც შეუძლია კაცს იყოს ღირსეული, არა მტაცებელი, არამედ ავკარგიანი, არა მშიერი და გონწართმეული, არამედ შემწყნარებელი:

**მგელი თუ არ ხარ
ვერ შეიცნობ მხეცების ვარამს;
მგელი თუ არ ხარ,
ვერ იქნები სხვაზე ძლიერი,
მგელი თუ არ ხარ,**

**თავს გაუვა ნახირს და ფარას;
თავად გახდები დასაგლეჯი
ვილაც მშიერის...**

მგელი, პოეტის აზრით, არის სიმართლის მაძიებელი და თუ არ ხარ სიმართლის და მართალის მცველი, მაშინ თავად აღმოჩნდები ვნებულის როლში.

ზოგის ბუნება ისეთია, მგელი თუ არ დაინახა შენში, სუსტად აღგიქვამს და არაფრის ღირსად არ ჩათვლის და ამიტომაც გახდები ყველასგან მიტოვებული.

ძნელია, ადამიანობა თუ შენში არ ზის. კეთილშობილი მგელი,- ეს გჭირდება, უნდა შეძლო, რომ ყველამ არ მიგატოვოს სისუსტის გამო, რომ შენი სიმართლით გაიტანო ცხოვრების ლელო, იყო მდიდარი სულითაც, მატერიალურადაც და მეგობრებითაც.

თავმდაბლობა კარგია, მაგრამ ყველას სწორად არ ესმის ამ ღირსების არსი, აზრიც, ასეთები კი იმგვარი ბრიყვები არიან, რომ შეეცდებიან ისარგებლონ შენი თავმდაბლობით შენსავე საზიანოდ.

კეთილშობილ ადამიანს მგლებს სიცოცხლე უყვართ და ისეთი ძლიერი დაცემის დროსაც კი, როცა იმსხვრევი და ველარდგები, მაინც არ ფიქრობენ სიკვდილზე და დგებიან კიდეც და რას ამბობს პოეტი: - „ამას რომ ვნერდი,

**არ გეგონოთ ვიყავი მთვრალი
და თუ ხარ მგელი,
აღარ უნდა მოიკლა თავი.**

სითბოთი და სიყვარულით წერს დედაზე და ამბობს, რომ უდებობა არასდროს უგრძნია, რომ დედა გარდაცვალების შემდეგაც არ ტოვებს შვილს და ვაჟიც ცდილობს, დაამშვიდოს დედის სული, - ვინც ცოცხლები ვართ ყველანი კარგად ვართ სოფლადაც და ქალაქადაც.

ლექსში „გთხოვ გვაპატიო“, ბატონი ზურაბი მიმართავს იესოს და ლექსად ჰყვება ყველასათვის ცნობილ ამბავს, იესოს

შეპყრობას იუდას მეშვეობით, მის წამებას და აღსასრულს. აგრეთვე აკეთებს დასკვნებს თუ რად მოექცნენ ასე მესიას. მათ იცოდნენ ვინც იყო, შეეშინდათ და გასასტიკდნენ. სულგაყიდულს და უსუსურს უწოდებს პილატეს, რომელმაც იესოს ცოცხლად ხის ჯვარზე გაკვრის ბრძანება გასცა.

„მე ცოდვილი ვარ“... ამბობს პოეტი და ყოველი ჩვენგანი ცოდვილია, მხოლოდ ის იყო უცოდველი, ოღონდ ვალი ჰქონდა მამის წინაშე გადასახდელი და ეწამა კიდეც ცოდვილთათვის.

იესოს ველარ იტანდნენ და ისე აწამეს, ჰეროდესაც მოსწონებია. ადამიანები, ვინც ახლა და მომავალშიც დაიბადებიან, ვერასდროს გადაიხდიან იესოს ამავს, რაც მან გაიღო, ამაზე დიდი მსხვერპლი არ არსებობს სამყაროში.

ზურაბ მამულაშვილი სილამაზის, მშვენიერების და უბრალოების მოტრფიალე კაცია, ეს ჩანს ყველა მის ლექსში. მას ძალუძს ქალს მამაკაცის თვალთ კი არა, ისე შეხედოს ქალს, როგორც ხელოვნების ნიმუშს. უღრმესი პატივისცემით წერს ქალბატონებზე, უმანკო ანგელოზისებრ გოგონებზე, თუმცა იუმორსაც იგრძნობთ ზოგ ლექსში. მაგალითად, „ქალი მინდოდა მეთხოვა“ ამგვარი შინაარსისაა, კაცს, რომელსაც სურს ყავდეს პაპიროსმოუნეველი, უშარვლო, შეუღებავი და არც ისე შეუხედავი, კარგი კულინარი, მორჩილი მეუღლე, უცაბედად გამოაფხიზლებს მეზობელი ბებია, რომელიც ეტყვის; - „მასეთ ქალს ძნელად იშოვი,

რა ცუდი ბედი გრგება,

მასეთი შვილო მე ვარო...

-მითხრა მეზობლის ბებია“.

„წერილი სატრფოს“, ძნელია, როცა ქალი გიყვარს და ის სხვას ეკუთვნის. როცა ეს ქალი შენთვის არის რწმენა, ფიცი, გულის ფეთქვის მიზეზი. პოეტი არ იცნობს იმ იღბლიანს, ვისაც ეს ქალი ეკუთვნის და იძულებულია პლატონურ სიყვარულს დასჯერდეს:

**თუ მასაც ჩემებრ უყვარხარ,
მისთვის ხარ შენ შეუცვლელი,
ღმერთმა სულ კარგად გამყოფოთ და
ჩემს თავს როგორმე ვუშველი.**

სატრფილო ლექსებია „გვირილები“, „მიყვარხარ და მეყვარები“, „შენი ტუჩები“, „შენი თვალები“.

ქალის ტუჩებს პოეტი ადარებს ატმის დამსკდარ კვირტს, უამრავ მეტაფორას ნააწყდებით ბატონი ზურაბის პოეზიაში და მიხვდებით, როგორი გულწრფელი და სუფთა ვნებები აქვს ამ ადამიანს.

და როგორია ჩვენი ძვირფასი ზურაბ მამულაშვილი? - კაცი, რომელმაც სიცოცხლე თავიდან იპოვა, სიკვდილი სადღაც გაუშვა, სილამაზეც დაიტოვა, სიმახინჯე გაუშვა, სიხარულიც დაიჭირა, დარდიც სხვაგან გადაკარგა. პიროვნება, რომელიც სხვებს ხელს უმართავს და სამაგიეროს არ ითხოვს. პატრიოტია და აკეთებს იმას, რისი კეთებაც მამაზეციერმა მიჰმადლა და ამ მადლს ის არასდროს დაკარგავს, მუშების რჩეულმა ზურაბმა იცის, რომ ულექსოდ თვით სიკვდილსაც არ ჩაბარდება, და როცა დრო მოუვა, ალბათ ისიც პოეტი უნდა იყოს იმ წამს და წუთს, რომ მიენდოს და გაჰყვეს.

ზურაბ მამულაშვილის დანახული საქართველო მკვდრეთით აღმსდგარ ლაზარეს ჰგავს, მკვდარივითაა საქართველო, თითქოს მკვდრის სუნიც დასდებია, მაგრამ ლაზარე რის ლაზარეა, თუ არ გაცოცხლდა. საქართველო არამც თუ გაცოცხლდება, გაბრწყინდება კიდევ. აი, დღესაც, როცა სამშობლო ქართველის მიერ მოვლილი არაა, მას მაინც უფალი მფარველობს, ამიტომაც ჰგავს ლამაზ ბაღს. საქართველო ნინოს ვაზის ჯვარია, იესოს კვართის ნაწილია და ამიტომაც არასდროს ბოლომდე არ გაინირება ჩვენი ქვეყანა.

უფალმა დაგლოცოთ ბატონო ზურაბ და მისგან მოგზავნილმა მუშებმა პოეზიის გზა ყოჩივარდებით მოგიკაზმონ.

2017 წლის 9 ივნისი

ავღარი გეგია ჩემი...

სოფიო ღლონტი ახალგაზრდა პოეტი. მისი თითქმის ყველა ლექსი უსათაუროა და ეს მომწონს, როგორც მკითხველს, ვინაიდან ჩემს გულში თავად დაეასათაურებ ხოლმე მის ლექსებს.

სოფიოს პოეზია სიყვარულით, სევდით და მარტოობის შეგრძნებითაა გაჯერებული, სული აქვს დამძიმებული იმედგაცრუებით, რაც იწვევს სიცარიელის შეგრძნებას.

ერთხელ სოფომ საუბრისას მითხრა, რომ ბაბუა ნოე ბარბაქაძე ენატრება. პოეტმა ორი ლექსი მიუძღვნა მას. ის ცნობილი ლოტბარი იყო, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი, საუკეთესო პედაგოგიც, ჰოდა ერთხელაც სოფიოს გულიდან შეეხმინა ბაბუა ნაცნობი სიმღერით. საუკეთესო ტენორი იყო, განსხვავებული, ახლობელი, თბილი გალობა და იმ დღეს სოფიოს გულში ბაბუას ვარსკვლავი სამუდამოდ აენთო:

**გაცოცხლდა ჩემს სულში მიმქრალი ვარსკვლავი,
შევიგრძენ სიყრმიდან სურნელი მდელითა,
აენთო სანთელი, დიდი ხნის ჩამწვარი,
მიეხვდი, რომ დღეს ჩემთვის ბაბუა მღეროდა.**

გვინდა თუ არ გვინდა ასეა, ვგრძნობთ თუ ვერა ვგრძნობთ, ჩვენ ჩვენი პაპა- ბებიების, იმათი და კიდევ წინა თაობების ჯიშსა და გენს ვაგრძელებთ, ვუკვდავჰყოფთ მათ გენებს. მოსიყვარულე გული ერთ ვინმესთან შეხვედრას ნატრობს. ერთს ელოდება პოეტი ჯიუტად, მაგრამ ლოდინში წლები გარბიან, ის უიმისოდ სერავს ქალაქის ნაცნობ ქუჩებს და მხოლოდ მთვარეს ესმის პოეტი გოგონასი, ვინაიდან ისიც შეყვარებულს ჰგავს, თითქოს ამ კონკრეტული ღამის მთვარე კოცნის სურვილითაა შეპყრობილი. ამ კონკრეტული ღამის მთვარე მოპარულ ამბოროს დაეძებს.

ციცქნა ეტიუდებში პოეტი ადამიანებად აღიქვამს ბუნებრივ მოვლენებს. წვიმა მისთვის იგივეა, რაც დასევდიანებული ცის ტირილი, რომელიც ჟუჟუნა ცრემლებს აფრქევს დედამიწას.

ზამთარიც სევდაა, ბუნება გარდაცვლილივითაა, მაგრამ გა-
შიშვლებულ, ბებერ ატმის ხესთან ატუზულა ჩუმად შემოპარუ-
ლი გაზაფხული, რომ მკვდრეთით აღადგინოს ბუნება.

უსიყვარულოდ არ ძალუძს ლექსების შექმნა, ეძახის
მუზადქცეულ სატრფოს, რათა მან ჩაჰკიდოს ხელი შეყვარებულ
პოეტს და ამ სამყაროში ახალი პლანეტა შექმნან, თავისი მზით,
მთვარიტა და ვარსკვლავებით, რომ სატრფომ გადაარჩინოს
შეყვარებული პოეტი ყინვა-ავდრისა და გრიგალებისგან, მაგრამ
პოეტი ფიქრობს, რომ ჯერ შორსაა საყვარულისგან, მაგრამ მის-
კენ მიიჩქარის, რომ დაინახოს სატრფოს ღიმილი, ყველგან გან-
ფენილი, რომ ჩარჩნენ მუდმივად გაზაფხულსა და სიხარულში,
ბედნიერებაში, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა. გოგონა მარტოო-
ბის გალიაშია ჩაკეტილი, თითქოს ბედმა მიატოვა, ან იქნებ ბო-
შა ქალმა მოსტაცა ბედნიერება, იმედი ნაილო მისგან და გაიქცა,
გაეცალა... ან იქნებ მარტოობაა ის მუზა, რომელსაც პოეზიაში
შეჰყავს გოგონა, მაგრამ რეალობაში ის, როგორც მდებარი მი-
ილტვის სატრფოსკენ თუნდაც ერთი ღამით...

**შენი მოფერება მინდა,
შენთან ვნებიანი ღამე,
სუსხით გათოშილი ტანით
მოდი, გავიპაროთ სადმე...
ღამე გავათენოთ ერთად,
მერე... დამტოვე და წადი...**

პოეტის სურვილია ისწავლოს დავიწყება, ვინაიდან, ბოლოს-
დაბოლოს, მონატრებაც იფერფლება. ის დავიწყებს და მასაც
სურს დავიწყოს სიყვარული, ადამიანი, რომლისკენაც მიილტ-
ვოდა, რომ წაშალოს მეხსიერებაში იმ კაცის კვალი, დავიწყოს
ჩვევად გადაქცეული იმისი სახელის ხსენება და დაფიცება, მაგ-
რამ რა მოუხერხოს შიშს მარტოხელობისას...

**დამივიწყე, მეც მასწავლე დავიწყება,
მსურს წავშალო ცხოვრებიდან შენი კვალი,
შენს სახელზე აღარ მსურდეს დაფიცება,
არ მენოდოს მარტოხელა გიჟი ქალი...**

პოეტი ფიქრობს, რომ საბოლოოდ მარტო დარჩება ლექსების ანაბარა და, რომ ისინი არასდროს გაეცევიან. არ მგონია პოეტის ფიქრი გამართლდეს, ის არ დარჩება მარტო და აუცილებლად იპოვის მეორე ნახევარს.

2018 წლის 4 თებერვალი

შეპერწყმები ჩამთვის რაღაც ახალს...

გიორგი აღნიაშვილს საზოგადოება იცნობს, როგორც პრო-ზაიკოსს, მაგრამ ბატონ გიორგისთან პოეზიის მუშებზე მეგობრობენ. ამ მწერლის პოეზია იმითაა საინტერესო, რომ ლექსებს დაჰკრავს სევდა, ტკივილი, დარდი იმაზე, თუ როგორ არ გაუმართლა დროში. მის პოეზიაში ყურადღება გამახვილებულია მე-20 საუკუნის 90-იან წლებზე, როცა ქვეყანა ჩამორჩა დროს, განვითარებას, როცა საქართველოში თავს ვერვინ გრძნობდა მშვიდად და როგორი ძნელი იყო იმ პერიოდში თინეიჯერთა ყოფა. ფაქტიურად სიბნელეში ცხოვრობდნენ და არანაირი გასაქანი არ ჰქონდათ ახალგაზრდებს.

უშუქო, უგაზო, აბურდულ-დაბურდული ქვეყნიდან ვინც ვერ გააღწია, ვინც ვერ გაიქცა ან არ ისურვა წასვლა, საკუთარი ადგილის პოვნა უმრავლესობამ თითქმის ვერ მოახერხა. იმატა დანაშაულმა, ქურდობამ, ყაჩაღობამ, ბანდიტურმა თავდასხმებმა, მკვლელობებმა... და მიუხედავად ამისა, ვიღაც-ვიღაცები მაინც ჩანდნენ საზოგადოებაში, ასე ვთქვათ, მოდში იყვნენ, თუმც მათგან უმეტესობა უნიჭო იყო, ან ნიჭიერი და უგემოვნო, ან ორივე ერთად. არ ვიცი, ვინ ეხმარებოდა ასეთებს, ან როგორ გახადეს ისინი საზოგადოებისთვის ცნობადები. აი, ამგვარი იყო ოთხმოცდაათიანებში პროდუქტიულ ადამიანთა ხვედრი. იძულებითი უმოქმედობა, რამაც თაობა, მათ შორის ბატონი გიორგიც, მეც საქართველოს უახლეს ისტორიაში მოვიხსენიებით, როგორც დაკარგული, მკვდარი თაობა და რარიგ ძლიერი უნდა იყო ადამიანი, რომ ახლა, 21-ე საუკუნის დასაწყისში, როცა აღარც გვევლიან ახალგაზრდებად და სიბერესაც კი გვაბრალევენ, იპოვო საკუთარი ადგილი და ღირსეულად წარმოჩინდე საზოგადოების წინაშე, თანაც თავი მოაწონო ახალ თაობებს, რომლებიც ჩვენგან მკვეთრად განსხვავდებიან. შეცვლილი აქვთ შეხედულებები, სხვაგვარად ხედავენ და აზროვნებენ, ვიდრე ჩვენ, 90-ანელები, სასტიკად მძიმე, არასახარბიელო ვითარება გამო-

ვიარეთ და გვინდა თუ არ გვინდა დავზიანდით, ტრავმირებული თაობა ვართ.

გაჭირვებამ, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლამ, ჩვენს თვალწინ განხორციელებულმა ქართული მინის საუკეთესო ნაწილების რუსეთის მხრიდან წართმევამ გაგვამწარა და სული გვატკინა. 90-ელის ხედვებია წინ წამოწეული ბატონი გიორგის პოეზიაში, თაობისა, რომელთა უმრავლესობა დღევანდელ საქართველოში დაწუნებული და „ჩარეცხილია“, მიუხედავად მაღალი ინტელექტისა, შრომისუნარიანობისა და აი, რას ამბობს პოეტი:

იქნებ დაგჭირდეთ? ჩემში ვებრძვი განგების ნებას.

იქნებ დაგჭირდეთ, ნუ ჩაგვრეცხავთ, ნუ გვაყრით მიწას,

ჩვენი თაობა მკვდრად შობილად რატომ შერაცხეთ?

„სიბერის დამლით“ დაგვშანთეთ და მასად შეგვრაცხეთ,

ემიგრანტებად მოგვავლინეთ მშობლიურ მიწას.

რა არის ბატონი გიორგის დიდი ტკივილის მიზეზი? - ის, რომ არაერთგზის გაუწირავს სამშობლო თითო ოროლა მოღალატეს, მაგრამ როცა სახელმწიფოს სათავეში მყოფნი, ხელისუფალნი ჰყდიან ქვეყანას და დაუნანებლად ჯიჯგნიან იმას, რაც დარჩა, ეს უკვე დიდი ბოროტებაა. შენ, ქართველი, საკუთარი ერის წაშლას ხელს რომ უწყობ, სწორედ ეს არის სატანას მორჩილება და სხვა არაფერი.

...ერთად გაყიდეთ საკუთარი ერის ღირსება,

ურცხვად მოპარეთ ტატოს მერანს ოქროს ნალები.

დრონი მეფობენ, ალბათ დღესაც სატანა მეფობს,

დრონი მეფობენ, სატანასაც ელის ბორკილი.

მიუხედავად უამრავი ეროვნული ნაკლისა, ბატონი გიორგი უპირველესად აღმერთებს თანამოძმეთ ამის შემდგომ უყვარს სხვანი, ისინი, ვისიც რა გვმართებს. ტკივილი უმძიმებს გულს, რომ ქართველთაგან იცლება სამშობლო, ქართველები გარბიან საქართველოდან საქართველოში და იმის იქითაც, რომ ფიზიკურად გადარჩნენ. არსებობს ძალა, რომელსაც სურს ღვთისაგან ქართველთა არიდება.

უცხოელები საკუთარ მიწა-წყალს გვეცილებიან. პოეტი ნატრულობს, ქართველმა შეიყვაროს ქართველი.

ღმერთო შეაყვარე ქართველს ქართველი,

ქართულად მღეროდეს მგოსანი ქართველი.

ქართულ ისტორიას სწავლობდეს ქართველი.

ქართველ ქალს შვენოდეს დედობის მანდილი.

შვილთა ქართველობა- მამების ნადილი.

უპირველესად ვაღმერთებ ქართველს,

რუკა გაშალე, ვინმესი რაიმე გვმართებს?!

ნათქვამია, ცალმხრივი და სანახევრო არაფერი ვარგაო, ვინაიდან, სანახევრო ყველაფერი ფარსია. არც სანახევრო სიყვარულია სარწმუნო, სანახევრო ლუკმაც თარსია და არც სანახევრო ღმერთ-კაცს დაეჯერება.

არ შეიძლება სანახევროდ რაიმეს კეთება, ამგვარად ნაკეთები საქმე გასაქრობადაა განწირული.

პოეტის აზრით, ადამიანები უნდა იყვნენ გულმართალნი, რომ შეინარჩუნონ ქვეყანა, ეროვნული იდენტობა. მხოლოდ გულმართელ ადამიანებს სძალუძთ გულიანად ცხოვრება, ერთობა, მეგობრობა, თავდადება, საქმის კარგად და ხარისხიანად კეთება, დოვლათის შექმნა, მიწა-წყლის დაცვა და რწმენა, უფლის სიყვარული. ამგვარი ხალხით უნდა იყოს სავსე დედამიწა, რომ არ დარჩეს ამ დუნიანზე სანახევროს ადგილი.

ერთად ყოფნა,

ერის დაცვა,

ქვეყნის დაცვა,

გამარჯვების ლხინიც ბარაქიანი.

შეჰყურებს პოეტი სამყაროს, უხეშს, ზოგჯერ საამურს. ცხოვრებას, ხან აზრიანს, ხანაც უაზროს, აბსურდულს. ბრძენკაცთა სიბრძნე მოაკლდა ალბათ სამყაროს, იმგვარად აირ-დაირია გმირთა სავანე, რომ ფარისევლები უტიფრად ბოგინობენ, მედროვეები ერთს რომ ამბობენ და მეორეს აკეთებენ, ისე

მოქმედებენ, ადამიანს გულს გაუტეხენ და ათქმევინებენ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

საოცარია, ქვეყნად სიყვარულს მეძავის სიტყვით ვადიდებთ ახლა,

**პირფვარს ვინერთ და გულში კი ვმრუშობთ,
და თვინიერად, დრტვინვის გარეშე,
გულზე დავიჭდეთ ცოდვილის დამლა.**

ადამიანები დემონს ემსახურებიან ისე, რომ არ იციან და თავი მართალნი ჰგონიანთ. სად უნდა ეძებოს ადამიანმა ღმერთი, როცა იგი საკუთარ სულშივე განერიდა მას:

**საოცარია, ვეძებოთ ღმერთი,
ჩვენ ხომ უარვყავით სინმინდე ხატთა?**

საოცარია, საოცარია, ღვთის წმინდა სიტყვას პირუკუ ვსახავთ,

გაგიკვირდება?! გაგიკვირდება?! სიცილით კვდება დემონი ალბათ.

პოეტს ეიმედება ის, რომ უფლის წყალობით დღემდე ფეთქავს საქართველოს გული, ვინაიდან, დიდ ქართველებს აღარ უკვირთ მტერთა სიმრავლე და მოუწოდებს ერს:

**ერთად, ქართველებო! მტერი რომ ძრწოდეს,
ვიღაცას უთქვამს მიწა დავკარგეთო,
შავშეთ-ურუშეთი,
სამაჩაბლო და ლორე,
კოპნია ჭერეთი,
ლაზიკა, აფხაზეთი,
გამკვირვებია, გამკვირვებია!
რაც ჩვენი ნებით არ დაგვითმია,
ის დაკარგულად რად ჩაგვითვლია?!**

იმედი აქვს ქართველების და ღმერთის, რომ საკუთარ მიწა-წყალს დავიბრუნებთ.

ბატონი გიორგი ამბობს, რომ პოეტობას ვერ დაიბრალებს, მაგრამ თუ ლექსად რამეს წერს, არც არავის ბაძავს.

ტკივა ადამიანს ის ფაქტი, რომ ქართული ლექსი და სიმღერა გარიყულია. ქართველები ამ ბოლო დროს რატომღაც უცხოური მელოდიებითა და ენებით აგუგუნებენ კონცერტებს:

**ქართულად იმღერეთ,
ნუ ეთაყვანებით სხვას,
ამბობენ, ედემში
ქართულად გალობენო,
იცოდე!
იცოდე!
და, ნუ დაუჩოქებ სხვას!**

ვეთანხმები ავტორს, რაც არ უნდა პატარა სამშობლო გქონდეს, რაც არ უნდა სუსტი იყოს, არ უნდა ნაიჩოქო და არვის მისცე უფლება გებატონოს, არც ჩამოთესილიმა და კომპაქტურად დასახლებულმა უცხოტომელმა უნდა გაგიბედოს საკუთარი მიწა-წყლიდან აყრა, სამშობლოშივე ლტოლვილად გადაქცევა და მეგრძოლი ერი, ადრე თუ გვიან იმარჯვებს.

ბატონი გიორგი მშვენივრად ახერხებს ლექსად თქვას და გამოხატოს ნანახ-განცდილი. ლექსში „ნისლით დაფარე“- რაჭის მთების სილამაზეზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებსაც დინჯი ნისლები ეფარებიან, აქ ანცი სიო ციფწყალასკენ მიილტვის და მის წინ ნავარდობს. გული ტკივა, ეს უმშვენიერესი მხარე მცირედ დასახლებული რომაა, იმგვარად ცარიელია რაჭა, რომ ნიკორწმინდის ხატები სანთლების ამნთებსაც კი ელიან და პოეტი ნისლებს შესთხოვს კარგად დაფარონ რაჭის სილამაზე, მშვენიერება, გადაეფარონ იმ ღვთიურ სილამაზეს, სამყაროს, რომელიც სარკმლის იქით მოსჩანს, ხან უხეში, ხან საამური, მოლაცხებით სავსე, აბსურდული და სადაც მუდმივად რეკენ გლოვის ზარები, ვინაიდან დედამიწას სევდა კლავს. ძნელი ასატანია, როცა სიყვარულს მეძავეობა ანაცვლებს, როცა პირჯვარს იწერ და მრუშობას თავს მაინც ვერ აღწევ, ამგვარ სამყაროში ცხოვრება კი არა, სუნთქვაც კი საშიშია, სადაც კეთილ სიტყვასაც პირუკუ იგებენ და ჩასაფრებული სატანაც გაკვირდება.

მეომრებს ლოცავს პოეტი, ვინაიდან, თავადაც მებრძოლი სული აქვს, კალმოსანიცაა და საშინლად ბრაზობს, როცა ამბობენ მინები დაკარგა ქვეყანამო. უფალს სთხოვს შეწევნას, ძალის გადმოცემას, რომ დავიბრუნოთ წართმეული, ის, რაც ნებით არ დაგვითმია.

გულისტკივილით ეხება იმ ქართველთა ქმედებებს, რომელთაც არც განათლება აკლიათ, არც ქონება, არც ჭკუა-გონება, მაგრამ არ გააჩნიათ სამშობლოს შეგრძნება, რის გამოც თავს ამაღლიან საქართველოს. რა კაცია ის, ვინც თავის ცოდნას, ჭკუა-გონებას ხარჯავს მხოლოდ იმიტომ, რომ თავად იყოს კარგად, არ ედარდება თავისიანები და აკეთებს ისეთ რამეებს, რაც საქართველოს ვნებს, აზიანებს და თავად ხდება ვილაც გადამთიელის ხელის ბიჭი, რის გამოც საქართველოს ჭირისუფალნი სხვანი ხდებიან:

ნუ ამაღლი საქართველოს შენს თავს,
თუკი მადლი დარჩენილა შენში,
თუკი ცოდნა გიკრეფია, ძმაო,
მოახმარე შენი ერის წადილს.
ნუ ამაღლი საკუთარ ხალხს შენს თავს,
ნუ იქნები უმადური კაცი,
საქმე შენი ქვეყანას ნუ ძარცვავს.

ბატონი გიორგი პროზაიკოსია და სულით პოეტიც ანუ ქართველი, კარგია, რომ ჩვენ, მთელი ერი პოეზიის ენით ვსაუბრობთ, როცა გვიყვარს, როცა რამე გვტკივა, გვიხარია, ჩვენი გულები მუშებს იზიდავენ.

ბატონი გიორგი გულალაღი ადამიანია და სხვათა მიერ შექმნილ ლექსებთან ზიარება ახარებს, თითოეულ შემოქმედს ლოცავს. შური მის გულს არ ეკარება და თავადაც ლექსის შემქმნელს, თავი პოეტად არ მიაჩნია:

ლექსით ცხოვრობ,
ლექსით მღერი,
ლექსად ამბობ,
ღვინოც ქვევრში სიყვარულით ღვინდება,

პირმცინარე ფიალაში ილარებს და... შესვამ ტრფობით?
 ისიც ტურზე გადნება,
 პოეზიის მადლომისილი ქნარი თურმე,
 მგოსნებისთვის სიხარულით ამღერდება,
 კურთხეულნო, ლექსად გითხარ, რაც მებადა,
 თქვენი სიტყვით, თქვენი ლექსით,
 თქვენი ბობოქარი სულით, გლოცავთ გულით,
 მიხარია თქვენი ლექსის დაბადება.

ფაქიზად ეხება ემიგრაციის თემასაც. შეგნებული აქვს,-სამშობლოდან კაცი გაჭირვებას მიჰყავს, რომელმაც არა მხოლოდ საკუთარი, თავისი ოჯახის, ახლობლების ფიზიკურად არსებობისთვის უნდა იშრომოს და აქ არაფერია შესაშური, ვინაიდან სამშობლოდან შორს მყოფი მშრომელი ადამიანი ჰგავს უფესვე-ბო მუხას, ამიტომაც უნდა დაბრუნდნენ საქართველოში.

ნუ გგონია, თუ დავტოვე სამშობლო,
 დამავიწყდა ჩემი მიწის მადლი,
 მენატრება მობიბინე მთა-ველი,
 მენატრება მიწა, ერთი ადლი,
 ნუ შეჰნატრი, მეგობარო, ჩემს ყოფას,
 შემომხედე, უფესვებო მუხა ვარ
 და სურნელით გადამჭკნარი თაიგულის ეშხი.

დღეს საქართველო ბრძოლის ველზეა და ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, ვისაც რა და როგორც შეგვიძლია. არ გვჭირდება უცხოთაგან ნაბოძები საუნჯე. არ უნდა გვეუბნოდეს, რომ უცხოელი ლუკმას უანგაროდ გამოგვიწოდებს. არ უნდა ვერთობოდეთ ერთურთის ჯიჯგნით, გვერდიგვერდ დგომით უნდა დავიბრუნოთ ყოველივე, ის, რაც ჩვენია!!!

იყო დრო, როცა ქართველებს იტაცებდნენ და მონების ბაზარში ჰყიდნენ. ბატონი გიორგი შეეცადა მონად გაყიდული ქართველი ქალის მტანჯველ ფიქრებსა და აზრებს ჩასწვდომოდა. ქართველ ქალს, რომელსაც ნივთივით და საქონელივით ჰყიდნენ. ნატრობს, მიეცეს იმისი ძალა, რომ დარჩეს ქართველად,

სადაც არ უნდა წაიყვანოს ბედისწერამ. არაფერზე ოცნებობს, ნურაფერს ეღირსება ამ ცხოვრებაში, ნურც ვინმესგან ცრემლს სიკვდილის შემდგომ, ოღონდ, უცხოტომელისგან შვილის დედობას თავი აარიდოს.

**ამყარე დედობის მადლი,
სხვა სჯულის თესლს ვერ ვახარებ,
არ მსურს ვახარო მტრის ჯიში,
არ მსურს მტრის შვილთა დედობა,
უფალო! შეგთხოვ, ნუ მაქცევ
მტრის ჯიშის მაზიარებლად.**

ბატონ გიორგის სიკვდილზეც უფიქრია, თითქოს ანდერძს უტოვებს მეუღლეს, ვინაიდან ის დარწმუნებულია, რომ წასვლით დიდ ტკივილს მიაყენებს საყვარელ ქალს და ეუბნება, - როცა წავალ, არ იტირო კარგო, ნუ ჩაიცვამ შავებს, არ აქვს აზრი გლოვას, ვინაიდან ყველას სული საბოლოოდ ზეცისკენ მიდის, მთავარია, კარგ დედად და ბებოდ დარჩე. მე კიდეც, იქაც მოვძებნი საქმეს, ვიდარდებ თქვენზე და უსასრულოდ დაგელოდები. სჯერა, რომ მხოლოდ დედამიწაზე, ადამიანად ყოფნის ჟამს კი არა, უსხეულოდაც შესაძლებელია კელაპტრები დაუნთო ძვირფას ადამიანებს.

სიკვდილიც რაღაცას ნიშნავს, ახალ მდგომარეობაშიც გადასვლაც საჭიროა სულისთვის, ეს ხომ ციხიდან გამოსვლასავითაა, ეს ხომ თავისუფლებაა ერთგვარი, სიცოცხლე, უსასრულობა ჭურჭლის გარეშე და შერწყმა რაღაც ახალთან.

2019 წლის 13 ნოემბერი

მე შენ მიყვარხარ!..

ქალბატონი ნაირა მარშანია აფხაზეთის ომის ვეტერანია, პროფესიით იურისტ-სამართალმცოდნე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი. ადამიანებთან ურთიერთობისას- უბრალო და გულწრფელი. ის საზოგადო მოღვაწეა და რა უნდა ვთქვა მასზე იმაზე მეტი, რაც თქმულა და დანერვილა?! ბატონმა ზაალ ბოტკოველმა ბელურასაც კი შეადარა: - „ჰო, ჰო, ბელურას მაგონებს, იმ ბელურას, ვერარა ძალა-რომ ვერ მოსწყვეტს მშობლიურ სანახებს, ვერც ზამთრის გულისგამყინავი სუსხი და ვერც ზაფხულის პაპანაქება.“

ქალბატონი ნაირა მრავალი თანამემამულის მსგავსად მოსწყვიტეს მშობლიურ კუთხეს, რომელიც მისთვის ციხე-სიმაგრეც იყო. წაართვეს აფხაზეთის ზღვის სანაპირო, მოალერსე მზე, სალამოობით სანახევროდ ზღვაში რომაა ჩაჩეხილი, ღამით კი მის ადგილს მთვარე იკავებს და განსაკუთრებულად ლამაზია, როცა სავსეა. გათენდება და კვლავ ამობრწყინდება მზე. მერე ზღვიდან წამოსული ნიავი სიცოცხლის უზადო სიყვარულს გაიძულებს და უფლებას არ გაძლევს თავი უბედურად იგრძნო. ეჰ, დასანანია, რომ ეს ქალბატონი ოჯახთან ერთად იძულებული გახდა აფხაზეთი დაეტოვებინა და საქართველოს დედაქალაქში დამკვიდრებულიყო. მის გონებას დანგრეული აფხაზეთის დავიწყება სურს და მხოლოდ ომამდე არსებული სილამაზე, აფხაზთა, ქართველთა, სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად ჰარმონიული, მეგობრული თანაცხოვრების ეპიზოდები ახსენდება, დაუბომბავი აფხაზეთის სილამაზე და სოხუმი, - სამი ათეული წლის წინ რომ იყო ისეთი, აფხაზეთის დედაქალაქი, სადაც ფრთებდახრილი პალმები იწონებდა თავს, გრძელი სანაპირო ყავახანებით დამშვენებული, ადამიანები გემრიელი ყავით სულს და სხეულს რომ ითბობდნენ, ზღვაში თეთრი ხომალდები დასრიალებდნენ, ძალზე სუფთა იყო სოხუმი, თეთრი და წითელი ქვაფენილებით მოპირკეთებული გზებითა და ლამაზი შენობებით გაკეთილშო-

ბილგებული. აქ ღირსეული ოჯახებით იყვნენ ამაცნი და ადამიანები, ბედნიერი, თავიანთ ოცნებებსა და სურვილებში ჩაფლულნი, მუდამ ილიმოდნენ, იღვწოდნენ და მხოლოდ ამ ქალაქში სვამდნენ „დაისის ცხარე დარებს და მღეროდნენ პალმის სიმღერას.“ აქ ცნობილი ადამიანები ცხოვრობდნენ, მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები, კომპოზიტორები, მხატვრები, თეატრალები, მუშები, ხელოსნები, მეზღვაურ-მეთევზეები და უბრალოდ, კარგი ადამიანები და ქალბატონი ნაირა კიდეც ერთხელ გვახსენებს დიდებულ ადამიანს, ენათმეცნიერს, მწერალს, პედაგოგს, აფხაზი ხალხის რჩეულ შვილს დიმიტრი გულიას, რომლის ძეგლიც თბილისში, კერძოდ ორთაჭალაში დგას. ბატონი დიმიტრი თანაბრად ერთგული იყო ქართველებისა და აფსუებისა. მისი ყოველი ქმედება, ნაწერი თუ სამეცნიერო ნაშრომი ამ ერთობის მაღლით იყო ნასაზრდოები. ის იყო დიდი ადამიანი, რომელმაც შეძლო კონსტანტინე და დავით მაჭავარიანებთან ერთად კირილიცას მიხედვით აფსუური შეექმნა, რომელიც 1892 წელს თბილისში გამოიცა. ის აგრეთვე ფუძემდებელია აფხაზური სალიტერატურო ენისა. ის იხსენებს სხვა მრავალ მოღვაწეს, მაგალითად ივანე თარბას, რომელიც აფსუური მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. პოეტის გულმა ვერ გაუძლო აფხაზეთის ომის სისასტიკეს, თანაც მისი საყვარელი მეუღლეც შეენირა ამ უბედურებას.

1993 წლის პირველი აპრილი გათენდა, მშვენიერი ქალბატონი საკუთარ ეზოში გამოვიდა და უცაბედად მას აფეთქებული ნალმის ნამსხვრევი მოხვდა, მკლავი მოსწყვიტა, ქალი საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა. ომი რომ დასრულდა, ივანე თარბა, მძიმედ დაავადებული, პეტერბურგის ფსიქიატრიულ კლინიკაში გარდაიცვალა. ქალბატონი ნაირა იხსენებს ქართველთა მეგობარ პოეტს ბაგრატ შინქუბას, რომელიც ათი წელი ხელმძღვანელობდა დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის მიმნიჭებელ კომისიას. ის აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და აფხაზეთის მწერალთა კავშირის

თავჯდომარეც იყო. ნაირა მარშანიამ ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა აფხაზი მწერლების შემოქმედება, აგრეთვე იმ ავტორების ნაწარმოებებიც თარგმნა ქართულად, რომლებიც რუსულენოვანები არიან. ქალბატონ ნაირას იმედი აქვს, რომ დაბრუნდება თავის კუთხეში. წიგნში „ღირსსახსოვარი“ ვკითხულობთ: - „ჩემი მორღუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან... დრო, როცა ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად-ძიძიშვილობდნენ წინაპრები სახლიკაცები და მხარზე ეჯდათ ერთი ჭინკა და ანგელოზი... გამქრალა დრო, როცა ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს...“ და ამიტომ აქვს ქალბატონ ნაირას იმედი ტკბილი წარსულის დაბრუნებისა, რომ იქ დარჩენილ მეგობრებს, ნათესავებს მალე ჩაეხუტება. მას უყვარს აფხაზები და, სანამ ამ ქალბატონის შემოქმედების შესახებ კვლავაც მოგახსენებდეთ, გადავხედოთ ისტორიას, როდის, რატომ და როგორ მოვიდნენ აფსუები ჩვენთან.

აფხაზები, იგივე აფსუები აბასების შთამომავლები არიან, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნოსის წარმომადგენლები. მთა, რომელზეც ისინი სახლობდნენ, XV საუკუნის ბოლოსა და X VI საუკუნის დასაწყისში ჩამოიშალა და აბასები იძულებულნი გახდნენ მიმოფანტულიყვნენ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და ეს საქართველო იყო, კერძოდ, ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი, მათი ენაც ჩრდილო-დასავლურ კავკასიური ენების ჯგუფს განეკუთვნება. დასახლდნენ ომებით გავერანებულ და ეპიდემიით ლამის ამოწყვეტილ ქართველთა მიწაზე. მარტონი არ ყოფილან, მათ მოჰყვნენ ჩრდილო-დასავლელ-კავკასიელთა ტომების წარმომადგენლებიც, ადიღელ-ჩერქეზები, ჯიქუზიხები, შაფსულელები, ნატუხაელები, აბაძეხები, თემირგოველები, რომლებიც დროთა განმავლობაში აფსუებს შეერწყნენ და ერთ მთლიანობად იქცნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამაც მოითქვა სული და ჩრდილო-დასავლელ-კავკასიელებთან ერთად გააგრძელა ცხოვრება. არასდროს ქართველს აფსუა არ შეუვინროვებია, რის შედეგადაც მათ შეინარჩუნეს თავიანთი ადათ-წესები, ენა და ცხოვრების წირი.

XVII საუკუნის უცხოური ისტორიული წყაროები იუწყებიან, რომ აფსუები, კავკასიელი მთიელები, ფეოდალური მეურნეობის აზრზეც არ არიან და კვლავაც კერპებს ეთაყვანებიან, პირდაპირი გაგებით- წარმართობენო...

დღეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, მხოლოდ წართმეულ ტერიტორიად კი არა, სამშობლოდ გვტკივა და სიტყვა „აფხა“ მეგრულად ნიშნავს ბეჭს, ლაზურად კიდეც, ამ სიტყვისაგან წარმოიშვა სახელწოდება- აფხაზეთი. ახალი წელთა აღრიცხვით, VIII საუკუნის შუა საუკუნეების ჩათვლით, მთელ დასავლურ-ქართულ მოსახლეობას ეწოდებოდა აფხაზეთი და დედაქალაქად ჰქონდათ ქუთაისი, სახელმწიფო ენა, დამწერლობა ქართული, რელიგია ქრისტიანობა- მართლმადიდებლური. ღვთისმსახურება აღევლინებოდა ქართულად. აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა სამეგრელო, გურია, სვანეთი, იმერეთი, ეგრისი, ლაზიკა. სიტყვა აფხაზეთი არის ქართული ეთნონიმი და ტოპონიმიც შინაარსობრივად. ქართველებმა, უპირველესად კი კოლხებმა აბასებს და სხვა მთიელებსაც უწოდეს აფხაზები, რახან აფხაზეთში დამკვიდრდნენ, თავად ისინი კი საკუთარ თავს დღესაც აფსუებად მოიხსენიებენ, რაც „აბასის“ ფონეტიკური სახეცვლილებაა და მათ შორის მხოლოდ დიალექტური განსხვავებაა.

აფხაზეთი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისში გამოეყო სამეგრელოს სამთავროს. აფსუების მახსოვრობა ქართველთა მიმართ მადლიერების გრძნობას დიდხანს ინახავდა.

1919 წლის 20 მარტს, ახლად არჩეულმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი ავტონომიის შესახებ“ და დასამტკიცებლად საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა, სადაც ეწერა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ ელემენტად დაფიქსირებულიყო და აფხაზეთისთვის შექმნილიყო ცალკე კონსტიტუცია, რომელიც დაარეგულირებდა ცენტრალურ (საერთო ქართულს და ავტონომიურ რესპუბლიკას შორის დამოკიდებულებებს), მანამდე უნდა შექმნილიყო

შორეული პარიტეტული კომისია საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისაგან შემდგარი, რომლებიც შეიმუშავებდა დებულებებს, რაც საბოლოოდ შევიდოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში. დებატები წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა და ეთნიკურად წოდებული აფხაზი დეპუტატების დიდი ნაწილი წინააღმდეგი იყო აფხაზეთის ავტონომიის შექმნისა. სახეზე იყო რამდენიმე პროექტი, რომლებმაც ვერ მიიღო ხმების აუცილებელი რაოდენობა, მაგრამ კონსულტაციები გაგრძელდა და გადაილახა შიდა უთანხმოებანი. 1920 წლის 16 ოქტომბერს დაამტკიცეს აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტი და საქართველოს დამფუძნებელ კრებას გაუგზავნეს, სადაც ეწერა: - აფხაზეთი მდინარე მუზადირიდან მდინარე ენგურამდე და შავი ზღვის სანაპიროდან კავკასიონის ქედამდე საზღვრებში ავტონომიურად წარმართავდა შიდა საქმეებს და შედგა შეთანხმებაც თბილისსა და სოხუმს შორის. 1920 წლის 29 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებულ იქნა „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულება“ და საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აფხაზეთის ავტონომიის ძირითადი პრინციპები შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში.

დღეს ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ რუსეთმა მიანიჭა აფხაზეთს ავტონომია, ასე ჰგონიათ თავად აფსუებსაც, მაგრამ ეს ფაქტი ჟორდანიას მთავრობამ განახორციელა.

XX საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაეკარგეთ სამაჩაბლოს და აფხაზეთი, რასაც მოჰყვა იმ ადგილებიდან ქართველთა მასობრივი გამოძევება. საქართველო კიდევ ერთხელ შემცირდა და დასუსტდა. შეკვეცილიმა ქვეყანამ დარჩენილ ტერიტორიაზე დასძლია შიდა პრობლემები, ვაგრძელებთ დამოუკიდებლად არსებობას და გვაქვს იმედი, რომ ეს ტერიტორიები კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება. ქალბატონ ნაირასაც სჯერა, რომ საბოლოოდ სიყვარული და სიმართლე გაიმარჯვებს. მის ლექსებსა და დოკუმენტურ

მოთხრობებში ენგურს იქით დარჩენილთა მიმართ სიყვარული და პატივისცემა აქვს გამოვლენილი, მათ ძმებსა და დებს უწოდებს. მის შემოქმედებაში სევდა, ცრემლი, მონატრებაც ბევრია, უსამართლობამ ადამიანები სამშობლოშივე ლტოლვილებად რომ აქცია:

შესდექ, აფხაზო, არ შეცდე,
ჩვენ ვართ დები და ძმები.
გული გულს მივცეთ,
მზეს შევხვდეთ
და მტერი ვერ მოგვძებნის,
მშვიდობის თესვა ვიცოდეთ,-
ეს სიმდიდრეა ჩვენი.
შესდექ, აფხაზო, არ შეცდე,
ჩვენ ერთად ყოფნა გვშვენის!

ქალბატონი ნაირა მოგვინოდებს, რომ ქართველებმა და აფხაზებმა შევუნდოთ ერთუროს შეცდომები, მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ჩვენი გადარჩენა:

მე რომ მიყვარს, შენ რომ გიყვარს,
მას ცრემლები სცვივა.
მე რომ მიყვარს, შენ რომ გიყვარს,
უჩვენობით ცივა.
მე რომ მიყვარს, შენ რომ გიყვარს,
გაზაფხულის იას,
და სახელად ამ სიყვარულს
აფხაზეთი ჰქვია!!!

მწერალი აფხაზეთის მზეს ფიცულობს და მონატრება სტანჯავს, მას ხომ აფხაზეთში ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა და იქ აფხაზ კოლეგებს, მეგობარ-ნათესავებსაც განშორდა. ღირსეული ადამიანები ყველგან ცხოვრობენ, რომლებისთვისაც სიყვარული, მეგობრობა, ნათესაობა და ადამიანური ურთიერთობები უმთავრესია, თანაც, მზე და მთვარეც ყველგან ერთია და დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან მოსჩანს, მაგრამ აფხა-

ზეთის ცაზე ის ერთადერთი მზეცა და მთვარეც თითქოს სხვაგვარი ხიბლითაა გაჯერებული, გექმნება ილუზია, რომ აქ მზეცა და მთვარეც განსხვავებულად მშვენიერია. ამიტომაც დარწმუნებული, რომ აფხაზეთში დაბრუნდება:

**შენს მზეს ვფიცავ, მელანდება
შენი მზე და მთვარე,
შენს მზეს ვფიცავ, ვერ ვივინყებ
მოგონებებს მწარედ,
შენს მზეს ვფიცავ, სიტყვას გაძლევი,
კვლავ გიხილავ მალე.**

ის მეგრულ „ნანასა“ და აფხაზურ „შიშნანს“ უერთმანეთოდ ვერ მოიაზრებს და ამ ლექსში ამ ეთნოსს ერსაც კი უწოდებს:

**გული გრძნობს მალე ერთად ვიქნებით
და სადღეგრძელო ჩვენ ერთხმად გვეთქვას.
ისევ და ისევ, ორივე ერი
კარგი მომავლის იმედით ვფეთქავთ.**

ქალბატონი ნაირა დოკუმენტურ მოთხრობებში ახლანდელ აფხაზეთა და ქართველთა ურთიერთობებზე მოგვითხრობს, კითხულობ და გიკვირს სად გაჰქრა სიყვარული, ძმობა, ერთობა, რომელიც საქართველოს ამ კუთხეს განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა?! ერთად ცხოვრების ბედნიერება წარსულს ჩაბარდა. იყო ქართულ-აფხაზური ოჯახები, იყო მირონით ნაკურთხი ნათესაური კავშირები, ერთურობით მისვლა-მოსვლა, თანადგომა. ჭირ-ვარამისა და სიხარულის გაზიარება, შრომაც, ქეიფიც, ერთად დასვენებაც, ნორმალური, ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები, შენება და განვითარება. აი, ამაზე წერს ავტორი და იხსენებს დავით აფხაზის სამეგრელოში სტუმრობას, თუ როგორი პატივითა და სიყვარულით დახვდნენ კოლხები. წერს ვარდებჩალაგებულ ლარნაკზე, რომელიც იმ ლარნაკის ანალოგია, სოხუმში ოდესღაც დედამ რომ უსახსოვრა და ამის გამო ქალბატონ ნაირას მოწოდებამა მოგონებებმა ღამე გაათევინა, გატანჯა, აატირა და რა გულისხმიერი აღმოჩნდა ლარნაკის პატრონი ნა-

თესავი ნინო, რომელმაც ნივთი ვარდებიანად აჩუქა ქალბატონ ნაირას. ის წერს იმ ქართველებზე და აფხაზებზე, რომლებმაც მეგობრობის სახელით უარი თქვეს გაჩაღებულ ომში ბრძოლაზე, ვინაიდან აფხაზს არ შეუძლია ქართველის მოკვლა და არც ქართველს- აფხაზისა. ერთგულებისა და დიდი სიყვარულის შესახებაა მოთხრობა „აფხაზი ძუძუმტე.“

უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ „უცნობი დაჭრილის დედობილს.“ ფეხში დაჭრილი აფხაზი კაცი, რომელიც ფრონტისკენ ძმის მოსაძებნად წამოვიდა, მაგრამ ვილაცის ნასროლი ბრმა ტყვია მოხვდა, ქართულმა ოჯახმა სიკვდილისგან იხსნა, განიკურნა და ოჯახიდან სისხამ დილით გამოიპარა, რომ მათთვის პრობლემები არ შეექმნა. ლოგინი გაასწორა და ბალიშზე მადლიერებითა და სიყვარულით სავსე წერილი დატოვა. „მაპატიეთ, ჩემო კეთილო ხალხო,“ წერს ახრა ხვაცბა,- „თქვენ საკმაო პატივი მეცით, სიცოცხლე მაჩუქეთ, თქვენი სიკეთე დაუვინყარია, თქვენი სახით ახალი სანათესავო შევიძინე... ჩემს ამბავს შეგატყობინებთ. დაბრუნებამდე თქვენზე ვიფიქრებ. ნუ გამიბრაზდებით, ასე იყო საჭირო, მე მარტო უნდა წავსულიყავი...“ მაგრამ ქართული ოჯახის სახლი ომმა ნაცარტუტად აქცია, ახრას დაეკარგა დედობილი და შეძენილი და -ძმები. ომი დასრულდა. ახრა იმ ნასახლარს პატრონობს, კოჭლობს, ყავარჯენს დაყრდნობილი იმ სივრცეში სადმე ჩამოჯდება, სიგარეტს ეწევა და ფიქრობს, ნასახლკარიდან რომ გამოდის ჭიშკარს კეტავს და დანალვლიანებული მიდის. მას დედასავით უყვარს თინა. თინასაც უყვარს ახრა, რომელიც სახლიდან გაპარული აფხაზის დატოვებულ გასისხლიანებულ, მტვრიან ტანსაცმელს რეცხავს და კარადაში რუდუნებით ინახავს, როცა ბიჭი დაბრუნდება, დავახვედრებ, გაუხარდებაო. კაცი კაცისთვის იმისთვისაა, რომ გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი გაუწოდოს. თინას ოჯახიც ასე იქცევა, ყველაფერს გააკეთებენ, რომ ადამიანი გადაარჩინონ, მაგრამ ქალბატონ თინასა და ახრას შორის დედა-შვილური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ექიმმა საშინაო პირობებში ტყვი-

აც ამოუღო და ბოლომდეც მოარჩინა, მაგრამ ახრასთვის მთავარი წამალი უცხო ქალისგან გამოვლენილი დედობრივი სითბო აღმოჩნდა, თავზე ნაზი ხელის გადასმა, და ნუ გეშინია შვილო, რომ უთხრა და მართლაც, დედები მაშინ კარგავენ ეროვნებას, როცა სხვის შვილებზე ამაგს სდებენ და საკუთარივით იყვარებენ, არც სხვის გაჩენილ შვილებს გააჩნიათ ეთნოსი, როცა გულს მშობელივით უყვარდება სხვისი დედა, ეს ორმხრივი ზეგრძნობაა, რომელსაც უპირობოდ სიყვარული ჰქვია...

ქალბატონი ნაირასთვის შეჭირვებას არც ომის შემდეგ დაუნებებია თავი. ის გვამცნობს, ყოველი კვირის ბოლოს თბილისის ვაგზლის მოედანზე ან სასტუმრო „ივერიასთან“ თავშეყრილ ლტოლვილებს უერთდებოდა, რომ თავისიანების შესახებ რაიმე გაეგო. ნაქირავებში ცხოვრობდა, უჭირდა, ზოგჯერ მაღაზიის კართან რიგში მდგარი პურის გარეშეც რჩებოდა, მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც მის მიმართ მზრუნველობა გამოიჩინა, მომხიბლავ ქალბატონს პურს ახვედრებდა, რომელსაც სარკლმლიდან გადმოაწოდებდნენ და არც საფასურს ახდევინებდნენ, ამიტომაც უწოდა ავტორმა ამ დოკუმენტურ მოთხრობას „ფანჯრიდან გადმოსული სიკეთე.“

ყველასათვის ცნობილია, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაქვებულებს უძრავი ქონება დარჩათ, რომელთა სახლებსა და ბინებშიც აფსუები შესახლდნენ. ერთ დოკუმენტურ მოთხრობაში მოგვითხრობს აფხაზურ ოჯახზე. ქართველი კაცის სახლში შევიდნენ, მის მიწებსაც დაეპატრონენ, მაგრამ ოჯახმა უცაბედად ბედნიერება დაკარგა, მათთან განუკურნებელი სენი და სიკვდილი მოვიდა. ოჯახის თავკაცმა მოიძია სახლკარის თავდაპირველი პატრონის მისამართი და წერილი გაუგზავნა, სადაც სწერდა, რახან შენს აშენებულ სახლ-კარში დავსახლდი, შენგან შენდობას ვითხოვო. პასუხმაც არ დააყოვნა, ქართველი ლოცავდა მათ, მეტიც, ტაძარში თქვენთვის ვილოცებო და ქალბატონი ნაირა აღგვინერს თუ როგორ შემოვიდა ამ ოჯახში ღმერთის მადლი და ძალა. აფხაზი კაცის ვაჟი, რომელსაც გა-

ნუკურნებელი სენი ასუსტებდა და სიკვდილისკენ მიაქანებდა გადარჩა, მოღონიერდა, სიცოცხლე გააგრძელა თუმც მისი ონკოლოგიური დაავადება არსად წასულა.

მონატრება სიყვარულის განუყოფელი ნაწილია, ორივე ერთად ადამიანის გონებას ეხმარება კეთილი წარსულის გახსენებაში, მოგონებები გულს ათბობენ და ამ დროს გიქრება შეგრძნება, რომ აფხაზეთს მოსწყდის, ანმყოში მიუწვდომელი რომაა და მონატრებულ ადამიანებს, შენს ფუძეს, ზღვას, აფხაზეთის მიწას წარმოსახვით გულში იკრავ. იქიდან გამოყოლილი ნივთებიც თუ შემოგრჩა, ეფერები და ელოლიავეები, თითქოს სულიც ჩასდგომიათ და ამ დროს ადამიანის არსებაში ბრაზის, ბოლმის, შურისძიების ადგილი აღარ რჩება. აი, ასეთი ადამიანია ქალბატონი ნაირა. მოსიყვარულე, ერთგული, მშრომელი, წუთისოფლის დაუღალავი მუშაკი, რომელიც ცდილობს აფსუებსა და ქართველებს შორის ჩამდგარი გაუცხოების შეუვალი კედლის შენგრევას, რომ ქართველებმა, აფსუებმა, კვლავაც აფხაზებს რომ ვუნოდებთ, შეიყვარონ ერთურთი, ვინაიდან აფხაზეთი უსაქართველოდ საბოლოო ჯამში ვერ იარსებებს. აფხაზეთი ჩვენი სამშობლოს განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც ღალადებს, ერთად ყოფნა გვშვენიისო და დარწმუნებული ვარ, აფხაზეთიდან ჩამოყოლილ ნივთებსაც სათუთად ინახავს, უფრთხილდება და ესაუბრება კიდეც. ცოტა ყოფნის ადამიანს ბედნიერებისათვის, ამიტომაც მახსენდება მისი დოკუმენტური მოთხრობა „პატარა ნერგის უცნაური ამბავი.“ თურმე, ქალბატონი ნაირა მეუღლესთან ერთად ყოველ წელს საკუთარი ეზოს ბაღს ახალი ჯიშის ხეებით ამდიდრებდა და მათ ბაღში ყველა ჯიშის ხეხილი ხარობდა. 1992 წლის გაზაფხულზეც წასულან ბაზარში ახალი ნერგების შესაძენად, ერთ მოხუცს გადაეყარნენ, რომელიც მწვანე, ტკბილი უცხოური ვაშლის ნერგებს ჰყიდდა, რომელმაც აღნიშნა, თურქეთიდანაა ჩამოტანილი, მაგრამ იმათაც ტროპიკული ქვეყნიდან წამოიღესო. სამი ნერგი იყიდეს, მათი მოვლის წესებიც დაიცვეს, ზამთარში ძელებით და ცელოფნით სამკუთხა პირამი-

და ჩამოაცვეს პანია ხეებს, რომ არ შესცივროდათ, ასე უვლიდნენ და ელოლიავებოდნენ ნერგებს, სანამ იძულებით საკუთარი ეზო-კარი არ დატოვეს. აფხაზეთს მოწყვეტილი ქალბატონი ნაირა დარდობდა სახლზე, ბაღზე, იმ პანია ნერგებზეც ეფიქრებოდა და გაუხარდა, როცა თბილისშიც გამოჩნდა იმპორტული დიდი ზომის მწვანე ვაშლები და გაიფიქრა: - იქნება ის ვაშლიც ასეთი. ერთხელ, ხუთი წლის უნახავი სოხუმელი მეზობელი ქალი ესტუმრა, რომელმაც პარკებით ქალბატონი ნაირას ბაღის ხილი ჩამოიტანა, ეს იყო ყვითელი მსხლები, წითელი ვაშლები და ის მწვანე ვაშლებიც მათ შორის იყვნენ, უკვე გაზრდილი ნერგების პირველად მოსხმული ნაყოფი, სულ, ხუთი ცალი. შესაჭმელად ვერ გაიმეტა, მაგრამ ერთი ცალი პატარა ნაჭრებად დაჭრა, რომ ოჯახს დაეგემოვნებინა, ძალზედ სასიამოვნო და ტკბილი გემო ჰქონდა მწვანე ვაშლს და ქალბატონი ნაირა წერს, რომ სოხუმის დატოვების შემდეგ, ჩემთვის პირველი ბედნიერი დღე დადგაო. იმედიანად სრულდება ამბავი, რომ იქ მწვანე ვაშლები ელოდება, რომელთაც თავის დროზე სიცოცხლე აჩუქა და სჯერა, რომ თავის ფუძეს დაუბრუნდება. მერე კი, შვილიშვილები დააგემოვნებენ წინაპრების ხელით დარგული ხეხილის ნაყოფს. კი, ცუდი რამ დაგვემართა, მაგრამ კარგიც შესაძლოა მოხდეს. კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ტრაგიკული და კარგი სასწაული მომხდარა, შემდგარი, ძლიერი ერები გამქრალან და მათ მიწა-წყალზე სხვანი მისულან, დამკვიდრებულან, გამრავლებულან, მომხდარა ისეც, რომ სახელმწიფოებს წართმეული ტერიტორიები სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად დაუბრუნებიათ, იქნებ ჩვენც გვხდეს წილად ესოდენ დიდი ბედნიერება, ვინაიდან შეუცნობადია უფლის ნება და მინდა გავისხენო ძალიან კარგი ადამიანი, ავსტრიელი მწერალი, რუსთველოლოგი ჰუგო ჰუპერტი, რომელიც ფიქრობდა საქართველოზე, ქართველებზე და ერთ-ერთ წერილში გვინოდა „ფენიქსის ერი,“ იგი მაღლით სავსე ხალხად და ევროპელთა გადამრჩენლად აღგვიქვამს. პატარა, ლამაზი საქართველოს დამსახურებაა, ევროპა რომ არ წაილეკა,

ქართველები თავგამოდებით ებრძოდნენ და ჩვენამდე არ უშვებდნენ საკუთარი მიწისა და ქრისტიანების მტრებსო. „ქართველები-ეს არის ხალხი, რომელთა უჯრედები ატარებს შუმერების, ურარტუელების, კოლხების, იბერების, ხალიბების, არიელების და სხვა პირველი ცივილიზაციების და კულტურების შემოქმედთა გენეტიკას. ეს არის დიდი „კარდჰუს ერი,“ რომელიც იმდენად ჭამეს გარშემომყოფმა მტრებმა, სანამ არ დააქვეითეს მისი ძლიერება. საუკუნეს არ ჩაუვლია ისე, უბრალოდ, ქართველთა ეთნიკური წმენდა რომ არ განეხორციელებინა ამა თუ იმ მტერს, მაგრამ საოცარია, რომ ქართველებს თავის გადარჩენა და ჭირის არნახული გაძლება ეთნიკურ პროფესიად ექცათ.“ აი, ამგვარი ერის ასულია ქალბატონი ნაირა, მასაც შეუძლია ფერფლიდან აღდგომა, მაგრამ შიგადაშიგ მაინც განუცდია სულიერი წაჩოქება, ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს არ მოსვლოდა, თავისი კუთხე ეძახდა, რომელიც ასევე ჩვენი წინაპრების სისხლითაა გაჟღენთილი და ქართველთა ძვლებით გაპოხიერებული, ყველა ქვეყანას საკუთარი სურნელი აქვს, სხვადასხვა კუთხეებსაც გამორჩეულად განსხვავებულიც, იმ საერთოს რომ ერწყმის. მეც ვიცი აფხაზეთის სუნი, მთელს დასავლეთ საქართველოს რომ სწვდება და სრულიად ქართულ სურნელს ერწყმის. ერთხელაც, ქალბატონმა ნაირამ სასიცოცხლო ძალების შესუსტება იგრძნო და თავისდაუნებურად მიაგნო შინაგანი ძალების აღდგენის საშველს. საჭეს მიუჯდა და ენგურის ხიდამდე მივიდა, რომ ენგურს იქით საქართველოსთვის თვალი მიენვდინა, იქაური სიოს მონაბერი სურნელი შეეცნოსა. ამბავს „ისტორია გრძელდება“ ჰქვია. ქართველმა მესაზღვრეებმა ქალბატონი ნაირას საბუთები დაიტოვეს, ერთურთსაც გადახედეს, უსიტყვოდ მიუხვდნენ გულისნადებს და გააფრთხილეს: - „დიდხანს არ დადგეთ, ეჭვი რაიმეში არ შეეპაროთ, უხეშები არიან, გაუგებრობაში არ აღმოვჩნდეთ!..“

ხიდზე იდგა ქალი და ენგურს იქით საქართველოს გასცქეროდა. ხიდის ბიზნესმენს უწოდებს ურიკიან მეგრელ კაცს, რომელიც ტვირთის გადაზიდვადმოზიდვით საარსებოდ საჭირო

თანხას შოულობდა. გულითადი ადამიანი აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული ბიზნესმენი, - ვინმეს ელითო? იკითხა და ქალისგან უარყოფითი პასუხი მიიღო. აფხაზეთის მიწას გადმოგიტანთო, არც ეს სჭირდებოდა ქალს, ვინაიდან უკვე ჰქონდა. მეგრელი წავიდა, მაგრამ მალევე გამოჩნდა, აფხაზეთიდან ჭადრის ტოტი გადმოუტანია და ქალბატონ ნაირას მოეჩვენა, რომ კაცს აფხაზეთიც თან მოჰქონდა მშვენიერ ქალბატონთან. ტოტს აფხაზეთის სუნი ასდიოდა...

ჭადრის ტოტმა მშვიდობიანად იმგზავრა და თავი ქალბატონ ნაირას ოჯახში ამოყო, რომლის ფოთლებმაც აფხაზეთის სურნელი მიმოაფრქვიეს და ეს ფოთლები ქალბატონი ნაირას ცხოვრებას შეერწყა. მწერალმა ჭადრის ფოთოლი დახატა, ჩარჩოში ჩასვა და კედელზე ჩამოკიდა. მომავალი თაობები ჩარჩოს უკანა მხარეს ნაიკითხავენ წარწერას: „გაუფრთხილდით, ეს ჩემი მშობლიური კუთხის ჭადრის ფოთოლია, გთხოვთ, გაუფრთხილდეთ. ეს ჩემი ისტორიის ნაწილია და ჩემგან სახსოვრად, მარშანების მომავალ თაობებს გადაეცით, ისტორია არ იკარგება, ის გრძელდება...“

დასასრულს უახლოვდება 2023 წელი, იქ, ჩვენთვის მიუწვდომელ აფხაზეთში კვლავაც დაძაბული მდგომარეობაა, ახლა იმ მიწაზე დარჩენილებს ქართველების გარეშე უწევთ საქართველოს უმშვენიერესი კუთხის, - აფხაზეთის მტრებისგან დაცვა და ღმერთს ვევედრები მიეცეს ამ ქალბატონს ძალა და ენერგია აფხაზ - ქართველობის კვლავაც დაახლოებაში, რომ ქართველმა უთხრას აფხაზს, - მიუხედავად ყველაფრისა, მიყვარხარ, აფხაზო და აფხაზმაც თქვას, მე შენ მიყვარხარ საქართველო! მინდა, ქალბატონი ნაირა აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნების საქმეში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახდეს და მისი ღვაწლი ჩვენი ისტორიის ფურცლებზე სამუდამოდ აღიბეჭდოს.

2023 წ. 28 დეკემბერი

დღეს შენთან ყოფნა მინდა...

ქალაქის ქუჩებში დადის კაცი. კეთილი, გულიანი. ერთი შეხედვით მარტოსულს ჰგავს, მაგრამ ასე ყოფნა თავისივე არჩევანია. მარტოობისას ქმნის ადამიანთა გულების მპყრობელ პოეზიას.

დადის ედუარდ უგულავა ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებში, ბევრი მეგობარი ჰყავს, დადის და ადამიანებს აკვირდება, თუმცა ახლობლებს ვერ ხვდება, უცხო სახეებს აწყდება ყველგან.

ერთხელ ცხოვრებას მეც ვეწვიე, ფიქრით სახეზე...

უნილბოდ ვიყავ, გაუკვირდათ რაღაც მსახურებს,

მერე მოსაწვევს, როგორც მახსოვს, არც კი დახედეს,

გამიღიმეს და, კარი ცხვირწინ მომიჯახუნეს.

დიახ, ერთუროთის მსგავსმა მსახურებმა ვერ მიიღეს პოეტი, ეუცხოვათ და მის გარეშე გააგრძელეს ცხოვრება.

ცხელი გული აქვს პოეტს, ცეცხლი ეკიდება ისე უყვარს ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი, მეტადრე ის ერთი, რომელსაც ძილშიც ვერ შეაჭრა ფრთებზე ბუმბული, თუმცა ეშინოდა, რომ არ გაფრენოდა:

ამ დილით ელდამ წამსვე დამძლია,

გამეჩქა ფეხქვეშ გრძნობა სიმყარის,

როდესაც ღია დამხვდა ფანჯარა

და შენ ოთახში აღარ იყავი...

ვერ მოახერხა და გაუფრინდა კიდეც იმედი, სიხარული, ფეხზე მყარად დგომის შესაძლებლობა, მაგრამ პოეტი სულით მებრძოლია და მისდევს სიყვარულს, ვინაიდან ეძნელება განშორება. მკერდზე ნახმლევივით ასტკივდა სიყვარული. სახელს გაჰყვირის და ხორხი ეკანრება, ყვირის, ადუღებულ იორის წყალს სიმწრით სვამს. ერთი დღეც კი უმისოდ არის სიკვდილი, მაგრამ სიკვდილსაც ეცოდება მიჯნური და თვალს თვალში ვერ უსწორებს, ისიც ტირის თითქოს და ცრემლებით რეცხავს დედამიწას ღერძამდე. რწმენა პოეტისა, რომ უნდა უყვარდეს დროსაც აშეშებს და ბურძგლავს. პორტი ვერ გრძნობს დალლას, ვერ გრძნობს სივრცეს.

თურმე ისიც ელოდა, დგას სველი თმით და უყურებს პოეტს, ბუმბულიც თავისით გასცვენია ფრთებზე. იტირა და პოეტის მკლავებში ჩაეძინა:

**მკერდზე ნაწოლი ლოდებით,
სულში ჩანურულ სისხლით,
გაშენებ, როგორც მონასტერს,
ჩემი გაჩენის დღიდან.
მე სიკვდილს ხვალაც მოვასწრებ,
დღეს შენთან ყოფნა მინდა.**

ცხოვრება რთულია, ბევრი ტკივილი და ტანჯვა მოაქვს. ისეთი მწარეა, ადამიანები ძილშიც კი წვალბენ. ხშირად ფიქრობენ წარსულზე, დარდობენ, მაგრამ ისინი სუნთქავენ იმედის წვეთოვნების წყალობით და დრო კი მიჰქრის. ადამიანები იღევიან და საბოლოოდ მთავრდებიან! ზოგჯერ ტყუილები დროებით თავს გვანებებს, მაგრამ არასდროს არსად მიდის:

**იქნებ ეგ ცრემლი სულის სისხლია,
ხოლო ღიმილი, რომ მშლის სრულიად,
ან რამე კარგის დასაწყისია,
ანდა ყველაფრის დასასრულია.**

საოცარ ემოციებს იწვევს ლექსი „მე ვდარდობ“. პოეტი ფიქრობს იმ ქალზე, რომელიც სხვისი ცოლია. ამიტომ უმეგობრდება ზამთარსა და თოვლს, მასში წვება და მანამ არ აპირებს ადგომას, სანამ ტკივილს არ იგრძნობს, ვიდრე ტანიდან თეთრი ჩიტები არ ამოკორტნიან და ამოაცლიან სიმხურვალეს...

**ჩვენ დრო დავკარგეთ თავის მართლების
და მოლოდინი დავგვრჩა განკითხვის,
მაგრამ ჯერ შუქი მაქვს ასანთები
და შენი სული მაქვს წასაკითხი.**

ნელ-ნელა მარტოობას ეჩვევა და ხიბლავს თოვლთან თამაში და არ სურს მტანჯველ ტკივილს რამე უშველოს: - „ეს ის განცდაა ალბათ, საფლავში რომ შევეჩვიო ყოფნას უშენოდ.“

„ისე თოვს“... აქ პოეტი ფანტაზიით ქმნის თავისთვის საყვარელ ქალს, ის არაა ზღაპრული, რეალურია, მაგრამ პოეტი ფიქ-

რობს, რომ არ ღირს ძებნა, ვინაიდან ის ქალი სხვა ეპოქიდანაა, იყო უკვე და აღარაა, ან მომავალში დაიბადება:

**მიყვარხარ, მაგრამ მაინც მგონია,
რომ ჩვენ ერთმანეთს არც კი ვიცნობდით,
რომ ჩვენ ერთ დროში არ გვიცხოვრია.**

პოეტის აზრით, სიყვარული ავადმყოფობა კი არაა, მდგომარეობაა, ტკივილიანიც, მწარეც, მტანჯველიც, მაგრამ ტკბილი და სასურველი. სიყვარული, შესაძლოა, განშორებითაც დასრულდეს, და მაშინაც რჩება ცრემლიანი მოგონება და ესეც კი სასიამოვნოა, გასაძლისად და ტკივილიანად სასიამოვნო:

**მე ვამბობ - მორჩა!
შენ ჩურჩულით ამბობ-კეთილი!
დღესვე გადმოვფენ თვალებიდან
სულისფერ დროშას...**

თუ მოტრფიალე ადამიანებს ვნება და სიყვარული ერთმანეთში არ აერევათ, ერთუროს ვერ შეელევიან. საუკეთესო ვარიანტია, თუ ეს ორი რამ ერთად არის და ამხანაგობენ ადამიანთა სულებში:

**ასე რთულია ბედს არ მიენდო,
როცა უეცარ ცოდვის კურნებად,
ყველაზე მტკიცე და საიმედო,
არსებობს გულთა ხელშეკრულება.**

შეყვარებულები შესაძლოა, მრავალჯერ დაშორდნენ ერთუროს, თუმცა უერთმანეთოდ დიდხანს ვერ ძლებენ:

და მაინც,.. ბედმა რამდენჯერაც უნდა გაგვრიყოს,

კვლავ დავბრუნდები, თუმც ცხოვრებით ხშირად ვწვრილმანობთ...

შეყვარებულები ერთმანეთზე ეჭვიანობენ, მაგრამ ეს არც ისე ცუდია ზომიერების ფარგლებში. ეჭვები ითხოვს პასუხებს. თუ კითხვებს პასუხები გაეცა, მაშინ ეს ეჭვები ეშხსა და ხიბლსაც კი ანიჭებს დიდ სიყვარულს:

**მაგრამ მე მაინც მინდა იცოდე,
ვიდრე მიწის ქვეშ გავიშლით ლოგინს,
სიყვარულისთვის რომ ღირს სიცოცხლე,
სიცოცხლისათვის სიკვდილი რომ ღირს!**

ედუარდ უგულავას სატრფიალო ლექსებში ამალღებული სულიერების გვერდით აუცილებლადაა მიწიერი, ქალისა და კაცის ერთმანეთის მიმართ ფიზიკური ლტოლვის ელემენტებიც, რაც უფრო მიწიერსა და ყველასთვის ადვილად გასააზრებელს ხდის, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის, ადამიანებისთვის ჭეშმარიტი სიყვარული. ზეციური და მიწიერი სიყვარული როცა ერთადაა, მაშინ სიყვარული ღვთაებრივი ხდება და მოსიყვარულე ადამიანებს ერთმანეთი აღარ ბეზრდებათ:

თენდება როდის-როდის,

ვერ ვეგუები ლოდინს

და ისე მძაფრად ასდის შენი სურნელი ლოგინს...

თითქოს ფიზიკურ მიმზიდველობაზე, ქალის სურნელზეა საუბარი, მაგრამ არა ზოგადად ქალის სურნელზე, მხოლოდ ერთადერთი ქალის სურნელზე, სიყვარულზე, მონატრებაზე, შემოლილად რომ აქცევს კაცს.

დრო კი აღელვებს დროსაც და ასე შორს ხარ როცა,

იქნებ არც ღირდეს ამდენ ლოდინის მერე მოსვლა.

სიყვარულში არის სიმშაგეც, სიმწარეც, სიხარულიც, ერთგულებაც, გაუგებრობებიც, ღალატი და შემდგომ სინანული. სიყვარულის გარეშე ადამიანი არის საბრალო, სიყვარულს ვერ ნაზიარები ადამიანი ისე კვდება, რომ იქაც, საიქიოშიც მარტოობის ამარა რჩება:

მოვიწყინე ერთგულებას ნაჩვენება და

გამეზნა გზები შავ-თეთრ კერებად.

დამღლეღია, როცა არვინ არ გრჩება,

ვისზე ფიქრით ღირს ღამის გათენება.

ლექსში „დარდად გამყვები“, პოეტი აღიარებს, რომ საყვარელ ადამიანს ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ვერ მიატოვებს, სამაგიეროდ, იმასაც იგივეს სთხოვს ბავშვური სიჯიუტითა და ზედმეტად მკაცრი იერით. ეს არაა ეგოიზმი, ეს შიშია, რომ არ დაკარგოს ის ერთადერთი, შეყვარებული ადამიანი. თავისუფალიცაა და ბორკილდადებულიც, თავდადებულიც, სიცოცხლის დაუნანებლად დამტოვებელიც, თუ ეს მსხვერპლი სჭირდება სიყვარულს;

და რომ უყვარს, კიდევ იმიტომაც ეიოლება ამ სასტიკ სამყაროში დარჩენა, ამ დროს ცხოვრებაც გაცილებით მსუბუქია და სიკვდილისაც აღარ გეშინია, იმიტომ, რომ სიყვარულით ხარ სავსე.

„მინდა მოგნყვიტო და მხურვალ მკერდზე ყაყაჩოსავით ფრთხილად მიგიკრა“ - მხოლოდ ასე თუ დამშვიდდება გამიჯნურებული გული. ვისაც არასდროს ჰყვარებია, მას მოეჩვენება ეს სტრიქონები ბანალურად.

**და მაინც, როცა სიკვდილის ნისლი
მჭიდროდ ამიხვევს თვალს და სასმენელს,
დარდად გამყვები იმქვეყნად, ვიცი
და მკვდარს საფლავშიც არ მომასვენებ.**

სიყვარულში დაუმარცხებელი ძლიერ პიროვნებად იქცევა, ის მეტროპოლი და შეუპოვარი ხდება, უშიშარი და მხოლოდ საყვარელი ქალის თეთრი მანდილი უნათებს გულსაც, გონებასაც.

**და თუნდ უცხო სენმა ძვლები დამიხრას,
არ დავეძებ, ერთი მაგის მომგონიც...
ცეცხლი ხარ თუ ნისლი ხარ,
თუ ქალი ხარ!
კარგი კი ხარ, ვინცა ხარ და როგორიც!**

საქმე ისაა, რომ ჩვენ, ადამიანებს ამ ქვეყნიდან არაფერი მიგვაქვს სახელის, საკუთარი შეგრძნებების, სიყვარულის, სიძულვილის გარდა. მივდივართ და ახლობლებს, მიწაზე დარჩენილებს ვუტოვებთ მოგონებებს საკუთარ თავზე. ერთეულების ხვედრია თუ, უკვდავებას მოიპოვებენ და ყველა დროში დაუვინყარნი ხდებიან. ამ უკვდავებას სოციალური, მუდმივი სიცოცხლე ქვია, სიცოცხლე სხეულის გარეშეც.

სასიამოვნოა, იცხოვრო სიყვარულით და მეორე ნახევრის გულშიც დარჩე მანამ, სანამ ისიც მეორედ აგიყვანს ზეცაში, საკუთარ სულთან ერთად და იქ რაც მოხდება, ეს უკვე ზეციური ამბავია.

ის, რაც ბატონი ედუარდის შემოქმედების შესახებ გითხარით, რა თქმა უნდა, არის მცირედი და არასრული.

2017 წლის 27 დეკემბერი

აპრილის ასული

სანამ ქალბატონ ლუიზა გივიშვილის შემოქმედების შესახებ ორიოდ სიტყვას გეტყვოდე, უნდა იცოდეთ, რომ ქალბატონი ლუიზა თავის ლექსებში ხშირად ახსენებს აპრილის თვეს, როგორც თავისი ბედნიერებისა და სიხარულის, სიყვარულის მიზეზის თვეს.

ადამიანი დაბადებიდან სიცოცხლის ბოლო წამამდე, თუკი ბედმა გაუღიმა და დაბერდა, ცხოვრების გზაზე ოთხ ეტაპს გადის, - ბავშვობას, ახალგაზრდობას, სიჭარმაგეს და სიბერეს. ამ დროის განმავლობაში ადამიანი არა მხოლოდ ფიზიკურად იზრდება და ვითარდება, არამედ სულიერადაც, თუკი, რა თქმა უნდა, აქაც იღბალმა თუ წყალობა მოიღო და თავად ადამიანის ნებაა, იყოს პიროვნება და ბოლომდე დარჩეს ასეთად. ჰო, და ქალბატონი ლუიზა სწორედ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მუდამ სულიერ ზრდას განიცდიან და არა დაკნინებას. ეს ადამიანი ახლა ცხოვრების გზის მესამე ეტაპზეა შემდგარი, გული კი კვლავ ახალგაზრდა აქვს, მხიარული, ერთგული, თბილი მოგონებებითა და გამოცდილებით, სევდითაც გავსილი. გული, რომელსაც ცხოვრების მუხანათურმა და ვერაგმა მომენტებმა ვერაფერი დააკლო და დარჩა იგივედ.

ადამიანი რთული ფენომენია. ბევრი კარგი პიროვნება გაუფუჭებია ცხოვრებას და ისინი ქცეულან უნამუსო, უტიფარ არსებებად, რომელთაც არც განათლება აკლიათ, არც ჭკუაგონება, მაგრამ ცოდნასა და ნიჭს სხვათა მოტყუებასა და ვერაგობაში ხარჯავენ, რომ თავად იყვნენ ლაღად, კმაყოფილნი ყველაფრით, რა განცხრომასაც სთავაზობს ადამიანებს ცხოვრება და რაც სურთ, რომ მოსტაცონ წუთისოფელს, ყველანაირ უნამუსობაზე წამსვლელები არიან. ის, რაც ერთისთვის გაუგებარი, სასაცილო და სისულელეა, მეორესთვის ღირებულია და ღირსების საკითხია. არიან ადამიანი - მატერიალისტები და არიან ადამიანები სულიერებით გაბრწყინებულნი, სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება ლუიზა გივიშვილი.

„ინნობა“ დაარქვა პოეტმა თავის ნიგნს, რომელიც საგამომცემლო სახლმა “ქართულმა ელიტამ” გამოსცა.

ინნობა მდინარის სახელია, რომელიც ქალბატონი ლუიზას მშობლიურ სოფელს ჩამოუდის, სილამაზესა და სიხასხასეს ჰმატებს სოფელს. სწორედ ეს მდინარე ეძახის და თითქოს ხელსაც უქნევს: - მოდი, აქ მოდიო!

ეს მდინარეა მოწმე ამ ქალბატონის სიქორფისა, თამაშობებისა, სიხარულისა, ტკივილისა მეგობრობისა და სიყვარულისა. კარგია ბავშვობა, მაგრამ როცა განვლილ ცხოვრების გზას გასცქერი და შორეული წარსულისკენ იხედები, გული ადამიანისა ნალღელში ენობა და ტკბილ-მწარე მოგონებები ცოცხლდება გონებაში. ამიტომ მიუწევს გული ინნობისკენ, ვინაიდან პოეტს ახსენდება ადამიანები, რომლებიც იყვნენ, ზოგნიც შემორჩნენ, ზოგნიც დაშორდნენ, ზოგმაც მიატოვა სიკვდილით, მაგრამ ცხოვრების გზაზე ახალი მეგობრები და ახლობლებიც გამოჩნდნენ, თუმც ვერვინ ვერავის ვერ ჩაანაცვლებს. ყველას თავისი ადგილი აქვს ქალბატონი ლუიზას გულში, ინნობა კი დარჩა და დარჩა უბერებელ, კამკამა, ლამაზ ერთგულ, მუდმივ მეგობრად. ინნობა პოეტის სულის მატერიალური გამოხატულებაა, ვინაიდან ინნობამაც გაზარდა ქალბატონი ლუიზა და ვინ იცის, იქნებ შთაგონებაც აჩუქა და სხვა ბევრი რამეც გაიმეტა მისთვის, რომ ასეთი კეთილი და მშვენიერი ლექსები შეექმნა.

პოეტი ეტრფის ნაჩოქილ და ფეხზე მყარად ვერ მდგარ საქართველოს და თავდაცვის მიზნით, ტანჯვა რომ შეიმსუბუქოს, ქმნის იმედის ქოხს, რომელშიც ზოგჯერ მზეც იმზირება, შემოდის დილა, იმედის ქოხში წვიმაც მოდის და ზოგჯერ ქარიც ქრის. ესაა ცხოვრება გადატანითი მნიშვნელობით, რომელიც ხან მზიანია, ხანაც ქარიან-წვიმიანი. მოკლედ, საქართველოში ადამიანები ხან ისე ვცხოვრობთ, ხანაც ასე!

კეთილშობილი ქალბატონია ლუიზა და იცის, საკუთარი ნებითა და უფლის წყალობით, სწორი გზებით რომ დადის და არ ეპუება მტრებს. არ ეშინია, ადამიანებს ეხმარება, როგორც სძა-

ლუძს და ხშირად იმაზე მეტადაც, ვიდრე ერთი შეხედვით ნაზ და ფაქიზ მანდილოსანს შეუძლია.

ქალბატონ ლუიზას შესწევს უნარი უსულო საგნებზე სულიერივით უყვარდეს და ეს მისი თვისება არის მთავარი მიზეზი სულიერი სიმტკიცისა, პიროვნული ძლიერებისა.

როგორც ქალს, მკითხველს, მხიბლავს და გულს მიჩუყებს მეუღლისადმი მისი დამოკიდებულება, არა მხოლოდ სიყვარული, არამედ უღრმესი პატივისცემა და მადლიერება.

კარგი მეუღლე დიდ როლს თამაშობს მეორე ნახევრის შექმნასა და ჩამოყალიბებაში, უფრო სწორად, წყვილები აძლიერებენ ერთმანეთს და ქალბატონი ლუიზა, რომ ასეთი სათნო, მშრომელი, თავდადებული ადამიანია, მეუღლის დამსახურებაცაა, ის არა მხოლოდ გულით ატარებს საყვარელი ადამიანის ხსოვნას, არამედ, ლექსითაც ცდილობს დაანახოს სხვებს თუ როგორი კეთილშობილი ადამიანის გვერდით გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი, რომ მის გვერდით გაჭირვებაც მსუბუქი და სასიამოვნოდ ასატანი იყო.

როცა გაცნობით ლექსს „ჩვენი აპრილი“, მრავალი ინატრებთ, ცხოვრების თანამგზავრად გვერდით გედგათ ქალბატონი ლუიზას ნაირი შინაგანი სამყაროს მქონე პიროვნება და ბევრი ღირსეული მანდილოსანი, რომელსაც არ გაუმართლა პირად ცხოვრებაში ჰყავდეს გვერდით ისეთი მამაკაცი, როგორც ქალბატონი ლუიზას მეუღლე იყო. ამ სიყვარულს, ერთგულებას, მეგობრობას აპრილს უკავშირებს პოეტი:

**ბევრი იღვანე, ბევრი იშრომე,
არ გაგყოლია არავის ვალი,
შენ სიყვარული იცოდი უღვთო,
შენ სიყვარულით წახვედი მთვრალი.
შენ ეს სანუთრო აიკვირძალე,
ტყემლები ისევ დაიწყებს თოვას,
უკვდავებაში დაიბინადრებ,
ჩვენი აპრილი უშენოდ მოვა...**

წიგნში ლექსების გარდა, შეგიძლიათ წაიკითხოთ ეტიუდები, ნოველები, ჩანახატები, რომლებიც ასევე სიკეთით, მშვენიერების მძაფრი აღქმითა და სიყვარულითაა აღსავსე, იმგვარი სიყვარულით, ასე რომ გვაკლია ჩვენ რეალურ ურთიერთობებში.

აიღეთ ეს წიგნი „ინწობა“, წაიკითხეთ, ჩაფიქრდით, გაიმდიდრეთ სული და დანარჩენი, რაც არ მითქვამს, თავად აღმოაჩინეთ!

2017 წლის 5 ივლისი.

ნიკორწმინდა რომ დანებრეს...

ახლახანს გამოვიდა მანანა გორგიშვილის წიგნი „შეუვალი კაცი,“ (რედაქტორი სოსო სიგუა). ავტორი მოგვითხრობს ბატონ თამაზ ვაშაძის ცხოვრების შესახებ. ნაწარმოები არის დოკუმენტურ-მხატვრული პროზის ნიმუში და ვულოცავ ქალბატონ მანანას ამ მშვენიერი წიგნის ავტორობას, ვინაიდან ის მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც მწერალი და მემკვიდრე. ქალბატონი მანანა თხოვრისას მიმართავს თითქმის ყველა მხატვრულ ხერხს, რომლებსაც მწერლები პროზაული ნამუშევრების შექმნისას იყენებენ, რის შედეგადაც ამბავი ერთი ადამიანის ცხოვრებისა წასაკითხად არის საინტერესო და მიმზიდველი.

გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან ნათელი გახდა, რომ კომუნიზმის უტოპიური ხანა დასასრულს უახლოვდებოდა, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დაიწყო ახალი ეპოქა, რომელმაც ურთულესი პრობლემების წინაშე დაგვაცენა. დალაგებული და მოსაწონი ცხოვრება არც ახლა გვაქვს. ჩვენი პოსტმოდერნული ყოფა შედეგია საქართველოს ახლო წარსულისა, როცა პატრიოტულმა სულისკვეთებამ ზენიტს მიაღწია, ხალხს ნათელი მომავლის იმედი და რწმენა ჩაესახა. იმ ადამიანებსაც იგივე აღტკინება ჰქონდათ, რომლებმაც სრულიად საქართველო აიყოლიეს და შემართეს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულები. ახლო წარსული ისტორიკოსებს ამომწურავად ჯერ არ განუხილავთ, ვინაიდან დრო, რომელიც გამოვიარეთ და რაშიც ახლა ვიმყოფებით, დაუსრულებელია და ავტორი უღრმესი პატივისცემით, სიყვარულით მოგვითხრობს ამბავს ადამიანზე, რომელიც შვილია ქართულ-ბერძნული ოჯახისა.

90-ანი წლების საქართველო რეალურად იყო უშუქოდ, უგაზოდ, დაცარიელებულიყო დახლები, ყაჩაღობა, ქურდობა, უფულობა და შიმშილი მძვინვარებდა. იწყებოდა ღირებულებათა გადაფასება, რასაც მოჰყვა არეულობა, გაუგებრობა, თითქოს ქვეყანამ ფორმა დაკარგა, აღარც სამართალი და არანაირი წეს-

რიგი. ჩამოქცეული საბჭოთა კავშირის ნანგრევთა ქვეშ მოყოლილი საქართველო ძლივს სუნთქავდა და ბჭუტავდა.

დრომოჭმულობა ახლით უნდა ჩანაცვლებულიყო, მაგრამ ხალხმა ჯერ არ იცოდა, როგორი და რანაირი იქნებოდა განახლებული ქვეყანა. ამგვარად აყალიბებს იმდროინდელ ვითარებას მანანა გორგიშვილი. ის, როგორც ქალი, დედა, მოქალაქე წერს, რომ 30 წლის მანძილზე შიგადაშიგ გაუგებარ ღირებულებათა გადაფასებას გადააყოლეს ადამიანთა ადამიანური, უბრალო, ყველასათვის გასაგები ინტერესები. საქართველომ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, მაგრამ ხელისუფლებაში მოსულ ქართველებს საკუთარი ხალხი დაავინწყდათ. ახალ მთავრობებს ავინწყდებოდათ ამ ქვეყანაში მცხოვრებ, ერთი შეხედვით უბრალო, თითქოსდა არაფრით გამორჩეულ ადამიანთა სურვილები, ოცნებები, ავინწყდებოდათ, რომ ეს ადამიანები ინდივიდები არიან. ცუდი შედეგიც მივიღეთ, ხალხი გადასხვაფერდა. ყოველდღიურ ფუსფუსსა და ყოფით პრობლემათა მოგვარების პროცესში ადამიანები ერთმანეთის მიმართ გულგრილნი გახდნენ. პრობლემას ავტორი მძაფრად განიცდის, ვინაიდან უსიყვარულოდ, ემპათიის გრძნობის გარეშე ქვეყნის აღდგენა-აშენება, წინსვლა და განვითარება ძალზედ ძნელია. თავისუფლების მოპოვების სიხარული დროთა განმავლობაში გაბათილდა, გაბატონდა ნიჰილიზმი და ქვეყანა გაქვავებულ მდგომარეობაში დარჩაო, ამბობს ნიგნის ავტორი.

მანანა გორგიშვილი სპეციალობით ჟურნალისტიკა და მკითხველს უმხელს, ყველაზე მეტად რა ნიშნით მოსწონს ჟურნალისტიკაში მოღვაწეობა. ჟურნალისტიკა, სულერთია პრესის წარმომადგენელია თუ ტელევიზიის, უპირველესად უნდა შეარჩიოს თემა, მონიშნოს რესპოდენტები და ამის შემდგომ იწყება თავდავინწყება. პიროვნებები თავს გამახსოვრებენ აზრიანი პასუხებით, ზოგიც საკუთარი პროფესიის მიმართ სერიოზული დამოკიდებულებით. ჟურნალისტიკა ნიშნავს, ყოველდღიურად აწყდებოდე სხვადასხვაგვარ პრობლემას და მანანა ფიქრობს, რომ გამოსავალი არსებობს, რომელიც ერთადერთია. სახელ-

მნიფოს და საზოგადოების ნება და ინტერესი ერთურთს უნდა ემთხვეოდეს. არცერთმა მხარემ არ უნდა დაინანოს ენერგია პროფესიონალიზმის გამოსავლენად, აგრეთვე ყველამ დროებით გვერდზე უნდა გადადოს პირადი ინტერესები, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის გარჯა და საზოგადოების, სახელმნიფოს ინტერესების რეალიზაციისთვის იღვანოს.

მანანა ხვდება თავის რესპოდენტს, რომლის ბინაშიც თურმე ერთ დროს დიდი სუფრები იშლებოდა და ყველა სტუმარი შუაგულ დარბაზში ასვეტილ დედაბოძზე ავტოგრაფს ტოვებდა. ამ ოჯახს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც სტუმრობდა და მერაბ კოსტავაც, რომელიც დაგამახსოვრდებათ იმ სიტყვებით, თამაზ ვაშაძეს რომ მიმართავს: - „ეს რა მომივიდა, ეს როგორ მოხდა, რატომ ვერ მივხვდი ვისთან მივდიოდი, ან ასე რამ შეცვალა, ადრე ასეთი არ იყო... ეს რა მომივიდა, ეს სად წაგიყვანე... სანყალი საქართველო, ვის ხელში ვართ!“ - უღირსი კაცის გვერდით ისხდნენ ბატონი მერაბი და თამაზი, იმ კაცის მიერ გაშლილ სუფრასთან, რომელსაც „ქართველობა“ სადღაც დაჰკარგვოდა და ამას განიცდის ჩვენი ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, განცდებს ბატონ თამაზს უზიარებს და რცხვენია კიდეც იმ უღირსი კაცის მაგივრად. უნდა, რომ გაეცალონ უღირსს, თითქოს რაიმე მომაკვდინებელი გადამდები სენი სჭირდეს უღირს არსებას.

წიგნის ავტორი ათვალისწინებს რესპოდენტის საცხოვრისს და გაცუებასთან ერთად მოწინების გრძნობაც უჩნდება ბატონი თამაზის მიმართ. გულითადი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი მონათხრობიც, და კიდეც ამიტომაცაა წასაკითხად საინტერესო და სასიამოვნო. ოსტატურად გადადის მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდში, როცა ქალაქი ჭიათურა აშენდა, ამ ხერხს იმიტომ მიმართავს, რომ ცოტა რამ მოგვითხროს წიგნის მთავარი გმირის წინაპრებზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ პატრიოტიზმით, შრომისმოყვარეობით. შიში, დაუფასებლობა, ტანჯვა-წამებაც არ მოჰკლებიათ ბატონი თამაზის წინაპრებს, ის რეპრესირებული ოჯახის შთამომავალია.

ინფორმაციული თვალსაზრისით წიგნი მრავალფეროვანია. დღეს წარმოდგენილად მოგეჩვენებათ და მწერალი ლევან გოთუა იმიტომ დაუპატიმრებიათ, უნამებიათ და ფრჩხილები დაუგლეჯავთ, რომ დააბრალეს, ვითომც ქაშუეთის ტაძრის აფეთქება ჰქონდა განზრახული, და კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მწერალს, კარგა ხანს არვინ აფასებდა, მეტიც, აბუჩადაც კი იგდებდნენ ქვეყნის სათავეში მდგომნიც და მწერლებიც, რომ შემთხვევით დახვრეტას გადარჩენილი მწერალია. გაიგებთ, როგორ შენდებოდა თბილისში მეტრო, როგორ იცავდა ბატონი თამაზი ცხინვალის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ წითელ საყდარს. როგორ გადაარჩინა ობეხეს თანამშრომლების მიერ დაგეგმილ უბედურებას ბატონი თამაზ ვაშაძე პირადი მდივნის თამთას ერთგულებამ და სხვა მრავალ საინტერესო ამბავს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ზვიადისა და თამაზის გაცნობის, მათი დამეგობრების ისტორიაა.

არ შემიძლია არ შევეხო დავით გარეჯის თემას, რომელიც მეექვსე საუკუნის უნიკალური ძეგლია და ქართულ უდაბნოში დღესაც ამაყად დგას, ასხივოსნებს იქაურობას, ამიტომ ამბობს თამაზ ვაშაძე, ვისაც დავით გარეჯი არ უნახავს, მას საქართველო არ უნახავსო. დაუტყვევებია წიგნის მთავარი გმირის სული და გული იქ ნანახ ფრესკებს და აღნიშნავს, მაშინ, დავით გარეჯის ფრესკები რომ გადარჩა, ზვიად გამსახურდიას დამსახურებააო. ჩვენ დღესაც გვადარდებს ჩვენი საამაყო დავით გარეჯი და ადრეც სატკივრად დასდებიათ გულმხურვალე ქართველებს! ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპროტესტო აქციების შედეგად, სამონასტრო კომპლექსთან დაბანაკებული რუსეთის ჯარის მიერ მოწყობილი საწვრთნელი სროლა შეწყდა, რაც ზიანს აყენებდა უნიკალურ ფრესკებს.

მანანა გორგიშვილი ყურადღებას ამახვილებს 1989 წელს მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე, ფაქიზად ეხება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს. მონათხრობში პერსონაჟებადაა წარმოჩენილი ან მივიწყებული მაშინდელი უნიათო მი-

ნისტრები, სხვა პირები, რომელთაც ხელთ ეპყრათ საქართველოს მართვის სადავეები. მრავალ არასასიამოვნო ადამიანს გაგახსენებთ ნაწარმოები, მაგალითად ჟირინოვსკის, რომელსაც გულწრფელად უთქვამს ზვიადზე, „აი, ასეთი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს რუსეთს, ასეთი განათლებული და ასეთი მცოდნეო...“ ამას ჟირინოვსკი ამბობდა, ქართველთ მოძულე, ენანებოდა ქართველთათვის ყოველმხრივ დადებითად შემოკობილი რაინდი, მაგრამ ზვიად გამსახურდია გახდა საქართველოს პრეზიდენტი, ის ხალხმა აირჩია.

1991 წლის 9 აპრილს, 1991 წლის 1 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა, ზვიად გამსახურდიაც ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია, რაც იმავე წლის 26 მაისს საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე დადასტურდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ სხვადასხვა პარტიები, ლიდერები, რომლებიც ყველა ხერხსა და ღონეს ხმარობდნენ, რომ ამომრჩეველთა ნდობა მოეპოვებინათ, მაგრამ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული მაინც ზვიადის „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“ აღმოჩნდა და მადლიანმა კაცმა მადლობაც მადლიანად თქვა: - „მადლობელი ვარ ქართველი ერის, ვინც ღირსად მყო ასეთი პატივისთვის...“

ღვთის წყალობად და ნებად მიმანია, ორი ღირსეული ადამიანი, ქალბატონი მანანა და ბატონი თამაზი ერთუბრთს რომ შეახვედრა. როგორი ყურადღებითაც გაამახვილა ბატონმა თამაზმა ზვიად გამსახურდიას პიროვნულ დადებით ღირსებებზე ყურადღება, იმგვარივე გულმოდგინებით წარმოაჩინა მწერალმა თავად მთავარი პერსონაჟისა და თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტის სულიერი სიმდიდრე, წესიერება, პატიოსნება. ეს იყო მართლა განათლებული შემოქმედი, ღირებულებათა დამფასებელი პიროვნება. მწერალს ხაზგასმით დაუმახსოვრებია ის, რომ ზვიადს თავისი პრეზიდენტობის მან-

ძილზე მხოლოდ ერთხელ შეუგინია, რომ მისთვის საქართველო იყო უპირველესი საზრუნავი, მას ადამიანები უყვარდა და როცა მიწისძვრამ ქვეყანა დააზარალა, ნიკორწმინდაზე დარდობდა, როგორც ძვირფას, ახლობელ ადამიანზე. ის ვაშაძეს ენდობოდა, ემეგობრებოდა, პატივს სცემდა, ამიტომაც დაურეკა და უთხრა: - უნდა უშველო, შენი იმედი მაქვს. თამაზ, ნიკორწმინდა რომ დაინგრეს, ჩვენი შთამომავლობა ვერ გაიგებს გალაკტიონის ლექსს...”

ქვეყანას კარგი პრეზიდენტი ჰყავდა, მაგრამ საქართველო მარტო იყო, მეგობარი ქვეყნები არ ჰყავდა, ჩაკეტილი იყო ჩვენი სამშობლო. ზვიადის მოშურნეები, შინაური მტრები ღალატის ბადეებს ქსოვდნენ, ზოგი აშკარად, ღიად, ზოგიც ფარულ-მალულად, თანაც, ეგრეთ წოდებული „უფროსი ძმის“ ანუ რუსეთის იმედიც ჰქონდათ და იყო ერთი ადამიანი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, კავკასიელი ჯოხარ დუდაევი, ვინც ქართველ პრეზიდენტს და საქართველოს შეძლებისდაგვარად ხელს აშველებდა.

ზვიადმა „შეუვალი კაცი“ ქვეყნის დედაქალაქის მერად დანიშნა. თამაზს არ უნდოდა, სხვა საქმეები ჰქონდა დასასრულებელი, მაგრამ ზვიადმა შეაფასა: - „არა, შენ უნდა იყო, შენ კარგი მუშაობა იცი.“ და თამაზ ვაშაძეც პირდაპირ მერიაში მივიდა, ყოველგვარი წარდგენის გარეშე და შეუდგა მუშაობას ახალი, კარგი საქართველოს ასაშენებლად, მაგრამ არ დაასრულებინეს დიადი საქმე. შინაურმა მტრებმა შინაურებსვე გამოუცხადეს ომი. ცრემლმოურევლად ვერ ნაიკითხავ 6 იანვრიდან დაწყებულ ამბებს თუ როგორ გამოაღწიეს ზვიადმა და მისმა მთავრობამ ალყაშემორტყმული შენობიდან, გაიქცნენ აზერბაიჯანში, მაგრამ იქ არ შეიფარეს, სომხეთმაც არასტუმართმოყვრულად მცირე ხნით მიიღო ქართველი პრეზიდენტი ზვიადი ჩეჩნეთს გაეშურა და იქ ჯოხარ დუდაევმა თავშესაფარი მისცა. ამ დროს კი საქართველოში ზვიადის მომხრეებს დასდევდნენ, მათ შორის „შეუვალ კაცსაც“.

ქალბატონი მანანა კარგი ანალიტიკოსია, ყველა კონკრეტულ საკითხზე მსჯელობს, ფიქრობს და დასკვნები გამოაქვს,

რომლებიც, არ მგონია, მძაფრად სუბიექტური იყოს, ეს მსჯელობანი უფრო მეტად ობიექტურია. მასვე მოჰყავს მაგალითად ალბერ კამიუს ნააზრევი, „ისტორიის შექმნა ერთეულების ხვედრია, ისტორიაში მონაწილეობა კი თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა.“ ნიგნის ავტორი თავის მთავარ გმირს თამაზ ვაშაძეს თვლის საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ შემქნელად. ამგვარი ადამიანების გარეშე ქვეყნის ისტორია ვერ იქმნება.

ქალბატონმა მანანა გორგიშვილმა პატრიოტებზე, დაულაღავ მუშაკებზე დაწერა და როგორც დაწერა, არის საუკეთესო. ქალბატონი მანანაც გახლავთ მამულიშვილი, საქართველოს ღირსეული ასული და მადლობა მას ასეთი კარგი მონათხრობისთვის!

2022 წ.

სიხარულების შემგროვებელი

ნინო როსტიაშვილის ლირიკული პოეზია გამოირჩევა გულწრფელობით, წერს ყველაფერზე, რაც ახარებს თუ სულს უმძიმებს. ნინო იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ყოველდღიურ ერთფეროვან ყოფაში ეძებენ სილამაზეს, ეძიებენ გზებს, რომ იცხოვრონ.

ნინო როსტიაშვილს სძალუძს სრულიად ჩვეულებრივ მოვლენაში დაინახოს არაჩვეულებრივი და განცდილი ლექსად აქციოს. ამგვარი მეთოდი აქვს გამომუშავებული თავის გადასარჩენად, ამიტომ, მას ვუწოდებ სიხარულების შემგროვებელი ადამიანი. სიხარულია სანინდარი იმისა, რომ ბედნიერების შეგრძნება არ დაეკარგოს. თავს არასდროს აძლევს უფლებას, სასოწარკვეთამ სული წაუღუკოს, ამგვარად შემართული მოსჩანს ის თავის შემოქმედებაში.

ნინო სულით ხორცამდე ქართველი ქალია, რომელსაც უყვარს სამშობლო, მშობლიური ენა, არც უფლის მიმართ რწმენა აკლია. მისი ლექსებიდან გამომდინარე, გამიჩნდა აზრი, რომ ღმერთი უყვარს შიშის გარეშე, ძლიერ უყვარს და მორჩა, ამიტომაცაა, რომ ქართულ ანბანს ის ადარებს წმინდა სანთელს, მასთან მოსულ მუზებს კი რატომღაც ჯვარცმას უწოდებს, ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრებაა რთული და ზოგჯერ გაუსაძლისად უკუღმართიც და მობრძანებული მუზები სასიამოვნოსთან ერთად მძიმე შთაბეჭდილებებსაც უმძაფრებენ, პოეტი კი იძულებულია ტკივილების შესახებ ლექსად საჯაროდ თქვას, მეტადრე თუ გამოსავალსა და ხსნას ვერ პოულობს. პოეტი ხშირად აღსარებას არა მხოლოდ ღმერთს, მკითხველსაც ეუბნება. ყოველი ლექსი გულიდანაა ნაშობი. როგორც კი კალამს მისწვდება და ლექსის დაწერას იწყებს, განიცდის ფერისცვალებას, შემდგომ კი კათარზისს. ჰმადლობს უფალს ლექსის დაწერის უნარისთვის, თანაც შიშობს, ბოდვით რამეებს ხომ არ ვწერო, მაგრამ გაბედულია, როგორც ყველა ქართველი ქალი.

ნინო მკითხველს თავისი დაბადების შესახებ უყვება, თოვ-
ლჭყაპი ყოფილა, ქარი, შუალამე და მშობლის აუწონავი სიხა-
რული, პირმშო გოგონას მოვლინების გამო დაღვრილი ბევრი
ცრემლი და რაც მთავარია, ბარბარობა თენდებოდა.

ნინო საკუთარ გარდაცვალებაზეც წერს, რა სურს, რომ იყოს
მის გარეშე, რაც მასვე ეხება, როცა სამუდამოდ გავა გაღმით.
სურვილი აქვს, არ იყოს ცრემლი, არ სურს დედამინაზე დარ-
ჩენილთა ცრემლები გამოეკიდნონ. ნინო წინასწარმეტყველებს,
რომ გარდაცვალება მოხდება დილით და სხეულიდან ამოსული
სული მზეს გაუღიმებს. ასე, რომ ნინოსთვის გარდაცვალება
ფერიცვალებაა და სხვა არაფერი.

ლექსში „სამშობლო“ მოგზაურობს საქართველოს დარჩე-
ნილ ტერიტორიაზე და სვლას იწყებს მესხეთიდან, თავისებუ-
რად აღქმულ მესხურ ბუნებას აღწერს, აკვირდება ქართულ არ-
ქიტექტურას, სიძველეებს, ტაძრები და ციხე-გალავნები უყვე-
ბიან საქართველოს მიძიმე წარსულზე და გადარჩენაზეც. საქარ-
თველო ასე თუ ისე გადარჩენილია, დღემდე მოიტანა კულტურა,
რელიგია, ხელოვნება, ტრადიციები, წესები, ნინო ამაყია თავისი
ქართველობით, მგელივითაა, ვინაიდან მონობაშიც მყოფი თავი-
სუფალია.

**დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა,
თავის, უფლის და სამშობლოსი!...**

**დავბადებულვარ თავის-უფალი,
თავისუფალი ადამიანი,
თავისუფალი სამშობლოს შვილი!**

ნინო როსტიაშვილის პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ლექ-
სები გაჟღენთილია თავგანწირვის სულისკვეთებით, სადაც წა-
ანყდებით გამოთქმებს:

თუ დამჭირდება ვიქნები ხმალი...

მგელსაც ვუძმობ და მის მოყვარესაც,

თუ არ წამართვა ჩემი მთა-ბარი...

თუ მოყვარეა არაფერს ვერჩი...

ცეცხლს თუ არ მიმცემ, არ გმტრობ, არ გერჩი.

საგურამოს გზაზე შემდგარს ახსენდება უმძიმესი მომენტი, როცა ქართველთ დიდი მამულიშვილი ისევ ქართველის ხელით მოკლეს, ესაა ილია მართალი. უბედურებაა, როცა ერის მამას კლავენ, სირცხვილია, მომაკვდინებელი ცოდვაა. მას მერე, რაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, საქართველოს მის სისხლზე ფეხი დაუცდა, წაიქცა და დღემდე ვერ ამდგარა, ვფორთხავთ ქართველები.

ნინო მოგზაურობისას მცხეთაშიც შეყოვნდება და სურვილი უჩნდება ძველი დედაქალაქის გულში ჩაკერისა. ის აქებს ქართლელებს, კახელებს, აღმოსავლეთიდან გადადის დასავლეთში, ეფერება იმერლებს, გურულებს, ყურადღებას ამახვილებს გურულთა ცნობილ სიღარიბეზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ზღვარსგადასულად კეთილი ხალხი რომ ცხოვრობს გური-აში. არასდროს რომ არ ისმის მათი წუნუნი სიდუხჭირის გამო და იუმორიც მძაფრი რომ აქვთ. საქართველოს ლამაზ მთებზე აღმართული კოშკები ხიბლავს და სვანებს ახასიათებს, სადაც ბუხარს ისევ ტალახით ზელენ, სადაც ბავშვებს კვლავ აკვანში ზრდიან, სადაც ოჯახის თავი მამაკაცია, სადაც ჩვილებს განსხვავებულ ნანას უმღერიან.

განსაკუთრებული სისათუთით უმზერს ბაგრატის ტაძარს, ახალმა ქართველებმა რომ აღადგინეს, მაგრამ ცუდად, დაუფიქრებლად, თითქოს დააზიანეს კიდეც დაუდევრობით, მაგრამ მაინც კი ლამაზია დალოცვილი, ლექსი ამგვარად სრულდება:

შენი ფრესკის წინ მუხლმოდრეკილი

პირჯვარს დავინერ,

მცვივა ცრემლები,

მტკივა და მეწვის...

მეწვის და მტკივა...

ამპარტავნობით

შებლალული შენი კედლები...

ამ ეტაპზე წართმეული აფხაზეთი გულში სტკივა და ნატვრა აქვს, რამდენჯერაც დაიბადება მხოლოდ საქართველოში დაიბადოს ქართველად. აფხაზეთის გარდა სხვა ტერიტორიებსაც

მისტირის ნინო, რომლებიც გასულ საუკუნეებში წაგვართვეს, ახლო წარსულშიც. ამგვარი ლექსია მაგალითად „ცამეტი წელი“. ის პირტიტველა ბიჭებს უწოდებს შინდისში რუსების მიერ ჩახო-ცილ ქართველ მეომრებს:

**თქვენს სახელს სანთელს უნთებენ
დღესაც ქართველი დედები,
ღმერთო, ტკივილი გვაკმარე,
ცისმარეს სწვდება კივილი...
ყოველ ჟამს იზადებოდნენ
გულანთებული შვილები,
ღმერთო, ვაჟები გვიმრავლე,
ხსოვნად გვაკმარე გმირები!**

გმირებთან ერთად არ ავინყდება მოღალატენი, რომელთაც სინამდვილეში არ გააჩნიათ არც სამშობლო და არც ეროვნება, არც სული.

**ასე ყოფილა დასაბამიდან,
ზოგს ჭირი სჭამს და
ზოგს ლხინის ჭირი!**

მაგრამ თქვენ ალბათ, არც ხართ ქართველნი?!

როგორც აღვნიშნე ნინოს აქვს უნარი ჩვეულებრივში დაინახოს არაჩვეულებრივი, უცნაური, უჩვეულო, რაც ეხმარება განსაკუთრებული განწყობის შექმნაში, რომ შემდეგ ლექსი შექმნას. მაგალითად, ის ემდურის ენგურს, არ იცის რატომ უნდა შეაქოს, ამ ადგილას სამშობლო ორად გაყვეს, მაგრამ ენგური მაინც ხარობს, ბობოქრობს, მკვლელი მდინარეა, მის ნაპირებთან მრავალი ჯვარი დაურჭვიათ, ვინაიდან ამ მიდამოებში ბევრი ადამიანი დაიღუპა და პოეტმა არ იცის როგორია ეს მდინარე, ბოროტი თუ კეთილი, მუდმივად მღელვარეა და მდინარის ტალღები კლდეებს ასკდება.

უყვარს ზღვა თავისი დიდებულებით. უყვარს გარუჯვა, მაგრამ ისე არა, როგორც ყველას, ნინო მინიერად და ღვთაებრივად ბრწყინვალე სიამოვნებას განიცდის.

მზემ აუკეცა წვიმას პაჟები,
მიყვარს შავ ზღვაზე ცხელი დრაჟები,
პეიზაჟები, გარიჟრაჟები,
ქობულეთური ვოიაჟები...

და ნინო ქმნის ზღვის ზღაპარს, ვინაიდან პოეტს სხვა ავტორის წიგნი უკავია და კითხულობს რომანს მულტიკულტურული უბნის ბინადარ ქალზე. ამბავი ზღვის ტალღებს ერწყმის, რომანში მარტოობაა გამეფებული, აქაც, ზღვისპირა ქალაქშიც, სინყნარეა, ტალღების ხმა ისმის მხოლოდ, ვინაიდან ჯერ ისევ ნახევრად სძინავს ქობულეთს, პოეტი ყავით უხმობს სიფხიზლეს, კითხულობს რომანს და თავადაც უკვე ქმნის თავის ზღვის ზღაპარს, თუ როგორ მისდევს ჰორიზონტს მზის სხივი, ახსენდება დედა და მამა, უზრუნველი, მხიარული ბავშვობა. ნინოს სიხარულის მიზეზია საქართველოს დედაქალაქი. თბილისი უპირველესად მეგობრობის ქალაქია. მზეს და ქარებსაც უყვართ თბილისი, თბილისში ყოველთვის მშვიდია ღამე და თბილისის წელიწადის ყველა დრო შვენი. „მე მეეზოვეც მიყვარს თბილისისო“ - ამბობს. მოხეტიალე გოგოა ნინო, უბერებელი, ბავშვივით წრფელი. თბილისის ქუჩებში დაეძებს სიხარულის მიზეზებს, მერე მთელს ქვეყანას ედება, ქართულ მთასა და ბარს, დაბორიანებს და სიხარულებს აგროვებს, რომ არასდროს დაეკარგოს ან სადმე არ დაემალოს ბედნიერების შეგრძნება. ცხოვრებაში ბევრია გაჭირვება, მოულოდნელი უბედურებანი, ტკივილია ბლომად და ადამიანები ცდილობენ თავი დააღწიონ სირთულეებს, ტკივილებს, მწუხარე განცდებს და ძლიერი ადამიანები პოულობენ მხსნელ გზებსა და გამოსავლებს, იმისთვის, რომ გაიმარჯვონ, გაექცენ მწუხარებას და ჩაეხუტონ ადამიანურ ბედნიერებას ერთი რამაა საჭირო და უმნიშვნელოვანესი, ესაა სულის სიმტკიცე და სისპეტაქე, რომელსაც უფლის მიმართ რწმენა ქმნის.

ნინოს თავი ტურისტი ჰგონია, რომელიც ადამიანებისგან ბევრს არ ითხოვს, ბოროტი ზრახვები, შური და მტრობა არ მტყორცნოთ, ამიტანეთო.

**გულს ნულარ მატკენ,
ერთი წუთით როგორ ვერ მიტან!
მე...**

**ტურისტი ვარ ამა ქვეყნის
და მიყვარს ღამე.**

ის ხატავს თბილისურ პეიზაჟებს, სცენებს. კვირა დღეს მეზობელი კაცების თავშეყრას ბებერი ხის ქვეშ ნარდის, დომინოს თამაშს. მეზობელი ქალების თავშეყრის ადგილსაც აკვირდება, ბავშვების კისკისს და მხიარულებას ეზოში. თბილისური სამეზობლოების აყალმაყალი ხიბლავს და აფიქსირებს ყოველივეს, რაც თბილისურ ურთიერთობებში უნიკალურია, მაგრამ ბევრი რამაც დაკარგულა და შიშობს, რაც შემორჩენილა, ისიც არ გაქრესო.

**ძველ თბილისში სტუმრის ფასი იცოდა,
სტუმარი კი უმაღლ მასპინძელია...
თბილისში ხომ ტრადიცია ბევრია,
ტრადიციებს არ მისდევენ, ძველია...**

უცნაური რწმენა აქვს ნინოს, გვიმხელს, რომ მრავალჯერ უსაყვედურია იესოსთვის, რატომ ეს არ ამარიდე, რატომ იმან დამიშავა, ან რად დავმარცხდიო და უცბად ახსენდება, რომ იესომ ყველას წილი ჯვარი ზიდა, სანამ ჯვარს გააკრავდნენ, ჩვენ ადამიანებს კი ჩვენივე ჯვრის ზიდვა გვიჭირს ან არ შეგვიძლია. ნინოსთვის მნიშვნელოვანია შობისა და აღდგომის დღესასწაულები.

აღსანიშნავია ლექსი დიდმოწამე ეკატერინეზე, რომელიც მნიშვნელოვანია ემოციური და ინფორმაციული თვალსაზრისით. მან შეძლო წარმოსახვით გაეცოცხლებინა ქალამნებგაცვეთილი წმინდა ნინო, რომელმაც საკუთარი ნაწნავებით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში შემოაბიჯა ქართულ მიწაზე. ნინო ებოდიშება უფალს იმის გამო, რომ ხშირად არ აცვია კაბა და დაიარება შარვლით, არ მარხულობს, ხშირად არ ლოცულობს, ტაძრის კართან მდგარიც ზოგჯერ ეკლესიაშიც არ შესულა და უფალი იმდენად მოწყალეა, რომ მაინც აცოცხლებს, უთენებს ღამეს, ეხმარება, მფარველობს და ნინოს რსცხვენია, მაგრამ იესო ეხმარება:

**ისეთი ცოდვა ჯერ არ გიქმნია,
რომ არ გეთქმოდეს „დიდება უფალს“.**

კეთილი გზებით გეელოს ნინო როსტიაშვილო, ღვთის მო-
საწონად გეცხოვროს, გააგრძელე გზა, მოიარე საქართველო,
შეაგროვე სიხარულები.

2022 წ.

პარლისფარი ნისლის მემოზარი

ადამიანი თავისუფალი არსებაა, რომელი გზითაც სურს, იმ გზის ბილიკებით ივლის, ასე დაგვინესა უფალმა. ადამიანი საკუთარი ცხოვრების შინაარსის ავტორიცაა, ვისაც არ სძალუძს სიცოცხლის გაშინაარსება, ის პიროვნებად ვერ ყალიბდება. ფიქრები ეძალეა ადამიანებს, აზრიანიც, უაზროც, მხიარული და სევდიანი, რაც ჩვენს მოდგმას სხვა არსებებისაგან მკვეთრად განასხვავებს. ფიქრები შინაარსიან ადამიანებს სხვადასხვაგვარ ნისლშიც ხვევენ და რახან სული გვაქვს, ოცნებაც შეგვიძლია, ან-მყოსა და მომავლის გონივრულად დაგეგმვა და განხორციელებაც ხელგვეწიფება. ესეც ადამიანების განსაკუთრებული უნარია, ამიტომ, სულში შემოპარული ფიქრი თუ უსიამოვნოა, გვაფორი-ქებს, გონებას გვიმღვრევს, მისი განდევნა უნდა შეგვეძლოს ანუ თავიდან მოცილება ან უბრალოდ, უკეთესით ჩანაცვლება და რომელიმე პრობლემური პირადი საკითხის მიმართ უგვანო ფიქრი თუ მოგვეძალეა, იმ პრობლემაზე თავიდან ფიქრის დაწყება უნდა შეგვეძლოს, რომ დავსძლიოთ და გადავლახოთ სატკივარი. ასე რომ, თავად ადამიანზეა დამოკიდებული, ბედნიერია თუ უბედური, ვინაიდან სიცოცხლეცა და ცხოვრებაც მისსავე ხელშია. აი, ამგვარად გავიაზრე ადამიანური ყოფიერება, როცა, მაია მახარაშვილის პროზის გარკვეულ ნაწილს გავეცანი.

როცა მაია დაიბადა, მამამისმა სამშობიარო სახლის ეზოში განაცხადა, ჩემი პანანა გოგო მსოფლიოს ყველა ბიჭს მირჩევნიაო.

მოთხრობა „ობოლი გოგონას მამა-კაცი, რომელიც ყველას უყვარდა,“ ავტობიოგრაფიული შინაარსის მოთხრობაა, მამას მიუძღვნა-ფარნაოზ მახარაშვილს, რომელსაც, მართლაც, რომ შესანიშნავი ქალიშვილი გაუჩნდა. ის გაიზარდა და არის ნიჭიერი, განათლებული, ჭკვიანი, ძლიერი და იმავდროულად ფაქიზიც, მგრძნობიარე, შრომისმოყვარე, დიდთვალეა მაიკო, მათემატიკოსი და იურისტი, რომელმაც მოიპოვა პოლკოვნიკის ნოდება და შემოქმედიც გახდა. მიუხედავად იმისა, რომ განათ-

ლება რუსულად მიიღო, მთარგმნელობაც შეუძლია და ქართულად მისი წერის მანერა და ლექსიკა არის მდიდრული და დახვეწილი. ცხოვრებაში მრავალ წარმატებას მიაღწია. მარტომ იარა, დრო შემოადნა და საკუთარი ოჯახი ვერ შექმნა. ის ღვთის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს, შვილები რომ არ ჰყავს. ერთხელ, საუბრისას მითხრა, ქმარი რომ მყოლოდა, ალბათ მეტ სასარგებლო რამეების გაკეთებას შევძლებდიო. ხმა არ ამომიღია, ვინაიდან არ ვიცი, ეგ ხომ მხოლოდ უფალმა იცის?! მაგრამ მაიკოც ხომ თავადაა თავისი სიცოცხლისა და ცხოვრების შემოქმედი! თანაც, იმდენი ქალის მტანჯველ ქმარს ვიცნობ, მხოლოდ ცოლის დაბორკვა და დადუმება რომ ძალუძთ და დიდებული ხელის შემშლელები, ქალის ცხოვრების გამანადგურებლები არიან... მაიკოს ღირსეული მამა ჰყავდა, რომელიც ერთადერთ ქალიშვილს ცხოვრებისეული მაგალითებით მოძღვრავდა. მან შვილს პრაქტიკულად ცხოვრებაც ასწავლა. ერთხელ გოგონამ, აზოვის ზღვაში თითის ჩაყოფა მოიწადინა, დედამ დაუშალა, მაგრამ მამიკომ ბავშვი ზღვის ნაპირთან მიიყვანა, რომ წყალში თითი ჩაეყო და ამგვარად გაეცნო აზოვის ზღვა, თუმცა გოგონამ უცაბედად უკან დაიხია, შეეშინდა მღელვარე და ხმაურიანი ზღვისა და მაშინ მამამ უთხრა: - „სანამ რამის გაკეთებას დააპირებ, კარგად უნდა დაფიქრდე, რამდენად შესაძლებელია ეს, და როდესაც გადაწყვეტილებას მიიღებ, არც უნდა შეშინდე და უკანაც არ უნდა დაიხიო.“ ბავშვები მგრძნობიარეები არიან, არც მაიკო იყო გამონაკლისი, როცა გრძნობდა, რომ მალე, რაღაც დიდს, მნიშვნელოვანს, ნათელს დაკარგავდა. ფერად, მაგრამ ავის მომასწავებელ უცნაურ სიზმარში მამის სიკვდილი იხილა, რომელიც სამწუხაროდ მალევე ახდა.

ცუდას რად უნდა მტერობაო, ვაჟა-ფშაველამ თქვა. მაიას მამასაც უმტრეს, როგორც მეცნიერს, ისევ და ისევ ახლობლებმა, მეგობარმა ვაი მეცნიერებმა. ამ კაცის წინაშე „იცახესეს“, მიითვისეს მისი მიღწევები და აღმოჩენები ფიზიკის დარგში, რაც ვერ გაიგეს, იმას ვერ წაართმევდნენ, მაგრამ მოახერხეს და, სი-

ცოცხლეშვივე ამოშალეს ფარნაოზ მახარაშვილის სახელი მეცნიერების ისტორიიდან, რაც ამ კეთილშობილი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა. „გიყვარდეს მოყვასი შენი და გიყვარდეს მტერი შენი,“ ამ მოთხრობის მიხედვით სხვაგვარად გავიაზრე, უფრო სწორად გავაიგივე, ამ ორ აზრს შორის სხვაობა წაიშალა ჩემს გონებაში და გული მეტკინა! თურმე, მოყვასს მტერზე უკეთ მტრობა შესძლება, მაგრამ ნამდვილი ადამიანები თავს ვალდებულად თვლიან, მაინც უყვარდეთ, ყოველ შემთხვევაში იტანდნენ და სამაგიეროს არ უხდიდნენ მტერ-მეგობრებს. ვაი, რომ ზოგჯერ მტრად შესაძლოა ოჯახის წევრიც გაგიხდეს... და ავტორს სჯერა, რომ სამყაროში მოქმედებს ბუმერანგის პრინციპი, ვინაიდან ყველას თავისი სიკეთეცა და ბოროტებაც უკანვე უბრუნდება. მამამ დიდთვალეზა გოგონას სულში ადამიანების სიყვარული ჩანერგა და სთხოვა მიმტევებელი გაზრდილიყო. ასე სჯობს, სხვაგვარად ცხოვრება გაცილებით გაუსაძლისი იქნებოდა, ვინაიდან ბოლმა და შურისძიების წყურვილი ყველანაირი სიკეთის მჭამელია. მხოლოდ ზრდასრული და სიჭარმაგეში შესული მიხვდა მამის გარდაცვალების ნამდვილ მიზეზს, რომელმაც ვერ გაუძლო შურს, სიცრუეს, ბოლმას, ლალატს და ზოგადად ცხოვრებისეულ ჭუჭყს და გამწარებულმა დიდთვალეზამ შურისძიება გადაწყვიტა. მამის მტრებისთვის პირადად არაფერი დაუშავებია, თუმცა ეს შეეძლო. მან მამის სამეცნიერო ნაშრომები მოიძია, აღადგინა და სამზეოდ, ქვეყნის დასანახად გამოიტანა და ეს საქციელი აღმოჩნდა მისი მხრიდან მამის მტრების წინააღმდეგ კეთილი შურისძიება.

„ნილაზჩამოხსნილი ქალები“ ორიგინალური სიუჟეტის მოთხრობაა, სადაც ავტორი მკვეთრად გამოხატავს აზრს, რომ ნარცისიზმი ადამიანის გონებაჩამორჩენილობის პირველი ნიშანია. ამ მოთხრობის წყალობით სხვადასხვაგვარი ტიპის ქალებს გაცნობით, ესენი არიან, „ქალი დედოფალი,“ „ბედის მომლოდინე ქალი,“ „გოგონა გამოძახებით,“ „კაპიტალური შინაბერა,“ „უნუგემო ქვრივი,“ „პატიოსანი ბოზი“ და „ოჯახის ქალი“.

აქ ავტორი გვეუბნება, რომ ყველამ საკუთარი თავის შესახებ სხვებზე უკეთ იცის. ეს ქალები იმგვარად ცხოვრობენ, როგორც ძალუძთ. ავტორი კარგად იცნობს სხვადასხვა ტიპის ქალებს და გვიჩვენებს სურათს, თუ როგორ საშინელ არსებად შეიძლება იქცეს ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია მორალი, უსირცხვილოა, უმადური და თავხედი, უტიფარი და არავის მიმართ პატივისცემის უნარი არ გააჩნია. ზოგი ქალი ფიქრობს, რომ პატიოსნება ამ ცხოვრებაში არის სისულელე, ვინაიდან სიმდიდრეს ვერ ელირსები. არიან ქალები, რომლებსაც შინაბერობისა ეშინიათ. არიან ძალიან ახალგაზრდა ქალები, რომლებიც კარგი ოჯახის შვილები არიან, არაფერი აკლიათ, არც ფუფუნება, არც განათლება და არც გარეგნობა, მაგრამ ამ უკანასკნელს იყენებენ ფუფუნების მეტი სიმძაფრით შეგრძნებისთვის და გათხოვებამდე ამგვარად ყოფნა ჰგონიათ დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მწერალს არ მოსწონს მეშჩანი, სულამოგლეჯილი მდედრებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნამდვილი სიყვარულისთვის ამ რეალობაში ადგილი არცერთ კუთხე-კუნჭულში არ მოიძევება, მაგრამ არიან ოჯახის ქალებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კარგი ოჯახის ფასი ქვეყნად არაფერია. თუმცა ბევრი ქალი იტანს ქმრის ღალატსა და უნიათობას, აი, სიბერეში კი გებულობენ ერთად ყოფნის სიკარგეს. არიან ისეთი ქალებიც, რომლებსაც არასდროს არც ქმარი ჰყოლიათ და არც საყვარელი, ვინაიდან აღმოაჩინეს, რომ თანამედროვე კაცები არამც თუ რაინდები აღარ არიან, მათ ნორმალურ ადამიანობაშიც ეჭვი ეპარებათ. ქალს გათხოვება ყველა ასაკში შეუძლია, მაგრამ შინაბერები ცხოვრების გართულებას გაურბიან და, ბოლოს და ბოლოს, ბერბიჭობას ხომ ისევ შინაბერობა სჯობს!..

არიან ქალები, რომლებსაც სიკვდილზე მეტად სიბერისა ეშინიათ. ისე, მაგ ორივესი მეც მეშინია!

მაიკოს მოთხრობის მიხედვით, ბევრ მამაკაცსაც ეშინია ჭკვიანი და განათლებული ქალებისა. რას ვიზამთ, ყველა ადამიანი ერთნაირი ვერ იქნება, ამიტომაც ცხოვრება რთულიც და

საინტერესოც. ანმყოში მეტი თავისუფლებაა, მეტი გასაქანი, მეტი შესაძლებლობები და „რაც ადრე ბოზობად ითვლებოდა ახლა მოსული პონტია.“

არსებობს მარადიული ფასეულობები, რომელთა გადაფასებაც ადამიანის ცნობიერების დამახინჯებასა და საზოგადოების რღვევას იწვევს.

მწერალი ადამიანის სულში წარმოქმნილ თვითმკვლელობის იდეას გმობს. პრობლემამ და სასოწარკვეთამ თვითმკვლელობამდე არ უნდა მიგვიყვანოს, არ ღირს, ვინაიდან თავის დროზე სიკვდილი გვერდს არავის აუვლის. სიკვდილი რომ გელოდა და მაინც გადარჩი, აი, ეგაა ღვთის წყალობა. ადამიანმა უნდა იღვანოს, სათქმელიც უნდა თქვას მხოლოდ გულში, თავისთვის კი არა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად ან ვინმესთან, ვინც ყურადღებით მოუსმენს და შესაძლოა დარიგებაც გამოიმეტოს თუკი ეს თავად შენ გჭირდება და სულაც არაა აუცილებელი, ის იყოს ნათესავი, ოჯახის წევრი, მეგობარი, იყოს თუნდაც უცხო, მაგრამ ნამდვილად კარგი ადამიანი, მათ, შესაძლოა, ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეხვდე, მაგრამ თავი სამუდამოდ დაგამახსოვრონ.

მჯერა, რომ შემოქმედ ადამიანებს მხსნელი ნისლები ემეგობრებიან. ისინი ყველგან თან სდევნენ რჩეულთ, სააქაოშიც და საიქიოშიც. მაია ვარდისფერი ადამიანია და ამავე ფერისაა მისი მეგობარი ნისლიც.

2023 წელი, 26 ოქტომბერი

შთაბეჭდილება

მანანა ქიმერიძის პირველი რომანი „ალბათ ანგლეტერში“ არაა იოლად წასაკითხი ნაწარმოები, თავისი სიღრმით ის შეიცავს სიურეალიზმის ელემენტებს, ანუ მსუბუქადაა გაჯერებული სიურეალიზმით, რაც რომანის გმირებს მისტიკურ გარემოში ხვევს, აბრუებს. აქაა ბევრი ფიქრი იმის შესახებ თუ რისთვის გავჩნდით ამ ქვეყანაზე. რისთვის? - სიყვარულისთვის, ერთურობისთვის შესახიდად, გადასარჩენად, საშველად...

რით იწყება ქალსა და კაცს შორის სიყვარული? - ამ რომანის მიხედვით, პასუხსაც იოლად იპოვით, ესაა ერთურობით აღფრთოვანება, რომელსაც წარმოშობს შთაბეჭდილება, ეს უკანასკნელი ადამიანებს შორის ჰბადებს აქამდე უცნობ ემოციებს, ფიქრებს...

შთაბეჭდილებები ქმნიან პიროვნებას, აკეთილშობილებენ ან ძირს სცემენ, ყველაფერ კარგს აცლიან და აცარიელებენ. განა არ შეგხვედრიათ ადამიანი - სიცარიელე? ეგოისტი, მხოლოდ საკუთარი თავის სიამოვნებაზე რომ ფიქრობს, მხოლოდ ფულსა და კომფორტს რომ აღმერთებს და ადამიანებს მომხმარებლური თვალსაზრისით უახლოვდება. მრავლად დადიან დედამიწაზე ამგვარი ადამიანები და ყველაფერს წამლავენ, რასაც შესწვდებიან.

შთაბეჭდილება ერთერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია სიყვარულის კოქტეილისა. ეს ის მომენტი, როცა ქალი და კაცი ერთურობს აღაფრთოვანებს. იბადება სიყვარული ორ უცხოს შორის და იწყება გაცნობის, შეჩვევის ხანგრძლივი პროცესი, რაც თავისთავად საინტერესოა, შარმსა და სინაზეს ანიჭებს ადამიანთა პირად ცხოვრებას, ერთურობით შეპყრობილებს მარტოობას ავინწყებინებს, ვინაიდან შეყვარებული ადამიანი აღარცაა მარტო. ამ დროს ყველაფერი სხვანაირად, არამიწიერად ამალღებული გეჩვენება.

რომანში არის ეროტიული სცენები. არაფერი ისეთი არ ხდება, რაც არ ხდებოდა და ხდება წყვილებს შორის, მამაკაცი ეხება ქალის სხეულს და ეს იმდენად სასიამოვნოა ქალისთვის, რომ

აღფროვანებული სტრიპტიზს ანყოზს წარმოსახვით. დიახ, აქ ავტორი მიგვანიშნებს, რომ შეხება შესაძლოა სექსზეც სასიამოვნო იყოს, მომენტი დიადი ნეტარებისა, როცა ძარღვებში სისხლი გიჩერდება და ამის შემდგომ რა ძნელია განშორება, მიდობარ და აღარ გაქვს მასთან მოულოდნელად შეხვედრის იმედი.

პიროვნული გაორება, რაც უკვე იყო ფიქრებში, ოცნებებში, ან იყო ოდესღაც წარსულში და დასრულდა, შესაძლოა განმეორდეს ანმყოშიც, რასაც ვუნოდებდი ცხოვრების ოპიუმს, ვინაიდან ადამიანებს წარსულში მომხდარი ან ნაოცნებარი სიუჟეტები თან სდევთ.

განვლილი გზის ფრაგმენტები ქმნიან ცხოვრებას და არა ყველაფერი, რაც ხდება ჩვენს ყოფაში. ის მთავარი დაგვყვება. სიცოცხლით აღგვაფროვანებს, გვამოგზაურებს დროსა და სივრცეში.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნივთებზე, შეგრძნებებზე, აკვირდება ადამიანებს, ბევრს ფიქრობს, მსჯელობს, აღწერს. უნდა ავლნიშნო, რომ ზოგიერთი მკითხველისთვის ამგვარი ლიტერატურული ტექსტი გამაღიზიანებელია, ვინაიდან მკითხველთა შორის მრავლად არიან ისეთნი, რომელთაც ამბის უცბად და მარტივად გაგება სურთ, რომ მალე დაასრულონ კითხვა. იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ გართობისთვის ვინც კითხულობს, ამ რომანს ვერ წაიკითხავს. ეს წიგნი ითხოვს მოთმინებას, მას უნდა მიჰყვე, არაფერი გამოტოვო, ვინაიდან დასაწყისშივე ავტორი ეუბნება მკითხველს, რომ შენც აქ ხარ, პირადად შენ გიყვები ამ ისტორიასო.

ამ რომანის წაკითხვა ისეთ მკითხველსაც გაუჭირდება, ვისთვისაც უცხოა თანაგრძნობა, სხვის ჭირისა თუ ლხინის გაზიარება. ვისაც არ გააჩნია მოსმენის უნარი და შინაგანი კულტურა. ვისაც მაღალი სულიერება აქვს და არც წაკითხობა აკლია, „აღბათ როტერდამში“ იქნება საინტერესოდ წასაკითხი.

რომანი გაჯერებული არომანტიკული სულისკვეთებით. ვიცი, რომ ეს რომანი ქალმა დაწერა, მაგრამ წაკითხვისას ზოგჯერ

ვკრთებოდი, ვინაიდან ქალისთვის უცხო ემოციები იჭრებოდა ჩემში, როგორიც, ალბათ, კაცებს აქვთ ხოლმე და მივხვდი, ქალი იმიტომაა ქალი, რომ ქალურად შეიგრძნობს, განიცდის, კაცი კიდეც კაცურად და სწორედ ამიტომაა ქალისა და მამაკაცის მიჯნურობა ასეთი ლამაზი, საინტერესო, მომხიბლავი. ამ დროს ხდება დანდობა, ერთგულება, ღალატიც და სასტიკი სიყვარულის ჟამს სწორედაც რომ ყველაფერი მოსულა, მაგრამ მეტკინა დასტური ავტორისა არამარადიულობის შესახებ, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი, დასასრული. ემოციებიც კი ჩლუნგდება და საბოლოოდ გვტოვებს. თუმცა სიყვარული მაინც ჩვენს შიგნით ცხოვრობს.

გვიყვარს და მაინც ვკარგავთ მთლიანად ან სანახევროდ მთელი ცხოვრებაც რომ ერთად დარჩეს ქალი და კაცი, მაინც რაღაც იკარგება, ალბათ იმიტომ, რომ ყოველდღიურობა და თანაცხოვრება გვაჩვენებს სიყვარულის სასწაულებრივ გარემოში ცხოვრებას და მთავარი უბრალოვდება, შთაბეჭდილებების მიღება და ერთურობით აღფრთოვანების მომენტები მცირდება ან საერთოდ ქრება. ყოველდღიურობა არ გვაძლევს იმის უფლებას, ყველაფერი მუდამჟამს გავარომატიულოთ, მაგრამ ერთი რამ ნათელია, შთაბეჭდილებები ქმნის ბედს ან ბედის გარკვეულ ნაწილს, ქმნის ოცნებისა და მიზნისკენ მიმავალ გზებს, ამგვარად, ადამიანი იქმნის თავის მიერ შექმნილ ახალ რეალობას, ეს რეალობა გამოწვევების წინაშე გაყენებს და თუ ვერ გაუძლებს, დამარცხდება. ზოგჯერ შვილები, მშობლები, ახლობელი ადამიანები არ უსმენენ ერთმანეთს, თანაგრძნობას გაურბიან, ფიქრობენ, -ჩემი გაჭირვება და ბედნიერებაც მეყოფაო. ჰო, და გარე-გარე ვეძებთ მონათესავე სულის ადამიანებს, მაგრამ აქაც შესაძლოა განზილდე. ნაწარმოებში არის ერთი მომენტი, როცა პერსონაჟი უცხო ადამიანს გულს გადაუშლის, მსმენელი კი თავს შეიკავებს კომენტარებისგან და მარტივი რჩევით შემოიფარგლება, მაგრამ იმას კი სჯობს, ახლობელი ქოქოლას რომ დაგაყრის და განგსჯის. ავტორის თქმით, უცხო ადამიანის

ნინაშე საკუთარი ამბის თხრობა არის თავის შექცევის გულუბრყვილო ფორმა.

21-ე საუკუნეში ადამიანების დიდმა ნაწილმა საკუთარი თავიდან გააძევა „სხვისი მე“. ამგვარი გაძევება ხდება დედამამშვილობაში, მშობლებსა და შვილებს, მეგობრებს, ახლობლებს შორის. ადამიანები მთელი ცხოვრება ერთად არიან და სიყვარული ერთურობის მიმართ დაკარგული აქვთ და სადაა შველა? ალბათ, პირად ურთიერთობებში, იპოვო შენი ნაწილი, თუნდაც დროებით, ეს ფუფუნებაა და ამის გამო ღირს არსებობა, თუმცა პირად ურთიერთობებშიც შესაძლოა „მურმანის ეკალივით“ ჩაეჭედოს საყვარელ ადამიანებს შორის. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირველად გაცნობის, შეხვედრის დეტალებს, შთაბეჭდილებას. უცხო, სხვა ადამიანი, რომელზეც გექმნება შთაბეჭდილება, რომ ის შენია. იქმნება ერთობლიობის შთაბეჭდილება, ის სხვა შემოდის შენში, ხორციელად, კონკრეტული სიყვარულის სახით, რომელიც გწყურია, გენატრება, არ გყოფნის, ეტმასნები, ეხუტები და თითქოს ესეც იხარჯება, ილევა, მთავრდება, როგორც ჩვენი ცხოვრება და რჩება მოგონებები, რჩება განცდილის თავიდან განცდის სურვილი, ვინაიდან ის წარსული უკეთესი იყო, ვიდრე აწმყო, რომელშიც ხარ ახლა და ამ წუთს.

რომანში ვხედავ ფერებს, სინათლეს, მზის სხივებს, სცენებს ყოფითი ცხოვრებიდან, რომლებიც ქმნის შთაბეჭდილებებს, თითქოს იმპრესიონისტ მხატვართა საგამოფენო გალერეა თქვენს თვალწინ. მწერალი გვიხატავს ცხოვრებისეულ ეპიზოდებს დინამიკაში და გვიქმნის ერთ მთლიან შთაბეჭდილებას, თუმცა ეს მოძრაობები არის დაუსრულებელი, იმიტომ, რომ მწერალი გვეუბნება, მთავარი საკუთარი შთაბეჭდილება, განცდები და განწყობაა.

შთაბეჭდილება წარმოქმნის ფანტაზიებსაც, ზოგჯერ აღვირახსნილს, მაგრამ მშვენიერს, რაც სიცოცხლეს უხანგრძლივებს ადამიანურ გრძნობებს. ცხოვრება წარმოუდგენელია ინტიმურობის, სექსუალური ფანტაზიების გარეშე, ვერავინ დაიკ-

ვეხნის, ამგვარი რამ არასდროს დამმართნიაო. ერთფეროვნება მოსაწყენია, ვინაიდან შთაბეჭდილებებს აჩლუნგებს, ამიტომაც, ჩვენს ცხოვრებაზე სიზმრებიც რომ ზემოქმედებენ.

„ალბათ როტერდამში“ არის რომანი, რწმელსაც მშრალი გემო აქვს. ამ კონკრეტული ნაწარმოებით ავტორი იმპრესიონისტ მხატვრებს ჰგავს და როგორც მწერალს, ვუსურვებ ნარმატიბებს.

2020 წლის 19 თებერვალი

ერთი ნაღიჯ ბჰვრ რამეს ცვლის

მანანა ქიმერიძის ახალ რომანში „ლანდები ანგლეტერში“ გადმოცემულია 20-ე საუკუნის დასაწყისის რუსული სინამდვილე, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინა და შემდგომი პერიოდი, რომლის ექო, ბუნებრივია, საქართველომდეც აღწევს, ნაცარტუტად აქციოს ყოველივე ძველი და აიძულოს საქართველო საკუთარ სივრცეში შექმნას მუშათა და გლეხთა ორიგინალური, ახლებური, ბოლშევიკური ქვეყანა. ოთხი მთავარი პერსონაჟი დაგამახსოვრდებათ, ესენი არიან კონსტანტინე, მართა, გიორგი და ნანო. პირველი წყვილი 20-ე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობს, გიორგი და ნანო - ანმყოში, 21-ე საუკუნის დასაწყისში. მათ საუკუნე აშორებთ ერთმანეთისგან, პრობლემები კი ანალოგიური აქვთ. მთავარი სათქმელი მწერლისა ის გახლავთ, რომ დროებამ და განსაკუთრებულმა ვითარებამ შესაძლოა მკვეთრი ადამიანებიც კი ლანდებად აქციოს. განსაკუთრებულად საშიშ, გაუგებარ, ბნელ ანმყოს ძალუძს ადამიანის ნაშლა და აჩრდილად ქცევა და ამგვარ ყოფაში სუნთქვა, მითუმეტეს, განძრევა საშიშია, შესაძლოა ვერ გაგიგონ და ფიზიკურადაც გაგანადგურონ.

მსოფლიოს სუნთქვა განსაკუთრებულია, ცვლილებები ინვევენ ნგრევას, რომელსაც თან მიაქვს მრავალი ღირებული რამე და ავტორის აზრით, ნანგრევებზე მდგარი გადარჩენილი ადამიანები თავიდან ასაშენებლად ემზადებიან, ახლებურადაც აშენებენ, მაგრამ კარგად მივიწყებული ძველი, რაც ახლის აშენებას წაადგება, გახსენებული და გამოყენებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანები ერთსა და იმავე შეცდომებს პირად ცხოვრებაშიც იმეორებენ და ქვეყნის აშენების დროსაც, მაგრამ ორ მოსიყვარულე გულს ყველა ეპოქაში ერთნაირად უყვარდება. ადამიანებს შორის წარმოქმნილი სიყვარული ინდივიდუალურიცაა და საერთოც მრავალი აქვთ, მაგალითად, როცა საყვარელი არსება გვერდით გყავს, უყურებ, ეხები და მაინც გენატრება. ანმყოში მცხოვრები დავითისა და ნანოს ურთიერთობა კონსტანტინე-

სა და მართას ერთობას ძალიან ჰგავს. 21-ე საუკუნის თბილისის ქუჩებში წინა საუკუნის დასაწყისის ჩრდილები აქა-იქ მაინც კრებიან, ასე გრძნობს ავტორი და განცდასაც ოსტატურად გვიზიარებს. ანმყოშიც საუკუნის დასაწყისია, რომელიც შესამჩნევლად და ზოგჯერ შეუმჩნევლადაც ფერისცვალებას განიცდის და სხვაგვარ ფორმებად ყალიბდება.

ქვეყნის ისტორიისთვის ერთი წელი წამიც არაა, მაგრამ ადამიანური ცხოვრებისთვის საკმარისია, რომ ბევრი რამ მკვეთრად გარდაქმნას. ერთი წელი ბევრ რამეს ცვლის, შეუძლია გააბედნიეროს ან სიცარიელეში ცხოვრება აიძულოს პიროვნებას. ბედი ალბათ არსებობს, მაგრამ რეალობაც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანთა ცხოვრების მიმართულებების წარმართვაში. უცნაურ, ბურუსით მოცულ ანმყოში შესაძლოა საკუთარი ბედნიერი დღე, მაგალითად, როგორიცაა ჯვრისწერა, რეალობად ვერ აღიქვას და სიზმარი გეგონოს. ტაძრიდან გამოსული ცარიელ ქუჩებს მიუყვებოდე ცხოვრების თანამგზავრთან ერთად და ვერ გრძნობდე სიხარულს, ვინაიდან ქალაქს სძინავს და ქუჩებიც ალაგ-ალაგ მოყინულია, და რა სასწაულია, გზად გაღებულ საკონდიტროსთან აღმოჩნდე, ქალაქი მაინც თვლემდეს. ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი, შეიგრძნობდე საკუთარ სივრცეს და განცდებით გაბრუებული სასიამოვნოდ ითენთებოდე და გამოფხიზლებულს გაურკვეველი შინაარსის შიში გიპყრობდეს. თავის დროსა და ადგილზე სევდა-მწუხარება მისაღებია, მაგრამ, როცა ეს ორი მაინცდამაინც სიხარულს ერწყმის, მაშინ სულშიც უფსკრული ჩნდება, უზადოდ ღრმა და ძალები არ გყოფნის მის ამოსავსებად, შესაძლოა გულის სწორიც გვერდით დაგიდგეს დახმარების ხელის გამოსაწვდენად, მაგრამ მაინც უძლურებას გრძნობდე, ვინაიდან სატრფოს სულსაც შავი კაემანი დაუფლებია, ვინაიდან თითქმის შეუძლებელია ყოფნა გამოუძერწავ-გამოუკვეთავ, უსილუეტო, ბუნდოვან სივრცეში და არც იცი, ვერ გარკვეულხარ, წინ რა შეგეფეთება, ამიტომ ახლობელი ადამიანის დაკარგვის შიში გიჩნდება სულში და საკუთარ თავსაც ეკარ-

გები, ნუგეშს ეძებ და ვერ პოულობ. წინასწარ არვინ იცის, მოუწევს თუ არა ადამიანს ბნელი გვირაბის გავლა, უკუნეთივითაა იქ და შესაძლოა გვირაბიდან გამოაღწიო და გეგონოს ისევ იქ ხარ ჩარჩენილი, ვინაიდან გვირაბის ბოლოს შუქს არ შემოუნათებია, გასულიც სიბნელეში მიიწევ წინ და ცასაც ვერ ხედავ. კარგი ისაა, რომ ადამიანებს ბნელეთშიც აქვთ ნათელი სხივის შემოჭრის იმედი, ნათებისა, გაჩახჩახების დამკვიდრების რწმენა.

მწერალი რომანში განსაკუთრებულად გარემოზე გვიმახვილებს ყურადღებას, ნივთებზეც, სამოსზეც, ქალების ფერუმარილით დაფარულ სახეებზე, წითელი ფერის სხვადასხვაგვარ ტონიან ტუჩსაცხებზე, მძივებზე, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის მეოცე საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ქალების გარეგნობაზე.

ძალზედ მნიშვნელოვანია ნაწარმოებში კაფე, სადაც კონსტანტინე და მართა სავახშმოდ დადიან. ამ კაფეს ადამიანივით საინტერესო წარსული აქვს. ერთ დროს, ამ სივრცეში ხელოვანები, ბოჰემური ცხოვრების მოყვარულები იკრიბებოდნენ, შემდეგ აქ გაჩნდა ცვილის ფიგურების მუზეუმი, რომელიც მალევე გაუქმდა, საბოლოოდ კაფე აღადგინეს, რომლის განსაკუთრებული ინტერიერი კლიენტებს იზიდავდა და იყო დრო, როცა აქ ჭურჭელს ჰყიდნენ და ევროპიდან ჩამოტანილი ნელსაცხებლებითა და ფერუმარილებით ვაჭრობდნენ. მაღაზია ჰოლანდიელ ვაჭარ ლე როამს გაუხსნია, რომლისთვისაც „როტერდამი“ დაურქმევია.

ცოლ-ქმარი კონსტანტინე და მართა ახერხებენ ძნელბედობის ჟამსაც გაილამაზონ ცხოვრება, არ დაგავიწყდეთ, უკვე იმგვარი ვითარებაა, რომ ფულიც რომ გქონდეს, შესაძლოა საჭმელი ვერ იშოვო. მათ აქვთ შესაძლებლობა, ვერცხლის ლანგარზე ხელები აფათურონ, კონიაკი ბროლის ჭიქებიდან მოწრუპონ, გამჭვირვალე ფუჟერებიდან შამპანური მოსვან, ფართო ფაიფურის თეფშზე ნაირნაირი ტკბილეული ჰქონდეთ დალაგებული, დასაგემოვნებლად. ახერხებენ ერთი ღამით მაინც დარჩნენ ძვირადღირებულ სასტუმროში და დაივიწყონ გაუგებარი, შავ-

ბნელი დროება, რომელშიც საკუთარი ნებით არ მოხვედრილან. მოკლედ, ყველანაირად ცდილობენ იცხოვრონ თუმცა სასტუმრო „ანგლეტერსაც“ რევოლუციის შავბნელი აჩრდილი თავს ადგას. ეს ის „ანგლეტერია“, რომლის ჭერქვეშ ესენინმა თავი მოიკლა. მოგვიანებით, თბილისში, მწერლის სახლში იგივე გააკეთა მწერალმა პაოლო იაშვილმა.

მწერალი გვახსენებს ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებს, რომელიც რევოლუციის ქარცეცხლს მოყვა. ვერ დაშოშმინდა ქვეყანა. რევოლუციის შემდგომ პერიოდში მრავალმა ადამიანმა თვითმკვლელობა ჩაიდინა, ბევრიც მოკლეს. წყდებოდა სროლის ხმები. არაა გასაკვირი, ქაოსში ადამიანს მარტოდ დარჩენის შიში რომ გაუჩნდეს, ვინაიდან რჩეულის გარდა არც არვინ აღმოჩნდეს გვერდით მდგომი. აკი, არეულმა დროებამ კონსტანტინე და მართა ერთუროს ფიზიკურად დააშორა, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა და დაშორება დროებით მოვლენად იქცა. მანანა ქიმერიძე მიგვანიშნებს, როგორი ცუდი დროებაც გინდა იყოს, ადამიანმა უნდა მოახერხოს საკუთარი თავის გახალისება, რომ ამ ქვეყანაზე საკუთარი თავის ყოფნა გაამართლოს. ყველაზე ბინძურ დროებაშიც შესაძლოა წაანყდე სილამაზეს, მშვენიერებას და მასზე გაამახვილო ყურადღება.

მრავალი ცუდი რამისკენაა ადამიანი მიდრეკილი, რომელიც თავს უფლებას აძლევს გააზრებულად დაარღვიოს ისტორიული მოვლენის მთლიანი სურათი, ცალსახად განიხილოს პასაჟები, რომლებიც მოსწონს ან მიუღებელია მისთვის და თვალს ვერ უსწორებს. ასე იყო 20-ე საუკუნის დასაწყისში, ასეა ახლაც, 21-ე საუკუნის სათავეში, ფაქტი კი ერთია, კაცობრიობა მუდმივად იბრძვის თავისუფლების მოსაპოვებლად და რომ ჰგონია მიზანს მივალწიეო, აღმოჩნდება, რომ თავიდან უნდა ეომოს მონობასა და ათასგვარ უბედურებას, რომ გადარჩეს.

კონსტანტინესა და მართას პირად მიმოწერაში ჩანს გასული საუკუნის დასაწყისის სისასტიკე. მათი წუხილი, ტკივილიანი, მტანჯველი მომენტები. იმ დროს ხომ მსოფლიო ომსა და

რევოლუციის ქარცეცხლში იყო გახვეული და ემიგრაციაც ყოფის მნიშვნელოვანი ნაწილი გამხდარიყო, ასეა დღესაც, ისტორია მეორდება!

კონსტანტინე ინჟინერია, განათლება გერმანიაში აქვს მიღებული, მას სამუშაოდ პეტერბურგში მიიწვევენ, მიდის, მაგრამ ნანობს, ვინაიდან საყვარელი ქალის გარეშე თავს უბედურად გრძნობს. პეტერბურგში მართას ჩამოსვლამდე სამშობლოც გაუსაძლისად ენატრება, მაგრამ უკან ვერ ბრუნდება, დაწყებული საქმე აქვს ჩასათავებელი. მძაფრად შეიგრძნობს, რომ ის რუსეთში უცხოა და არვინ დაინდობს, თუ რამ საეჭვოს შეამჩნევენ. რევოლუცია უნდა მოხდეს, რომელიც ჩანასახშივე გამანადგურებლად საშიშია. გრძნობს, რომ საყვარელ ქალს კაი ხანს ვერ შეხვდება და მონატრების მტანჯველ კაეშანშიც გაეხვევა. „მართა, ძვირფასო, ჩავედი, სახლში მოვეწყე და თავს ერთი კითხვა დამტრიალებს, არ ვიცი, აქ რამ ჩამომიყვანა, რა ძალამ, ან შენ რად მომეცი უფლება ჩამოვსულიყავი, უშენოდ როგორ ვიცხოვრო, ან აქ რა მინდა, არ ვიცი რამდენ ხანს გავძლებ. საქმეს როგორც კი მოვრჩები ერთ დღესაც არ გავჩერდები, უმალ მანდ გავჩნდები. სამსახურის იმედი დამრჩა, რომ შევძლო, როგორმე მარტოობას მოვერიო და დღეები გავიყვანო.“

საუკუნის გასვლის შემდგომ ნანო და დავითიც მართასა და კონსტანტინესავით ვაშლის ნამცხვარს და ღვეზელს მიირთმევენ, ისინიც ერთად დაიარებიან ქალაქის ქუჩებში, - წინა ეპოქის სარკისებური ანარეკლი ანმყოში. ბუნდოვანია ანმყო, როგორც მაშინ, ახლაც ხალხმრავალ ადგილებს უნდა ერიდო, სიცოცხლისთვის სახიფათოა. ჯარისკაცები ფრონტიდან ბრუნდებიან, ზოგი ცოცხალი, ზოგიც მკვდარი. წინა საუკუნეში საავადმყოფოები დაჭრილებით იყო სავსე, ანმყოშიც ასეა, იმ განსხვავებით, რომ უცნაური რალაც ავადმყოფობა დაძრწის და ადამიანებს ახრჩობს. მაშინაც და ახლაც, დამშეული ხალხი გარეთაა გამოსული და ინჟინრები, მაშინაც და ახლაც საჭირონი არიან თუმცა დღევანდელ საქართველოში მათ ცოდნას ვერ იყენებენ...

ნანო და დავითი ერთად არიან, მაგრამ ერთ ჭერქვეშ არ ცხოვრობენ და ალბათ, ესაა მიზეზი, რომ კაცს აქვს განცდა, ნანო, რაღაც მნიშვნელოვანს მიმალავსო. ქალი არაფერს ამბობს, საერთოდ არაფერს და დავითის გარეშე ცხოვრება უჭირს. დავითი მწერალია და წერის დროს ქალს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს, მაგრამ კაცის ფიქრები სულ ნანოს დასტორიალებს, უყვარს!

ადამიანები ეძებენ სიბოხს, სიყვარულს, ერთობას, იმედს, რომ თავი მარტოდ არ იგრძნონ. ადამიანები ერთუროს ველადადებით, „შენ ხარ?!“ „არსად წახვიდე...“ „არ დამტოვო“, „უშენოდ ცხოვრება ფერს კარგავს...“ „მალე დავბრუნდები!“ ზოგს ეძლევა შესაძლებლობა დანაქადნევი შეასრულოს, ზოგს არა. საქმე ისაა, რომ ადამიანმა ყველა დროსა და ვითარებაში შეძლოს სულის გადარჩენა, რომ რეალურ ყოფაში შეძლოს ადამიანურად ცხოვრება, იმედის ჩაუმქრალად სუნთქვა.

მარადიული ნაწი

რომანი „სეკრეტერი“ მანანა ქიმერიძის რიგით მესამე ნაწარმოებია, რთული სიუჟეტით, სევდით აღსავსე. სიყვარულზე, ნდობაზე, უნდობლობაზე, ცხოვრებისეულ გამოცანებზე, არჩევანზე, ძველი ყოფის მსხვერველსა და ახალი ეპოქის დანაშაულის თავისებურებებზე მოგითხრობთ, მკითხველო, მწერალი.

ნაწარმოები თითქოს დეტექტიური ჟანრისაა და თან არცაა, ვინაიდან, მწერალს სუფთად ქალისა და მამაკაცის პირადი ურთიერთობები აინტერესებს იმ ფონზე, როცა მსოფლიოში იცვლება ყველაფერი, ხდება ფასეულობების გადაფასება, როცა მონიწივე ქვეყნებში საზოგადოება თავად ხდება პოსტმოდერნისტული, ძნელია ცხოვრება, სუნთქვაც კი, ვინაიდან გარდამავალ პერიოდში უჭირს ყველას, ინტელექტუალებს, მინათმოქმედებს, ხელოვანებს, მეცნიერებს, მედიცინის მუშაკებს, თვით ფსიქოლოგებსაც უჭირთ მძიმე სულიერი, გამოუვალი მდგომარეობიდან ადამიანთა გამოყვანა, თავადაც ჩიხში არიან. უჭირთ რელიგიის მსახურთ. ყველა იძულებულია მოერგოს ცხოვრებაში შემოსულ ახალ ყოფას, მიდგომებს, გადატრიალებებს. არის იმგვარი სიახლეებიც, რაც მანამდე არსებულს საერთოდ არ ჰგავს და ძნელია ყველაფერ ამასთან შეგუება, ადამიანებს ორ ადგილას სტკივით, სულში და კიდევ თავში, სადღაც, რომელიღაც ადგილებში, ვინაიდან იქ, ძველის მსხვერველ მიმდინარეობს, ახლით ჩანაცვლება ხდება და ჯერ ისევ ცარიელია გარკვეული ადგილებიც... სიცარიელე კი ადამიანს ყველანაირად ასუსტებს და საკუთარ უსუსურობაზე აფიქრებს.

„სეკრეტერი“ ანალიტიკური რომანია, ზოგ საკითხს ღრმად განიხილავს მწერალი, ზოგი დეტალი რაღაც ეტაპამდე მიჰყავს და თავს ანებებს, არ ასრულებს. ის წერს იმ დროზე, როცა ადამიანები უფერულდება და ბევრი რამ, რაც საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულია ადამიანთა ცხოვრებაში, ჩანს, რომ შინაარსი დაუკარგავთ, მეტიც, ზოგი რამ თავისით გამქრალა ისე, რომ

ვერც გაგვიგია, თუმც, ახალიც შეუმჩნევლად მოსულა და დამკვიდრებულია კიდეც, თუნდ ადამიანთა ურთიერთობებში.

მწერლის თვალთახედვით, ყველა ეპოქას თავისი, განსაკუთრებული სუნთქვა აქვს და პირველსავე თავში, კითხვისას იგრძნობთ, რომ ახალი ეპოქა დაწყებულია, თუმც ძველის ნარჩენებიც გამოკვეთილია, ეს თავად ქალაქსაც ეტყობა, რომელშიც ნაწარმოების გმირები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისია. ერთდროულად მოჰკრავთ თვალს ფაეტონსაც და ავტომობილსაც. სხვადასხვა ამბები, მოვლენები ერთურთშია არეული. თითქოს ძველს გაქრობა არ სურს და იბრძვის სიცოცხლისთვის და გადადის ახალში, ჯიუტად ერწყმის მას, ჯერ კიდეც გამოუძერწავს, ჩამოუყალიბებელს და დაუმკვიდრებელს.

ერთნი ეკლესიებს ანგრევენ, მეორენი გადაკეთებას ლაშობენ, თითქოს რელიგიების ნაშლა სურთ ახალი ეპოქის, ახლებურად მოფიქრალ ადამიანებს, მაგრამ საიდანლაც მაინც ისმის გალობა და ლოცვა, რეკენ სამრეკლოს ზარებიც, თუმც, მათი ხმა აღარაა იმგვარად ომახიანი, როგორც ეს ჯერ კიდეც ახლო წარსულში იყო. თითქოს ჩურჩულებენ, ვინაიდან იდუმალი და ბოლომდე ამოუცნობია ახალი ეპოქის დასაწყისი.

თბილისი, ერთდროულად აზიური, მრავალენოვანი და ევროპული იერით, ზომიერად ჭრელი, XX საუკუნის დასაწყისშივე კარგავს თავის გარეგნულ სახეს, მანაც უნდა შეიცვალოს სამომავლოდ ფორმა და ზნე. აი, ამგვარ გარემოში ჩნდებიან მთავარი პერსონაჟები,- მარგოტი და ვოლტერი.

ავტორი ჩვენი თანამედროვეა, გასული საუკუნის შვილი უფროა, ვიდრე ამ საუკუნისა, ამიტომ, პარალელურად ის XXI საუკუნის დასაწყისში მცხოვრებ წყვილზეც მოგვითხრობს, ესენი არიან,- გერარდი და მატილდა.

ვოლტერი, მდიდარი, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი, რომლის სასახლის მსგავს მდიდრულ სახლში იკრიბებიან ადამიანები, ისინი მსჯელობენ ყველაფერზე, რაც მნიშვნელო-

ვანი და აქტუალურია. ვოლტერთან მეგობრობენ პოლიტიკოსებიც, საზოგადო მოღვაწეებიც და უცებ, მის ცხოვრებაში ჩნდება უმშვენიერესი, უცხო და გაურკვეველი წარმომავლობის, არაქართველი ქალი. ვოლტერს შეუყვარდება ეს ქალბატონი, მაგრამ მკითხველიც გრძნობს და შეყვარებული მამაკაციც, რომ ამ ურთიერთობაში რაღაც არასწორია, უსამართლოა. დიახ, ასეა! მარგოტი რაღაც, უსაფრთხოების სამსახურის მსგავსი უწყების მიერაა მიგზავნილი ვოლტერთან, როგორც ჩანს, მავანს და მავანს ის საშიშ ადამიანად მიაჩნია. საბოლოოდ, მარგოტი ვოლტერს ტყვეობისთვის გაიშვება, მაგრამ არა სიკვდილისთვის. ესვრის, დაჭრის და გაქრება მისი ცხოვრებიდან. მას ვიღაც სპეც-აგენტი ჩემოდანს მისცემს და ბილეთს ჩაუდებს ხელეში, რომ გაშორდეს თბილისს, ამ ქვეყანას და მკითხველი იგრძნობს, იმ მამაკაც აგენტს მოსწონს მარგოტი, ის ინდობს მარგოტს და ვინ იცის, იქნებ, სამომავლოდ ერთადაც იწყებენ ცხოვრებას.

მარგოტის ცხოვრებაში გაუთვალისწინებელი რომანი წარმოიშვა. მას უყვარს მამაკაცი, მაგრამ თავიდანვე შეგუებულია აზრს, რომ მასთან ვერ დარჩება სამუდამოდ თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის და მდგომარეობის, ვითარების გამო, მაგრამ ის ცოცხალია, ვოლტერიც გადაურჩება სიკვდილს, ორივე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აგრძელებენ ცხოვრებას, ვინაიდან, ცოცხალთათვის ყოველთვის არსებობს საშველი და გამოსავალი.

სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობენ მარგოტი და ვოლტერი უკვე XXI საუკუნეშიც. მათი ურთიერთობით დაინტერესებულია ახალგაზრდა გამომძიებელი გერარდი. ის მარგოტის ნათესავია, და, როგორც მკითხველმა ვიეჭვიანე, რომ ეს ყმანვილი შესაძლოა შვილიშვილიც კია მარგოტისა ან მარგოტისა და ვოლტერისა.

გამომძიებლის სეკრეტერში ინახება საქმე, სახელწოდებით „ვოლტერი“, ამ გაუხსნელ საქმეში საუკუნის წინანდელი ამბავი წერია, რომელსაც თან ახლავს ძველი მომხიბლავი ფოტოები.

გერარდის ცხოვრება ჰგავს ვოლტერისას. მის ბინაშიც იკრიბებიან მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები, ისეთებიც

გამოერევიან სტუმრებში, ადრე რომ არ იცნობდა და ზოგი ისეც გაუცილებია თავისი სახლიდან, რომ არც უკითხავს მათთვის, ვინ და რას წარმოადგენო.

სეკრეტერი, ნაწარმოების პერსონაჟია, მისაღებ ოთახში დგას მაღალი ნათურის გვერდით. მისით პატრონის გარდა, სხვებიც ინტერესდებიან, ვინაიდან ის საიდუმლოებებს და ისტორიებს, გახსნილ თუ გაუხსნელ საქმეებს ინახავს. სეკრეტერი ბევრის მნახველიცაა, მას ხედავენ გარედან, სეკრეტერზე იდებან წერილები, საბუთები.

გერარდის პიროვნებითაც დაინტერესდება რაღაც უწყება, სპეც -სამსახურის ორი აგენტი ესტუმრება, უცნობი კაცი და კიდევ ქალი, სახელად ელიზაბეტი. გერარდი მომხიბლავი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი კაცია. ის ხვდება, რომ ელიზაბეტი ბუნებრივად, ილბლის ნებით არ მოსულა მის ცხოვრებაში, ის ხვდება, რომ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს ახალ სატრფოსთან ყოფნით და გამორბის ელიზაბეტისგან, უბრუნდება საყვარელ ქალს, ვინც საკუთარი სიცოცხლესავით უყვარს. ის დროებით უჩინარდება მშობლიური ქალაქიდან და მიდის სულ სხვა ქვეყნის უცხო ქალაქში. ის გადარჩა ვოლტერის მსგავსად, ვინაიდან აგენტ ქალს მოსწონდა მასთან ყოფნა და თითქმის შეუყვარდა კიდევ გერარდი. ელიზაბეტმა მარგოტის მსგავსად დაინდო კაცი, რომელთანაც თავს ბედნიერ ადამიანად გრძნობდა და უფლება მისცა მას განეგრძო თავის ცხოვრების გზაზე სვლა.

ავტორი ხშირად გვახსენებს თავს, როგორც პერსონაჟი და ხან აწმყოზე წერს, ხან წარსულზე და წერს ისე, როგორც გამოსდის. საბოლოოდ რისი თქმა უნდა ავტორს თავის ნიგნში, როგორც პერსონაჟს? - იმისა, რომ ზოგჯერ რაღაც გერჩება სათქმელი, იმიტომ კი არა, რომ დაგვაფიქვდა ან ვერ მოვასწარიტ, არა, სულ უბრალო მიზეზია, ზოგჯერ არ გაქვს საჭირო სიტყვები, ვერ ვპოულობთ, რომ ვთქვათ. განა იმიტომ ვერ ამბობ, რომ ლექსიკა გაქვს ადამიანს ღარიბი. არა, საქმე ისაა, რომ ზოგჯერ სული დაბეჯითებით ითხოვს ადამიანისგან სიზუსტეს, რომ

გრძნობა გამოხატო სიტყვებით, ჰო, და როცა გრძნობა უზარმაზარია, გიპყრობს და სათანადო სიტყვებსაც ვერ პოულობ.

ქალბატონ მანანას ჩემი აზრით, იმის თქმა უნდა, რომ ცხოვრება მაშინ ხდება მშვენიერი, შინაარსიანი და თავად პიროვნება მაშინ ხდება შემოქმედი, როცა მის ცხოვრებაში დიდი სიყვარულია. ისაა მწერლის სანუხარი, რომ ადამიანთა დიდ ჯგუფს არ ძალუძს საკუთარ ცხოვრებას შესძინოს აზრი, ვინაიდან მათ არასწორი შეხედულებები აქვთ ცხოვრებაზე, კერძოდ, კარგ ცხოვრებაზე. კარგი ცხოვრება არ ნიშნავს დადიოდე კაზინოებში, არც ბევრი ფულია მთავარი, რომლის საშუალებითაც ვიძენთ საჭირო და არასაჭირო ნივთებს, ზოგნი ხშირად სტუმრობენ ბორდელებს, მოგზაურობენ უთავბოლოდ და რა აზრი აქვს იმგვარ მოგზაურობას, თუ ის არაფერს გძენს?! როცა ვერაფრით ტკბები, ვერ შეიგრძნობ და შიგნით კვლავ ცარიელი ხარ, ეს იმიტომ, რომ უსიყვარულოდ, ვნების გარეშე ცხოვრობ. მიდიან გრძელი ღამეები, დღეები, ბერდები, უახლოვდები სიკვდილს და თან ქარს ატან ადამიანური ცხოვრების ჭეშმარიტებას. ამგვარად მაცხოვრებელ ხალხს მწერალი უნიათოებს უწოდებს. მას აგრეთვე არ უყვარს შურისმაძიებელი ადამიანები, ვინაიდან შურისძიება მხოლოდ ერთი ადამიანისკენ მიმართული ნეგატივი არაა. ეს გრძნობა, თავად შურისმაძიებელსაც აზიანებს და ანგრევს, სპობს, როგორც პიროვნებას. ქალბატონი მანანა გვეუბნება, რომ როცა ნამდვილად უყვართ, იქ შურისძიების ადგილი არ არსებობს და არიან ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ერთხელ არ უყვართ ჭეშმარიტი სიყვარულით საპირისპირო სქესის ადამიანი და უყვარდებათ მრავალჯერ, სხვადასხვანაირად, მაგრამ ნამდვილად და, რომ სიყვარული არასდროს გადადის სიძულვილში. ვისაც ჰგონია, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ სიგიჟემდე უყვარდა და სიძულვილად გადაექცა ტრფობა, თავს იტყუებს ან არ ჰყვარებია ჭეშმარიტი სიყვარულით ის მეორე ადამიანი.

შენწყვეტილი სიყვარული, თუ ის ნამდვილია, ტოვებს მარადიულ წამს, რომ იყო, არსებობდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კიდევ არ შეგიყვარდება სხვა.

და კიდევ, ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ეხება მწერალი,- ადამიანთა არასრულყოფილებას და მათ დაუოკებელ ლტოლვას აბსოლუტური ჭეშმარიტებისკენ. სრულყოფილებისკენ ლტოლვის სურვილი და მცდელობაა ნამდვილი ცხოვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს მიზანი გახდეს უკეთესი, რომ ადამიანს აქვს შანსი, იყოს საინტერესო, კარგი ადამიანი და ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში თან წაიღოს მრავალი მარადიული წამი.

ისტორია, სიყვარული და მართობა

მწერალმა მანანა ქიმერიძემ რომანი „ლურჯი საკინძე“ სულ ახლახანს შექმნა, როცა მსოფლიო გაუცნაურდა საყოველთაო პანდემიის შედეგად. თითქოს კაცობრიობამ განვითარების პროცესი შეანელა. რაღაც ძალას სურს სილამაზის, მშვენიერების ადამიანებისთვის გადამალვა. ამ რომანის კითხვისას გამიჩნდა განცდა, რომ მსოფლიომ ამ საშინელი ჭირის გამოჩენამდე გაცილებით ადრე დაიწყო არასწორი გზით სვლა ხელოვნებისა და დიზაინის სფეროებში, ყოველივე მშვენიერის მორგების მცდელობა მასის გემოვნებაზე არ არის სწორი. არ შეიძლება ბევრის და ხარისხიანის მასიურად წარმოება ფაბრიკა-ქარხნებში და ყველაფრის ბიზნესად გარდაქმნა საყოველთაოდ, სახალხოდ, რაც ადამიანებში დაბნეულობას იწვევს და გემოვნების განვითარების ზრდას აფერხებს. ჩვენი აზროვნება ამგვარ ვითარებაში ზომაზე მეტად პრაქტიკული და მინიმალისტური მიდრეკილი ხდება. ალბათ, ამიტომ გაჩნდა მსოფლიოში ისეთი ჯგუფები ადამიანებისა, რომლებიც ხელნაკეთ ნივთებს მაღალ შეფასებას ანიჭებენ, ცდილობენ თავიანთი ჩაცმულობით სხვათაგან გამოირჩეოდნენ და ბრენდულ მაღაზიაებში კი არ იძენენ სამოსს, არამედ იკერავენ კუთვურიებთან პერსონალურად. ექსკლუზივის მოყვარული ადამიანები ცდილობენ გადაირჩინონ გემოვნება.

თეატრის მესვეურები ხელფეხშეკრულნი არიან, კინოს შემქნელებიც შეჩერებულნი დღესდღეობით. რაც დრო გადის მით მეტად უძნელდებათ ადამიანებს მშვენიერებასთან ზიარება. მოკლედ, ხელოვანი ადამიანებისთვის ეს პერიოდი ყველაზე დაუნდობლად გაიყინა და მაინც, ამ უცნაურ დროებაში არიან ისეთებიც, რომლებიც ახერხებენ იყვნენ ქმედუნარიანები. ქალბატონი მანანაც შემოქმედთა წარმომადგენელია, რომელმაც ამ რომანით მოახერხა მკითხველისთვის აეხსნა თუ როგორ აკეთილშობილებს ყველაფერში ჩადებული დახვეწილი მშვენიერება ადამიანებს. ყველა პროფესიის და საქმის მკეთებელს ძალუძს

გულით, სიყვარულით აკეთოს საკეთებელი და რასაც ქმნის, მასში სულის ცეცხლის ნაპერწკლები ჩააქსოვოს. მხოლოდ ასე შეიძლება შექმნას კაცმა საოცრებები, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველას არ შეუძლია იქცეს დახვეწილ, რაფინირებულ არსებად ისე, რომ ეს გრძნობებს, აღქმას, სულიერი სამყაროს სიმდიდრესაც ეხეოდეს და გარეგნობასაც ერთდროულად. ესთეტიკის საკითხებში კარგა ხანია მოიკოჭლებს მსოფლიო და ეს სტიკვა ავტორს, ალბათ, ამიტომაცაა, რომ ამ კონკრეტულ ნაწარმოებში ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინტერიერის, ექსტერიერის აღწერილობას, პერსონაჟთა ჩაცმულობას, მანერებს, ქცევის კულტურას. თვალში მოგხვდებათ თეთრი სადგური, იქ გამეფებულ სისუფთავესა და დახვეწილობაზე ამახვილებინებს მკითხველს ყურადღებას, ქალბატონი მანანა წინ მიგიძღვებათ ესთეტიკის სამყაროში. მაღალხარისხიანი ცხოვრების წესი, მშვენიერების სამყაროში ყოველდღიურად ღრმად ჩახედვა ადამიანს ცხოვრებისეული უარყოფითი წინაღობების გადალახვაში ეხმარება. ყველა რომანის გმირი, რაც დღემდე ამ შემოქმედს დაუწერია, არიან უდავოდ დახვეწილნი, ხარისხიანი ადამიანები.

ესთეტიკა სულიდან მომდინარეობს და არაა სავალდებულო, ამისათვის იყო მაინცდამაინც ხელოვანი. დარჩე სამყაროში დახვეწილ, გემოვნებიან ადამიანად, ყველასთვის შესაძლებელია თუ საკუთარ თავზე ღირებულად იზრუნებ. ამგვარად უფრო საინტერესო ხდება ყოფა, ვინაიდან ადამიანი პიროვნულობისაკენ იწყებს ლტოლვას და სიცოცხლეს ხიბლიცა და პენიც მაღალ ხარისხიანი უხდება. აი, ამის თქმა სურს ავტორს.

რაც არ უნდა დაუშალო, აუკრძალო, გამოკეტო ადამიანი, ის მაინც იხმაურებს. ენა რომ ამოგლიჯო და პირი გაუკერო, ის მაინც იხმაურებს შიგნიდან, ვერ დადუმდება, ვერ შეჩერდება, ამგვარია ზნე ადამიანისა.

რომანის მთავარი გმირები ფედერიკი და გაბრიელა საოცარი წყვილია, სწორედაც რომ დახვეწილნი, ელევანტურნი და ხმაურიანნიც. მწერალი ყურადღებას ამახვილებს ადამიანურ

სიჩუმეზე, ადამიანური რომაა, იმიტომ აქვს ფიქრსაც ხმა, რომელიც გულიდან მოისმის. ზოგი იმდენად ზემოქმედობიარეა, ოთახში ოდნავ რაიმე რომ გაშრილდეს იმნამსვე იგრძნობს თავის მიერვე შექმნილი იდილიის დარღვევას და სიჩუმის ხმის გაგონებასაც.

დახვეწილი ადამიანები ბევრნი არ დადიან ქვეყანაზე, ფსევდო-დახვეწილები რამდენიც გინდათ, მაგრამ სადაც გამოერევიან ნამდვილები, მკვეთრად შესამჩნევები ხდებიან. დაუხვეწელთა კი აღიზიანებენ ისე, რომ ზოგს შესაძლოა მათი განადგურების სურვილიც გაუჩნდეს, მაგრამ ფაქტია, ქუჩაში უბრალოდ გავლითაც კვალს ტოვებენ, თავს გამახსოვრებინებენ.

ახლა ჩვენ კოვიდის ტყვეები ვართ. მწერალი ცდილობს დაივიწყოს არსებული რეალობა და ამიტომ წერს ამდენს მშვენიერებაზე, დახვეწილობაზე, კარგ გემოვნებაზე, მაგრამ, როგორც ადამიანი, მოქალაქე გაღიზიანებულია ჩვენს ყოფაში გამეფებული ვითარებით და ის ეხება საყოველთაო კარჩაკეტილობის თემასაც.

მარტოობით ადამიანი უბედურდება, მაგრამ ზოგი ამას ვერ გრძნობს და თითქოს მოსწონს კიდეც მრავალ გარემოებათა გამო. ფედერიკი და გაბრიელა უცნაურ დროებაში ცხოვრობენ. აქ კეტავენ ქალაქებს, მაგრამ რატომ, ამას არ აღნიშნავს ავტორი, ასევე გვეუბნება, თუ სამშობლოდან გასული ხარ, თუნდაც სამოგზაუროდ უკან იოლად და ჩვეულებრივად ველარ დაბრუნდებიო.

ნაწარმოებში კარგად ჩანს, რომ ადამიანებს გაურკვეველ მიზეზთა გამო მორჩილებას აჩვენებენ, ხელოვნურად სტაციებენ ელემენტარულ უფლებებს, თუნდაც ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებისა, გაუგებარ აკრძალვებს უწესებენ, მაგრამ არასად წერს ავტორი, რომ სადმე რაიმე დაავადება გავრცელებული, რაც პანდემიად ქცეულა. მოძალადეები ძალადობენ ახლებურად, განსხვავებული, არაკლასიკური მეთოდებით, თითქოს სამყაროს გარდაქმნა სურთ და მაინც, ცხოვრება თავისი გზით მიდის, თანაც ძველებურად და მწერალი გვეუბნება, ამის მიზეზებს ბოლომდე ვერაფერს ახსნისო. თუმცა არსებობს ერთი

უტყუარი მიზეზი, რატომაც ხდება ასე. იმიტომ, რომ თითოეული ადამიანის ცხოვრება ცალკე ალბუმი ისტორიაა, ფიქრია, ჩუმი ხმაურია თავისებური, განსხვავებული. მოგონილი და ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებებით, შეზღუდვებით ადამიანებზე დამორგუნველად ზემოქმედებენ ვილაც უხილავები და დროსაც განგებ წელავენ, რომ ადამიანებს მოქმედების უნარები დაუჩლუნგონ, რომ ფიქრი, აზროვნება შეწყვიტონ, გაეგოისტდნენ, უხილავი ციხე-სიმაგრეები შემოიშენონ, გათითოკაცდნენ. არავის არავინ რომ არ სჭირდებოდეს, არავის არავისთვის ხელის განვდენა და შველა რომ არ შეეძლოს. აკი ფედერიკი ეუბნება კიდეც გაბრიელას, რომ სადაც არიან, იმ ქვეყანაში და კონკრეტულად ამ ქალაქში ყველას თავისი თავი გასჭირვებია, ვეღარც უცხოებს იტანენო, მაგრამ ფედერიკსა და გაბრიელას უკან, შინ დასაბრუნებლად დაბრკოლებები აქვთ გადასალახი, თითქოს ამათთვის ადგილი აღარსადაა... საქმე ისაა, რომ მავანი ვილაც, „ამა სოფლისა ძლიერი“ ვერ შეძლებს მილიარდობით ადამიანს სათითაოდ წაართვას პირადი ცხოვრება, ეს შეუძლებელია.

ქალბატონი მანანას რომანებში და აქაც, მარტოობის თემაზე განსაკუთრებულადაა ყურადღება გამახვილებული და საბოლოოდ ამგვარი დასკვნა გამოვიტანე, რომ მარტოობა არც ისე დიდი უბედურება ყოფილა, თუ ადამიანები და იმათ შორის ერთი განსაკუთრებულად, გამორჩეულად გიყვარს. მარტოობა ფიქრებს ჰბადებს, გონებას აფხიზლებს, არსებული ვითარებების გაანალიზების უნარს აძლიერებს. მარტოობისას ადამიანები შედეგებს ქმნიან, მნიშვნელოვანი აღმოჩენების შესაძლებლობაც ეძლევათ.

„ლურჯი საკინძის“ მთავარ გმირთა სულებში მარტოობისა და სიყვარულის წინააღმდეგობრივი შეთანხმება ხდება. მიჯნურობა მწერლისთვის არის მრავალტაქტიანი ჰარმონია, ყოვლისმომცველი მრავალსახევნობა, სიმფონია, რომლის ხარჯზეც მარტოობა კარგავს მონუმენტურობას და სიყვარულთან შერწყმული მშვენიერდება. საქმე ისაა, რომ ავტორი მხოლოდ ამ კონკრეტული წყვილის ურთიერთობებს კი არ ასახავს მხოლოდ,

გადადის კიდეც თავის სხვა ნაწარმოებებში და იქ დატოვებულ შეყვარებულებსაც უმზერს, ესაუბრება და ფიზიკურადაც ეხება მათ, როგორც მეგობრებს. კოქტო და შარლოტა ერთად არიან, მათ გადალახეს მარტოობის სევდა და აბსოლუტურ მშვენიერებაში შეღწეულნი ნეტარებენ ერთად, განუყრელად, სანამ სიკვდილი დაამორბობთ.

რომანის მთავარი ქალი-პერსონაჟის შეყვარებული თვალს მიეფარა, გაექცა საყვარელს, და მერე რა, არაუშავს! ამასობაში გაბრიელა იწყებს სიმშვიდის ძებნას მონატრებისა და წინააღმდეგობრივი ბუნების მქონე მარტოობის გადალახვისას და ბედნიერების მოპოვებით იმარჯვებს მოწყენილობაზე.

კაცი წავიდა, ეგონა უკეთ იქნებოდა, თავისუფლებით დატკბებოდა, მაგრამ მას გაბრიელას სული ენატრება და მარტოობა თითქოს შიგნიდან ღრღინის და ის მაინც ცდილობს გაბრიელას გარეშე ცხოვრების ჩვეულ რითმსა და წესებს დაუბრუნდეს. გარეგნულად ასეც ჩანს, ძველებურად ელეგანტური, ლალი, დახვეწილი, მიმზიდველია და ვილაციისთვის მაინც გადაჭარბებულად მოსაწყენი და ასეთად ფედერიკი გადაიქცა გაბრიელასათვის და დგება მომენტი, როცა ქალი გაურბის საყვარელ კაცს. სამი წელი ორივემ მარტოობასა და მონატრებაში გაატარა, მაგრამ შინაგანი კათარზისიც განიცადეს, თავი გამოცადეს სიყვარულში, რომელიც ჭეშმარიტი აღმოჩნდა.

2021 წლის 13 თებერვალი

უოცნებო და უფრო ოცნებიანი...

1984 წელს სკოლას ვამთავრებდი, 10 აპრილს გურიაში ბიჭი დაბადებულა და მე, 90-იან წლებში სულიერ და ფიზიკურ განადგურებას სიყვარულმა გადამარჩინა და 1991 წლის აგვისტოში დედაც გაგხდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა პურის ტალონებით ხელში მაღაზიის კარის გაღებამდე რიგში ვიდექით, ყველაფრის გამო რიგში ვიდექით, ვიტანჯებოდით უშუქობით, უწყლობით, ათასგვარი გაურკვევლობით, მაშინ ადამიანებს შორის ერთობას ვგრძნობდი, თითქოს ყველას ერთმანეთი ძლიერ გვიყვარდა, მაგრამ იმავდროულად თურმე ადამიანთა შორის უნდობლობა და უსიყვარულობა, კარჩაკეტილობა და გათითოკაცება გვებატონებოდა. ჰო, და ის ბიჭი, 1984 წელს დაბადებული, ჩემს პირველ შვილზე შვიდი წლით უფროსია, ერთი თაობისანი არიან და ის კეპკიანი ბიჭი 2012 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორად დანიშნეს.

ხელთ ჩამივარდა გიორგის პირველი ნიგნი, 1999 წელს გამოცემული, „ლამე და მთვარე“. ნიგნმა მიმახვედრა, რომ გიორგის ძლიერ უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. მოზარდი გიორგი აღფრთოვანებულია ტატოს შემოქმედებით. დიახ, გიორგი კეკელიძის შემოქმედება ქართული რომანტიზმის უძლიერეს ფესვზე აღმოცენდა, მაგრამ გიორგი სულ მალე მწერლობის დამოუკიდებელ, განსაკუთრებულად სხვანაირი ბილიკების გზის გაკვალვას შეუდგა. საინტერესოა, გიორგი კეკელიძის, როგორც მწერლის და რომანტიზმის შვილის დაბადება. ის ამბობს, „მე მეცოდება კაცი უოცნებო, და უფრო ოცნებიანი“... გიორგის მოსწონს ტატოს მერანი, მასაც სურს ჰყავდეს ასეთი მაგიური არსება, ჰო, ზის გიორგიც ცხენზე, რომელიც საერთოდ არ ჰგავს ტატოს მერანს, უფრო ჯაგლაგია, რომელიც შეძლებისდაგვარად რბის და ცდილობს ნაკვალევი დატოვოს თვალუწვდენელ ჯაგნარში, რომელსაც გაჰკიდებია ლამე მთვარიოთურთ და ხანდახან მზეც

მოსდევს... ამ ჯაგლაგ ცხენს არ სჭირდება თავჩაფხი, ზიზილე-ბი. ტატოს მერანი მიმზიდველია, გიორგის ჯაგლაგი კი დაკან-რულ-დასისხლიანებული, რომელიც გარბის, მირბის და თან შავ, უკუნეთივით ბნელ და გაუგებარ დროებას ერკინება. დაკანრული ჯაგლაგის პატრონს ხშირად ჭურში სძინავს, ზოგჯერ სარქველი-ან ჭურშიც, რომლიდანაც დამოუკიდებლად ამოსვლა არც ისე ადვილია, მაგრამ ახალგაზრდა მხედრის ფიქრებია სუფთა, გულწრფელი, თეთრი, ეს მხედარი არნახულად მოქნილია და ჭურიდან ამოსვლასაც ახერხებს.

ლექსში „ყვავილი გაღმა“ (ანუ სიყვარული შუალამეში) ავტორი მდიდარ ფანტაზიას ავლენს. რომელშიც ტატოს შექმნილი შავი ყორნები ყაშყაშებენ. გიორგი ფიქრობს, რომ ღამეს ძალუძს იყოს მთვრალი, თანაც მთვარის სასმისით შესვას ღვინო და სიბნელეში თავად ღამეს თვალეზი ელულებოდეს, ქუთუთოები უმძიმდებოდეს. „სიო მიათრევს ფიქრს, ღამენათევს და სადღაც ეძებს პატარა ყვავილს“ ... სიბნელეში ეძებს გიორგი იმ ყვავილის თვალებს და ხეზე შემომჯდარი ყორანი ხარხარებს, თითქოს ახალგაზრდა პოეტს დასცინის და ღამისაა სიცილით მოკვდეს და სვავიც აპყოლია სიცილში ყორანს, სვავურად ხავის, რაც ახშობს და სრულიად შლის ღამით ყვავილის მაძიებლის რომანტიულ განწყობას.

ლექსმა „ნანგრევთა სამეფო“ ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“ გამახსენა, მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ლექსი სრულიად განსხვავებული სულისკვეთებითაა განსმჭვალული, ის ალექსანდრესავით არ მისტირის ჩვენი ქვეყნის წარსულ დიდებას, ალექსანდრესავით აღფრთოვანებული და გულში სინაზე-ჩაღვრილი როდია, პირიქით, გაბრაზებულია და ამიტომ ალექსანდრეს მსგავსად არ გვაჩვენებს ჰარმონიაზე, ანგელოზთა მრავალხმიან სიმღერების ფონზე აღმოცენებულ მშვენიერებასა და სილამაზეს, სამაგიეროდ მკითხველამდე მოაქვს სახეშეშლილი, ცეცხლნაკიდებული ტაძრები, მტრის მიერ ხელყოფილი ყველა-ნაირი მშვენიერება, სადაც ლომს, იგივე საქართველოს კლანჭე-

ბი დამსხვრევია. მგლოვიარე კავკასიონსაც თმა ჩამოშლია, და გიორგის ახსენდება ქეთევან წამებული, მკერდზე ნაცეცხლარი დალი რომ ეწვის. ახსენდება ძველი კოლხეთის დიდება, რომელიც ბოხოქარი ზღვის ტალღებს წაუშლია და თან ჩაუტანია. დღეს საქართველოს ჭალარა კლდეებს მიჯაჭვული, სანახევროდ დანგრეული ციხეები შემორჩენია და „ოფლად დაშთენიათ სისხლი ქარიანი“... დღეს საქართველოში უცნაურად თენდება, თითქოს დილა ყასაბია, რომელმაც წუხელ დაკლა ღამე. აქაურ ნისლებს კიდევ სახეზე ხალები ასხიათ. ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად, ყმაწილი გიორგის შემოქმედებაში შეხვდებით ერეკლე მეფეს და სოლომონს. ერეკლე პოპულარული მეფეა, მაგრამ ქვეყანა სისხლისგან დაცლილია და ხელმწიფეს უკან დახევის უფლება არ აქვს, ვინაიდან ეს ქმედება სიცოცხლესთან განშორების ტოლფასია. წინსვლაც შესაძლოა სიკვდილს გვაახლოებდეს, მაგრამ მეფე ვალდებულია სიკვდილშიაც გამოსავალი ეძიოს და გიორგი ფიქრობს, რომ გამოსავლის ძიებაა ადამიანის არსებობის მთავარი გამართლება. ისე უნდა იცხოვრო, რომ ჯერ ისევ ცოცხალი სხეულით მკვდარ სულს არ დაემსგავსო და სოლომონს ათქმევინებს, მკვდარივით სული ცოდვილი სულიაო.

ერეკლე მეფისთვის რუსებს ძვირფასი ცხენი უჩუქენიათ და ამის თაობაზედ ერთი უბრალო კაცი- შანშე ამბობს: „გაგიჟებულია მეუფე ჩვენი, რაი შეგცოდეთ ღმერთო მაღალო, რაისთვის გეტანჯავ, ნუთუ არ იცი, ხელმწიფეო, რომ ეგ მერანი მისთვის გინყალობეს, რათა შენვე მოგკლას?!“ ავტორი სწორად ფიქრობს, არასდროს სხვა ერი ქართველებს არაფერს გვინყალობებს, რომ თავის სასიკეთოდ არ ირჯებოდეს, თუ ვინმე თავის მხარზე ჩამოყრდნობის უფლებას მოგვცემს, ჯერ ვერცხლს დაგცინცლავს და ტყე-ღრეში ჩამოგიტოვებს, არავის, ისე, უბრალოდ არ ვენალვლებით! ერეკლე გიორგის თვალში არის მეფე ერისთვის და არა ერი ხელმწიფისთვის. და ამ პატარა ბიჭის სამწერლო ასპარეზზე ფეხის შემოდგმა დავლოცე, ვინაიდან ვიგრძენი მისი სიყვარული მშობლიური მიწის, ენის, საქართველოს

ანმყოს და წარსულის მიმართ, ჯერ ისევ პირტიტველა ყმანვილი ანგელოზებს რომ ეძახის: „...გამოდით, ანგელოზებო, ტყიდან, დაიწვიტ ფრტები და დასახლდით ჩემს კარავში!“

გიორგი კეკელიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ოდებს, რომლებიც სიმღერებივითაა, მაგრამ გიორგი კეკელიძე არ წერს ჰორაციუსივით, თუმც, ოდა, როგორც ჟანრი ძველ ქართულ მწერლობაშივე დამკვიდრდა და განვითარების ზენიტს მიაღწია აბსოლუტური მონარქიზმის განმტკიცების პირობებში. მეტად საინტერესოა XII საუკუნის სახოტბო პოეზია, რომელმაც აღორძინება XVII- XVIII საუკუნეებში განიცადა და გაჩნდა ახალი, სამგლოვიარო ხაზი ოდას ჟანრში, მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ბესიკის „სამძიმარი“ და აღსანიშნავია ისიც, რომ ოდური სტილის ნიშნებმა თავი იჩინა ქართულ რომანტიზმშიც და გიორგი კეკელიძის შემოქმედების პირველ პერიოდსაც ეტყობა რომანტიზმის, განსაკუთრებით ქართული რომანტიზმის სიყვარული. ამიტომ არ გასჭირვებია გიორგის ოდების შექმნა.

გიორგი კეკელიძე ოდებს სკუთარ თავზე ქმნის, რომელიც რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის თავს ლალად გრძნობს, ვინაიდან სიზმრების განხილვის დიდოსტატად ჩამოყალიბდა თუმც სულიერი შეჭირვების ჟამს, შეგნებულად არ ეძებს გამოსავალ გზებს, რაც ერთგვარი ექსპერიმენტია, ვინაიდან ასე ყოფნაც საინტერესოა. როცა არ ებრძვი სულში ჩაბუდებულ პრობლემებს იღლები, ენამები, მაგრამ დასასრულიც ხომ ყოველივეს გააჩნია და დასკვნით წერტილთან ერთად რჩება განცდამოვლილი, გააზრებული რაღაც სხვა გამოცდილება. გიორგი კეკელიძე, როგორც შემოქმედი, თითქოს გვირავს თხრის, რომ საკუთარ სულში შიშის გოდოლი ააშენოს. ეს საჭიროა, ვინაიდან აბსოლუტურად უშიშრად ცხოვრება ადამიანისთვის სიკეთის მომტანი არაა. გიორგის შესწევს უნარი ადამიანის სულის იდუმალი ხვეულები მოიხილოს. აი, იქ ყოფნა ყველაზე საშიში და საინტერესოც. იმ სხვანაირ ქვესკნელში მზეცაა, რომელსაც

მწერალი თვალს უსწორებს და აღმოაჩენს, რომ ეს მზეც არ ყოფილა ერთადერთი, რამდენიმეა, შესაძლოა ბევრიცაა... გიორგის სწამს, რომ ადამიანს შეუძლია ჩაიცვას მზის სამოსი, შეუძლია მზე ცოლადაც შეირთოს, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ მთვარეს მოკლავს... მწერალი ზოგჯერ იბნევა და დაბორიანებს უკიდევანო სამყაროში და წინაპართა ნათქვამს იმეორებს: „მზე დედაა ჩემი, მთვარე-მამაჩემი, მუზავ, მიმეცი მრისხანე დღეებს!“

გიორგი კეკელიძე, როგორც პიროვნება მზადაა მხოლოდ ერთი კი არა, ორმაგი ჯვარიც ზიდოს და ითხოვს ქედზე უმძიმესი ქვის ჯვრის შედგმას, ვინაიდან აწმყოში ის ჰგავს ცარიელ ოთახს და ჭერი, რომლის ქვეშაც ის იმყოფება, მწერალთან ერთად ახლო წარსულში ცხოვრობდა მისივე სულიც, მაგრამ სულმა კარი გააღო, სახლიდან გავიდა, უკან აღარ დაბრუნდა ან ვერ დაბრუნდა, იქნებ, საერთოდაც დაიკარგა! და ახლა გიორგი თავად გამხდარა ცარიელი ოთახი. ქუთუთოების იმედზეა, რომელთა ფარდა საკმაოდ გრძელია, რომლებიც ასევე ეხმარებიან სიზმართა სამყაროსთან ყოფნაში. ტანსაცმლის კარადაშიც სიზმრების ნატეხები შემორჩენილა და ამ ოთახში სიზმრის ცრემლის ჩაიც მოიძევება და ახლა თავად მწერალია ოთახი, სადაც მისი სულიც ცხოვრობდა, ის წავიდა და აღარ დაბრუნებულა, ალბათ იმიტომ, რომ თავი ზედმეტად იგრძნო, ვინაიდან თავად მწერალია ერთი ოთახი და ორნი ვერ დაეტეოდნენ. სულს წასვლის წინ ფანჯარასთან მზერა ჩამოუკიდავს, რომელიც იგივე გასაღებია და სულმა დუმილით უთხრა მწერალს, რომ ეს გასაღები მისთვისაა განკუთვნილი...

დროთა განმავლობაში ადამიანები ივიწყებენ ჩათქმულ სურვილებს, ოცნებებს და მათ ახლით ანაცვლებენ ან იმ კუთხეს სულაც ცარიელს ტოვებენ და ბავშვობის შიშებიც დიდობაშიც თავს გვახსენებს, დაძლეული შიშებიც მოდიან ზოგჯერ!

**და თუ ჩათქმული ოცნებები თავს მაივნყებენ,
ეგებ ბავშვობის ეს შიშები მაინც ამიხდეს
და აღარასდროს არ ვიძინებ**

**და საღამოთი ყვითელ საღეჭ რეზინებს ვლექავ,
რომ ავსულები მოვიდნენ და სული მომპარონ.**

**და პირიდან სიკვდილისას
სულის ნაცვლად თეთრი ნაძვი ამომივიდეს.**

გიორგი კეკელიძე გვარნმუნებს, რომ ერთ დროს მზე და მთვარე და-ძმანი იყვნენ, დიდი ხნის წინ, როცა ღრმად გვეძინა და თუ ბავშვობაა ტკივილიდან ერთი ნაბიჯით უკან...

და ღმერთიც იყო უსუსური პატარა წინათ..

ღმერთს ცრემლები საოცრად შვენის

და ღმერთს საოცრად არ უხდება, როცა იცინის.“

გიორგი კეკელიძის შემოქმედებაში ბევრი მზე და ღმერთია და მას სძალუძს წარმოიდგინოს, როგორ კვდება არსთა გამრიგე. „არცერთ გზაზე არ მივდივარ, რადგან ეს გზები მკვდარი ღმერთის ენებად იქცა...“

ამ ოდებში მწერალი გამოხატავს სიყვარულს და პატივისცემას მშობლების მიმართ და ოდების გარკვეულ ნაწილს უწოდებს ცრუს, ზოგს მრუდეს, ომის ოდებსაც წაიკითხავთ.

მწერლის აზრით სიკვდილი არის ყველაზე მშვიდი, ტკბილი სიზმარი, თანდათან, ნაწილ-ნაწილ რომ იპარები, თითქოს ღრუბლების სანოლში წევხარ. ცოცხლებისთვის ამგვარი გაპარვა ნიშნავს გარდაცვალებას და გახრწნასაც.

არაფერია მზეზე მეტი

და მზეზე ცოტა,

შეისხით ფრთები და

მინაში ფრთები გაიდგით.

2008-2013 წლებში გიორგი კეკელიძის მიერ შექმნილი პოეზია ლირიკაა. სიყვარულზე ბევრს ფიქრობს. მზის ამოსვლამდე მზესავით ჯერ ადამიანის სული უნდა ამოდიოდესო, ადამიანი დილით სიკეთით უნდა ივსებოდესო, ადამიანი ისეთი თბილი უნდა იყოს, რომ გაყინულ ადამიანებს სითბო გადასდოსო. გიორგი ფიქრობს, რომ სიყვარული ჰგავს მრუდე ქვევრს, რომელსაც ჩასძახა სიხარული, იმან კი უპასუხა-სევდაო. ტკივილი ამოსძახა

ქვევრმა, ღიმილი რომ ჩასძახა. გიორგი ფიქრობს, რომ არ შეუძლია ქვევრს ჩასძახოს ტკივილი, სევდა, ვინაიდან ქვევრს სახელად სიყვარული ჰქვია. ვახ, რატომაა, ქარს რომ ვთესავთ და ნიავს ვიმკით?! გიორგი კეკელიძე ის კაცია, რომელსაც შეუძლია მზის ძირას ჯდომა და საკუთარი ფიქრების ჩრდილად გამოყენება. მას აგრეთვე ძალუძს სიჩუმის პირში ჩაგუბება, ვინაიდან უთქმელი სიყვარული აუნონავი ოქროა და თუ სიყვარული უკიდევანო და უზომოა, მაშინ როგორღა იმატებს?! თუ სიყვარული ერთ მარცვალში ეტევა, რალა საჭიროა პოემები, ლექსები, რომანები, რა საჭიროა ამდენი წერა?! - საჭიროა, იმიტომ, რომ სიყვარული დიდ სევდას იტევს, მაგალითად, „ზაფხულობით ღამე კვდება- სიზმრები უჩანს სიყვარულს.“

დილით სიფხიზლის სამართლით სიზმრებს თავიდან იშორებს ადამიანი. გიორგი კეკელიძეს სიზმრების ხელობა შეუსწავლია. ის გვეუბნება, როცა ღამით არ გეძინებათ, მისი ნამსხვრევები სხეულზე გეკრობათ, რომელსაც მზე ვერ ამორებსო. როცა ადამიანი ღამით ვერ იძინებს, მისი სიზმრები სხეულიდან გადმოდიან და უმისამართოდ აქეთ -იქით იღვრებიანო და შემდგომ იმ სიზმრებზე სიარული გვინწევს და შესაძლოა მათზე ფეხიც დაგვიცდესო, რაც „სხვის ენაზე ამ სიზმრების ახდენას ნიშნავს.“

უცნაურია სიყვარული, შეიძლება ის მტერს დაემსგავსოს. დილით მზე ხომ ამოდის, მაგრამ ნათელს შესაძლოა ახლდეს თბილი სიშავეც და სიბერეში შესული ადამიანები სიყვარულის ნარჩენებს ჭამენ, მაგრამ ვინც კარგად გამოზოგვა იცის, ის ბედნიერი და სიყვარულით სავსე გავა წუთისოფლიდან. ცოდოა ადამიანი, ვის სულშიც მუდმივად ცივა, უსიყვარულობისგან მისი სულის ცა მზე-გაქცეულივით ხდება და მაშინ ადამიანი სიზმრებსაც ველარ ხედავს, ველარც ოცნებობს, ვერც იმედებს პოულობს. უსიყვარულოდ დაბერებულები ვერ იძინებენ, მათი ძილი ნიშნავს „ვნევები და მე ვბრმავდები“ ანუ უსიზმრო, ულამაზო, ბნელი ძილი აქვთ. როგორ ხსნის გიორგი კეკელიძე სიყვარულს? ის გვეუბნება:

სიზმრებს არ აქვთ გისოსები!

მშრალ წყალზე იხილავ ხიდებს!

მიტოვებულ სიყვარულზე ხავსი ამოდის და მერე ამ ხავსს ეჭიდება წყალწალეხული ადამიანი. ტალღებს მიაქვთ ადამიანი არა მხოლოდ წყლისას, ეს ტალღა შეიძლება იყოს მზისა, ჰაერისა, ქარისა. სიყვარულს წაგართმევენ ტალღები, როგორც სიზმარს..

ცოცხალი ადამიანი სიყვარულს რომ ვერ პოულობს და მართო რჩება, არის ცხოვრებისგან ბოძებული სასჯელი, კიდეც უარესია, როცა გგონია, რომ იპოვე სიყვარულის ობიექტი და თურმე შემცდარხარ და რჩები ერთი, ეული, ნისლსა და სიბნელეში იშლები. ინყება სიცარიელე, რომელსაც ვერაფრით ავსებ!!! და მერე, „ასე უფრო ადვილია ღიმილი რადგან, და ასე უფრო ადვილია ღიმილი, რადგან დრო მღვრიე ტბაში მოწყენილი ვირივით იდგა- რადგან მე წუხელ მაქაური ქარი ჩავკეტე.“ მწერალს ზოგჯერ გულწრფელად სჯერა, რომ სიყვარული ცვილისგანაა გამოძერწილი და ზოგჯერ მზეც ხელნაკეთივით გამოიყურება.

სიცოცხლე უფლისგან ბოძებული საჩუქარია და მისი ხელყოფა ცოდვაა, მაგრამ როცა გახსენდება, სადღაც იქვე არის სამყარო, გახსენდება, „სანამ ჩემთვის ვნახავდი ზენარს- გზაზე, რომელზეც მივდიოდი, ჭორი დაყარეს, უკან დაყარეს-ფეხის ნაცვლად ჩრდილი გამეჭრა. და ახლა ვკვდები, საფეთქელი ლულას მივადე, არ მენანება მოუძველებელი ჩემი-სიბერე-რადგან სიკვდილი ადვილია, როცა ცივა და ცა ლამაზია და იქ ღმერთის ყოფნას იჯერებ.“

რა არის ტკივილი?- სულის შინაგანი კაკუნი. როცა მას წასვლა სურს და შენ სული მაინც კბილით გიჭირავს.

აი, ასეთი შინაარსისაა პოეტის მიერ ახსნილი სიყვარული!

არ შემიძლია, გვერდს ვერ ავუვლი გიორგი კეკელიძის პროზაულ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით იმ პატარა წიგნებს, რომლებსაც „სხვა დეტექტივი“ ჰქვიათ. ესენია პატარა ამბები: „მურმანის სევდა“, „ანასტასიას ზარი“, „საყურე“, „გოგლი-მოგლი“, „სიკვდილი პიცერიაში.“

ნამიკითხავს მრავალი თანამედროვე ავტორი, რომლებიც თავს მწერლებს უწოდებენ, მაგრამ არნახულად ბინძური ქართულით წერენ, პირდაპირი გაგებით, აუპატიურებენ მშობლიურ ენას. გიორგის ქართულიც ამ ტექსტებში შეგნებულადაა დაბინძურებული, სპეციალურად, ვინაიდან მან მშვენივრად და ზედმიწევნით კარგად იცის მშობლიური ენა და თავის შემოქმედებაშიც ასევე ოსტატურად იყენებს გურულ კილოკავს, მაგრამ გიორგის ალბათ სურს, დაგვანახოს როგორ საზიზღრად ვმეტყველებთ ქართველები, როცა ვიყენებთ უცხო ენებიდან შემოჭრილ სხვადასხვაგვარ სიტყვებს, რომლებსაც ჩვენი ენა არასდროს მიიღებს, ვინაიდან ის ცოცხალი ორგანიზმია და თავდაცვის უნარი გააჩნია. მის პროზაში ნააწყდებით ისეთ სიტყვებს, როგორიცაა მაგალითად ვანა, ტუფლი, ნაშა, ხაზეიკა, ზმანი, სასტავი, პონტი, დაბრედვა, სროკი, პრაშმანდოვკა, ქონტენფორარი...

გიორგი კეკელიძის მონათხრობი არის და თან არც არის დეტექტივი. ფორმატით თითქოს ნოველებია და თან არცაა, უფრო მოქნილი მოთხრობებია და რალაცნაირია, მკითხველამდე ახლებურად მოტანილი, სხვა ავტორებს ჯერ რომ არ დაუნერიათ ისეთი. ნაწარმოებების სიუჟეტებიც უცნაურია, მაგრამ გიორგის უბრალო და უშუალოა მონათხრობი ამბები არ „გეხამუშება“ და ლებულობ სხვა დეტექტივს სხვანაირად მოყოლილს, ოდნავ გელიმება კიდეც, ვინაიდან ავტორი არ გლლის პოლიციელების მოძრაობებით, გამომძიებლების ქმედებებით, რომლებიც არ არიან დაკავებულნი სიკვდილის საიდუმლო მიზეზების ახსნით. ამ ნაწარმოებებში ერთურთს არ ეჯახება სამართლიანობა და უსამართლობა, მხოლოდ ფაქტებს გვანვდის მწერალი იმ ადამიანების შესახებ, ვინც სხვა მოკლა ან არ მოკლა და დაბრალდა, ვინც თავი მოიკლა ან სურს, რომ სიცოცხლეს გამოესაღმოს, მაგრამ ჯერ ისევ ცოცხალია, მაგრამ ფიქრობს, როგორ, რანაირად მოიკლას თავი. გიორგის ნაწარმოებებში დანაშაული ხდება, მაგრამ დამნაშავეები კანონის სახელით არ ისჯებიან. ყველაზე საინტერესო რამ, რაც ამ ამბებში მკვეთრად ჩანს, არის ის,

რომ გმირები, რომლებიც ერთად არიან, მხოლოდ ერთმანეთს კი არა, ნორმალურად საკუთარ თავსაც არ იცნობენ. თითქოს მექანიკურად, ინერციით ცხოვრობენ, სწავლობენ, რაღაცას „ჩა-ლიჩობენ“, შრომობენ, მოძრაობენ, მაგრამ ადამიანური შინაარსი გამოცლილი აქვს მათ ცხოვრებას. სიამოვნების მიღების სხვადასხვაგვარ გზებს მიმართავენ. სექსი მათთვის მნიშვნელოვანია იმ მხრივ კი არა, რომ უყვართ ადამიანი, მათთან სამუდამოდ შეწყვილების, გამრავლების სურვილი აქვთ, არა, უბრალოდ „კაიფობენ“, თითქოს მათთვის სიყვარული ადამიანური ცხოვრების ზედმეტი რგოლია და ზოგმა პერსონაჟმა არც კი იცის, რა არის მიჯნურობა, თითქოს არც გაუგიათ, არც წაუკითხავთ, არც ფილმებში უნახავთ... ფიქრობენ, რომ ზღაპრით მოგონილი რამაა და არ წარმოადგენს ზეამაღლებულ, მაგიურ გრძნობას, ხელოვანები, მეცნიერები და ფსიქოლოგები აზვიადებენ. გიორგის მიერ გამოძერწილი პერსონაჟები მარტივები არიან და ავტორი იმავდროულად გვიმტკიცებს, რომ სიყვარული ყველას სჭირდება, რომ ის არაა მხოლოდ მოწონება, წამიერი აღფრთოვანება, უბრალოდ ფიზიკური სიახლოვე, კოცნა და სექსი, აი, რაღაცას რომ გრძნობ, სხვაგვარად, „ლაითად.“ ჰო, ეგ არაა სიყვარული! თუ გიყვარს ეგრე იოლად არ გბეზრდება საწოლში, არა თქო რა!..

ჩემს ყმანვილობაში ეგრე არ იყო, ამდენი თავისუფლება არ გვექონდა და ჩვენ ვიბრძოდით თავისუფლების მოსაპოვებლად პირად ცხოვრებაში უპირველესად. ახალ ქართველებს თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლა არ უწევთ, ისედაც თავისუფლები არიან, მაგრამ ზოგს ალვირი სრულად აუხსნია. თანამედროვე ქალბატონები და საქალბატონები სხვაგვარად აზროვნებენ გიორგის ნაამბობში, მამრებიც რაღაცნაირად პასიურნი და ინერტულები არიან. გიორგის ნაწარმოებებში გათხოვილ ქალს ხშირად უჩნდება მიზიდულობის გრძნობა სხვა მამრების მიმართ და ამ მდედრმა ზუსტად იცის, რომ ის ვილაც კაცი მოსწონს, სექსიც ექნებათ უცილობლად და მერე ეს ქალი ისევ ქმართან დაბრუნდება, იმიტომ დაბრუნდება, რომ ქმართან სტაბილურად და

კარგად გრძნობს თავს. ჰო, და მერე იმ სტაბილურმა და „შოკში“ ჩავარდნილმა ქმარმა შესაძლოა ღალატისთვის ცოლი მოკლას... შესაძლოა არც მოკლას, მაგრამ სხვა კაცმა მოკლას სხვისი მოღალატე ცოლი და ქმარს გადააბრალოს ან დაბრალდეს.

კლასელი, რომელიც დიდი ხანი არ გინახავს, გიყვარს და იცი, რომ იმასაც უყვარხარ და გახსენდება, ბავშვობისას ორივეს ერთი გოგო რომ გიყვარდათ, წლების გასვლის შემდეგ პიცერიაში ერთად რომ ზიხართ და ეს ილღია სიხარულიძე თავის წარმატებულ, სკოლის დირექტორ კლასელს, ჯიბიდან ამოღებული დანის ან დანის მსგავსი რაღაცით მეგობარს პიცერიაში თავს დაესხმება, თვალში ჩასცხებს, თან ერთხელ კი არა, მრავალჯერ და გულთანაც დასცხებს, რომ მოკლას და გაანადგუროს კლასელი...

ძალზედ უარყოფითი პერსონაჟია მურმანი, შურიანი, დაბოლმილი. მეგობრის ქვეშევრდომია სამსახურში და ფიქრობს, რომ მეგობრის პოზიციაზე თავად უნდა მუშაობდეს. მურმანს ცოლი არ ჰყავს და შურს, რომ სამსახურში უფროს მეგობარს ლამაზი ცოლი ჰყავს და ეს გადანყვეტს, რომ უფროსის ცოლი მას უფრო შეეფერება. არა და, არც თავადაა მართო, მშვენიერ რჩეულთან ერთად ცხოვრობს. ვერ ისვენებს, ბოროტია და საშინელ ამბავსაც მოიფიქრებს. მეგობრის ცოლს ეტყვის, ჩემი გოგო შენს ქმართან მღალატობსო, მერე ქმარს ეტყვის, შენს ცოლს და ჩემს შეყვარებულს ერთმანეთთან ლესბოსური სექსი აქვთო და ასე გადარევს ადამიანებს. ამ შეთხზული ამბის გამო სამი ადამიანი დაიღუპება, თავად მურმანი გადარჩება იმიტომ, რომ იმავე სივრცეში, ოღონდ სხვა ოთახში იმყოფებოდა და აირმა ვერ გაგუდა. გიორგის ნაწარმოებში ნააწყდებით იმგვარ პერსონაჟს, რომელსაც გულისნორს მისსავე კარებთან მოკლავენ, ის კი ვერაფერს გაიგებს, ვინაიდან ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზეა მიჯაჭვული, ყურებდახშული, იმ მომენტშიც კი კომპიუტერთან იჯდა, როცა გულისნორს ელოდა და ეს გულისნორიც ვირტუალურად უყვარდა, აქამდე ნანახიც არ ჰყავდა, ისე უყვარდა, უბრალოდ, შორიდან და იმ სატრფოს ქმარყოფილი არანორმა-

ლური ჰყოლია, ქალს დასდევდა, რომ მიზეზი მოეძებნა, როგორ-
მე მოეკლა.

გიორგის ერთ ნაამბობში მთავარი გმირი არის საყურე. ლა-
შას ნაცნობმა გოგოებმა, მხიარულებმა, პოზიტიურებმა უცაბე-
დად თვითმკვლელობა ჩაიდინეს. ნინსკი, რომელმაც ყელი გამო-
იჭრა ფეისბუქზე უნახავს. ეკა, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო, ფე-
ისბუქზე საკუთარი თავის მაგივრად, ანჯელინა ჯოლის ფოტო
ეყენა, არა და, ლაშა მაგათზე ადრე აპირებდა თავის მოკვლას და
ვერ მოასწრო, ოღონდ რატომ უნდა სიკვდილი, ეს ზუსტად არ
იცის. ჯერ ისევ ფიქრობს, ჯერ ისევ ცოცხალია...

არსებობენ კაცები, რომლებიც იმ ქალების სიას ინახავენ,
ვისთანაც ერთხელ მაინც სექსი ქონიათ. ასეთი რამ გიორგის
წყალობით გავიგე და გამეღიმა, ვინაიდან კაცი, რომელიც ამ-
დაგვარი სიის შექმნით დაკავდება, ფსიქიკა ვერ უნდა ჰქონდეს
დალაგებული.

განსაკუთრებულად დამამახსოვრდა ზაალი. ზედაპირული
ტიპი, საშინელი კომბინაციით- ნიჭიერება პლუს სიზარმაცე.
ავტორი გვეუბნება, რომ პერსპექტიული ტიპია, ოღონდ უილ-
ბლო, ის გერმანიაში გასამგზავრებლად ბილეთს ნამდვილად
ყიდულობს და ნამდვილად აქვს სამი ბეჭედი, ერთი ბებიის ნა-
ქონი, ორიც ბებიის გაუთხოვარი დებისა და სამ ქალს ერთდრო-
ულად ხელს სთხოვს და ყველასთან ქორწინება ერთ დღესა აქვს
დანიშნული. სამი ერთნაირი კაბის შესაძენად იღვწის. ის სამი
ქალი ერთმანეთს არ იცნობს. მოკლედ, ზაალი სერიოზულად
თამაშობს. მწერალი გადადის წარსულში და ზაალის ბაბუაზე
წერს, რომელსაც სურდა თავისი ლექსების კრებული წიგნად
გამოეცა და შემოქმედებით საღამოზე ყველა ის ქალი მოსული-
ყო, რომლებიც ოდესღაც ყვარებია, მაგრამ ბაბუამ ოცნება ვერ
აიხდინა და თავი მოიკლა.

ზაალი მაყვალა ბებიასთან მიდის, რომელმაც ყოველთვის
მხოლოდ ორი შელოცვა იცოდა, ერთი უჟმურაყოლილისა და მე-
ორეც უშვილობის სანინაღმდეგო. იმ ქალს სთხოვს ზაალი სა-

ნამლაეს წაუსვამს სამივე კაბას, რომ პატარძლები დაიხოცონ. გადაირევა მაყვალა ბეგია, მას სიკვდილის არ ეშინია, არც დასჯის, სახელის მოსპობის ეშინია და თანაც ამგვარი წამლის დამზადება არც არასდროს სცოდნია. გააგდებს ზაალს, როგორც შეუგნებელსა და უზრდელს. თავად მკითხველი უნდა მიხვდეს, დაუგზავნის თუ არა ზაალი კაბებს საპატარძლოებს.

გიორგი კეკელიძე მოაზროვნე, ინტელექტუალი მკითხველისთვის წერს. ცა კიდევე, დღისითაც ლამაზია და ღამითაც, მეტადრე საინტერესოა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, და ვარსკვლავებმა ისე ძლიერ არ უნდა გაგვიტაცონ, რომ მთავარი, მთვარე ველარ ვიპოვოთ ცაზე.

2023 წლის 21 აგვისტო

სიყვარულის სიმფონია

ძნელია, შეაფასო პოეტი, რომელმაც თავისი შემოქმედებით სასიამოვნოდ გააოცა არა მხოლოდ ქართველი პოეზიის მოყვარულები, არამედ ყველა იმ ერის წარმომადგენლები, რომელთა ენაზეც ითარგმნა თინათინ მღვდლიაშვილის ლექსები.

თინათინი ქართულ პოეზიაში დამკვიდრდა, როგორც სამშობლოსთვის თავგანწირული, თავისუფლებისთვის მებრძოლი ქალი-პოეტი, რომელსაც „ამა სოფლის ძლიერთა“ მხრიდან არ მოჰკლებია ტანჯვა, დამცირება, ტყვეობა, მაგრამ მაინც ვერ მოკლეს მის არსებაში საქართველოს სიყვარული, ქალი, რომლისთვისაც საქართველო ერთადერთი საფიქრალი და საესავია. თინათინის კალმის ემინოდან დიდი იმპერიის წარმომადგენლებს აქაც და იქაც, „დიად“ რუსეთში.

სიტყვებითაც შესაძლებელია შექმნა მელოდია, სიმფონიაც თავისთავად. თინათინმა მოახერხა პოეზიით დიდი სიყვარულის სიმფონია შექმნა. ახლა პატრიოტულ ლექსებს არ შეეცხები და მინდა დაგანახოთ არა მებრძოლი, უშიშარი, დაუმორჩილებელი, პირდაპირი და მართალი თინათინი, არამედ, თინათინი, როგორც ქალი, სათუთი, ნაზი, მკერდში ჩასაკვრელი.

სიყვარულით შექმნა უფალმა სამყარო და დედამიწაზე ადამიანები გაგვჩინა. სიყვარულით წარმოსთქვა ღმერთმა ლოგოს! თავად იყო უფალი სიტყვა... დღეს, ენების საშუალებით ადამიანები მეტყველებენ, სიტყვები ამოსდით გულიდან, სულიდან, სიტყვებს წარმოსთქვამენ ალტაცებით, გაბრაზებით, გულმხურვალედ ან ისე, სასხვათაშორისოდ, მაგრამ სადაც სიყვარულია, ჯანსაღი, ნამდვილი, აი, სწორედ იქ ჩნდება სიყვარულის სიმფონიაც.

თინათინი ჭეშმარიტი პოეტია, რომელმაც პატრიოტული ლექსების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, სატრფიალო შინაარსის შედეგებიც შექმნა.

სიყვარულს ძალუძს ცას ჩააცმევინოს თეთრი კაბა, მაგრამ ჩვეულებრივი კი არა, სხვანაირად თეთრი, -მტრედის ანაფრენის

ფერი, შესაძლოა ცა ღრუბლებითაც დაიფაროს, მაგრამ ღრუბლები ძალზედ კეთილნი არიან, საკმევლით ანაფრენნი...

შობის ღამეს დაიწყო სიყვარულის გაძლიერება, ვინაიდან ქრისტე დაიბადა.

მას მერე გამსუბუქდნენ ნისლებიც, მზემ სარკმელი გააღო და აი, სწორედ აქედან იღვრება ის დიდი სიყვარული, სიმფონიად რომ იკვრება.

„სიყვარულის სიმფონია“ ესაა ლექსი-ანალიზი სიყვარულის არსისა და მაინც, ის ყველასთვის გასაანალიზებელი ფენომენია, ვინაიდან, სიყვარულიც დროს მისდევს და მუდმივ ფერისცვალებას განიცდის.

ყოველ ეპოქას, საუკუნეს თავისებური სიყვარულის ელფერი დაჰკრავს. ფაქტი კი ყოველთვის ერთია, ტრფოზის ალთან ნებისმიერი ადამიანი უძლური ხდება.

დედამიწა იმიტომ სუნთქავს და გიზგიზებს, რომ აქ ყველა სულიერი ეძებს თავის მიჯნურს. ზოგს უმართლებს, ზოგს-არა. ამ ქვეყნად ცალადაც დადიან, ერთ დროს, რომ უყვარდათ ჩუმად, თავისთვის. უყვარდათ და ლალატმა დააშორათ, უყვარდათ და სიკვდილმა ერთს მეორის თავი წაართვა. უყვარდა და ვერ გაბედა რჩეულთან მიახლოება. უყვარდათ და მაინც მარტო დარჩნენ, ვერ გაბედეს სიყვარულისთვის ბრძოლის დაწყება, დანებდნენ მარტოობას და ცოდვილობენ. თინათინი ამ ლექსის საშუალებით გამოხატავს სინანულს:

**მინაზე რომ ცოდვილობენ,
ერთი მათგანი მეცა ვარ...
როგორ მინდოდა ძვირფასო,
შენი თვალების მენამა.**

თვალეები მიჯნურისა სიყვარულით იყო სავსე და ქალმაც იწამა, თუმც რა იცოდა, თვალეები რომ სტყუოდნენ?! მოსწყდა ცას ცისკრის ვარსკვლავი და მთვარის უბეში ჩავარდა, მთვარემ მკერდში ჩაიკრა ვარსკვლავი და შთანთქა. ასეა ქალის ჩამქრალი გულიც, რომელიც მიჯნურისგან იმას ვერ იღებს, რასაც ელის

და ქალის ბედნიერებაც ქრება. მერე მდედრი ღობე-ყურეს ედება, ხავსს ეჭიდება, განაგრძობს ოცნებას, მაგრამ ქვიშაზე აგებული ბროლის სასახლე დიდხანს ვერ სძლებს.

ტყუილად არ უთქვამთ ბრძენ წინაპრებს, ლამაზი ქალი ბედნიერი არააო. დიახ, ხშირ შემთხვევაში ასეა, თუ ის ძლიერმა კაცმა არ შეიყვარა და შეიფარა. ლამაზებს, როგორც სანატრელ ლუკმას, ისე უმზერენ და დასალუპადაც იმეტებენ, თუმც, ძლიერ ქალებს მარტოობაშიც ძალუძთ თავის დაცვა.

საოცარი ლექსია „ლიმნის ჩაი.“ პოეტი უბრალო ნატვრა ლექსად აქცია, რომელიც აუცილებლად ახდება, როდის?-წელს, თუ არა და, მომავალ წელს!

სრულიად უბრალო ამბავი, ლექსად თქმული, ულამაზესად მოგვანოდა თინათინმა. პოეტი ყურადღებას ამახვილებს კალაზე, კარერასზე, კალასზე და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ იდეალური გარემო. რომანტიული განწყობის შექმნის მიზეზი ლიმნის ჩაია, მისი სურნელი, გემო, არის მაგიური ძალის მქონე და რაც მთავარია, თავად პოეტია კეთილი ჯადოქარი-ფერია.

**ვიცი, მოხვალ, წელს თუ არა- გაისს,
და მომართმევ ულამაზეს კალას...
მოვიდუღებ ლიმნის ყვითელ ჩაის
და მოვისმენთ-კარერასს და კალასს.
დღე იქნება ალბათ,-ლიმნისფერი,
ლიმნის სუსხში შევაკვდებით აისს.
როდის მოხვალ? რა ხანია გელი...
როდის დალევ ჩემთან ლიმნის ჩაის?**

ამ ლექსის მიხედვით, საყვარელ ადამიანთან ერთად ჩაის დალევს და მუსიკის მოსმენა ასმაგად სასიამოვნოა, რომ შეიძლება ხვევნა-კოცნის გარეშეც, უბრალოდ და დიდებულად გრძნობდეს ორი ადამიანი თავს.

„ჭრიჭინები“- ქართველთა საყვარელი ლექსია, რომელიც, კომპოზიტორმა რუსუდან სეზისკვერამ სიმღერად აქცია და მას შემდეგ მრავალი ადამიანი ღიღინებს, განსაკუთრებით, ქა-

ლები. ამ ლექსის ნყალობით, თინათინი მარტოობის მარადიულ თემას შეეხო.

მარტოობა ცუდია, ერთხელაც, მარტოობასთან დამეგობრებულს სინანული დაგეუფლება, ვინაიდან, მონატრება დაუმარცხებელია და ადამიანები ვერ უძლებენ მარტოობის დარდებს.

**არ დამტოვო გვედრები, არ დამტოვო,
სინანული აგიცრემლებს თვალებს,
მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო,
ვერ გაუძლებ მარტოობის დარდებს.**

„მარტოობის სონეტი“-კვლავ მარტოობის მშვენიერი სევდა, მეგობარი მთვარე თეთრი სამოსით. საოცარი დრამატიზმით აღწერს თავის შვილობას კოსმიური სტრიქონებისა, რომელიც ცხოვრობს დედამოწაზე, როგორც ქალი-სალოსი, არავის ჰგავს, მკვეთრად განსხვავებულია და გარიყულივით დადის ამ სამყაროში, რომელიც ცხოვრობს და თავს გრძნობს უცნაურ, ლურჯ ფრინველად და ამ შეშლილ ეპოქაში უცნაური რამ აირჩია საბრძოლველად,-კალამი!

მშვენიერი სულისა და ღვთის ანაბარა დარჩენილი ცდილობს სიტყვებით ებრძოლოს შეშლილობას. პოეტი თავს მიიჩნევს მსოფლიოს სევდის ჯვრის მტვირთველად.

პოეტი ცხოვრობს ანმყოშიც და თითქოს არაფერშიც, ამიტომ იბრძვის რითმებით, ძველი დროითა და მითებით ცდილობს გამოაფხიზლოს ადამიანთა დაბინდული, უტილიტარულსა და ყოფითზე მიჯაჭვული სულები.

ამდენი ხანია მიწაზე დგას, თმას ჭაღარაც შერევია და მაინც ვერ შეიცნო ადამიანთა შინაგანი სიჭრელე, ავი ზნე-ბუნებანი.

**...და თუმც ვბერდები, ხელი აღარ მემორჩილება,
ძაფით მივიბამ ფუნჯს თითებზე რენუარივით...
ვცხოვრობ ანმყოში-ძველი დროით, ძველი მითებით...
იდუმალა მარტოობის თეთრი არილი...**

მე მიწა ვჭამე, ასი ფუთი ვჭამე მარილი!

უცნაური და გულში ჩამწვდომი ლექსია- „ბებრის ყვავილობა“, მაგიური, ორაზროვანი, თან გჯერა და აღარც გჯერა, რომ

სიყვარულმა ასაკი არ იცის, ეს ერთი ამბავია მოკლე სიტყვად თქმული. ქალბატონს შეუყვარდება მთელი არსებით, გულით, სულით, თავისზე ბევრად უმცროსი ვაჟი. სიხარული, გაზაფხული იჭრება მის არსებაში, ახალი ენერგიით ივსება და სიცოცხლესაც აზრი იმაზე მეტად ეძლევა, ვიდრე ოდესმე... თმობს თავის სიყვარულს. თავისივე გონიერება, კეთილშობილება და ასაკი შეაჩერებს...

შენ ახალგაზრდა ხარ, მორჩა და გათავდა!
და შენ ხარ სამყაროს მეფეც და ბატონიც!
და ვინ გეტყვის, სიყვარულს თუ როგორ ფარავდა,
ოდესღაც ლამაზი ერთი ქალბატონი.
შენ ახალგაზრდა ხარ, მე უკვე ვბერდები.
და მაინც უზომოდ მსურხარ და მინდინარ.
ბებრის ყვავილობას ტკივილით ვნებდები
და არ მწყინს, რომ შენს გზაზე უჩემოდ მიდინარ...

რაოდენი სიკეთეა ბანოვანის გულში, თითქოს ჭაბუკი ენანება საკუთარი თავისთვის. სიყვარულს უხდება თავდადება, ესაა უარის თქმა სურვილზე, ვინც გიყვარს, ვისთანაც გსურს ყოფნა, არ შეგიძლია, მასზე რომ არ იფიქრო და დიდი ძალისხმევით ახერხებ გაუშვა, თან ისე, რომ ვერაფერი გაიგოს და, რომ გაეგო, ნეტა რას იზამდა ის ყმანვილი?! ეს არვინ იცის, იქნებ თინათინმა იცის თქო, ვიფიქრე და ვკითხე, პირდაპირი პასუხი არ გამცა, უბრალოდ მიპასუხა: - ესაა მისი უდიდებულესობა- პოეზია!

ჯორჯ გორდონ ბაირონი ქალებს მოსწონდათ, ბევრსაც უყვარდა. ქალბატონმა თინათინმა ლექსები შექმნა მასზე შეყვარებულ ქალებზე. ეს მოხდა 2007-2008 წლებში.

მერი ჩავორტი-აი, რა ათქმევინა პოეტმა მერის. სიყვარულმა შეშალა და შეარყია ქალი, საბოლოოდ გაგიჟდა. მერის სხეული თავისდაუნებურად გახდა ტყვე დიდი პოეტისა, რომ ის მუდმივად კრთის საყვარელი მამაკაცის წინაშე. ფერმიხდილია ქალი და სულიერად დასნებოვნებული. ძლიერმა სიყვარულმა მას სევდისა და დარდის მეტი არაფერი არგუნა და ცოცხლად-

ვე დაასამარა, ვინაიდან, სიყვარულის ბოლო აკორდი გაცხადდა მის ცხოვრებაში, როგორც ბოროტი სიზმარი, რომ უბედობა მერის ხვედრია, ვინაიდან, თავად სიყვარელმა მამაკაცმა შეადარა ის ფანტასტიკურ დედოფალს და მწუხარე აჩრდილს.

ერთსტროფიანი ლექსი-შედევერი იმედგაცრუებულ, გაღახულ, შეურაცხყოფილ სიყვარულზე. ქალის გული გალიაა და გადაქცეულა იმ თუთიყუშების საცხოვრისად, რომლებიც უცხო, გაუგებარ ენაზე რაღაცას ამბობენ, ჭიკჭიკებენ კიდეც, მაგრამ თუთიყუშები იმიტატორები არიან და მათ ჭიკჭიკ-ლაპარაკს ფასი არ აქვს, არ გააჩნიათ გულიდან ამოსული ხმები, ცივები, უგრძნობელნი არიან.

არ ვიცი, ლურჯი თევზები არსებობენ თუ არა ბუნებაში, და თუ არსებობენ, აუცილებლად აკვარიუმის თევზები იქნებიან, ხელოვნურად, ადამიანის გონით და გემოვნებით შექმნილნი. ლურჯ, დასაღუჰად განწირულ თევზს ჰგავს პოეტი, უწყლოდ დარჩენილი რომ ფართხალებს, ვინაიდან, თავად სიყვარულმაც „ჩაილურის წყალი დალია“.

„ელეგანტური თევზი“-შესაძლოა ირონიად აღიქვათ, მაგრამ ის, რაც აქ წერია, შესაძლოა აბსოლუტური სიმართლესაა, ვინაიდან თინათინი პირდაპირი ადამიანია, ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, მით უფრო, ქალებს ახასიათებთ მამაკაცის იდეალის გამოგონება და ეს აუცილებელიც კია, რომ თავი ქალად იგრძნო, აბა, რა უნდა ქნა სხვა, როცა არავინ გიყვარდება, ხორცშესხმული, ნამდვილად არსებული კაცთა შორის?!

თითქოს მამაკაცს ჰგავდა...

(თურმე ატარებს ნიღაბს...)

არვინ მიყვარდა, რადგან,

გამოვიგონე ვიღაც.

არვინ მიყვარდა, რადგან,

რადგან არ შემხვდა ზევსი

დავიმეგობრე ზღვა და

ელეგანტური თევზი.

ვილაცის გამოგონება შინაგანად ძლიერი, მებრძოლი და შემოქმედებითი სულის მქონე ქალებისთვისაა დამახასიათებელი, როცა ვერ ხვდები ცხოვრებაში ისეთ კაცს, რომელიც შიგნიდან დაგინახავს. უმეტესობას ქალები მოსწონთ გარეგნულად და ვერ აფასებენ თავიანთ რჩეულს, როგორც პიროვნებას და მწარეა შეგრძნება ქალისთვის იმისა, რომ სატრფო, როგორც პიროვნება, შენზე სუსტია, ამიტომ, იძულებული ხარ, გამოიგონო ვილაც.

თუ ვილამაზე ფასადს, რა ენაღვლებათ თევზებს?!

და ამ სიცრუის ფასად, ვნერ „ელიტარულ“ ლექსებს...

დაშვებულია ფარდა, ყველა ატარებს ნიღაბს,

არვინ მიყვარდა რადგან, გამოვიგონე ვილაც.

და საზოგადოების უმეტესი ნაწილი, ქალნიც და კაცნიც ნიღბოსნები არიან, ნამდვილ სახეებს მალავენ, ამგვარ ხალხთან ურთიერთობა კი რთულია, ისინი იმედგაცრუებას იწვევენ, ღონეს გაცლიან და რეალურ ცხოვრებაში ეშვება ფარდა, სწორედ ამიტომ, პოეტი იგონებს არარსებულ მიჯნურს, მეგობრად ზღვას და ელეგანტურ თევზს ირჩევს, იგონებს ვილაცას და ამისი შესაძლებლობა მისცა მეგობარმა ზღვამ და მშვენიერმა თევზმა, რომლებიც მუდამ ელიან.

„მოდი, ერთად დავჯდეთ, ბერიკაცო!“ ამ ლექსში ორი სხვადასხვა თაობის წარმომადგენელს, ახალგაზრდა ქალს და მამაკაცს გააერთიანებს და დაამეგობრებს სიყვარული. მამრი თავის ნაზამთრალ სიყვარულს იხსენებს, ქალი კი- ნატაძრალს...

დასრულდა ძველი სიყვარული, გაქრა, მისი ადგილი მწუხარებამ დაიკავა. მოხუცს უსაზღვროდ ახალგაზრდად ერქვენება ქალი და არ იცის, ამ ახალგაზრდას რამდენჯერ წაუგია ან მოუგია ომი, რამდენჯერ წაქცეულა და გაჭირვებით წამომდგარა. სატანაც კი მიპარვია და გასაფრენად აზიდული ფრთები მოუკვეცავს, მაგრამ ქალი სულიერად იმდენად ძლიერია, რომ გადარჩენილი ნაწილით, ყოველთვის ახერხებს თეთრი ტაძრის აგებას, ამიტომ არაა ის ბერიკაცის მსგავსად დაღონებული.

ბევრჯერ მომრევია ბოროტება,
 ბევრი ქარიშხალი დამტეხია...
 ფრთები სატანისგან მოკვეცილი,
 ისევ გასაფრენად გამიშლია.
 გული-მოყვასისგან ნატყვიარი,
 ისევ მოყვასისთვის დამიგია...
 სულის გადარჩენილ ნანგრევებზე,
 თეთრი ეკლესია ამიგია...
 მოდი, ერთად დავსხდეთ, ბერიკაცო,
 ერთად მოვიგონოთ სიყვარული,
 შენი ნაზამთრალი მწუხარება,
 ჩემი ნატადრალი სიხარული.
 მოდი, გამიმხილე სადარდელი,
 ასაკს ჩვენი ჭირიც წაუღია!..
 შენ რომ ახალგაზრდად გეჩვენები,
 ომი, უამრავი, მომიგია...

„ფოთოლცვენა“-შეყვარებული რომც არ გყავდეს, სიყვარულს განატრებიანებს, თბილისსაც თავიდან და ახლებურად შეგაყვარებს, რანაირადაც უნდა გიყვარდეს, რა სიძლიერითაც დედაქალაქი, სხვა რაკურსით დაგანახებს თითქოს და ჩვეულებრივ ალექსანდრეს ბაღს, ჭადრის ხეებს. ჩვეულებრივი, ჭუჭყის ფერი მტკვარიც კი გასაყვარლდება და ულამაზეს მდინარედ წარმოჩინდება, რომელმაც ციდან ვარსკვლავები ჩამოიღო, დაისაკუთრა და გასპეტაკდა, აბრჭყვიალდა. მწიფე ალუბლის გემოც გაჯადოსნურდება, როცა მას შეყვარებულთან ერთად დააგემოვნებ. ბნელი ღამეც თეთრზე თეთრად მოგეჩვენება. პარკში მდგარი ცისფერი სკამიც ჯადოსნურად მოგასვენებს.

სალამო იყო მშვიდი და სიყვარული- მუნჯი...

შენი ნაკეთები თლილი, შენი თვალები-ლურჯი...

და ბედნიერია ზრდასრული ქალი, როცა თავს ბავშვად აღიქვამს, რომელსაც შინ ის თლილნაკეთიანი, ლურჯთვალება, მფარველ ანგელოზად ქცეული კაცი, მტკვარი და თბილისი მიაცილებენ. წმინდაა ეს სიყვარული, ღვთისგან დალოცვილი.

ლექსები ციკლიდან „ლურჯი იების ვატერლოო“ საესეა ეროტიზმით, ესაა ლექსები სულით ხორცამდე შეყვარებულ წყვილზე -ნაპოლეონსა და ჟოზეფინაზე. ესაა ლექსები ტკბილ-მწარე სიყვარულზე, ჟოზეფინა მუდმივად რომ ელოდება მეუღლეს, კაცს და იმპერატორს, რომელსაც მიანდო სულიცა და ხორციც. ძლიერ კაცთანაა და ამიტომაც ელოდება შიშით, რამეთუ არ იცის, დაბრუნდება თუ არა ბრძოლის ველიდან. ის ელოდება კაცს, რომელსაც გამარჯვება, დიდება და სიკვდილი თან სდევს...

ო, სარეცელი! საჩუმათო, საესე ხაზები...

ელეგანტური მოძრაობა მდედრის და მამრის!...

ორი სხეული, ვით ბაღნარში უსურვაზები

და იდუმალი ვერ შეგრძნება დროის და დაღლის...

„სად ხარ ხელმწიფე?“ ეს ლექსიც მონატრებაზეა. ცოლ-ქმრულ სარეცელზე წყვილი ბედნიერია. მოწყვეტილი არიან ყოფით პრობლემებს, დარდს, ვარამს და ერთუროს ცხოვრებას ულამაზებენ, ისეთ ცხოვრებას ქსოვენ, რომ ღირს ამის შესაგრძნობლად ცოცხლობდე, ამგვარი სიყვარული ზეციურ, სამოთხის მსგავს სამყაროში ამყოფებს ადამიანებს, მაგრამ რთული მონეტებიც იკვეთება შეყვარებულთა ცხოვრებაში და ერთადერთია მონატრება, აგრეთვე შიში საყვარელი ადამიანის დაკარგვისა. ძრწოლა და შფოთვა იმის გამო, რომ ველარ შეგეხება, რომ ველარ შეიგრძნობ მისი ალერსისგან მონიჭებულ სიამოვნებას და ამ დროს, ქალსაც და კაცსაც, განურჩევლად ყველას, ენამებათ „ნამნამები.“

ქალი ელოდება გულისნორს, მამრს, ვისთანაც გრძნობს საკუთარ სინაზეს, მშვენიერებას, ქალურობას. გაჰყვირის ჟოზეფინას გული! - „მე როგორ მიყვარხარ!!!!“ „ახლა ჩემი ხარ! მხოლოდ ჩემი! შენ სხვას არ ჰგავხარ!“ მე შენ მიყვარხარ; „ხელმწიფეო, მე შენ მიყვარხარ.“ და ეჭვი იპყრობს, და ეს ეჭვი კიდევ მეტად ალაგზნებს.

სალამოს ხვატში მომესურვა შენი ალერსი...

სად ხარ ხელმწიფე? დამენამა მე ნამნამები!

მსოფლიო ლიტერატურაში მრავალი რამ დაწერილა ნაპო-
ლეონისა და ჟოზეფინას სიყვარულზე. თინათინმა კი შექმნა
ლექსები იმპერატორის მეუღლის გრძნობების შესახებ, სულში
ჩაუსახლდა მას და ქალის ვნებები, ფიზიკურიც და სულიერიც,
სამზეოზე გამოიტანა, თანაც, ამდენი საუკუნის გასვლის შემ-
დეგაც მოახერხა ახალი სიცოცხლე შთაებერა ჟოზეფინასთვის,
როგორც ქალისთვის, პიროვნებისთვის.

2017 წლის 17 აპრილს ახალი ლექსი დაიბადა, - „კესანე.“

მსუბუქი, ჰაეროვანი, ლირიული ლექსი წარსულ სიყვარულ-
ზე, უკვე ჩავლილზე, მაგრამ დაუვინყარზე.

კესანე ულამაზესი ყვავილია და პოეტი მას თითქოს ძაფად
იყენებს, რომ წარსულიდან გამოყოლილი სიყვარული, ალაგ-ა-
ლაგ რომ ამოგლეჯილა, დამდნარა და განლეულა, ამოკემსოს.
დიახ, ბედნიერი წუთები, რომლებიც გვქონია, არამც თუ არ
უნდა დაგვაგინყდეს, მუდმივად უნდა ვაახლებდეთ სულსა და
გულში. არ უნდა დავლონდეთ, არც დავიბოღმოთ იმის გამო, თუ
ჩვენი კუთვნილი სიყვარული ვიღაც სხვამ, მესამემ წაგვართვა
ან მოგვპარა.

ზამთრის თოვლს გაჰყვა სიყვარული, რაც იყო, იყო!..

რაც იყო, იყო! ვიღაც უცხო, ვიღაც მესამე...

არ დამივიწყო გევედრები, არ დამივიწყო,

არ დამივიწყო შენი კვნესამე!

კეთილი ლექსი და დალოცვაა - „ჭრელ კაბაში დაგაბეროს
ღმერთმა.“

ერთ გოგონას ლოცავს პოეტი, განუმეორებელს, მშვენიერს,
ლამაზს, უნდა, რომ ბედნიერი იყოს სიცოცხლის დასასრულამ-
დე. ეს ის ბედნიერებაა, რომელსაც ქალთა ბედნიერებას ეძახი-
ან, ერთის მეშვეობით ყველა გოგონა იგულისხმება, რომლებიც
ოჯახის შექმნას აპირებენ ან ახლად დადგმული უღელი აქვთ.
ცოტათი არიგებს მათ, მორჩილნი და მომთმენნი იყავითო, ეცა-
დეთ, მუდამ ბედნიერი იყოთო...

იყავ მშვიდი, მორჩილი და მომთმენი,
 შეგიყვაროს კაცმა ერთადერთმა...
 ბედნიერად ჩაგემარცვლოს დღენი,
 ჭრელ კაბაში დაგაბეროს ღმერთმა...
 ქვეყნად არსად აღარ დარჩა
 ერთი ქალიც, შენი ფეხის მტვერი,
 ჭრელ კაბაში დაგაბეროს ღმერთმა!

სიყვარული ყველა ადმიანის არსში ბუდობს, მაგრამ ამ გრძნობას ზემოთ ამოტანა სჭირდება, ეს ყველას არ სძალუძს, ვინაიდან, სიყვარულის გაცემა ნიჭია, თუ ვერ გაეცა ან უნიჭობის გამო ცუდად, ბოროტად და მახინჯი ფორმებით გამოიყენებ, გაგინანყენდება და სულში საღათას ძილით დაიძინებს.

თინათინმა სიყვარულის სახელით იმდენი გაიღო, რომ სამართლიანად დაიმსახურა ერის სიყვარული.

როგორია თინათინ მღვდლიაშვილის პოეზია? - ლაგამმიშვებული ლამაზი ცხენივითაა, მინაზე კი არა, ზეცისკენ რომ მიაქანებს მშვენიერ, ნაზ და იმავდროულად მამაც ქალ-მხედარს.

2018 წლის იანვარი

თავის უფალი ადამიანი

ირაკლი ლომოურის შესახებ გამიგია, ფანტასტი მწერალიაო. კი ბატონო. ისიც გამიგია, აბსურდისტიკაო, შესაძლოა. კარგი პიესები დაწერაო, დიახ, ასეა. დავამატებ, ორიგინალური ფანტაზიების მქონე მწერალია, თავის უფალი ადამიანი. შეგნებულად ვწერ ამ სიტყვებს ცალცალკე. თავისუფალი სხვა რამეა, თავის უფალი კიდევ სხვა რამ, ვინაიდან, თავის უფლობა ძნელად მისაღწევია და ვინც ამას შეძლებს, არის უფალთან ჭეშმარიტად ახლოს მდგომი მხოლოდ ადამიანი კი არა- პიროვნება. ბატონ ირაკლის გადარჩენილ ადამიანად აღვიქვამ, ვინაიდან ის, როგორც სსრკ-ს მოქალაქე, ხელიდან გაუსხლტა კომუნისტურ იდეოლოგიასა და შეგნებულად ადამიანებისთვის ხელოვნურად გამოგონილ აბსურდულ ზეგავლენებს. ის ვერ გახდა იმდროინდელი უფლებანართმეული ადამიანების იმპერიული სამყაროს ნაწილი და ვფიქრობ, არც აწმყოს ნაწილია, ვინაიდან დიდი დემოკრატიულობით ვერც ახლა ვინონებთ თავს. ამიტომაც საკუთარი, ლაღი შინაგანი სამყარო აქვს აშენებულ-მოწყობილი ამ ადამიანს და ჩვენი ყოფის რეალობასაც ოსტატურად წარმოაჩენს.

ბატონი ირაკლი საბავშვო მწერალიცაა, პოეზიასაც ქმნის და პროზაში ძირითადად მცირე ზომის ნაწარმოებებს გვიზიარებს მკითხველებს, თუმცა ორი დეტექტიური რომანიც აქვს დაწერილი.

სკოლის მოსწავლე ვიყავი, XX საუკუნის ოთხმოციანი, მეტად უსახელო წლები იდგა. რაღა არ გვიზიდავდა მოზარდებს. ზოგს ფილოლოგობა გვინდოდა, ზოგს ისტორიკოსობა, ინჟინრობა, მშენებლობა, ფიზიკოსობა, მსახიობობაზეც ვოცნებობდით, ხელოვნებათმცოდნეობის პრეტენზიაც ჰქონდა ბევრს. აი, პოლიტიკოსობაზე არცერთი ჩვენგანი არ ფიქრობდა, პროფესიად ვერ აღვიქვამდით. ოფიციალურად მხოლოდ კომუნისტური პარტია არსებობდა და იქ თუ განვევრიანდებოდი „ეგეც კაი რამე“ იყო, პრივილეგირებულად იგრძნობდი თავს და ჩვენ არ

ვიცოდით, საბჭოთა კავშირი ახლო მომავალში თავზე რომ დაგვემხოვოდა და ამ ნგრევის მონაწილენიც გავხდებოდით.

მახსენდება სადარბაზოს კედელზე მიმაგრებული ჩანაწერები და დანომრილი საფოსტო მწვანე ყუთები, ჩვენი ოჯახისა იყო ნომერი 3, რომელშიც დილით ფოსტალიონი საბჭოურ გაზეთებს ჩაასრიალებდა ყუთების ზემო ჭრილიდან და ლილინ-ლილინით მიდიოდა, მაგრამ პერიოდულად იდო ლიტერატურული ჟურნალებიც, „მნათობი“, „ცისკარი“, „ნობათი“ და კიდევ, ჩემი საყვარელი ჟურნალი სახელწოდებით „საქართველოს ქალი“, რომელშიც საინტერესო მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტები იბეჭდებოდა. ვიჯექი და ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი ამხანაგების მსგავსად მქონდა ნაკლი, არ მაინტერესებდა ლიტერატურული ქმნილებების, პიესების, სცენარების, რეჟისორების, ოპერატორების ვინაობა, რომელთა წყალობითაც ხდებოდნენ მსახიობები ჩვენთვის აგრერიგად სათაყვანებლნი და დაუფინყარნი. მახსოვს, ვგეგმავდით რადიოსპექტაკლებზე, ტელევიზორზე მეტად მიყვარდა რადიო, მოკლედ, იმის თქმას ვცდილობ, რომ ასეა თუ ისე, ჩემი თაობა ნაზიარებია ჭეშმარიტ ხელოვნებას და ამისთვის უფალს ვმადლობ. იმ დროს კი ბატონი ირაკლი დიდი ბიჭი იყო, ჩამოყალიბებული მწერალი. წერა თვითგადარჩენის მიზნით, 12-13 წლის ასაკში დაუწყია, ვინაიდან სძულდა საბჭოთა სკოლაც, რომლის კედლებშიც განათლებას იღებდა. დაბეჯითებით გავიმეორებ, ამ ადამიანმა ბავშვობაშივე იპოვა გამოსავალი საკუთარი სულის გადასარჩენად. განსხვავებული გზებით იარა, რომელმაც ტაძრამდე მიიყვანა, ეკლესიის გარეთ კი არ დარჩა, იმ სამყაროში ფეხიც შედგა და დამკვიდრდა, უმაღლესადამთავრებულმა სასულიერო სემინარიაში, შემდეგ აკადემიაშიც განაგრძო სწავლა, რომელიც სასულიერო აკადემიაშივე ლექტორად დატოვეს, მაგრამ უცნაური რამ მოხდა მის ცხოვრებაში, მეორე სართულის აივნიდან გადმოვარდა და სასტიკად დაზიანდა. რეანიმაციაში იწვა, გონს მოვიდა, იწვალა, იბრძოლა და ღვთის შეწევნით გადარჩა. საყვარელ საქმეს,

განათლების გაღრმავებასა და წერას დაუბრუნდა. მან თარგმნა ქართულად ო' ჰენრის მოთხრობები. 2004 წელს მარიო პიუზოს რომანი „ნათლია.“ ავტორია პოპულარული თოჯინური სერიალისა „ჩვენი ეზო.“ მერაბ კოკოჩაშვილმა ბატონი ირაკლის სცენარის მიხედვით გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „უსუი.“

მიხარია, რომ ქართულ მწერლობას ირაკლი ლომოურის სახით ჰყავს ფანტასტიკოსი მწერალი. ფანტასტიკა ხომ იდეების მსახურებაა, ამბები, რომლებიც ზღაპრებს გვანან, სადაც შესაძლოა აღწერილი იყოს არარეალური სამყარო, რომელიც მაგიითაა გაჯერებული, რაც მკითხველს ალაფრთოვანებს. ბატონი ირაკლი, როგორც შემოქმედი, დაინტერესებულია ადამიანის სულიერი და ფიზიკური პრობლემებით, სოციალური მდგომარეობით. წუხს და ფიქრობს რეალურ სამყაროში წარმოშობილ ყოფით სატყვივრებზე. თავისი ნაწარმოებებით გვაფრთხილებს და შინაგან სიმხნევას გვმატებს, რომ ათასგვარ უბედურებას მედგრად შევუგებოთ და სულიერად არ დაგვცეს მოულოდნელად წარმოქმნილმა კატასტროფებმა. ის სხვადასხვაგვარ იდეებს ათამაშებს და ამ ხერხის მოშველიებით აღგვაფრთოვანებს, რაც, თქვენ წარმოიდგინეთ არა მხოლოდ სულს გვიმდიდრებს, ჯანმრთელობასაც გვიუმჯობესებს! ლიტერატურა ხომ სიცოცხლის უზარმაზარი ენერგიის მატარებელია. აღტაცება, რომელიმე ნაწარმოების გამორჩეულად სიყვარული ჩვენს ტვინზე დადებითად მოქმედებს.

მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, დახვეწილი არქიტექტურა კარგი სპექტაკლი თუ ფილმი ჩვენი გონების უმთავრესი მკვებავები არიან. ხელოვნების დახმარებით ჩვენი ოცნებები ქროლვასა და ფრენას იწყებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადამიანი სამყაროსთვის სასარგებლო, ჭკვიან არსებად ფორმირდება, როგორც ბატონი ირაკლი აცხადებს, მატერიაში ჩაფლულ ადამიანებს იდეები, ფიქრები და ოცნება არ მოსდითო. ზღვარს გადასულ მატერიალისტებს ჟამთა მდინარეა ისე აბოროტებს, რომ სამყაროს მტრებად ყალიბდებიან. მწერალი გვეუბნება,

კაცობრიობას უბრალოდ ადამიანები კი არა პიროვნებების არ-
მია სჭირდება. მისი აზრით, ტექნოლოგიები და მანქანები ჩვენს
სულს ერჩიან, რაღაც დიდს და მნიშვნელოვანს გვტაცებენ, რა-
მაც შესაძლოა ყოველივე მშვენიერის, ღირებულის გამანადგუ-
რებლად გვაქციოს და სითბოდაკარგული ადამიანი მარტო-
ბაშიც საშიშია, ვინაიდან შეუძლია საკუთარ თავსაც დაუშავოს
და სიცოცხლესაც გამოესაღმოს.

აკი მოგახსენეთ, ირაკლი ლომოური პიესების ავტორიც რო-
მაა, მაგრამ, როგორც რადიოს მოყვარულმა, მსურს ყურადღება
რამდენიმე ტექსტზე გავამახვილო, რომლებიც რადიომსმენე-
ლებისთვის დაიდგა. ეს ნაწარმოებები გაჯერებულია სიბრძნით,
გულითადობით და უწყინარი, ტკივილიანი ირონიით. ესენია:
„ჭაში“, „მიველ ვნახე...“ მკვლელობა ჩოგბურთის კლუბში“. ავ-
ტორი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის სულში წარმოქმ-
ნილ უფსკრულებზე, რომელთა ამოვსება თითქმის შეუძლებე-
ლია, როცა ოჯახში, ნათესავებთან, შვილთან, სამსახურში და
მეგობრების გვერდითაც კი თავს მარტო გრძნობ და გტანჯავს
სიცარიელის შეგრძნება და საერთოდ, ვინ ვართ ჩვენ, ადამია-
ნები? დამპყრობლები, მოძალადეები, მჭამელები, მომხმარებ-
ლები იმისა, რასაც მივწვდებით და შევწვდებით, უფრო მეტიც,
ინდივიდი თუ საჭიროდ ჩათვლის, სხვისი სიცოცხლის ხელყო-
ფაც შეუძლია, მაგრამ მკვლელსაც სძალუძს მიწიერი სამყარო-
დან ისე გავიდეს, რომ სიკვდილის წინ მაინც სხვების გადამრ-
ჩენელი გახდეს და მაინც, ადამიანები მჭამელები ვართ, ვჭამთ
ყველაფერს, რაც მიწიდან ამოდის, მოძრაობს, ცურავს. დედა-
მიწაზე არსებულ სხვა რესურსებსაც, რაც გაგვარჩნია და შემოგ-
ვრჩენია, ვიყენებთ და ვანადგურებთ მაშინაც, როცა მოსავალს
მოვიწვევთ, როცა ვკლავთ, ვიჭერთ, ვთხრით, რომ წიაღისეული
მოვიპოვოთ ... ვერ ვძლებით ძიებით, მოპოვებით, მონადირებით,
დაპყრობით, დასაკუთრებით, არადა, დედაბუნება არც არაფერს
გვიმაღავს და ისედაც ყველა სიკეთეს გვჩუქნის, ჩვენ კი დაპყ-
რობას განვაგრძობთ. ჰო, ყველაფერი ჭამა ადამიანმა, მიტაცე-

ბას, ჯაჯგურსა და თქვლეფას განაგრძობს, მაგრამ თავად რომ ადამიანს მიუახლოვდები, დაინახავ, მას შური სჭამს. შურთან რომ მიხვალ, დაინახავ, ის არაფერს შეუტყამია, ვერც ადამიანს და გაიფიქრებ, „რა ჯანდაბა შეტყამს შურს!“ და შურზე ცუდი კიდეც რა უნდა იყოს?! რა და, ისევ და ისევ, ჯანდაბა!

„მიველ ვნახე (დაუჯერებელი ამბავი),“ ამგვარად აქვს დასათურებული ერთი მოთხრობა ავტორს, სადაც მთავარი გმირები არიან აჩიკო, პროფესიონალი ლიტერატორი, რომლის ცოლიც მშობიარობას გადაყვა, მაგრამ შესანიშნავი ქალიშვილი დაუტოვა გასაზრდელად. აჩიკოს დედა წლების განმავლობაში ოჯახს რეპეტიტორობით არჩენდა.

აჩიკოს ქალიშვილია, 15 წლის სოფო, რომელსაც მამა ბაღლობისას თავს ევლებოდა, უკითხავდა წიგნებს, ბევრს ესაუბრებოდა. ღვანღმა ნაყოფი გამოიღო. გოგონამ სამი წლის ასაკში ისწავლა კითხვა და მას მერე სულ კითხულობდა და კითხულობს. შესანიშნავი ბავშვი იყო, უწყინარი და ჭკვიანი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბებოს დაელაპარაკა: - „ბაბულ, წნევა გაქვს, შეეშვი მოსწავლეებს, დაისვენე.“ თქვა და აგერ უკვე ერთი წელია ოჯახს არჩენს. შექმნა „თინეიჯერ მწერალთა, ჟურნალისტთა ქართულ-ევროპული ასოციაცია“ და გაპრეზიდენტდა, რომელსაც შეუძლია მამას მოურიდებლად კითხვა დაუსვას, იმპოტენტი როდის გახდით? სურს, რომ ქვრივმა მამამ კვლავ მოიყვანოს ცოლი. საერთოდ, ისეთებს ამბობს, რომ დედამინაც შესაძლოა ყირამალა დადგეს, გრავიტაციის კანონი უქმდება თითქოს... და აჩიკო საკუთარ თავს ეკითხება, ვის ჰგავს ეს ბავშვი, დედას თუ მამას? ვინაა საერთოდ, კდემამოსილი ასული თუ... ნაჯახი! იქნებ, სულაც მუტანტი ან ჰუმანოიდია? ბავშვმა ორას გვერდიანი რომანები დაწერა, მამასაც წააკითხა, რომელმაც ამ ნაწერებში სხვა ავტორების გავლენები დაინახა. მერე გოგონამ სადღაც ფული იშოვა და რომანები წიგნებად აქცია, თან ამბობდა, 2039 წელს ნობელის პრემიას ავიღებო.

მესამე მთავარი გმირი გახლავთ სოფოს სტუმარი ამერიკის

შეერთებული შტატებიდან, რომელიც „შემოქმედ ბავშვთა და თინიჯერთა მსოფლიო საქველმოქმედო ფონდის“ ხელმძღვანელი და ქართული ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი. ალინ პარკინსონი, ჩახუტების მოყვარული ადამიანი.

ირაკლი ლომოური აღწერს პერსონაჟთა გარეგნობას, სულიერ მდგომარეობას და ამას აკეთებს გამუდმებით, მაშინაც, როცა ნაწარმოები დასასრულს უახლოვდება. ავტორი ორიგინალურად აღგვინერს ყველა პერსონაჟს, მაგალითად, ალინზე წერს, ისეთი ხმელი ვინმეა, რომ კუთხეებისგან შედგენილ ავღანურ მწვევარს ჩამოჰგავსო. თავად არაა მისი გარეგნობით აღფრთოვანებული, მაგრამ თან უნდა, რომ იმ ქალბატონს მოსწონდეს.

ერთი პასიური პერსონაჟიც საინტერესოდ წარმოგვიდგინა მწერალმა, თენგიზ გვიმრაძე თუ მამრაძე, ალინის ოფიციალური თარჯიმანი, რომელიც არ ასრულებს თავის მოვალეობას, არ თარჯიმნობს და ჰგავს გაუხმოვანებელ, მუნჯი კინოს პერსონაჟს. გარეგნობის მიხედვით კი, ყველაფერი საშუალო და ალაგ-ალაგ უსახურიც აქვს. ეს ყმაწვილი აღმოჩნდება ნაძირალა, რომლის წყალობითაც სამი უდანაშაულო ადამიანი მოტაცებული და დატყვევებული აღმოჩნდება. გაოგნებულები შეკრთომას და გაბრაზებასაც ვერ ახერხებენ. მათ წინ დგას ნილბიანი კაცი, რომელსაც აჩიკო თავის გულში „პატრონს“ უწოდებს. ნილბიანს მხოლოდ თვალები უჩანს და აჩიკო ამ თვალების დანახვისას გახევდება. აქამდე ყოველგვარი მზერა ენახა, „ცივი, გაყინული, გესლიანი, ერთმნიშვნელოვნად და მარტივად ბოროტიც, მაგრამ ეს რაღაც სხვა იყო... გათოშილი, წკვარამი და მკვდარი თვალები.“ სოფოს მამა ბიჭის სხეულზე შეხებით მიხვდება, რომ ნილბიანი სინამდვილეში კაცი კი არა, ჩვეულებრივი მოზარდია. ბიჭუნასთვის დამახასიათებელი გამხდარი ხელები, ნატიფი აგებულება აქვს და მის სისასტიკეში ეჭვი შეეპარება და როცა გულნასულ „პატრონს“, იგივე „კობრას“ აჩიკოს ქალიშვილი ნილბას ახდის სასტიკ-ნაიარევი 17 ან 18 წლის ჭაბუკის სახე გამოუჩნდება.

ალინი იმუქრება, ამერიკის პრეზიდენტით, ჯარით, საკუთარი ძმით აშინებს „კობრას“, ხანაც მღერის... მერე ერთ ბიჭს გაიხსენებს, ჰენრი შეკლტონს, რომელიც სინამდვილეში ყოველ წუთსა და წამს ახსოვს, ის მისი პირველი მეგობარი და შეყვარებული ყოფილა, ტყეში შესულს მეხი დასცემია და მოუკლავს. ალინი რა სიკეთესაც აკეთებს მოზარდებისთვის, ყველაფერს თავის გულში იმ ბიჭუნას უძღვნის...

მამა-შვილი ნაკამათდებიან, ახლო წარსულში დაკარგული ქართული ტერიტორიების გამო. გოგონა ერთმნიშვნელოვნად მამამისსა და მის თაობას აბრალებს ქვეყნის თავს დატეხილ ყველა უბედურებას. „ღორები“ სამშობლოს რომ ყიდნენ, შენ ჩუმად იყავიო და მწერალი ამ დროს მიდის უმნიშვნელოვანესი სიმართლის აღიარებისკენ. დამოუკიდებელი, მაგრამ მაინც ოკუპირებული ქვეყანაა საქართველო, სინამდვილეში საქართველო არაა თავისუფალი, ყველა ჩვენს საქმეებში ყოფს ცხვირს და ხელებს აფათურებს, არც რუსები წასულან სადმე, რუსები ცოტახნით მიყუჩებულები არიან, სინამდვილეში კი თავი არ დაუნებებიან საქართველოსთვის ანუ საქართველო ისევ რუსეთია და საქართველო ისე ჰქვია... ქართველები შავ ხვრელში ვიმყოფებით, რომელსაც რუსეთი ეწოდება. „მთელი ეს ინდეფენდენტი თავის ბაზარ-ვაგზალიანა ამ ხვრელშია“, ვინაიდან გარშემო მხოლოდ სიცარიელეა, სიცარიელე კი უარსოა და ნებისმიერი სახის მიღება შეუძლია. ის ხან ევროპაა განათლებული, პროგრესული, პრაგმატული, ხანაც აზია, იდუმალი და ბნელი, მისტიკური... და სინამდვილეში კი არცერთი არაა, სიცარიელეა... ვაკუუმი...”

მკვდართვალეა ნილბოსანი დიდხანს ჩუმადაა, ამათ ლაპარაკს უსმენს, ქმედებებს თვალს ადევნებს. ტყვეებს მოხარშული კარტოფილით უმასპინძლდება, მდებრებს ჩაისაც დააღვინებს. აჩიკო საკუთარ შვილს თავიდან აღმოაჩენს, დააფასებს მის დიდსულოვნებას, სიმამაცეს, საზრიანობას. სიგარეტი ჯერ ისევ აქვს და თავში ავანტიურული აზრი გაუელვებს, მაგრამ არ განახორციელებს, არ გააჩენს ხანძარს. მას თავიდან ჰგონია, სო-

ფოს მტარვალის მიმართ სიმპათია და ნაზი გრძნობები გაუჩნდა, შეეშინდება, ცოლადაც არ გაჰყვესო, მაგრამ შეცდება. მერე, ის ბიჭი მგელივით აყმუვლდება ფარდულში და მტანჯველი, აუტანელი, გაუსაძლისი ტკივილებიდან თავის დახსნაში სოფო დაეხმარება. ბიჭს მადლიერების გრძნობა არ გაუჩნდება, უარესად გასასტიკდება, რომ გათენდება დაგზვრეტო, ვინაიდან თქვენ ჩემი სახე იხილეთო. მერე თავისი ცხოვრების შესახებ მოუყვება ტყვეებს, თუ როგორ ესროლეს მამამისს, როგორ გაიყინნენ პატარა და-ძმა საკენ-ჭუბურის ჯოჯოხეთურ გზაზე, მერე დედამ ვილაც სამხედროს რომ ჩააბარა თავისი უფროსი ვაჟი, თავად კი გაიქცა და კლდიდან გადაიჩეხა. აჩიკოს გული უწუხს, სამშობლოშივე გატოლვილებული მწერლის გურამ ოდიშარიას მონათხრობები ახსენდება და ბიჭს ეკითხება, შემთხვევით, ლევანი ხომ არ გქვიაო? „კობრა“ უარობს და კვლავ იმუქრება, ვინაიდან მას სძულს ის ადამიანები, რომლებიც აფხაზეთში დატრიალებული ომის დროს შინ იჯდნენ, ერთობოდნენ და ფიქრობდნენ, რომ ეს ომი წინასწარ წასაგებად დაგეგმილი ჯოჯოხეთიაო. ნილბიანი ფიზიკურად და სულიერად დასახიჩრებული ჩვეულებრივი ადამიანია, ბავშვობანართმეული, ოჯახისა და საყვარელი ადამიანების გარეშე, ღვთის ანაბარად მიგდებული და მას ჰგონია, რომ ქვეყანაზე ველარავინ შეიყვარებს, იმისიც ეშინია, თავად მე არ შემეყვარდესო ვინმე, ის მარტოა, სრულიად მარტო და ფიქრობს, რომ საშინელი ურჩხულია და ამის გამოც სურს სასტიკი და დაუნდობელი იყოს, მაგრამ მაინც ადამიანია, ადამიანი ადამიანური გრძნობებით და, როცა ჩაბარებულ ტყვეებს სიცოცხლის დაკარგვის საფრთხე შეექმნებათ, მათ გააპარებს და დაარიგებს, ირბინეთ, გაიქცეითო! ესენიც გამოიქცევიან. სოფოს, ალინს, აჩიკოს არ შეუძლიათ ბოლომდე გაქცევა და სოფოს მამა ფრთხილად უკან ბრუნდება, რომ ნახოს, რა ბედი ეწია „პატრონს“, მეტსახელად „კობრას“, უბრალოდ ბიჭს, რომელსაც ლევანი არ ჰქვია. ფარდულს გარეთ სამ გვამს წააწყდება აჩიკო, ფარდულში შევა და იქ ის ბიჭიც მკვდარი დახვდება, რომელსაც

ხელში ოჯახის ფოტო უკავია. გამოაცლის თითებიდან, სურათს უკან აწერია, „აჩიკოს დედიკოსა და მამიკოსაგან 1993 წ. 1 სექტემბერი.“ აჩიკოს სეხნია ყოფილა უბედურ დღეზე გაჩენილი!!! ვერ გეტყვით მერე რა მოხდა, ასე მთავრდება ამბავი, მაგრამ, როგორც მკითხველმა ვიფიქრე, რომ სოფო ამ თავგადასავლის მიხედვით კარგ მხატვრულ ნაწარმოებს შექმნის, ალბათ აჩიკოც დაწერს რამეს და იქნებ ალინმაც დაწეროს...

რადიოპიესამ „ჭაში,“ საფიქრალზე საფიქრალი დამიმბატა... ლიფტში უცნობი მდედრი და მამრი ერთუბრთის წინაშე პირისპირ ხანგრძლივად აღმოჩნდება, ვინაიდან დენი გაითიშა და ლიფტიც სართულებს შორის გაიჭედა. გამოსაძახებელშიც, ღილაკს თითს რომ აჭერ, კაციშვილი არ გპასუხობს, სახლი კი ახალი აშენებულია, ლიფტია ჭუჭყიანი და უსიამო სუნია, ეს იმიტომ, რომ თავად „ადამიანია ძველი...“ გოგი და ეფემია ამ კორპუსში არ ცხოვრობენ. კაცი გვიან ღამით მამასთან მიდის ფულის სათხოვნელად. ქალი მამისტოლ საყვარელთან ღამის გასათევად. ორივეს ლოდინის აუტანლობა დაეუფლება, მაგრამ ერთუბრთს შორის ბუნებრივად წარმოქმნილი კომუნიკაცია, დიალოგი დაახლოვებთ. საერთო აქვთ ის, რომ ორივეს ცხოვრება უკუღმართულად აწყობილა. სიბნელეში ლიფტის იატაკზე გოგის ლექსებდაბეჭდილ თაბახის ფურცლებზე სხდებიან და მათი დაახლოვებაც არ იწვევს მკითხველში არაბუნებრივობის შეგრძნებას. ისინი შეეჩვევიან სიბნელეს. ქალი მოგვიანებით ასანთსა და სიგარეტს გამოაჩენს, ვინაიდან აღარ ერიდება. კიბეებზე ამავალი ვილაცის ნაბიჯების ხმაც ისმის, ესენი ყვირიან, შველას ითხოვენ ეგრეთ ნოდებული უცნობი მეგობრისგან, მაგრამ იმ ვილაცას ლიფტის კამერაში გამომწყვდეულები არ ენაღვლება და აქედან გამომდინარე, მწერალი აკეთებს დასკვნას, „ყველას ყველა ფეხზე ჰკიდია საკუთარი თავის გარდა და ამიტომაც განურჩევლად ყველა გულგატეხილია.“ აბსურდული სიტუაცია იქმნება, ლაპარაკის შეუზღუდავი საშუალება. ვგებულობთ, რომ უცნაურ სამსახურში დადის გოგი, სადაც ყველა თანამშრომელი უმაღლესდამ-

თავრებულია, მაგრამ პრინციპში იქ, ჭორობის გარდა, არავინ არაფერს აკეთებს. ასეა ყველგან და ეს არ შეიძლება, მაგრამ ადამიანები სიმახინჯეში ცხოვრებას მაინც ახერხებენ, ამიტომ თხზავს გოგიც ლექსებს თუმც არაფერში სჭირდება, ვინაიდან ყველა ლექსს წერს ვისაც არ ეზარება და ჰგონია, რომ ეფემი-
აც პოეტია, მაგრამ არა, ქალი მხატვარია-ტამისტი, სტუდენტიც. ამბობს, რომ პოეზია არ უყვარს, მაგრამ კარგი მსმენელია, გო-
გის მიერ ნათქვამი პირველი ლექსის მოსმენით არ მოხიბლულა, დანარჩენი ლექსები უფრო მოეწონა, ლიფტში ყოფნაც ორივეს-
თვის კომფორტული გახდა, ისეთი შეგრძნება აქვთ, ვითომ ჭაში სხედან, მაგრამ ზემოთ არ იცქირებიან, ნამდვილი ჭიდან ცას და-
ინახავდნენ, ვარსკვლავებით მოჭედილს, ლიფტში კი რომანტიკა გამოირიცხულია, ზედმეტად დახშული სივრცეა, აქ არც წყალია, რომ პირი გაისველო. უცნაური დღე გათენდა ქალისტვის, მან ხომ დილით საკუთარ აბაზანაში პატარა ცისარტყელა იხილა? დაღამდა უცნაურად, საყვარელთან მიდიოდა, ამალამაც მარტო-
ობა რომ არ ეგრძნო. აღარ უყვარს ის კაცი, მაგრამ მაინც მისკენ გარბის, როგორც ბედისწერის მარიონეტი. გოგის ცოლშვილი ჰყავს, მაგრამ ცხოვრება არ უხარია, თითქოს იხრჩობა და ვერც კვდება თუმც ახსოვს იმედით სავსე წარსული, როცა თავის შე-
საფერის ადამიანს ეძებდა, ვინც გაუგებდა, ცხოვრებას გაულა-
მაზებდა, მაგრამ შეცდა, ცოლი იმ ოცნების ქალის სრული ანტი-
პოდია და ვერც შორდება 2 წლის ვაჟის ხათრით. ახლა ეფემიას გადაეყარა და ფიქრობს, რომ ეს ისაა, ვისაც ეძებდა:

სასაცილოა, მაგრამ ვკვდებოდი,
სასაცილოა, კვდებოდი მართლა,
მთელი ცხოვრება გელოდებოდი
და არ მოხვედი, ეს მახსოვს ნათლად.
სასაცილოა, ბევრჯერ ვკვდებოდი,
არცერთ სიკვდილზე არ დამესწარი,
მაგრამ ერთსაც გთხოვ, ამ ბოლოს მოდი,
გადამაფარე თეთრი ზეწარი...

მე დავიღალე ამდენ სიკვდილით,
 ვკვდები და ისევ ვბრუნდები უკან,
 შენ მინდა გნახო და მოვრჩე ამით,
 შენს უნახავად ვერა ვძლებ რადგან,
 რადგან მე ვკვდები ყოველ ნატვრაზე,
 როცა მიდიხარ და ვერა გხედავ,
 გამოჩნდი ერთხელ, მახვენებ რაზე,
 მომხსენი ჯადო! მეტს ვერ გიბედავ...

მეტს იმიტომ ვერ უბედავს ეფემიას, რომ საშინელი ეჭვი დაეზადება. არ იცის, რომელ სართულზე მიდის ეფემია, მაგრამ დანარჩენი ემთხვევა, მამამისი ხომ ცოლს გაშორებული მარტო-ხელა ლექტორია და ეფემიაც უეჭველად მასთან მიდის... იქნებ არც მიდის, მაგრამ ეჭვი რომ გაუმართლდეს, ამას ვერ გადაიტანს, გული გაუჩერდება, ან რაში აინტერესებს სად და ვისთან მიდის რამდენიმე საათის წინ გაცნობილი ეფემია? მისი ბოლო ლექსიც ეფემიასთვისაა წაკითხული:

სიზმარი იყო, ცხადი მეტწილად,
 ოთახში ჩემთან ყოველთვის თოვდა,
 თოვდა უწყვეტად, გაუჩერებლად,
 თოვდა ლამაზად, მაგრამ... ციოდა.
 ჩემი ოთახი იყო პოლუსი
 განმარტოების ჯერაც უვალი,
 მარტო ვიყავი, მე -ესკიმოსი,
 აისბერგების სიჩუმით მთვრალი...
 უიმედობის სუსხი მყინავდა,
 ზეცად წარსულის ციალი მქონდა,
 ღამე დადგა და აღარ გათავდა,
 სევდაგამჭოლი ქარბუქი ქროდა...
 მაგრამ გამოჩნდა მანათობელი,
 ყინული გადნა, წარღვნაც დაიწყო,
 და ვინც მეგონა მაშველი, მხსნელი,
 ჩემს დასახრჩობად ამოსულიყო.

მესამედ რომ მოვა შუქი, გოგი უკანმოუხედავად გაექცევა ეფემიას, არ სურს გარკვევა, ვაიდა ცრუა მისი ეჭვი, და, გადაამონმონ, იქნებ გადარჩნენ, მაგრამ არა. გოგის თითქოს აღარაფერი უკვირს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, გაჩერებული ლიფტიც შეიძლებოდა ჩამწყდარიყო, მაგრამ ელექტროენერგია რომ არ გამოერთულიყო, ნეტავ, ამ ორის გაცნობას აზრი ექნებოდა? შუქი წავიდა, მოვიდა, მერე ისევ წავიდ-მოვიდა და, სიბნელეში დაახლოებულნი სინათლეში განეშორნენ. თითქოს აბსურდული ვითარებაა, მაგრამ ეს შეხვედრაც რაღაცას ნიშნავს, ვინაიდან თავად ყოფაა აზრიანი, გოგი და ეფემია აღარასდროს შეხვდებიან, მაგრამ ვერც ერთმანეთის დავინწყებას შეძლებენ. ეფემია იმიტომ შეხვდა გოგის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეკლა. გარეგნულად ცოცხალს ჰგავს გოგი, მაგრამ მის შიგნით სამუდამოდ, რაღაც მნიშვნელოვანი და დიდი ამოიკვეთა, მკვდარივით გახევებული დარჩა ეფემიაც.

ნოველა „მკვლელობა ჩოგბურთის კლუბში“ ასევე რადიოპიესად იქცა, რომელშიც დეტექტიურ ჭრილშია ვითარება ახსნილი.

მწერალი გედევან გედევანიშვილი შემთხვევით მოხვდება ჩოგბურთის კლუბში, ამავე კლუბის პიარმენეჯერი და ალალი ბიძაშვილი ანანო გედევანიშვილი დაჰპატიჟებს. მწერალს სპორტის არცერთი სახეობა არ აინტერესებს, მალევე აპირებს წამოსვლას, მაგრამ გაცდება, როცა მომცრო შენობის მაგივრად დახვდება ვეება კომპლექსი დახურული და ღია კორტებით, საცურაო აუზით, სპორტდარბაზით, კაფე-ბარით, საუნითა და ათასი ტრენაჟორით. ამავე სივრცეში გამოეცნაურება სუსტი აღნაგობის ქალბატონი, რომელიც ეტყვის, რომ სკოლელები და პარალელური კლასელები არიან თუმცა ეს ადამიანი გედევანის მეხსიერებიდან აბსოლუტურად ამოშლილია. ქალს ელისი ჰქვია, მაგრამ აგატას ეძახიან. პროფესიით სოციოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი და ფსიქოთერაპევტი აღმოჩნდა, კონკრეტულად კი იმ ადამიანებს ეხმარება, ვინც თავის მოკვლას აპირებს, ან ახლო წარსულში დააპირა, მაგრამ გადარჩა, ეს ცოცხლად დარჩენი-

ლები ჰყავს ამ უცნაურ ქალბატონს ჩაბარებული. ტრენაჟორზე ჩამომჯდარი მოწყენილი მწერალი რომ დაინახა, ქალმა თავის პოტენციურ პაციენტად აღიქვა გედევანი, მაგრამ რომ დარწმუნდა მთლად ასეც არაა საქმე, გაეცალა, იმათკენ გაემართა ვინც დასახმარებელია, კლუბის სტუმრების დიდი ნაწილი ხომ მისი პაციენტია...

ფურშეტი ქართული წესითა და რიგით მამაპაპურ ქეიფში გადაიზრდება. რომ არ მოიწყინოს, გედევანი ამოძრავდება, დარბაზს, ბარს შემოივლის, ბოლოს კი კლუბის ადმინისტრაციის კაბინეტებში შეიხედავს, რომლებიც ცარიელია და ბოლო ოთახის კარს რომ შეაღებს, სლავური გარეგნობის ქალის გვამს ნააწყდება...

ფსიქოთერაპევტი დარწმუნებულია, ლინდა მოკლეს, მიუხედავად იმისა, რომ ქალს ძალადობის არანაირი კვალი არ აჩნია და ყველა სტუმარი ეჭვმიტანილი ხდება, გედევანიც. კომპლექსის მეპატრონეა ციმბირში გამილიონერებული ვინმე ნიკუშა ჯორჯაძე, რომელსაც ბავშვობის მეგობარი ქურთი რამზიკა თურქეთ-ერაყის საღვარზე სამი წლის წინ დაელუბა. საეჭვოდ სქელი კედლები აქვს ნიკუშას აშენებულ კორტების კლუბს და კაცმა არ იცის რას ინახავს საწყობებში გამილიონერებული ნიკუშა, ამიტომ ის კატეგორიულად მოითხოვს, პოლიცია არ გამოიძახონ და უმოკლეს დროში, აქვე იქნას გამოძიებული ეს საშინელი ფაქტი. სოციოლოგი თავის კარგ ნაცნობ გამომძიებელ ნოდარ ხატიშვილს მოიხმობს, მაგრამ გამოძიებას თავადვე წარუძღვება. მწერალი გასაოცარი ოსტატობით მოგვითხრობს ქალის გონებაგამჭრიახობაზე, დაკვირვებულობაზე, პიროვნულ სიძლიერეზე და დედუქციურ ტალანტზე. ადვილად მიაგნებს მკვლელს, რომელიც თავიდან ყველას კაცი ეგონა, მაგრამ მკვლელი ერთი ლამაზი ქალბატონი აღმოჩნდება, რომელმაც ორი ქალის სიცოცხლე მოსპო საკუთარი მეუღლის ავხორცობის გამო. გიზო გოგოლაძის, კორპორაცია „ჯი-ერ-ჯის“ პრეზიდენტი, ახალ ქართველთა შორის პოპულარული სექსაპილერის ცოლია ვიკა ბასილია, რომელსაც პირველი მეუღლისგან ჰყავს ავადმყოფი

ბავშვი, პროგრესული მიასთენია და კუნთების დისტროფია აქვს და რომ არა გიზოს ფინანსური შესაძლებლობანი, ბავშვი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი იქნებოდა, ძვირი ჯდება მკურნალობა, დედისთვის მთავარია არ გარდაიცვალოს, ისუნთქოს. ვიკას საჩვენებელ თითზე მასიური ძვირფასი და შხამიანკლანჭიანი ბეჭედი აქვს ჩამოცმული, ამ იარაღით წამში ორი ქალის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ორი ადამიანის სიცოცხლეს ვერაფერი გადაწონის, ავადმყოფი ბავშვის სიცოცხლეც კი, უნდა დაისაჯოს ამ ცოდვისთვის. ვიკას კი შვილის გამო არ შეუძლია ციხის კამერაში ჯდომა, ის თვითმკვლელობის ჩადენას დააპირებს, მაგრამ სუიციდოლოგი ხილით სავსე ლარნაკს თავში ჩასცხებს. მკვლეელი თავის მოკლულ ქალებზე მეტად საცოდავია, მაგრამ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. ორ სიკვდილს მესამეც რომ არ მიემატოს, ვიკას ყველა ერთხმად შანსს აძლევს თავი დააღწიოს სამუდამო პატიმრობას. ქმარს უნდა უთხრას, რომ ხილვა ჰქონდა და სურვილი აქვს თავი ღმერთს მიუძღვნას, და თუ მამინაცვალი ბავშვის პატრონობაზე უარს განაცხადებს, მისთვის წამლის ფულს ნიკუშა ჯორჯაძე გაიღებს. თეკლათის დედათა მონასტერში გამოუსვლელად ცხოვრების პირობას დებს ქალი, სადაც სინანული თავისით ეწვევა...

რამდენიმე დღის წინ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნად გამოცხადდა. არ ვიცი, რას ფიქრობს ამ ფაქტის შესახებ ბატონი ირაკლი. უმრავლესობა მოსახლეობისა გახარებულია, მეც მიხარია, მაგრამ ცოტათი მაინც მეშინია, თუმცა იმედი მაქვს, ჩვენი ყოფა ნელნელა გაუმჯობესდება. ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნები ინარჩუნებენ თვითმყოფადობას და იმედი მაქვს ეს კავშირი ხელს არ შეგვიშლის განვითარების გზაზე შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნულობა, ინდივიდუალიზმი, სახე და ფორმა. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, დიდ სიყვარულს და წარმატებებს გისურვებთ ბატონო ირაკლი!

2023 წლის 20 დეკემბერი

სარჩევი

წინათქმა - რევაზ მიშველაძე	3
----------------------------------	---

ნოველები

შემთხვევა ქვეგრილაში	10
ქვრივი	18
იმან	23
მადლი	25
ბზის ქურდი	28
მოლაპარაკებები	32
საცოლე	35

მოთხრობები

ორლანი	38
რეპეტიტორი	51

წერილები

ის!	102
ნოველა და ნოველისტი	107
ერთი ლექსი მაყვალა გონაშვილის ლექსი „ათასმეორე ღამე“ ...	115
იდუმალი შუქი	119
ცოტა ვარ და გავბევრდები	128
გთხოვთ, მაპატიოთ სიყვარული!	133

ცხონების სანინდარი	142
ღმერთის გარდა შენ თუ მიშველი... ..	150
პოეზიის ყოჩივარდები.....	154
ავდარი ბედია ჩემი... ..	160
შევერწყმები ჩემთვის რაღაც ახალს.....	163
მე შენ მიყვარხარ!.....	171
დღეს შენთან ყოფნა მინდა.....	184
აპრილის ასული	189
ნიკორწმინდა რომ დაინგრეს... ..	193
სიხარულების შემგროვებელი	200
ვარდისფერი ნისლის მეგობარი	207
შთაბეჭდილება.....	212
ერთი წელიც ბევრ რამეს ცვლის	217
მარადიული წამი.....	223
ესთეტიკა, სიყვარული და მარტოობა	229
უოცნებო და უფრო ოცნებიანი... ..	234
სიყვარულის სიმფონია	247
თავის უფალი ადამიანი	258



დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71
www.mtsignobari.ge

წიგნები:

„12“ ჟანრი - მინი რომანი, სტილი - პოსტმოდერნი;
გამომცემლობა „საგამომცემლო სახლი ქართული ელიტა,“ -
2019 წელი.

„სიცოცხლის წრე,“ ჟანრი - მოთხრობა, სტილი - პოსტმოდერნი;
გამომცემლობა „მნიგნობარი,“ - 2020 წელი.

„ქალი მულტიკულტურული უბნიდან,“ ჟანრი -
მოთხრობა, სტილი - რეალიზმი;

გამომცემლობა „მნიგნობარი,“ - 2020 წელი.

„ქალი მულტიკულტურული უბნიდან,“ ჟანრი -
რომანი, სტილი - მაგიური რეალიზმი;

გამომცემლობა „მნიგნობარი,“ - 2022 წელი.

ჯილდოები:

საქართველოს პემოფილიისა და დო-
ნორების ასოციაციის სიგელი, ორგა-
ნიზაციის განვითარებაში შეტანილი
უდიდესი წვლილისთვის.

პრემია „ივერიას“ ლაურეატი - ნომ-
ინაციაში „ქართული ელიტის წლის
მწერალი“, - ილია მართლის (ჭაჭავა-
ძის) ორდენოსანი, (2018 წ.)

საქართველოს მწერალთა შემოქ-
მედებითი კავშირის ჯილდო, ნაყოფი-
ერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთ-
ვის - „თამარიონის ენდელმა“, (2023 წ.)

ISBN 978-9941-508-87-5



9 789941 508875

